საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (206)
29 მაისი – 4 ივნისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6
## ფერადი ბაირაღები: შენდობა თუ ტაბურეტი?

2


ალექსანდრე ჭაჭია:
## თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს", დავიღუპებით!



12
## «ივანიშვილი ვაშინგტონის დაკრულზე ცეკვას თავს თუ არ დაანებებს, არჩევნებს მოიგებენ კი არა, ბარიერს ვერ გადალახავენ»

13
## «კოაბიტაცია კრიმინალებთან და კაცის მკვლელებთან დანაშაულია»

14
## «ბატონო ბიძინა, ისე ნუ იზამთ, რომ «არა — პედერასტიას» და «არა — «ქართულ ოცნებას» ერთმანეთის სინონიმი გახდეს!..»



მამა ბასილ მკალავიშვილი:
## ვეკითხები ცოლ-ქმარს — ხიდაშელ-უსუფაშვილს და მათ მხარდამჭერებს: თქვენმა ვაჟმა სახლში რძლად მამაკაცი რომ მოგიყვანოთ, რა ჭკუაზე დადგებით?

18



## «მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, მიმდინარეობს ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ!»

ნონა გაფრინდაშვილი:
8
## თუ დავინახავ, რომ ნინო ბურჯანაძე ისეთ საწინააღმდეგო რაღაცებს აკეთებს, რაც ჩემი და ჩემი ქვეყნის ინტერესებში არ შედის, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ხმამაღლა ვიტყვი

16
## «საქართველო ნატოს წევრი არასოდეს გახდება, სააკაშვილი პოლიტიკაში არასოდეს დაბრუნდება»

## კუდიანები და ამერიკული ჯარი
24

9
## პოლკოვნიკ თეთრაძის საქმის უცნობი და შემზარავი დეტალები



მამა დავითი (ისაკაძე):
## გარყვნილების ქადაგება კანონით უნდა აიკრძალოს
10

## «სააკაშვილმა უკრაინაში მილიარდ-ნახევრის ვადაგასული ტყვიაწამალი შეიძინა»
25

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პოლიტიკა

„საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან.
მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში „თერგდალეულთა“, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.“

ალექსანდრე ჭაჭია:

# თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით!

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ალექსანდრე ჭაჭია.**



**— ბატონო ალექსანდრე, ჩვენს გაზეთში თებერვალში გამოქვეყნებულმა თქვენმა ინტერვიუმ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. მხოლოდ გაზეთის საიტზე იგი 75 ათასზე მეტმა ადამიანმა წაიკითხა და კიდევ 30 ათასმა — საიტის რუსულენოვან ვერსიაზე. ეს რეკორდული რაოდენობაა. რედაქციას დღემდე მიმართავენ მკითხველები თხოვნით, რომ გაგრძელდეს ინტერვიუთა ციკლი თქვენთან. ბევრს სურს, გაიგოს თქვენი აზრი რიგი პრობლემების შესახებ, რომლებიც მათ აწუხებთ. მე ავარჩიე რამდენიმე, ძირითადად, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოლოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული შეკითხვები.**

**როგორ აფასებთ 17 მაისის თბილისის მოვლენებს, რამაც ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია? არსებობს თუ არა სერიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირების ალბათობა ამ ნიადაგზე?**

— მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად გავრცელება არ მოხდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. **თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“ განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელია.** მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ „მოდა“ იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, რომ მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზირებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. **მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო.** ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. **ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მთელ მსოფლიოში.** ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. ამ დღეებში აშშ-ში ჯარში ერთსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე.

**— იმედი მაქვს, საქართველოში საქმე აქამდე არ მივა...**

— ტყუილად გაქვთ იმედი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, 17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ **უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს“, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია.**

> **«თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე «ევროპული ღირებულებების» განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს «ევროპულობის» მთავარი მაჩვენებელია»**

**— რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში?**

— პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? **შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის „უმცროს ძმად“ ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების „უმცროსი პარტნიორები“ ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა — იგი ლაქიაა, მონა.** საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

**უნდა ავუხსნათ „უფროს პარტნიორს“, რომ, როდესაც საქართველო იყო „უმცროსი ძმა“, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო „პედერასტი“ სალანძღავი სიტყვა იყო.**

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის „უმცროსი პარტნიორი“, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ▶

მოკლედ



## სოფელ დიცში «ნაციონალური მოძრაობის» ლიდერების ჩასვლას ინციდენტი მოჰყვა



დიცში საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატები – გიგი წერეთელი და გივი თარგამაძე იმყოფებოდნენ და საოკუპაციო ხაზის გადმოწევა გააპროტესტეს. მათ ჩასვლას ადგილობრივ მოსახლეობასთან მცირე შელაპარაკება მოჰყვა. **„რა ნამუსით მოდიხართ აქ?“, „დასალევი წყალი გვენატრება, სად იყავით აქამდე?!“, „დატოვეთ სოფელი“,** — მიმართავდნენ მათ ადგილობრივები. „ამ ადამიანების გაღიზიანებაც მესმის. ამდენი წელია, საფუძველი აქვთ ასეთი გაღიზიანების. ახლა კონკრეტულად პრობლემა იქნება ის, რომ სარწყავი ნაგებობები დარჩება საოკუპაციო ხაზს მიღმა და ეს დამატებით პრობლემებს შემქნის“, — განაცხადა გივი თარგამაძემ.

**„ევროპულ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით.“**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს»**

◀ ასეთი „პარტნიორობის“ კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

მეორე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია“,** რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად მე ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — **„ქართველობის გადასარჩენად!“** სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთმა „ილორმა“ ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე „ნაციონალისტი“ და „კრემლის რუპორი“ მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს „ოპოზიციას“ ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი „ანტიამერიკანიზმი“ და „ანტიევროპეიზმი“. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო „ბრუნდება“ ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი ძირითადი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ საქართველოს „ევროპულ იდენტობასთან“ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

**საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში „თერგდალეულთა“, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზეწოლით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.**

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — „უმცირესობათა“ მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნების იგნორირება მოახდინეს.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინ იგივე ხდებოდა პარიზში. **ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით.**

**— როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესიული შეტევა, თუ ამ თემაზე ასობით კინოფილმს იღებენ, ათასობით მხატვრული ნაწარმოები ქვეყნდება, მსოფლიო შოუბიზნესის ვარსკვლავები თავიანთი ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ?..**

— რა თქმა უნდა, წიგნების გამომცემლების, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგანაც ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. **სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარია არაა ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებთა აკრძალვაზე.** ჩვენ — ყველას წაგვიკითხავს მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის რომანები, რემბოსა და ვერლენის ლექსები, მოგვისმენია ელტონ ჯონისა და ფრედი მერკურისთვის, მაგრამ მგონია, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ ამერიკელი ვიდალ გორი ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

**— არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება მზად იყოს, საკუთარ თავზე აიღოს ეს ფუნქცია. აი, მაგალითიც: 17 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაგმეს საზოგადოების რეაქცია, მოუწოდეს მას ტოლერანტობის, მოთმინებისა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემისკენ.**

— ეს ბუნებრივია, თქვენ ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. **საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთის მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან; მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მისცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის: რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს.**

ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალთა“ მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისათვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, რომ მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რათა საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება. „ქართული ოცნება“ ამას დაგვპირდა, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია.



**«უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ «ევროპელებს», არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები – საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და სრულიად დასავლეთ ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია»**

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ევროპის საბჭოს ასამბლეის მომხსენებელი 17 მაისის გამო საქართველოს აკრიტიკებს

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მთავარმა მომხსენებელმა ჰაკონ ჰაუგლიმ ლგბტ თემის უფლებების შესახებ 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ევროპის მასშტაბით განვითარებული მოვლენების თაობაზე განცხადება გაავრცელა.**

**„მსურს მივულოცო ალბანეთისა და მოლდოვას ხელმძღვანელობებს, რომელთაც დაუშვეს და მხარი დაუჭირეს „მრავალფეროვნების ბაზრობას“ ტირანაში და „ცისარტყელა დნესტრში“ ჩისნაუში, თუმცა სიტუაცია განსხვავებული იყო საქართველოში, სადაც ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული მსვლელობა ძალადობრივად იქნა ჩაშლილი ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ჰაკონ ჰაუგლის განცხადებით, გამოხატვის თავისუფლება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან ერთად ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიული ცხოვრების საყრდენი ბურჯია. იგი ასევე აღნიშნავს, რომ 17 მაისმა ნათლად აჩვენა, რომ ეს უფლებები ხშირად ირღვევა ევროპის მასშტაბითაც.

**„ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველას, ლგბტ ადამიანების ჩათვლით, ჰქონდეთ ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა“,** — ნათქვამია ჰაუგლის განცხადებაში.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თაობები, საბედნიეროდ, რესპუბლიკელებზე ნამდვილად არ გაზრდილან, მაგრამ ისინი ივანიშვილს სწორედ ასე ეუბნებიან და მანაც დაიჯერა. როგორ არ დაიჯერებდა, როცა პრემიერამდე ინფორმაცია არ მიდის ან მიდის მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც მის გარემოცვას უნდა.**

# დითირამბი თუ ავტოპორტრეტი?

**რესპუბლიკელებით ერთსულოვანი უკმაყოფილება ქართულ საზოგადოებაში, დიდი ხანია, ცნობილია. „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ გამობრძმედილი რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი „ფეისბუქზე“ იმით ტრაბახობდა, თუ როგორ მოატყუა ამომრჩეველი: „ეს ურაპატრიოტების სასტავი არჩევნების წინ ფიქრობდა, ბიძინას რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ამერიკელების დასაბოლებლად სჭირდება, მაგრამ, ხელისუფლებაში რომ მოვა, მერე მაგათ გაყრის და ჩვენ მოგვიყვანსო. ჰოდა, ახლა ნელ-ნელა რწმუნდებიან, რომ თურმე ასე არ ყოფილა. არადა, რომ იცოდნენ, მე თვითონ გავავრცელე ის მესიჯი, წყნარად რომ ყოფილიყვნენ არჩევნებამდე და ხელი არ შეეშალათ“.**



წყნარად ამომრჩევლები, ზურაბიშვილის ცბიერი მესიჯის გამო კი არა, ბიძინა ივანიშვილის ხათრით იყვნენ. რა დასამალია, მათ უმრავლესობას მართლაც ჰქონდა იმედი, რომ ივანიშვილი თუ არ მოიშორებდა რესპუბლიკელებს, არც ისე ალაზევებდა, როგორც ეს დღეს აღმოჩნდა. გულისწყრომა სულ უფრო ხშირად ისმის ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც დღესაც ბოლომდე ენდობიან ივანიშვილს.

**პარტია, რომელსაც თავი „ინტელექტუალად“ მოაქვს, ვერასოდეს მოხვდა და ვერც მოხვდება დამოუკიდებლად პარლამენტში მისი უკიდურესად დაბალი რეიტინგის გამო. მაგრამ ეს უმცირესობა დღევანდელ პარლამენტში იმას ელირსა, რაც აქამდე არ ღირსებია: პარტიის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, მისი თანამეცხედრე — საგამოძიებო კომისიისა, ხოლო დასნი და დასნი რესპუბლიკელები სხვადასხვა თანამდებობაზე გამწესდნენ.**

რა ბევრნი ეგენი არიან და ის მცირე სამუშაო ადგილებიც კი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ შეხვდა (დიახაც, შეხვდა, თორემ ახალი არ შეუქმნიათ), ერთიანად რესპუბლიკელების კადრებმა დაიკავეს. **17 მაისის პროვოკაცია, რომელზეც „ნაციონალებმა“ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს და კიდევ ერთხელ ვერ მორწყეს სისხლით რუსთაველის პროსპექტი, ერთგვარ ტესტად იქცა რესპუბლიკელებისთვის. თინა ხიდაშელმა მყისიერად განაცხადა, რომ პარლამენტი და მთავრობა რუსთაველზე მომხდარ ფაქტს ემიჯნება. ვინ მისცა მას მთელი პარლამენტის და დამატებით მთავრობის სახელით განცხადებების კეთების უფლება?** თუმცა, რაკი არავინ მისცა შენიშვნა, როგორც ჩანს, მას ეს უფლება ან მიღებული აქვს, ან აღებული.

იმავე დავით ზურაბიშვილმა იმავე ფეისბუქში კიდევ ერთი „მარგალიტი“ ჩააგდო: **„რაზე მეცინება, იცით? საakaшвილს და მისი მთავრობის წევრებს არასოდეს უთქვამთ, რომ სექსუალური უმცირესობები ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც ჩვენ — ყველას, მაგრამ მაინც იყვნენ ექვმიტანილები ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაში. ახლა ბიძინა ივანიშვილიც ამას ამბობს, თეა წულუკიანიც, მაგრამ ეჭვმიტანილებად მაინც „ნაციონალები“ რჩებიან“.** დაცინვის ხასიათზე დამდგარ ზურაბიშვილსაც არავინ აძლევს შენიშვნას და, საფიქრებელია, რომ მას ხალხი, რომელიც სააკაშვილმა ვერ გადააკეთა, ახლა რესპუბლიკელების ექსპერიმენტის საცდელ ვირთხებად წარმოუდგენია.

მათი რიტორიკა იდენტურია (გვეპატიოს კალამბური და არც „იდენტობისგან“ არიან შორს) და ზურაბიშვილის ლაზღანდარობას ისევ თინა ხიდაშელი უბამს მხარს „ფეისბუქზე“: **„და ეს ქრისტეს სიყვარულით ხდება ხომ? რამე ხომ არ გამომრჩა? მე რისი თქმა მინდა? მეგონა, მიხვდებოდით. მაინც განგიმარტავთ: მე იმის თქმა მინდა, რომ ჩემი ქრისტე სიყვარულს გვასწავლის, მე იმის თქმა მინდა, რომ მღვდელი ჯვრით ხელში ძალადობისკენ არ უნდა მოუწოდებდეს, არ უნდა ცემდეს და საცემრად არ უნდა მისდევდეს, მე იმის თქმა მინდა, რომ ეკლესიისგან სიმშვიდისა და სიყვარულის ქადაგებას ველოდები, კიდევ მოვყვე რისი თქმა მინდა?..**

**კიდევ იმის თქმა მინდა, რომ „მე არ მომწონს ცისფერები, მაგრამ“ ამ წუთას მშიშარა პოზიციაა, არავინ არავის სთხოვს, მოსწონდეს და გვერდში დაუდგეს... კიდევ იმის თქმა მინდა, რომ 20-საუკუნოვანი მართლმადიდებლობის დასაცავად ჭინჭრებით შეიარაღებული იმავე მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განკვეთილი მღვდლის გვერდში რომ დგახარ ალესილი მახვილით, ცინიზმი და ფარისევლობაა... კიდევ გავაგრძელო?“**

ასე და ამგვარად, ხიდაშელს „თავისი“ ქრისტე ჰყავს, თანაც ქალბატონმა რესპუბლიკელმა იმავე დღეს დანამდვილებით იცის, ვინ არის დამნაშავე და ვინ — მსხვერპლი. „ალესილი მახვილი“ ერთ დროს ზურაბ ჭიაბერაშვილსაც ელანდებოდა, როცა „ქართლის დედას“ ახედავდა საკუთარი „სიმაღლიდან“ და ფრთხილად იყავით, ქალბატონო თინა, მისი ბედი არ გაიზიაროთ!

ისედაც უკმაყოფილო ამომრჩეველი რესპუბლიკური პარტიის იუბილეზე სიტყვით გამოსული პრემიერ-მინისტრის სიტყვების მოსმენის შემდეგ სულმთლად აიჯაგრა. ჯერ დავით უსუფაშვილი გამოვიდა მისალმებით: **„მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. დღეს ჩვენ პარტიულად 35 წლის გავხდით. ეს ბევრია, ცოტაა, მე არ ვიცი, მაგრამ საკმარისი რომაა, ფაქტია** *(საკმარისი რისთვის ან ვისთვის? — თ. დ.).* **და ამას გილოცავთ თქვენ გულით და სულით. დღეს აქ შეკრებილნი არიან რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრები. ცხადია, ყველას, ვინც აქ ყოფნას იმსახურებს, თუ სურვილი ჰქონდა, ჩვენი პარტიის წევრებს აქ ვერ მოვიწვევდით** *(რატომ, იმდენი ხართ, რომ ვერ დაეტეოდით? ვინც ხართ, ყველანი მანდ იყავით, ეგ ტყუილები ბიძინა ივანიშვილს მოუყევით, თითქოს იმდენი ყოფილხართ, რომ თქვენი დამტევი დარბაზი საქართველოში არ მოიძებნა! — თ. დ.),* **მაგრამ მინდა აქედან შევეხმიანო და აქედან მივულოცო ყველა რესპუბლიკელს ეს მნიშვნელოვანი დღე“.**

ამ მისალმების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიულოცა დამსწრეებს: **„გილოცავთ, დღეს რესპუბლიკური პარტიის 35-ე წლისთავია. თითქოს სადღაც გადადის და კომუნისტურ დროში გადადის, 1978 წელს და საოცრებაა და აღმოჩენაა, რომ პარტია დაფუძნდა ამ დროს და პრაქტიკულად დამფუძნებლები დისკრედიტირებულებად მოიხსენიებიან, ზოგმა ციხეში გაატარა, თუ კარგად იცით და ეს პროცესები იყო საქართველოში. არაფერი უკვალოდ არ რჩება. ხაინდრავა, ძმები ბერძენიშვილები, რომლებმაც მოახერხეს და დაპატიმრებებშიც იმყოფებოდნენ. არაფერი შემთხვევითი არ ხდება და თქვენზე გაიზარდნენ თაობები და ისწავლეს პოლიტიკა. ისწავლეს ცნება სახელმწიფო, თუ გნებავთ“.**

თაობები, საბედნიეროდ, რესპუბლიკელებზე ნამდვილად არ გაზრდილან, მაგრამ ისინი ივანიშვილს სწორედ ასე ეუბნებიან და მანაც დაიჯერა. როგორ არ დაიჯერებდა, როცა პრემიერამდე ინფორმაცია არ მიდის ან მიდის მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც მის გარემოცვას უნდა. ასე გასინჯეთ, მათ იმაშიც დაარწმუნეს ივანიშვილი, რომ პოპულარობა მხოლოდ სიძველის გამო დაკარგეს, ანუ ვიყავით და ახლა არ ვართ პოპულარულიო.

**რესპუბლიკელები ერთ დღესაც ვერ დაასახელებენ, როცა ისინი საქართველოში პოპულარობით სარგებლობდნენ, თუმცა მათ ეს აზრი პრემიერს უკვე მკვიდრად ჩააგონეს.**

**ბიძინა ივანიშვილი: „გასაგებია, ყველაფერი ძველდება და პოპულარობას კარგავს, თუმცაღა თქვენ არასდროს არ დაგიკარგავთ პოპულარობა ისეთ დონეზე, რომ ყურადღება მისაქცევი იყოს იმ პოლიტიკურ სეგმენტში, რომელიც საქართველოში არსებობდა. რაც მთავარია, ის ტრადიციაც, რომ გაიზარდნენ თქვენზე და ის ანდაზაც, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს, აი შედეგი... არ არის შემთხვევითი, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ დღევანდელი ლიდერი უძღვება პარლამენტს. გამოცდილებაც, წესიერებაც და მე დავითთან ბევრი მაქვს ნასაუბრები, თუ გინდათ, თქვენზე და შენზე პირადად, დავით, და პრეტენზიულადაც, თუ გნებავთ და ესენი იყვნენ ჩემი მასწავლებლები და მათ ძალიან დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩემ დღევანდელ პიროვნებაში და პოლიტიზებაში“.**

ამას ნუღარ გაიმეორებთ, ბატონო ბიძინა, თორემ წინ კიდევ არის არჩევნები და ხალხმა თუ ის გაიგო, რომ რესპუბლიკელები თქვენი მასწავლებლები არიან, მარგველაშვილი კი არა, ფეხზე წამომდგარი ილია ჭავჭავაძე რომ დაასახელოთ პრეზიდენტობის კანდიდატად, ისიც იმდენ ხმას მიიღებს, რამდენსაც რესპუბლიკელები იღებენ სტაბილურად ყოველ არჩევნებზე — 2%-ზე ნაკლებს! სიტყვამ მოიტანა და ლევან ბერძენიშვილს ნათქვამი აქვს, რომ ილია ჭავჭავაძეს, როგორც პოეტს, არ ცნობს!

კვლავ ბიძინა ივანიშვილი: **„მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამისთვის ძმებსაც, დებსაც და ყველას, ვინც დასაწყისში იყო ან სათავეში, რესპუბლიკური პარტიის დაფუძნებაში და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თქვენ მოახერხეთ და ძალიან ნიშანდობლივი იყო ის საიდუმლო, რომელიც პრესას გაანდო უსუფაშვილმა. დღეს შეიძლება ღიმილი და იუმორი იყოს, მაგრამ ესაა რეალობა. ეს მიუთითებს თქვენს წესიერებაზე. დასამალი რაა, ხო? იცით, საზოგადოებაში გაჩნდა რაღაც ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება ზოგიერთ თქვენს პოზიციას“.**

აქ შევჩერდეთ და, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილამდე ეს მესიჯი არ მივა, მაინც ვთქვათ სიმართლე: საზოგადოებაში ახლა კი არ გაჩნდა ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება რესპუბლიკელების ზოგიერთ პოზიციას, არამედ პირიქით — იმთავითვე მათ მოსაზრებებს ადამიანთა იმდენად მცირე ჯგუფი იზიარებდა, რომ მათ სათვალავში არავინ აგდებდა არჩევნების დღეს (ისე არჩევნებს შორისაც).

**შემდეგ პრემიერმა რესპუბლიკელების წესიერებაზე ილაპარაკა, რომელშიც, მისი აზრით, არავის ეპარება ეჭვი. ბარემაც ბევრს ეპარება, მაგრამ ივანიშვილის არ იყოს, ჯერჯერობით „გაგებით ეკიდებიან“, ოღონდ არა რესპუბლიკელებს, არამედ ივანიშვილის სურვილს, განადიდოს და აღაზევოს ეს ურეიტინგო პარტია.**

**„შეიძლება ეჭვი ჰქონდეთ რაღაც გამონათქვამებში და რაღაც პოზიციაში, მაგრამ გადამწყვეტია ის, რომ თქვენს წესიერებაში არასდროს არავის ეჭვი არ შეჰპარვია და ეს ძალიან კარგი საფუძველია დღევანდელი ჩვენი ყოფისთვის, გარდამავალი პერიოდისთვის, მთავრობისთვის. და როგორც იქნა, მოხვედით პოზიციაში ოპოზიციის შემდგომ. უკვე გილოცავთ გულწრფელად, რომ ამავდროულად თქვენ გახდით „ლიბერალური ინტერნაციონალის“ სრულფასოვანი წევრი. თუკი 2005-დან გვეგონა, რომ ამდენი დრო სჭირდებოდა, რომ სრულფასოვანი წევრი გამხდარიყავით.**

**თურმე ფული არ გქონდათ და მე გაოცებული ვიყავი და ამასაც მინდა ხაზი გავუსვა და დადებითად მოვიხსენიო ლიბერალური ინტერნაციონალის ძალიან ბევრი წევრი და ეს პარტია. აქაც თქვენ ძალიან ღირსეული ნაბიჯი გააკეთეთ, რამეთუ არჩევნების პროცესში ევროპიდან ყველაზე დიდი დახმარება ვინც გაგვიწია, თქვენმა პარტნიორმა ინტერნაციონალურმა პარტიამ და მათ ძალიან დიდი წვლილი აქვთ იმაში, რაც საქართველოში ხდებოდა და ხდება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პარტიას ასეთი იდეოლოგიისა და ჭეშმარიტი თანადგომისათვის დემოკრატიული განვითარებადი ტიპის პარტნიორი ქვეყნისადმი“.**

რესპუბლიკელებს რომ ფული არ ჰქონდათ, ეს კიდევ ერთი ლეგენდაა, რადგან საქართველოში შემოსული გრანტებიდან ყველაზე მსუყედ სწორედ ისინი ფინანსდებოდნენ და ახლა ივანიშვილს ეწუწუნებიან, რომ კიდევ რამეს გამორჩნენ! რაც შეეხება „ლიბერალური ინტერნაციონალის“ მიერ გაწეულ „დახმარებას“, ეს იმაშიც კარგად ჩანს, თუ როგორ „ბომბავენ“ საქართველოს ევროპიდან შენიშვნებით და შეშფოთებებით!

თუმცა არის კიდევ ერთი ფრაგმენტი ივანიშვილის გამოსვლაში, რომელიც ფარდას ხდის კოალიციაში „რესპუბლიკელების“ ტაქტიკას: **„ჩვენ ვართ ერთნი დღეს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის შეუპოვრობა, რაც თქვენშია, ერთპარტიულობა არ ემუქრება, ყველაზე ცოტა, ჩვენს კოალიციას და არ არის ამის საჭიროება. ეს მუქარა უნდა იყოს, ესეც კარგი თვისებაა თქვენში. დიდი მადლობა, გილოცავთ და დიდხანს უნდა იყოთ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში“.**

რა მუქარაზეა ლაპარაკი? რაკი ივანიშვილი ამბობს, ეს თქვენი კარგი თვისებააო, ივარაუდება, რომ სწორედ რესპუბლიკელები იმუქრებიან, ხოლო რაკი ეს თვისებაა, გამოდის, რომ ამას სისტემატურად აკეთებენ. **რატომ იტანთ, ბატონო ბიძინა, თქვენს ლოკომოტივზე ჩაბმული ვაგონის მუქარას? ვაგონი კი არ მიქრის, მას ლოკომოტივი მიაქროლებს! განა თქვენ რესპუბლიკელების ხათრით მოგცათ ამომრჩეველმა ხმა თუ პირიქით?**

მათ მხოლოდ მუქარა და შანტაჟი ეხერხებათ, თქვენ — რეალური გადაწყვეტილებების მიღება. აკი გკარნახობთ კიდეც თინა ხიდაშელი, თუ როგორ შეგიძლიათ მათი გავლენისგან გათავისუფლება: **„თუ ბიძინას რესპუბლიკელები არ უნდა, საკმარისი რაოდენობის დეპუტაცია ჰყავს, რომ დათო პარლამენტის თავმჯდომარე არ იყოს“.**

**იქნებ არც საკმარისი დეპუტაცია გყავთ? „გამოდით, უნდა გადაგთვალოთ!“ — იძახდა ვიღაც უმცირესობის აქციაზე. ერთხელ თქვენც დათვალეთ, ნამდვილად თქვენი რამდენი დეპუტატი გყავთ და იქნებ აღარ იყოთ იძულებული, უმცირესობის ჭკუაზე იაროთ!**

**თამარ დავითულიანი**

**ვანო მერაბიშვილი, ისევე, როგორც ყველა მისი თანამეინახე, უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ სასამართლო ამის საპირისპირო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. მაგრამ, რომ იტყვიან, „საფუძვლიანი ეჭვი მათ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით“ იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ვარაუდების გამოთქმა მერაბიშვილის მიერ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ, ჩვენების მიცემის შესაძლებლობასა და ალბათობაზე, ალბათ, მაინც სავსებით ლეგიტიმურია.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატიმარ მერაბიშვილის დილემა

**გატყდება თუ არა ხერხემალი, ითანამშრომლებს თუ არა ვანო მერაბიშვილი გამოძიებასთან? ზოგიერთი წყარო ირწმუნება, რომ მერაბიშვილი უკვე ალაპარაკდა და ეს გარემოება მისი თანაგუნდელებისთვის, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, თუმცა სხვა წყაროები ამას კატეგორიულად უარყოფენ. საინტერესოა, რომ მერაბიშვილი, ფაქტობრივად, ე. წ. პატიმრის დილემის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც თამაშების თეორიის ფარგლებში ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს.**



**მერაბიშვილს, სავარაუდოდ, უბრალოდ, არ გააჩნდა საკმარისი სტრატეგიული ნიჭი და რესურსები იმისთვის, რომ რეჟიმი გადაერჩინა და, ამას თავი რომ დავანებოთ, საკმარისი წინდახედულობა იმისთვის, რომ საპატიმროში არ მოხვედრილიყო**

„პატიმრის დილემის“ კლასიკური ფორმულირება შემდეგია: დაკავებულია ორი ბოროტმოქმედი, პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ისინი ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ, ერთმანეთისგან მათ იზოლირებას ახდენს და თამაშის შემდეგ წესებს სთავაზობს — თუ ერთი მეორის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს, ხოლო მეორე არაფერს იტყვის, პირველს გაათავისუფლებენ, მეორეს კი ათწლიან პატიმრობას მიუსჯიან. თუ ორივე დუმილს შეინარჩუნებს, ორივეს შედარებით მსუბუქი მუხლით გაასამართლებენ და თავისუფლებას მხოლოდ ექვსი თვით აღუკვეთენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ჩვენებას ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე მისცემს, ორივეს ორწლიან პატიმრობას მიუსჯიან. პატიმარს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, თუ როგორ იმოქმედებს, მაგრამ მას არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მეორე პატიმარმა.

დილემა ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვუშვებთ, რომ ორივე ზრუნავს იმაზე, რომ ციხეში რაც შეიძლება ნაკლები დრო გაატაროს. ეს სქემა მიესადაგება უამრავ რეალურ თუ წარმოსახვით სიტუაციას არაერთ სფეროში, მათ შორის ბიზნესსა და პოლიტიკაში, თუმცა, **ვინაიდან საქმე ვანო მერაბიშვილს ეხება, ალბათ, აჯობებს, ისევ საპატიმროზე ვისაუბროთ. ერთი შეხედვით, ორივე პატიმრის ინტერესებშია, გუნდურად ითამაშოს, დუმილი შეინარჩუნოს და მინიმალური სასჯელი მიიღოს. მაგრამ „პატიმრის დილემის“ ფარგლებში ღალატი მკაცრად დომინირებს თანამშრომლობაზე — ზოგი ციხის დატოვების იმედით ჩვენების მიცემის გადაწყვეტილებას სწრაფად, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე იღებს, ზოგს ლოგიკა და შიში შემდეგი აზრისკენ უბიძგებს: თუ მეორე პატიმარმა ჩვენება მისცა, საჭიროა ალაპარაკება ათწლიანი პატიმრობის თავიდან ასაცილებლად.**

ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ამ „ჩაშვების“ მაპროვოცირებელმა მექანიზმმა შეიძლება არ იმუშაოს იმ შემთხვევაში, თუ ორივე პატიმარი მიეკუთვნება ერთ მაფიოზურ ოჯახს, იაპონელები რომ იტყვიან, იაკუძას კლანს, მოკლედ, ისეთ ერთობას, რომელსაც თავისებური ეთიკის კოდექსი, ღალატის ამკრძალავი წესები გააჩნია და მათი დარღვევა სიკვდილით ისჯება. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ პარტიაზე ან დისიდენტების ჯგუფზე, რომლის წევრები ერთ იდეოლოგიურ და ეთიკურ პლატფორმაზე დგანან. **როდესაც ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება დაიწყო, „ნაციონალური მოძრაობის“ არაერთი წარმომადგენელი ირწმუნებოდა, რომ მათი პარტია სწორედ ასეთი ტიპის ერთობაა და გამორიცხულია, მათმა ლიდერებმა ერთმანეთის ჩაძირვა დაიწყონ, თუნდაც ისინი ასჯერ დააპატიმრონ და გაასამართლონ.**

მაგრამ ცხოვრება საკმაოდ რთული და ამავე დროს ცინიკური რამ არის. 1984 წელს ამერიკელმა პოლიტოლოგმა რობერტ აქსელროდმა თავის წიგნში „კოოპერაციის ევოლუცია“ „პატიმრის დილემის“ სცენარის გაფართოება შეისწავლა, რომელსაც „პატიმრის განმეორებადი დილემა“ უწოდა. მის ფარგლებში წარმოსახვითი პატიმრები არჩევანს რამდენიმეჯერ აკეთებენ და იციან, თუ რა შედეგი მოჰყვა მათ თითოეულ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, უგროვდებათ გამოცდილება, რომელიც მათ შემდგომ მოქმედებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ თვალებანთებული იდეალისტების მტკიცე ერთობაა და არა ეგოისტი ვამპირების ხროვა, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, დღეისთვის დაგროვილი გამოცდილება მათ წინააღმდეგ მუშაობს. **ბაჩო ახალაიას დაკავების შემდეგ გავიდა გარკვეული დრო და მისი ბანაკიდან** (ცნობილი განცხადება „ფეისბუქში“ დათა ახალაიას სახელით) **მერაბიშვილის მისამართით უმძიმესი ბრალდებები გაისმა; სხვათა შორის, მისი ზოგიერთი გულშემატკივარი თავიდანვე თვლიდა, რომ მერაბიშვილმა, ისევე, როგორც სააკაშვილმა და პარტიამ ზოგადად, ახალაიები გაწირეს და „განტევების ვაცის“ როლი განუსაზღვრეს.**

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ ხელისუფლებიდან გაკეთდა რამდენიმე მინიშნება (სხვადასხვა ფორმით), რომ ბაჩო ახალაია შეიძლება შექმნილი მძიმე სიტუაციიდან შედარებით უმტკივნეულოდ გამოვიდეს. რაც შეეხება მის ძმას, დათას, მის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა შემდეგი რამ თქვა: **„თუ ეს ადამიანი დაბრუნდება საქართველოში და ჩვენებას მისცემს საგამოძიებო ორგანოებს და, თუ დადგინდება, რომ ჩვენებები რეალურ ფაქტებს ეფუძნება, შესაძლებელია, ახალაიას სტატუსი გადაიხედოს და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს“.**

სწორედ ასე გამოიყურება გამოცდილება, რომელიც მერაბიშილმა (და სააკაშვილის ჯგუფმა ზოგადად) იმ მომენტამდე მიიღო, როდესაც ის „პატიმრის განმეორებადი დილემის“ მეორე რაუნდის მთავარი გმირი გახდა. ისევე, როგორც ახალაიას, მას ბრალი „შედარებით მსუბუქ“ ეპიზოდებთან დაკავშირებით წაუყენეს, ხოლო თავზე დამოკლეს მახვილივით კიდევ ორი შესაძლო, გაცილებით მძიმე ბრალდება ჩამოჰკიდეს. ახლა არჩევანი მასზეა; მისცემს ის ჩვენებებს ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ თუ დუმილს შეინარჩუნებს იმის იმედით, რომ გარეთ დარჩენილი სააკაშვილი, ბოკერია და უგულავა ასევე გუნდურად ითამაშებენ, ხოლო პროკურატურა ამას (რატომღაც) დაუფასებს.

„პატიმრის დილემის“ ქართული, ადგილობრივი რეალიების მიმართ ადაპტირებული ვარიანტი საკმაოდ სასტიკი რამ არის, თამაშში არა ორი, არამედ რამდენიმე საკვანძო ფიგურა მონაწილეობს; მის ფარგლებში, **სავარაუდოდ, შეიქმნა ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ ქვეყნის ყოფილმა მმართველებმა ერთმანეთი ისეთივე აზარტითა და გააფთრებით ჩაძირონ, როგორც დრედნოუტებმა იუტლანდის ბრძოლაში.**

**„ეშმაკთან ერთად სადილად ნუ დაჯდები, მას უფრო გრძელი კოვზი აქვს“,** — ეს ანდაზა სხვადასხვა რედაქციით არაერთი ერის ფოლკლორში მოიძებნება (კონკრეტულად ეს ფორმულირება, თუ არ ვცდები, ესპანურია). სადილი, როგორც ჩანს, სრულდება, თანაც ძალიან ცუდად ვანო მერაბიშვილისთვის და, ალბათ, მიხეილ სააკაშვილისთვისაც, მეტიც, ყველასთვის, ვინც ესოდენ წინდაუხედავად სუფრას მიუჯდა.

არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელიც პატიმრის კლასიკურ დილემას განმეორებადისგან განასხვავებს. პირველ შემთხვევაში, დილემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პატიმრები, რომლებიც ცალ-ცალკე რაციონალურად მოქმედებენ, საბოლოოდ არარაციონალურ გადაწყვეტილებამდე მიდიან და იღებენ ნაკლებ ამონაგებს, ვიდრე ერთმანეთთან თანამშრომლობის შემთხვევაში მიიღებდნენ, ანუ, მეცნიერებს თუ დავესესხებით, ერთადერთ შესაძლებელ წონასწორობას ამ თამაშში პარეტო-ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე არ მივყავართ. განმეორებადი დილემის ფარგლებში კი ერთმა პატიმარმა, თავისი ჩვენებით, შეიძლება „დასაჯოს“ მეორე იმისთვის, რომ წინა რაუნდებში არ თანამშრომლობდა და ეს ფაქტორი გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან დამბალანსებელ ზეგავლენას ახდენს. ერთსვლიან თამაშში ღალატის სტრატეგია დომინირებს, ხოლო მრავალსვლიანში ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია მონაწილეთა ქცევაზე. მაგრამ განხილულ შემთხვევაში, ანუ **„პატიმარ მერაბიშვილის დილემის“ ფარგლებში სიტუაციას უკიდურესად ართულებს ის, რომ რაუნდების რაოდენობა პირობითი** (რაღა პირობითი?) **პატიმრებისთვის უცნობია. პროკურატურას შეუძლია ასპარეზობა ნებისმიერ წამს დაასრულოს. ასე რომ, მონაწილეებისთვის თითოეული რაუნდი უკანასკნელის და გადამწყვეტის დატვირთვას იძენს.**

ზოგიერთმა ფსიქოლოგმა შეიძლება მიგვითითოს, რომ ამდენი პარეტო-ოპტიმუმი და ნეშის წონასწორობა საჭირო არ არის და ვანო ისედაც ყველაფერს იტყვის, მაგრამ აღწერილი სქემების პროეცირება შექმნილ სიტუაციაზე, ალბათ, მაინც საინტერესოა. კრიტიკულ მდგომარეობაში, როდესაც ლოგიკამ და თვითგადარჩენის ინსტინქტმა შეიძლება ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართონ, რაც უფრო მეტი ინსტრუმენტი გამოიყენება ანალიზისთვის, მით უკეთესი.

ცხადია, ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმფციით უნდა ვიხელმძღვანელოთ; **ვანო მერაბიშვილი, ისევე, როგორც ყველა მისი თანამეინახე, უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ სასამართლო ამის საპირისპირო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. მაგრამ, რომ იტყვიან, „საფუძვლიანი ეჭვი მათ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით“ იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ვარაუდების გამოთქმა მერაბიშვილის მიერ, ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ, ჩვენების მიცემის შესაძლებლობასა და ალბათობაზე, ალბათ, მაინც სავსებით ლეგიტიმურია.**

გარემო, რომელშიც ყოფილ ხერხემალს მისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს, მის მიმართ მეგობრული ნამდვილად არ არის. ყოფილი ოპოზიციონერები მას ბანალურ ჯალათად აღიქვამენ, ხოლო დამოკიდებულება მის მიმართ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არაერთგვაროვანია. **ჯერ კიდევ ახალაიებთან დაკავშირებული ბრალდებების გავრცელებამდე, მეტიც, არჩევნებამდეც კი, არაერთი „ნაციონალი“ გამოთქვამდა ეჭვებს მერაბიშვილის უცნაურ თამაშებთან დაკავშირებით, საუბრობდა მის დაპირისპირებაზე სახელისუფლო გუნდის სხვა წევრებთან და, არც მეტი, არც ნაკლები, ფარულ ალიანსზე ივანიშვილთან. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ „ნაცმოძრაობის“ გადასარჩენად მერაბიშვილს სხვაგვარად უნდა ემოქმედა.** თუმცა, საინტერესოა, რომ თავიანთ გათვლებში ისინი ოპერირებენ „იდეალური მერაბიშვილის“ ფიგურით, „ერთიანი ნაციონალური მითით“ მერაბიშვილის შესახებ და არა რეალური ვანო მერაბიშვილით, რომელსაც წარმატებული პოლიტიკის გატარებისთვის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები ჰქონდა. **მერაბიშვილს, სავარაუდოდ, უბრალოდ, არ გააჩნდა საკმარისი სტრატეგიული ნიჭი და რესურსები იმისთვის, რომ რეჟიმი გადაერჩინა და, ამას თავი რომ დავანებოთ, საკმარისი წინდახედულობა იმისთვის, რომ საპატიმროში არ მოხვედრილიყო.** იგივე შეიძლება ითქვას მის შესაძლო თანამშრომლობაზე გამოძიებასთან; „ნაციონალებმა“, ალბათ, უნდა გააცნობიერონ, რომ გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაშიც მიიღებს არა წარმოსახვითი ზებუნებრივი თვისებების მქონე, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე მერაბიშვილი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი თავისი სურვილებით და მოტივებით, რომელთა გაშიფრვა, პრინციპში, არც ისე რთულია.

მაგრამ, **მიუხედავად იმისა, თანამშრომლობის რა ფორმებს გამონახავენ ვანო მერაბიშვილი და საგამოძიებო ორგანოები, საზოგადოება, ალბათ, ყურადღებით უნდა დააკვირდეს ამ პროცესს და არ დაუშვას, რომ კითხვები მერაბიშვილთან (სააკაშვილთან და ა. შ.) 2011 წლის 26 მაისის დარბევის და სხვა სისხლიანი ეპიზოდების შესახებ პასუხგაუცემელი დარჩეს.** ეს კითხვები და ეპიზოდები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლო ფარული გარიგების გამო, უკანა პლანზე არ უნდა მოექცეს. ამის დაშვება უამრავი დაღუპული და წამებისგან დაინვალიდებული ადამიანის, სინდისისა და სამართლიანობის ღალატის ტოლფასი იქნება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უარყოფის ძლიერი, ლამის ალერგიული, რეაქციის გამოწვევისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება წინა პლანზე ისეთი გამაღიზიანებელი ფაქტორის (ჯგუფის, მოვლენის და ა.შ.) წამოწევაა, რომელიც უმრავლესობისთვის უცხოა და მის ტრადიციებს ეწინააღმდეგება. ჰომოსექსუალებს და მათი უფლებების თემას ამ კონტექსტში ამ როლის შესრულება ნამდვილად შეეძლო. მათ წინააღმდეგ განწყობილია საზოგადოების დიდი ნაწილი არამხოლოდ საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზას დიდი ხანია დაადგნენ.**




# ფერადი ბაირაღები: შენდობა თუ ტაბურეტი?

**„ჩვენ ერთგული ვართ ჩვენი ტრადიციების, ჩვენი ადათ-წესების, მაგრამ ახლის შეთვისება და შექმნაც ქართული ტრადიციის განუყრელი ნაწილია. ჩვენ ღირსეული უნდა ვიყოთ არამარტო ჩვენი ტრადიციების ერთგულებაში, არამედ სხვათა წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების პატივისცემაში. ჩვენ ყოველთვის კრიტიკულად უნდა მივუდგეთ როგორც ფსევდოტრადიციულობაში ჩაკეტილ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ მსოფლმხედველობას, ისე ყოველივე უცხოურის, ყოველივე ახლის დაუფიქრებელ, გაუაზრებელ მიმბაძველობას“, — ამ მონაკვეთმა პრემიერ-მინისტრის 26 მაისის მიმართვიდან კიდევ ერთხელ შეგვახსენა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც საზოგადოების წინაშე დგას: ორი უკიდურესობა, როგორც სცილა და ქარიბდა, გზას ულობავს ხომალდს და სწორი კურსის არჩევა ძალზე რთულია. ოდისევსმა, თავის დროზე, „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით იხელმძღვანელა და სამშვიდობოს ექვსი თანამგზავრის გაწირვის ფასად გააღწია. საინტერესოა, როგორ მოვიქცევით ჩვენ.**



**ლეხ კაჩინსკიმ, რომელსაც საქართველოში ხშირად პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლოდ აღიქვამენ, ვარშავის მერად მუშაობის პერიოდში გეიაღლუმის გამართვა აკრძალა. ამას ბრიუსელის უმწვავესი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ კაჩინსკიმ, ამის მიუხედავად, კიდევ ერთი აღლუმის გამართვა აკრძალა**

## გზააბნეული თაგვის კვალდაკვალ

თუ ჩვენ ჩამოვთვლით ლოზუნგებს, რომლებიც ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა, ვნახავთ, რომ მათ ღერძს ოპონენტების იდეების ან გამოხატვის ფორმის უარყოფა წამოადგენს — **„არა — ჰომოფობიას!“, „არა — გეიაღლუმს!“, „არა ძალადობას!”, „არა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას!”, არა — თეოკრატიას!“, „არა — ლგბტ-ს!“.** თანაც ერთი უარყოფა წარმოშობდა მეორეს, მეორე — მესამეს და ა. შ. ამასთანავე, **მათ უკან მოწინააღმდეგის დემონიზაციის, მისი გაჩუმების, მარგინალიზაციისა და, საბოლოოდ, რეალობიდან ამოშანთვის ძალიან ცუდად შენიღბული სურვილი იდგა, ანუ დომინირებდა ის მიდგომა, რომელსაც ოპონენტებთან ურთიერთობაში სააკაშვილის რეჟიმი ეყრდნობოდა.**

რადიკალურ კრიტიკაში და საკუთარი პოზიციონირების პრობლემების გადაწყვეტაში სხვების ნეგატიური თვისებების გამოკვეთის ხარჯზე ახალი და უჩვეულო არაფერია, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ყოველივე ამან ავადმყოფურად ჰიპერტროფირებული ფორმები მიიღო. **ძალიან კარგად ჩანს, თუ რას უცხადებს პროტესტს ესა თუ ის ჯგუფი, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად გაუგებარია, რა დადებითი მიზნების მიღწევისკენ მოუწოდებს ის საზოგადოებას, რომელსაც ყოველი მხრიდან, 99% შემთხვევაში, „არა!“ და „კმარა!“ ესმის.** ის შეგვიძლია შევადაროთ თაგვს, რომელიც დენზე მიერთებულ გალიაში მოათავსეს (არაფერი შეურაცხმყოფელი ამ მეტაფორაში არ არის; მას, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, ხშირად იყენებენ); ყოველი „არა“ და „კმარა“ დენის დარტყმაა, არა მომაკვდინებელი, მაგრამ საგრძნობი. თაგვი, ბუნებრივია, ცდილობს, მაქსიმალურად დაშორდეს იმ ადგილს, რომელზეც დენმა პირველად დაარტყა, მაგრამ უსაფრთხო ადგილი არ არსებობს, გალიის ნებისმიერ წერტილში მას დენის მორიგი დარტყმა ელოდება. ის სულ უფრო მეტად ღიზიანდება, არ ესმის, რა ხდება, სურს, რომ სიტუაცია რაც შეიძლება მალე შეიცვალოს და ბოლოს, როდესაც გალიის კარს ულებენ, უკანმოუხედავად მირბის იმ მიმართულებით, რომელიც ექსპერიმენტატორმა განუსაზღვრა. ამ დროს თაგვი არ ფიქრობს იმაზე, სად მირბის, მისთვის მთავარია, გალიას დაშორდეს. **კრიტიკული აზროვნება და ანალიზის უნარი ამ დროს „გამორთულია“, მანიპულაციის ობიექტი თითქოს ბრმავდება და არ ფიქრობს იმაზე, რომ გზის ბოლოს შეიძლება გაცილებით ცუდი რამ დახვდეს** (თაგვს — სათაგური, ხოლო საზოგადოებას — ფაშისტური რეჟიმი, ან, თუ საუბარი ტაქტიკური მიზნების მიღწევას ეხება, — უბრალოდ, მასშტაბური პროვოკაცია). **როდესაც წლების შემდეგ შთამომავლები ეკითხებიან, — „როგორ დაუშვით ჰიტლერის თუ მუსოლინის** (ფუხიმორის თუ სააკაშვილის) **რეჟიმის ჩამოყალიბება?“, მათ, ვინც უკანმოუხედავად გარბოდა დენზე მიერთებული გალიიდან, გამართული პასუხის გაცემა, როგორც წესი, არ ძალუძთ.**

ეს ძალზე ზოგადი, სქემატური აღწერაა; არსებობს მთელი რიგი პოლიტტექნოლოგიური ნიუანსები, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია სხვა რამ — უარყოფის შემცველი რადიკალური ლოზუნგების არაპროპორციული მომრავლება ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო სიგნალია იმისა, რომ **მანიპულაცია დაწყებულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონსტრუქციულ პროგრამას, უსიამოვნო სიტუაციიდან გამოსვლის რეალისტურ გეგმას არავინ აყლერებს.**

საინტერესოა უარყოფის მნიშვნელობის გააზრება კონკრეტულ თემებთან მიმართებაში; მაგალითად, დღევანდელი „პროდასავლურობის“ ფუნდამენტს რუსეთთან, ხოლო „პრორუსულობის“ დასავლეთთან დაკავშირებული ნეგატივის უარყოფა, მისგან მაქსიმალური დისტანცირების სურვილი წარმოადგენს. **სად მირბოდა წარმოსახვითი თაგვი სააკაშვილის მმართველობის წლებში? ნუთუ იმ დასავლეთისკენ, რომელიც დემოკრატიაზე და კანონის უზენაესობის პრინციპზე დგას? თუ ბანალური დიქტატურისკენ, რომელიც თავს „პროდასავლურ დემოკრატიად“ ასაღებდა? დღეს კი საპირისპირო რამ ხდება — საზოგადოების დიდი ნაწილი უკანმოუხედავად გაურბის იმას, რასაც სააკაშვილი თვალთმაქცურად „დასავლეთს“ და „დასავლურ ღირებულებებს“ უწოდებდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის მართლმადიდებლური იდეალების, რუსული ტიპის „სუვერენული დემოკრატიის“ ან ქართველი ნაციონალისტ-ტრადიციონალისტების საოცნებო მოდელის მიმართულებით გადაადგილდება, მიმართულება შეიძლება ამ შემთხვევაშიც სულ სხვა იყოს.**

ყოველთვის აუცილებელია იმის დადგენა, მირბის თუ არა პირობითი თაგვი კონკრეტული მიზნისკენ თუ რაღაცას გაურბის; ამას პოლიტიკური პროცესების ანალიზის დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს. რასთან გვაქვს საქმე — ნორმალურ პოლიტიკასთან თუ დესტრუქციულ მანიპულაციებთან?

**მანიპულაციის პროცესში უარყოფის ძლიერი, ლამის ალერგიული, რეაქციის გამოწვევისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება წინა პლანზე ისეთი გამაღიზიანებელი ფაქტორის** (ჯგუფის, მოვლენის და ა. შ.) **წამოწევაა, რომელიც უმრავლესობისთვის უცხოა და მის ტრადიციებს ეწინააღმდეგება.** ჰომოსექსუალებს და მათი უფლების თემას ამ კონტექსტში ამ როლის შესრულება ნამდვილად შეეძლო. მათ წინააღმდეგ განწყობილია საზოგადოების დიდი ნაწილი არამხოლოდ საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზას დიდი ხანია დაადგნენ და ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება.

## ტრადიციები და ამბიციები

ამა წლის 1 მარტს პოლონური „ტვნ 24“-ის ეთერში სექსუალური უმცირესობებზე საუბრისას პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, აღმოსავლეთ ევროპაში დასავლური ღირებულებების დამკვიდრების ლეგენდარულმა მედროშემ — ლეხ ვალენსამ თავისი მოსაზრება დააფიქსირა.

**„ვალენსა:** — არ შეიძლება უმცირესობა უმრავლესობას თავზე დააჯდეს. რაც შეეხება დემონსტრაციებს, მე არ მსურს, რომ უმცირესობა, რომელსაც არ ვეთანხმები (მიუხედავად იმისა, რომ ვუშვებ მის არსებობას, მესმის მისი და მასთან პრეტენზიები არ მაქვს) ქუჩაში გამოდიოდეს და ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ტვინს ურევდეს. ან პატივი სცენ უმრავლესობას, პატივი სცენ დემოკრატიას, ან კიდევ შეეცადონ, უმრავლესობა გახდნენ. უმრავლესობამ ააშენა ყველაფერი ეს, ეს მას ეკუთვნის, ხოლო მათ მე ვუთმობ სწორედ იმდენს, რამდენიც არიან.

**ჟურნალისტი:** — მაგრამ დემოკრატიის საზომი ასევე უმცირესობის მიმართ დამოკიდებულებაა. ეს დემოკრატიის სიმწიფის საზომია.

**ვალენსა:** — მაგრამ ჩვენ იქამდე მივედით, რომ უმცირესობა უმრავლესობას თავზე აჯდება.

**ჟურნალისტი:** — ჰომოსექსუალი, რომელიც თავის ორიენტაციას არ მალავს, პარლამენტში აირჩიეს. თვლით თუ არა, რომ ის ბოლო და არა წინა რიგებში უნდა იჯდეს და მიტინგებიც პერიფერიაზე გამართოს?

**ვალენსა:** — რა თქმა უნდა, ასეა. სამართლიანობა სამართლიანობაა.

**ჟურნალისტი:** — ეს დისკრიმინაციაა და არა სამართლიანობა.

**ვალენსა:** — და უმრავლესობის უფლებების შეზღუდვას რა სახელს მოუძებნით?

**ჟურნალისტი:** — მაგრამ ვინ ვის ზღუდავს? რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა ჰომოსექსუალი და ვინ არა, როდესაც საუბარია ადგილზე სხდომათა დარბაზში? როგორც ვხედავ, თქვენ სერიოზულად მიიჩნევთ, რომ ჰომოსექსუალების წარმომადგენელი ბოლო რიგებში უნდა იჯდეს.

**ვალენსა:** — კი და უკეთესი იქნება, თუ კედლის მეორე მხარეს იჯდება. იმდენად, რამდენადაც ის თავის ამომრჩევლებს წარმოადგენს“.

სხვათა შორის, **ლეხ კაჩინსკიმ, რომელსაც საქართველოში ხშირად პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლოდ აღიქვამენ, ვარშავის მერად მუშაობის პერიოდში გეიაღლუმის გამართვა აკრძალა. ამას ბრიუსელის უმწვავესი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ კაჩინსკიმ, ამის მიუხედავად, კიდევ ერთი აღლუმის გამართვა აკრძალა.**

პოლონეთში ტრადიციებისა და რელიგიის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. ათწლეულები დასჭირდა იმას, რომ იქ სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტნაკლებად მშვიდი დამოკიდებულება ჩამოყალიბებულიყო და ახლახან პარლამენტში ერთი ჰომოსექსუალიც კი აირჩიეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დიდი ნაწილი თავს შეურაცხყოფილად ჩათვლის (მაგალითად, თუ ლგბტ-აქტივისტების ჯგუფი გაშიშვლდება და ჩენსტოხოვოს იასნა გურას მონასტრის გარშემო დაიწყებს სირბილს შეძახილებით „არა — თეოკრატიას!“), პოლონეთში, მისი ევროპული არჩევანის მიუხედავად, 99%-იანი ალბათობით, მოხდება ისეთი მასშტაბის აჯანყება და დარბევა, რომელიც მის მდიდარ ისტორიას არ ახსოვს. **პოლონელი პოლიტიკოსები კარგად აცნობიერებენ, რომ არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლება და იმას, რომ დამოკიდებულება ლგბტ-ს მიმართ ვარშავაშიც ისეთივე გახდეს, როგორიც ამსტერდამშია (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), ათწლეულები დასჭირდება და, ევროსტრუქტურებიდან კრიტიკის მიუხედავად, სიტუაციის შესაბამისად მოქმედებენ.**

▶

**2006 წელს ნიდერლანდების ელჩმა ესტონეთში, ჰანს გლაუბიცმა, თავის შავკანიან ბოიფრენდთან ერთად ქვეყანა დატოვა, რადგან მშვიდი, თავისებურად ფლეგმატური და, ჩვენი გადასახედიდან, სავსებით ევროპული ესტონური საზოგადოება, გლაუბიცის თქმით, „მზად არ აღმოჩნდა, მიეღო ორი მამაკაცის კავშირი, მითუმეტეს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი შავკანიანია“. ადგილობრივი სპეციფიკის არგათვალისწინებამ აქაც კონფლიქტური სიტუაცია წარმოქმნა.**

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საერთოდ, სექსუალური უმცირესობების უფლებების მიმართ განსაკუთრებული მოწიწების პირდაპირი მიბმა იმაზე, რასაც საქართველოში „დასავლურ“ ან „ევროპულ“ არჩევანს უწოდებენ, ზოგიერთ შემთხვევაში არამართებულია. კონკრეტული მაგალითი: **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელიც ერთი შეხედვით, სავსებით დემოკრატიული და დასავლური იყო, ჰომოსექსუალების წინააღმდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაცისტური სისხლის სამართლის კოდექსიდან გადმოღებული ნორმა გამოიყენებოდა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი, რომელიც კომუნიზმს აშენებდა და დასავლურ დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონდა, იგივე 175-ე პარაგრაფი კოდექსში შედარებით რბილი და ბუნდოვანი, კაიზერის გერმანიისა და ვაიმარის რესპუბლიკის დროინდელი რედაქციით შეიტანეს.** ჰომოსექსუალების მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების (ალბათ, მაინც ნაწილობრივ) დაძლევას, რომელიც გერმანიაში ტრადიციულად ძლიერი იყო, ათწლეულები, თუ არა მთელი საუკუნე, დასჭირდა, თუ ათვლის წერტილად 1897-ში მაგნუს ჰირშფელდის მიერ, კაცობრიობის ისტორიაში პირველი ჰომოსექსუალების უფლებების დამცველი ორგანიზაციის, „სამეცნიერო-ჰუმანიტარული კომიტეტის“ დაფუძნებას განვიხილავთ.

**დიდ ბრიტანეთში 1988 წელს სააკაშვილის მომხრეებისთვის სათაყვანებელი მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის 28-ე მუხლში შეიტანეს ცვლილება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს უკრძალავდა: „ა) ჰომოსექსუალიზმის შეგნებულ მხარდაჭერას ან ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერის მიზნით მასალების გამოქვეყნებას; ბ) ნებისმიერ სკოლაში იმის სწავლების მხარდაჭერას, რომ ჰომოსექსუალიზმი მისაღებია, როგორც მოჩვენებითი საოჯახო ურთიერთობა“.** ამ ნორმის გაუქმებას 15 წელიწადი დასჭირდა, რადგან ზე დასავლური და ზე დემოკრატიული ბრიტანული საზოგადოების დიდი ნაწილი და მისი ნების გამომხატველი პარლამენტარები ამას ეწინააღმდეგებოდნენ.

**2006 წელს ნიდერლანდების ელჩმა ესტონეთში, ჰანს გლაუბიცმა, თავის შავკანიან ბოიფრენდთან ერთად ქვეყანა დატოვა, რადგან მშვიდი, თავისებურად ფლეგმატური და, ჩვენი გადასახედიდან, სავსებით ევროპული ესტონური საზოგადოება, გლაუბიცის თქმით, „მზად არ აღმოჩნდა, მიეღო ორი მამაკაცის კავშირი, მითუმეტეს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი შავკანიანია“.** ადგილობრივი სპეციფიკის არგათვალისწინებამ აქაც კონფლიქტური სიტუაცია წარმოქმნა.



**დრამატული ამბები განვითარდა 2005 წელს ისრაელში, როდესაც იერუსალიმის მერმა გეიაღლუმის აკრძალვა სცადა, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი არგუმენტები უსაფუძვლოა. აღლუმი გაიმართა, მაგრამ ორთოდოქსული იუდაიზმის მიმდევრები მის მონაწილეებს შარდითა და ფეკალიებით სავსე პარკებს ესროდნენ**

**დრამატული ამბები განვითარდა 2005 წელს ისრაელში, როდესაც იერუსალიმის მერმა გეიაღლუმის აკრძალვა სცადა, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი არგუმენტები უსაფუძვლოა. აღლუმი გაიმართა, მაგრამ ორთოდოქსული იუდაიზმის მიმდევრები მის მონაწილეებს შარდითა და ფეკალიებით სავსე პარკებს ესროდნენ.**

**ბულგარეთში გეიაღლუმის მარშრუტი მკაცრად გასაიდუმლოებულია, მას უამრავი პოლიციელი იცავს, მაგრამ ნაციონალისტები და სკინჰედები თავს მაინც ესხმიან.** მათი ჯგუფები, აგრეთვე, აწარმოებენ თავისებურ „პატრულირებას“ ქალაქებში და ჰომოსექსუალებს (ან, მათი აზრით, შესაბამისი გარეგნობის პირებს) უსწორდებიან. 2008-ში მათ ერთი ახალგაზრდა ცემით მოკლეს. ბულგარეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრია, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი გეების მიმართ უკიდურესად ნეგატიურადაა განწყობილი და ამ ვითარების შეცვლისთვის ევროსტრუქტურებს, ადგილობრივ მთავრობას და უფლებადამცველებს, ალბათ, ასევე ათწლეულები დასჭირდება.

**ზებუნებრივი ტოლერანტულობით, პრინციპში, არც ამერიკული საზოგადოება გამოირჩევა. იქაური გეებისა და ლესბოსელების 90% აღნიშნავს, რომ მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ემუქრებოდნენ, ხოლო 30% ამბობს, რომ მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ.** დიდ ქალაქებში გეიაღლუმები, ასე თუ ისე, უპრობლემოდ იმართება, თუმცა ძნელი სათქმელია, რით შეიძლება დასრულდეს მათი გამართვის მცდელობა სადმე, ამერიკული პროვინციის შუაგულში და, საერთოდ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია თვალს თუნდაც ერთი წამით დახუჭავს, მიუხედავად იმისა, რომ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ჰომოსექსულების მიმართ აშშ-ში ათწლეულების განმავლობაში ნერგავენ.

**ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არ იყო მზად იმისთვის, რომ რუსთაველზე არა მხოლოდ გეიაღლუმი, არამედ ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციაც კი ეხილა. ამ ადამიანების სავარაუდო რეაქცია ძალიან იოლი გამოსათვლელი იყო და, გამორიცხული არაა, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა, ის თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა, მაგალითად, იმისთვის, რომ ივანიშვილის მთავრობისთვის მანევრის შესაძლებლობა წაერთმია, მოექცია ის შეზღუდულ სივრცეში ორ უკიდურესობას, ასე ვთქვათ, სცილასა და ქარიბდას შორის, გამოეწვია მისი დაპირისპირება საპატრიარქოსთან ან დესტაბილიზაცია და მსხვერპლი, რომელსაც ხელისუფლების რეიტინგის დაცემა მოჰყვებოდა. მოკლედ, ესარგებლა იმ შესაძლებლობებით, რომელთაც ზემოთაღწერილი, ელექტროგალიაში გამოკეტილი თაგვის სახელობის ალგორითმი იძლევა.**

## ჯობს, პარლამენტში გავაგრძელოთ

პრობლემების დიდი ნაწილი ქართული დემოკრატიის არასრულყოფილებიდან, დღეისთვის შექმნილი არაჯანსაღი ვითარებიდან მოდის. სავსებით ნორმალურია სიტუაცია, როდესაც მოქალაქეები, რომლებიც ამა თუ იმ იდეებს იზიარებენ, ირჩევენ ანალოგიური შეხედულებების მქონე დეპუტატებს (კონსერვატორებს, ლიბერალებს და ა. შ.) პარლამენტში და მათი მეშვეობით სასურველი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას ცდილობენ (მაგალითად, ჰომოსექსულიზმის პროპაგანდის აკრძალვას ან, პირიქით, ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას).

მაგრამ საქართველოში ასე არ არის — **დღევანდელი პარლამენტი მოქალაქეებზე ხელისუფლების უპრეცედენტო ზეწოლის პირობებში აირჩიეს და მათი უმრავლესობა განიხილავდა არჩევნებს, როგორც ბრძოლის აქტს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ეს არ იყო ხმების ჩვეულებრივი განაწილება სხვადასხვა ჯგუფის იდეოლოგიური სიმპათიების მიხედვით და მათი რაოდენობის პროპორციულად. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა** (არსებითად, დემოკრატიული რევოლუცია) **იყო, აღწერილი ვითარება, როდესაც საზოგადოებისა და დეპუტატების დიდ ნაწილს დღეს ერთმანეთთან მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის უარყოფა აკავშირებს, არანორმალურია და მისი შენარჩუნება რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანტიდემოკრატიულ ტენდენციებს გააძლიერებს. იდეალური გამოსავალი, ალბათ, ახალი, სამართლიანი არჩევნების გამართვაა, თუმცა პოლიტიკოსების დიდ ნაწილში ეს იდეა პოპულარობით არ სარგებლობს.** შესაძლოა, საუბარი ამ თემაზე ოდნავ ნაადრევია; ბევრი ამომრჩეველი დღესაც განიხილავს საპრეზიდენტო და მომავალ ადგილობრივ არჩევნებს, როგორც ბოლო ლურსმანს „ნაცმოძრაობის“ კუბოსთვის (და ერთიანდება „არა — ნაციონალებს!“ ლოზუნგის გარშემო), მაგრამ 1,5-2 წლის შემდეგ პრობლემა, სავარაუდოდ, მეტად აქტუალური გახდება.

ძველი ყაიდის ნაციონალისტებსა (სააკაშვილისეულ „ახალ ნაციონალიზმს“ ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ) და კონსერვატორებს, აგრეთვე, ნეიტრალიტეტსა და რუსეთთან კავშირზე ორიენტირებულ მოქალაქეებს არ ჰყავთ მათი რაოდენობის პროპორციული წარმომადგენლობა პარლამენტში და ზოგადად ხელისუფლებაში, და თუ ისინი მას არ მიიღებენ, მთელი სისტემისთვის დესტრუქციულ ფაქტორად გადაიქცევიან. **სააკაშვილი ებრძოდა ნებისმიერ განსხვავებულ აზრს, მაგრამ ჩამოთვლილი ჯგუფების მიმართ განსაკუთრებით სასტიკი იყო, მათ სრულ მარგინალიზებას და, საბოლოო ჯამში, განადგურებას ცდილობდა, როგორც საზოგადოებაში, ისე ეკლესიაში, სადაც მათ საკმაოდ სერიოზული პოზიციები დაიკავეს.** საბოლოოდ ის დამარცხდა და მისი რეჟიმის დამხობაში ჩამოთვლილ ძალებს არცთუ უმნიშვნელო როლი მიუძღვით. სწორედ მათ მოახდინეს რეჟიმის პოზიციონირება, როგორც „ანტიქართულის და უღმერთოს“, არ წყვეტდნენ წინააღმდეგობას ყველაზე მძიმე წლებშიც კი და მნიშვნელოვანწილად არჩევნების ბედი გადაწყვიტეს. **ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ახლა მშვიდად დაჯდებიან, რათა შეხედონ, თუ როგორ ისარგებლებენ მათი ათწლიანი ბრძოლის ნაყოფით ალასანია-„რესპუბლიკელები“. იმ შემთხვევში, თუ არ მოხდება მათი სრულფასოვანი ინტეგრირება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ანუ იმ პოლიტიკის ქმედითი უარყოფა, რომელსაც მათ მიმართ სააკაშვილი ატარებდა, ისინი არსად გაქრებიან და: ა) გადაიქცევიან რესურსად ივანიშვილის მომავალი მოწინააღმდეგეებისთვის; ბ) ეტაპობრივ რადიკალიზაციას განიცდიან და ფიქრს „თეირანი-1979“-ის ტიპის სცენარებზე დაიწყებენ** (სიმპტომები უკვე შეინიშნება).

ამის თავისებური წინასახე ჩვენ ბოლო ორ კვირაში ვიხილეთ. მართალია, იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ამ ადამიანების ემოციები საკუთარი მიზნებისთვის, საწადელს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროვოკაციაზე დაფუძნებულ კიდევ ერთ მცდელობას ადგილი მომავალშიც არ ექნება და ადრე თუ გვიან ეროვნული უსაფრთხოებისთვის სავსებით რეალური პრობლემები არ შეიქმნება.

კაცმა რომ თქვას, მნიშვნელობა არ აქვს, ვისზე ვისაუბრებთ ამ კონტექსტში — კონსერვატორებზე, ლიბერალებზე, სოციალისტებზე, პრორუსებზე, პროამერიკელებზე თუ პროჩინელებზე. **ნებისმიერი საკმარისად ძლიერი** (იდეოლოგიური თვალსაზრისით, სიცოხლისუნარიანი) **ჯგუფის ძალისმიერი გარიყვის, პოლიტიკური და საინფორმაციო იზოლირების მცდელობა კარგს არაფერს მოიტანს და ადრე თუ გვიან დესტაბილიზაციით დასრულდება.**

ამასთანავე, ეს „უარყოფის ელექტროგალიაში“ გამოკეტილი, უზარმაზარი (საქართველოს მასშტაბით) მასა სულ უფრო ნევროტიზებული ხდება და კრიტიკულ მომენტში ნამდვილად შეიძლება ფუნდამენტალიზმის, პოლიტიკური და კულტურული იზოლაციონიზმის მიმართულებით გაქანდეს. ერთიც და მეორეც საქართველოს მთელ ისტორიულ გამოცდილებას ეწინააღმდეგება და, სავარაუდოდ, მძიმე შედეგებით დასრულდება. **ამ ადამიანებს დღეს ძალიან სჭირდებათ ადეკვატური ლიდერები, რომლებიც პოზიტიურ მიზნებს დაუსახავენ უფრო ადრე, ვიდრე სხვები დესტრუქციისკენ უბიძგებენ.**

ცნობისთვის: გეიაღლუმები ტრადიციულად ივნისში იმართება და გამორიცხული არაა, ვინმემ ეს გარემოება ახალი პროვოკაციისთვის გამოიყენოს.

**დიმიტრი მონიავა**



## პრეზიდენტს კიდევ ერთი უფლებამოსილება ჩამოერთმევა

**პრეზიდენტის კომპეტენციიდან კიდევ ერთი უფლებამოსილება გამოდის. პარლამენტში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონპროექტი შევიდა, რომლის მიხედვითაც, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებსა და კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, ნაცვლად პრეზიდენტისა.** ცვლილებებით, კომისიის წევრი ინიშნება ექვსი წლით და შეიძლება კომისიის წევრი ხელახლა დაინიშნოს ექვსწლიანი ვადით. ამასთან, კომისიის ერთ-ერთ წევრს კომისიის თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.



## «ნაციონალების» საპრეზიდენტო კანდიდატი ზურაბ ჭიაბერაშვილი იქნება

**„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ხანგრძლივი კამათის შედეგად 2013 წლის საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმდნენ. არჩევნებზე პარტია პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ჭიაბერაშვილს წარმოადგენს.**

როგორც „ექსპრესნიუსისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც პარტიამ გადაწყვიტა, რომ პრაიმერის გარეშე დაესახელებინა პრეზიდენტობის კანდიდატი, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოში კანდიდატის შერჩევამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საბოლოო ჯამში, პარტია შეთანხმდა, რომ საპრეზიდენტოდ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა საუკეთესო გადაწყვეტილება იქნებოდა.

ოფიციალურად ამ გადაწყვეტილების შესახებ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოძიება ზურაბ ჭიაბერაშვილს ედავება მოსყიდვაში, გაფლანგვასა და უფლებამოსილების გადამეტებაში. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მას გირაო 20 ათასი ლარის ოდენობით შეუფარდა.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა კოაბიტაციაზეა საერთოდ საუბარი? როგორ უნდა მოიქცეს და, აბა, თავიანთ ქვეყანაში მოქცეულიყო ხელისუფლება ასე, თუ შეშფოთებას გამოთქვამდნენ. სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტები. სად იყვნენ მაშინ ეს უცხოელები, ჩვენ რომ გვკლავდნენ და ხალხს რომ ხოცავდნენ? ციხეში ხალხს რომ აწამებდნენ, ხმა ერთხელაც არ ამოუღიათ.“**



# ნონა გაფრინდაშვილი: მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, მიმდინარეობს ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ!



**„სახალხო კრებამ“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ხელმძღვანელს — ნინო ბურჯანაძეს გამოუცხადა მხარდაჭერა, თუმცა, როგორც „კრების“ ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი აცხადებს, ისინი არც საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან და პრემიერთან დაპირისპირებას არ აპირებენ. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „სახალხო კრების“ ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი ესაუბრება.**

**— 1 წელი გავიდა რაც 26 მაისს, საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ მხარდამჭერები სასტიკად სცემა და დააპატიმრა. დღეს, როდესაც უკვე ხელისუფლება შეიცვალა, ყველა მათგანი თავისუფალია, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგა?**

— სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა, ჯერ მხოლოდ გარკვეული პროცესები დაიწყო. 26 მაისის აქციის მონაწილეები სასტიკად დასაჯეს, ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს. რაც იმ ღამეს ხდებოდა, მსგავსი არც 7 ნოემბერს და არც 9 აპრილს მომხდარა, ამჯერად აქციის მონაწილეებს გასაქცევიც არ დაუტოვეს.

თუმცა **მხოლოდ 26 მაისი არ ყოფილა ყოფილი ხელისუფლების დანაშაული, მთელი ეს ძალადობა და უსამართლობა, რაც ხდებოდა — ჩაცხრილული ახალგაზრდები, გახმაურებული მკვლელობები, უამრავი ადამიანისთვის წართმეული ქონება, საკუთარი ხალხის სიძულვილი და გენოციდი, ყოფილი ხელისუფლების კისერზეა და უნდა დაისაჯოს ყველა, ვისაც სისხლში აქვს ხელები გასვრილი, ვინც ადამიანების წამებაში მონაწილეობდა და, უპირველესად, რა თქმა უნდა, ვინც დანაშაულებრივ ბრძანებებს გასცემდა.** ჯერჯერობით კი ვხედავთ, რომ მხოლოდ ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი არიან დაპატიმრებულნი.

**— მაგრამ ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ღიად აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები რეჟიმის მსხვერპლნი არიან...**

— ამ შემთხვევაში საუბარი იყო რიგით თანამშრომლებზე, რომლებიც გარკვეულ დავალებებს ასრულებდნენ. ასეთი, რა თქმა უნდა, ყველა მსხვერპლია. კი, ცუდია, რომ ადამიანი ასრულებს ასეთ დავალებას, თუმცა მე მინახავს ოჯახები, რომელთაც შვილები დაუხოცეს, მაგრამ ვინაიდან დააშინეს და ოჯახის სხვა წევრების ხელყოფით დაემუქრნენ, მაინც ხმას ვერ იღებდნენ. იმდენად ძალადობრივი და უსამართლო იყო ის ხელისუფლება და იმდენად შიშის ქვეშ ჰყავდა მოსახლეობა, რომ მათი საქციელიც გასაგებია. სახელმწიფო სტრუქტურების ქვედა რგოლებში მომუშავე ადამიანები არ უნდა დაისაჯონ, თუ მათ უშუალოდ წამებასა და მკვლელობაში არ აქვთ მონაწილეობა მიღებული.

**— საერთაშორისო საზოგადოებაც ხელისუფლებას ე.წ. კოაბიტაციისკენ მოუწოდებს და შეშფოთებას გამოთქვამს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრების გამო. როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება?**

— რა კოაბიტაციაზეა საერთოდ საუბარი? როგორ უნდა მოიქცეს და, აბა, თავიანთ ქვეყანაში მოქცეულიყო ხელისუფლება ასე, თუ შეშფოთებას გამოთქვამდნენ. სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტები. სად იყვნენ მაშინ ეს უცხოელები, ჩვენ რომ გვკლავდნენ და ხალხს რომ ხოცავდნენ? ციხეში ხალხს რომ აწამებდნენ, ხმა ერთხელაც არ ამოუღიათ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებას 26 მაისის აქციის დარბევის გამო ისეთი რეაქცია, როგორიც თუნდაც 17 მაისის მოვლენების გამო?**

— მეც იმავე კითხვას ვსვამ. ან ის ქართველი არასამთავრობო ორგანიზაციები სად იყვნენ აქამდე, რომ არაფერი გაუპროტესტებიათ? სააკაშვილის ხელისუფლება უზარმაზარ თანხას უხდიდა ლობისტებს და ასეთი შედეგიც მივიღეთ. „დემოკრატიის შუქურად“ იყო წოდებული სააკაშვილი, ეს არის მიზეზი, რომ ასე უცებ და ხელაღებით ვერ ადანაშაულებენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ახლა ტონალობა მაინც შეიცვალა. საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლებიც სხვანაირად საუბრობენ. ისინი აცხადებენ, რომ მთავარია, გამოიძება, სასამართლო პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს და მიმდინარე პროცესებზეც მხოლოდ შემდეგ შეგვეძლება ვიმსჯელოთ. რაც უნდა ილაპარაკონ ლობისტებმა და „ნაციონალების“ მხარდამჭერებმა, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, წლების მანძილზე განხორციელებული ძალადობის გამო, ყოფილი ხელისუფლების მიმართ უკვე ქართველი ხალხია აგრესიულად განწყობილი.

**კოაბიტაცია შესაძლებელია, როცა ადამიანებს განსხვავებული აზრი აქვთ, თუმცა მაინც თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მაგრამ როგორ შეიძლება დამნაშავეებთან ნორმალური ურთიერთობა და თანამშრომლობა?!** ასე რომ, ეს თანამშრომლობა მე არ მესმის. 17 მაისს ხელისუფლება არ დაპირისპირებია საკუთარ ხალხს. ორი სხვადასხვა აზრზე მყოფი ჯგუფი შეხვდა ერთმანეთს, რომლებიც პირიქით — ხელისუფლებამ დაიცვა. პოლიციაც ვაჟკაცურად მოიქცა. პოლიციას ასე რომ ემუშავა წინა ხელისუფლების დროს, კარგი იქნებოდა.

რა თქმა უნდა, ძალადობის მომხრე არავინ არის, მაგრამ ორი ადამიანი როცა ემოციურად კამათობს, მათ შორის შეიძლება კამათი შეხლა-შემოხლაში გადაიზარდოს და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა დაპირისპირებული ჯგუფები გამოდიან ერთმანეთის პირისპირ. ჩვენ კი ხელისუფლება მოგვექცა სასტიკად და შემდეგ პრეზიდენტი გამოვიდა და ექსტრემისტები და სამშობლოს მოღალატეები გვეძახა. სააკაშვილმა რუსეთის აგენტები თავისკენ მოიკითხოს, იმდენი რაღაც ჩაუგდო რუსებს ხელში. ამიტომ არ მესმის, რატომ ვიყავით ექსტრემისტები, როცა მხოლოდ ჩვენი კონსტიტუციური უფლება გამოვიყენეთ და აქცია ჩავატარეთ.

ასევე საინტერესოა, სად იყვნენ სამთავრობო არხები? არც ერთმა არ გააშუქა 26 მაისის აქცია. პირიქით, ხელისუფლების მოქმედება გაამართლეს. მეტიც, სახელისუფლო არხებზე სინანულიც არ გამოუთქვამთ, რომ ასეთი სისასტიკე მოხდა. კი გააშუქეს მოვლენები შემდგომ „კავკასიამ“, „მაესტრომ“, ინტერნეტტელევიზიებმა და ნახა ხალხმა სიმართლე, რაც მოხდა, მაგრამ ყველაფერი მალე დაივიწყეს. დღეს კი, როცა 17 მაისიდან უკვე ორი კვირა გავიდა, მაინც აქტუალურია ეს საკითხი. მიმდინარეობს სჯა-ბაასი, კამათი, უპირისპირდებიან ეკლესიას.

**— 17 მაისის აქციის შემდეგ სასულიერო პირების დასჯის საკითხიც კი წამოიჭრა. შესაძლოა, ორ მათგანს პატიმრობაც მიუსაჯონ. რას ფიქრობთ რამდენად სამართლიანია მათი დასჯა?**

— მე თავად არ ვყოფილვარ აქციაზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, რომ არა სამღვდელოება, შესაძლოა, უარესი მომხდარიყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასულიერო პირებმა ჩაიდინეს ძალადობა, ეს ხულიგნობის იქით არ კვალიფიცირდება. ამიტომ, თუ ეს სასულიერო პირები დამნაშავეები არიან, დააჯარიმონ. ამ საკითხზე ამდენი ყვირილი არ არის მართებული. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არის გარკვეული არასამთავრობო ორგანზაციების მიერ შემოგდებული თემა და, ძირითადად, ჩვენი ტრადიციების წინააღმდეგაა მიმართული. ფაქტია, რომ მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. რა, ჰომოსექსუალები რომ იყვნენ, აქამდე საქართველოში არ იცოდნენ? მაგრამ მათ სახლში არავინ უვარდებოდა. ხალხის აღშფოთება გამოიწვია პროპაგანდამ და აქციის ჩატარების ადგილმა. აქციის გამართვა სურდათ რუსთაველზე, სადაც ეკლესია და სკოლაა...

**რადგან ეკლესიას დიდი რეიტინგი და ძალა აქვს, მიმდინარეობს ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. წინა ხელისუფლების დროიდან დაიწყეს „ნაციონალებმა“ ეს ბრძოლა, რათა ქართულ საზოგადოებაში ეკლესიისადმი ნდობა შეამცირონ.**

**— ახლახან ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ, თუ ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება, თქვენ მის წინააღმდეგ წახვალთ. ქალბატონო ნონა, რას ნიშნავდა თქვენი განცხადება, ანუ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ნონა გაფრინდაშვილმა „სახალხო კრებაც“ დატოვოს?**

— არა, ეს საკითხი არ უნდა დადგეს, მაგრამ ხომ იცით ზოგიერთი ჟურნალისტის ამბავი, საიდან აღარ მომიარეს. ჩვენ დავასახელეთ ნინო ბურჯანაძე, რადგან მიგვაჩნია, რომ გამოცდილებით, ინტელექტით, საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნის კუთხით მას აქვს დიდი გამოცდილება. ხოლო ვინაიდან ახალ რეალობაში პირველი პირი იქნება პრემიერი, პრეზიდენტს სხვა ფუნქციები ექნება და მას ძირითადად საერთაშორისო კუთხით მოუწევს ურთიერთობების დარეგულირება, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებაში ნინო ბურჯანაძის მოსვლა კარგი იქნებოდა.

**— მაგრამ მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა დაასახელა, ავტომატურად ხომ დაუპირისპირდა პრემიერს და მის კანდიდატს?**

— ჩვენი გაგებით, ეს არ არის დაპირისპირება. მართალია, ბატონმა ბიძინამ თავისი კოალიციის კანდიდატურა წარადგინა, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ჩვენი მოსაზრება გვაქვს. ჩვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისადმი იგივე რჩება, რაც იყო. სწორედ ბიძინა ივანიშვილს რომ არ დაპირისპირებოდა, ამის გამო ნინო ბურჯანაძემ გადადგა ნაბიჯი და არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. **საერთოდ რომ არაფერში მიიღოს მონაწილეობა, მაშინ ქუდი უნდა დაიხუროს და პოლიტიკიდან წავიდეს და უარი თქვას ყველაფერზე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიქით დაბალანსდება სიტუაცია. ნინო ბურჯანაძეს დიდი გამოცდილება აქვს და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის.** ამიტომ ვთქვი, მე თუ დავინახავ, რომ ნინო ბურჯანაძე ისეთ საწინააღმდეგო რაღაცებს აკეთებს, რაც ჩემი და ჩემი ქვეყნის ინტერესებში არ შედის, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ხმამაღლა ვიტყვიმეთქი.

**«თუ დავინახავ, რომ ნინო ბურჯანაძე ისეთ საწინააღმდეგო რაღაცებს აკეთებს, რაც ჩემი და ჩემი ქვეყნის ინტერესებში არ შედის, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ხმამაღლა ვიტყვი»**

**— რას ფიქრობთ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურაზე, რამდენად იქნება დამოუკიდებელი ფიგურა ამ ვითარებაში?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით ვერაფერს. მოდით, ამის შესახებ მე ნუ მკითხავთ, ყველა დასახელებულ კანდიდატს შორის ქალბატონი ნინო ყველაზე ღირსეულად მიმაჩნია. პატივს ვცემ მარგველაშვილს. ვიცნობ მას, მაგრამ მაქვს ჩემი აზრი.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„ყაჭეიშვილისა და ფაცაციას მიმართ საქმე აღძრულია 138-ე მუხლით. ესაა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება და ასევე წამების მუხლი. უშუალოდ ეს ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც შემსრულებლებს დავალებებს აძლევდნენ. თავის მხრივ, ამ ადამიანებს დავალებას აძლევდა ციხის უფროსი ალექსანდრე მუხაძე, რომელსაც ადამიანების წამებასა და გაუპატიურებას მეგის ქარდავა ავალებდა, ხოლო მეგის ქარდავა ბაჩო ახალაიას სურვილების უსიტყვო შემსრულებელი იყო.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოლკოვნიკ თეთრაძის საქმის უცნობი და შემზარავი დეტალები

**დღეს, როდესაც ბაჩო ახალაია საპატიმროშია და მისი სასამართლო პროცესები ასე უსაშველოდ გრძელდება, ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი: რა ხდება? ნუთუ ასე ძნელი იყო მისი ბრალეულობისა და ჩადენილი დანაშაულების დამტკიცება? პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმე ერთ-ერთი იმ გახმაურებულ საქმეთაგანია, რომლის დამალვაც „ნაციონალებმა“ ვერ შეძლეს და რომელიც ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თეთრაძის ადვოკატისგან მოსმენილ ამბავს შეიტყობს. რამდენიმე დღის წინ, თეთრაძის საქმეზე ერთ-ერთი მოწმე, ყოფილი სამხედრო პირი დავით ლონდარიძე დაიკითხა და ჩვენი ინტერესიც სწორედ აღნიშნულმა სასამართლო პროცესმა გამოიწვია. „საქართველო და მსოფლიო“ სერგო თეთრაძის ადვოკატს — მაგდა კოტრიკაძეს ესაუბრა.**


სერგო თეთრაძე





**— მაგდა, რა ახალი გარემოებები გამოიკვეთა თეთრაძის საქმესთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც ლონდარიძე ხელახლა დაიკითხა?**

— თეთრაძის საქმესთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარეობს პროცესი ციხის უფროსის მოადგილის — ვიქტორ ყაჭეიშვილისა და ციხის უსაფრთხოების უფროსის — ოლეგ ფაცაციას ბრალეულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება უშუალო შემსრულებლებს, გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით, მათ უკვე მისჯილი აქვთ. **ყაჭეიშვილისა და ფაცაციას მიმართ საქმე აღძრულია 138-ე მუხლით. ესაა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება და ასევე წამების მუხლი. უშუალოდ ეს ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც შემსრულებლებს დავალებებს აძლევდნენ. თავის მხრივ, ამ ადამიანებს დავალებას აძლევდა ციხის უფროსი ალექსანდრე მუხაძე, რომელსაც ადამიანების წამებასა და გაუპატიურებას მეგის ქარდავა ავალებდა, ხოლო მეგის ქარდავა ბაჩო ახალაიას სურვილების უსიტყვო შემსრულებელი იყო.** ასეთი სქემა მოქმედებდა. ამას ადასტურებს მოწმე ლონდარიძის ჩვენება, რომელიც ყვება ასეთ ამბავს:

ლონდარიძეს ქალაქ რუსთავში ჰქონია მიწის ნაკვეთი, რომელიც საპატრულო პოლიციას ესაზღვრებოდა. ერთ დღეს ტელეფონზე მასთან ვიღაცას დაურეკავს და უკითხავს, რომ სახელმწიფო მიწის ნაკვეთით დაინტერესდა და ხომ არ გაყიდდა, მაგრამ ლონდარიძეს უარი განუცხადებია. ზარი ისევ განმეორებულა, მაგრამ ოჯახმა ნაკვეთი არ გაყიდა. ბოლო საუბრის შემდეგ იგი სამხედრო პოლიციაში დაიბარეს **(ლონდარიძე სამხედრო პირი გახლავთ. — ე.ნ.),** სადაც მეგის ქარდავა დახვდა და ზუსტად იმ თემაზე გააგრძელა საუბარი, რითაც სატელეფონო საუბარისას დაინტერესდა. ლონდარიძემ მასაც უარი განუცხადა მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის მიყიდვაზე, რადგან ნაკვეთი დედამისს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: ლონდარიძეს სამხედრო სასწავლებელი რუსეთში ჰქონდა დამთავრებული. იგი სოციალურ ქსელებში დამეგობრებული იყო რომელიღაც სამხედროების ჯგუფთან, რაც მისი დაპატიმრების მიზეზი გახდა. ლონდარიძე დააკავეს და სამხედრო პოლიციაში მიიყვანეს, ჩამოართვეს ტელეფონი და სერგო თეთრაძისა და რამდენიმე ადამიანის ნომერი ამოიწერეს. **იმავე დღეს, გამთენიისას რამდენიმეკაციანი ჯგუფი თეთრაძის ბინაში შევარდა ისე, რომ არაფერი აუხსნიათ, თუ ვინ იყვნენ, ჩხრეკა ჩაატარეს და ოჯახის უფროსი დააპატიმრეს. ეს იყო 2011 წლის 17 სექტემბერს, იმ დღეს თეთრაძეს დაბადების დღე ჰქონდა.**

ლონდარიძის ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ მას, რასაც ეტყოდნენ ახალაია და ქარდავა, ის უნდა დაეწერა და ისე უნდა მოქცეულიყო, თუ უნდოდა, რომ ყველაფერი კარგად წასულიყო, ანუ გაეთავისუფლებინათ. ლონდარიძემ, როგორც თავად აცხადებს, წამებას ვერ გაუძლო. **მას სასტიკად უსწორდებოდა „ქილერა“ — გლდანის მე-8 საპყრობილის უფროსი ალექსანდრე მუხაძე, მაგრამ ამას კიდევ აიტანდა, რომ არა ის საშინელება, რომლითაც მას მეგის ქარდავა დაემუქრა – ახლა „მეტრაკეს“ დავუძახებ და ვნახოთ, რას იზამო და შარვლის ჩახდა უბრძანა. ამის შემდეგ ლონდარიძე ყველაფერზე დათანხმდა.** იმის გამო, რომ მას ცოტა გულზე მოშვებოდა და თავი მსუბუქად ეგრძნო, მუხაძემ ნარკოტიკი გაუკეთა. ცოტა ხანში კი რესტორან „ლორდში“ წაიყვანეს, სადაც მოხდა ვინმე ტიმოშუკისა და ლონდარიძის შეხვედრა და იმ „ფლეშკის“ გადაცემა, რომელზეც თითქოს თეთრაძისა და რამდენიმე ადამიანის ჯაშუშობის ფაქტები იყო აღწერილი. რესტორანი „ლორდი“ იყო ის ადგილი, სადაც ყველა ბინძური საქმე იგეგმებოდა, თუ ვინმეს გაფუჭება, ჩაწერა, შანტაჟი უნდოდათ.

ეს ლონდარიძის ჩვენებაა და ნათლად ჩანს, რომ **სერგო თეთრაძეს, გარდა იმისა, რომ ლონდარიძის ტელეფონში ნახეს მისი ნომერი, სხვა ბრალეულობა არ ჰქონდა და ამ დრომდე ბრალეულობა ჯერ არ დამტკიცებულა.** უდანაშაულო თეთრაძე დააპატიმრეს, ოჯახს მსგავს საქმეებში გამოცდილება არ ჰქონდა, ადვოკატად თამარ იასაშვილი დაიქირავეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აღმკვეთ ღონისძიებას დაეწრო. აღმკვეთი ღონისძიება მეორე დღესვე გაიმართა საქალაქო სასამართლოში, სადაც სერგო თეთრაძე უკვე სასტიკად ნაცემი იყო და სილურჯეები გრიმით ჰქონდა დაფარული. ეს ფაქტი რამდენიმე დღის წინ ლონდარიძემ სასამართლო პროცესზე დაადასტურა. სასამართლო პროცესის შემდეგ თეთრაძე გლდანის მე-8 საპყრობილეში გადაიყვანეს. პატიმრის ყოფილი ადვოკატი აცხადებს, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საპყრობილეში იყო, მას თეთრაძის ნახვის საშუალება არ მიეცა. **ორშაბათს მიყვანილი პატიმარი პარასკევს გარდაიცვალა. იმ ერთადერთი შემთხვევის დროს, როდესაც ადვოკატმა პატიმარი ნახა, თეთრაძემ სთხოვა, ჩემს ოჯახს გადაეცით, იქნებ ბაჩო ახალაიასთან მიმსვლელი ვინმე გამონახონ, რომ აღარ მაწამონო, მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახს არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც ახალაიასთან მივიდოდა.**

**— ვინ არიან უშუალო შემსრულებლები, რომლებიც უკვე გასამართლდნენ და რას ყვებიან ისინი?**

— ესენი არიან პატიმრები: ალექსანდრე ტერაშვილი და თამაზ სისაური, რომლებიც ყვებიან, რომ ისინი ისხდნენ „ქათმების“ კამერაში, „ქათმები“ დაყოფილნი იყვნენ აქტიურებად და პასიურებად, ზემოთ აღნიშნული პატიმრები აქტიურთა ჯგუფს განკუთვნებოდნენ, რომლებიც ეტაპობრივად ასრულებდნენ ციხის ხელმძღვანელების დავალებებს, ისინი ხან სისხლის გუბეებს რეცხავდნენ, ხან პატიმრებს აუპატიურებდნენ. ერთ დღეს ჭეიშვილმა, ფაცაციამ და მუხაძემ მათ უთხრეს, რომ შემოიყვანდნენ მამაკაცს, რომელიც უნდა ეცემათ და, რასაც ეტყოდნენ, ის უნდა გაეკეთებინათ. ჩვენებიდან ირკვევა, რომ **ძალიან უმოწყალოდ სცემეს, რასაც ციხის ერთ-ერთი თანამშრომელი ტელეფონით იღებდა. როგორც ჩვენებიდან ირკვევა, ეს არის ლადო ბედუკაძე, მას ჰქონდა დავალებული, რომ აღებეჭდა ფირზე ასეთი ფაქტები, რაც შემდგომში ციხის ხელმძღვანელებს შანტაჟისთვის სჭირდებოდათ. შემსრულებლები — ტერაშვილი და სისაური აცხადებენ, რომ მათ პოლკოვნიკი თეთრაძე არ გაუუპატიურებიათ და მხოლოდ აქტი დააფიქსირეს.** დაცვის მხარე იყენებს იმ ფაქტს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ თეთრაძის სხეულზე სპერმის კვალი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან შესაძლებელი იყო, რომ აქტი არ ყოფილიყო დასრულებული, თანაც ეს ადამიანები ხომ ხელკეტებითაც კარგად ახერხებდნენ ადამიანების გაუპატიურებას.

# «შემსრულებლები — ტერაშვილი და სისაური აცხადებენ, რომ მათ პოლკოვნიკი თეთრაძე არ გაუუპატიურებიათ და მხოლოდ აქტი დააფიქსირეს»

**— გისმენთ და ვერ მივხვდი, რაში მდგომარეობს თეთრაძის ან ლონდარიძის ბრალეულობა? ლონდარიძე, თავის მხრივ, თეთრაძის წინაშეა დამნაშავე, მაგრამ მისი დაკავებისა და წამების მოტივს ვერ მივხვდი. ნუთუ რუსთავში არგაყიდულ მიწის ნაკვეთს მოჰყვა ყველაფერი?**

— როგორ გითხრათ, **ლონდარიძის ტელეფონში რომ თეთრაძის ნომერი არ ენახათ, მისი არსებობა არავის ახსოვდა. ლონდარიძისადმი ინტერესი კი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც მისი მიწის ნაკვეთით დაინტერესდნენ.** დასკვნა თქვენ გამოიტანეთ.

არ შემიძლია თქვენთან საუბარი ისე დავასრულო, რომ არ ვთქვა ყველაზე მთავარი, თუ რა მდგომარეობაშია თეთრაძის ოჯახი. **სასამართლო პროცესზე, სადაც დაღუპულის ერთადერთი ვაჟი იჯდა, ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა თეთრაძის მეუღლეს მიმართა: თქვენ რა უფრო გაინტერესებთ — გაუპატიურების შემსრულებლები დაისაჯონ თუ დამკვეთებიო. იმ წუთას ყველას შეზარავდა თეთრაძის არასრულწლოვანი შვილის თვალების დანახვა. ძალიან ძნელია, შვილებს აუხსნა ის, რომ მამა ჯაშუში არ იყო და რომ ეს ადამიანები თავად იყვნენ საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მტრები.** მინდა ყველას, პირველ რიგში კი, ადვოკატებს, ვისაც არ უნდა იცავდნენ ისინი და რა თანხასაც არ უნდა იღებდნენ, ვუთხრა: შვილებთან ფრთხილად იყვნენ.

**— საუბარს ისე ვერ დავასრულებთ, რომ მერაბიშვილზე არ გკითხოთ. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დაკავებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. „ნაციონალების“ მხარდამჭერები ამბობენ, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ამბობს, რომ მერაბიშვილის დაპატიმრება სამართლიანობის აღდგენაა. როგორ ფიქრობთ, უნდა დაეპატიმრებინათ თუ არა მერაბიშვილი?**

— რა პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზეა საუბარი, ადამიანი, რომლის სახელსაც ეწერება ისეთი სასტიკი ქმედებები და დანაშაულები, როგორიც არის: 7 ნოემბერი, 6 მაისი, 26 მაისი, გირგვლიანის მკვლელობა, ვაზაგაშვილის დახვრეტა და ასე შემდეგ, რომელი ერთი ჩამოთვალო. წლების განმავლობაში ზემოჩამოთვლილი ადამიანები, მერაბიშვილიც მათთან ერთად, ადამიანებს ღირსებას ჰყრიდნენ, საქმეებზე, რომლებზეც ადვოკატები გამუდმებით ვსაუბრობდით და თავს საფრთხეში ვიგდებდით, რეაგირების მოხდენა პირდაპირ ვანო მერაბიშვილის პრეროგატივა იყო. **ჩვენზე, ვინც ხმის ამოღებას ვბედავდით, ზეწოლა ხორციელდებოდა, გვაშინებდნენ, გვემუქრებოდნენ, ადვოკატებს აპატიმრებდნენ. „ნაციონალებს“ ცხრაწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში 172 ადვოკატი ჰყავთ დაპატიმრებული, მაშინ, როდესაც კომუნისტებს 70 წლის განმავლობაში მხოლოდ 32 ადვოკატი ჰყავთ გასამართლებული.**

არამარტო მერაბიშვილი, ოქტომბრის შემდეგ ხალხი ძალიან ბევრი მაღალჩინოსნის დაპატიმრებას ელოდებოდა. ეს არ არის პოლიტიკური ანგარიშსწორება, ეს არის კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული ადამიანების დაპატიმრების მოთხოვნა. ყველა დიდ დანაშაულში ქვეყნის მაღალჩინოსნები ფიგურირებენ. **მაინტერესებს, რატომ არ დგება ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რატომ და რის ფასად იტანდა ეს ქალი იმას, რაც ციხეებში ხდებოდა. ციხეში პატიმრების გარდაცვალების არც ერთი ფაქტი არ არის გამოძიებული.** თუ ახალი ხელისუფლება ყველა ასეთ ფაქტს არ გამოიძიებს, არ ვიცი, რა განსხვავება იქნება ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის. კოაბიტაცია ხალხის მოთხოვნა არ არის.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**P.S. დავით ლონდარიძის ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ სამხედრო პირების ჯაშუშობის ამბავი, რომელსაც სერგო თეთრაძის სიცოცხლის ხელყოფა მოყვა, რუსთავში არგაყიდული მიწის ნაკვეთის გამო აგორდა, ნაკვეთის, რომელიც საპატრულო პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. თუ გამოძიება ლოგიკურად მოჰყვება საქმის ვითარებას, შესაძლებელია, რომ „სახელმწიფო, რომლის ინტერესშიც“ ლონდარიძის მიწის ნაკვეთი აღმოჩნდა, სინამდვილეში იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

ჩემიმბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპელი ხალხი ასევე პროტესტს აცხადებს სოდომური ცოდვის ლეგალიზებაზე და ამის გამო ერთ-ერთმა ფრანგმა მწერალმა — დომენიკ ვენერმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში თავიც კი მოიკლა. მსოფლიოში მოსახლეობის უმრავლესობას ისევე ძალმომრეობით თავს ახვევენ სოდომ-გომორის ცოდვას, როგორც საქართველოში. მადლობა ღმერთს, რომ ქართული სამღვდელოების დიდმა ნაწილმა, ქართულმა პოლიციამ გასაოცარი თავდაჭერა გამოავლინა და თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი, რომელიც, როგორც საუბრობენ, დაგეგმილი იყო...“**



### მამა დავითი (ისაკაძე):

# გარყვნილების ქადაგება კანონით უნდა აიკრძალოს

**ვინ და რატომ მოითხოვს სასულიერო პირების დასჯას, ვის ინტერესებში იყო 17 მაისს განვითარებული მოვლენები და როგორი უნდა იყოს მორწმუნე ქრისტიანის რეაქცია ამ ყველაფერზე, წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე) გვესაუბრება.**

**— მამაო დავით, თქვენს ერთ-ერთ ბოლო ქადაგებაში ბრძანეთ, რომ 17 მაისს განვითარებული მოვლენები პროვოცირებული იყო გარკვეული ძალების მიერ, ვის გულისხმობდით, ვის ინტერესებში იყო ის, რაც მოხდა?**

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები თქვენს მკითხველს. მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, რაც მოხდა 17 მაისს, ეკისრება ამ ე. წ. მსვლელობის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს, ლგბტ აქტივისტებს. ისინი ჩვენ ხშირად გვდებენ ბრალს, თითქოს ანტიამერიკული ან ანტიევროპული პოზიცია გვიჭირავს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ დღეებში მთელ მსოფლიოში ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა. საფრანგეთში 150 ათასამდე კაცი გამოვიდა ჰომოსექსუალთა ქორწინების წინააღმდეგ. **ევროპელი ხალხი ასევე პროტესტს აცხადებს სოდომური ცოდვის ლეგალიზებაზე და ამის გამო ერთ-ერთმა ფრანგმა მწერალმა — დომენიკ ვენერმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში თავიც კი მოიკლა. მსოფლიოში მოსახლეობის უმრავლესობას ისევე ძალმომრეობით თავს ახვევენ სოდომ-გომორის ცოდვას, როგორც საქართველოში. მადლობა ღმერთს, რომ ქართული სამღვდელოების დიდმა ნაწილმა, ქართულმა პოლიციამ გასაოცარი თავდაჭერა გამოავლინა და თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი, რომელიც, როგორც საუბრობენ, დაგეგმილი იყო...**

**— ვის მიერ იყო დაგეგმილი?**

— ჩვენს ქვეყანაში მსგავსი პროცესები ყოველთვის ასოცირებული იყო თავისუფლების ინსტიტუტთან — გიგა ბოკერიასთან, მკვლელთან, და მათთან დაახლოებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ახლახან აქტიურად გამოჩნდა, მაგალითად, „იდენტობაც“. ამას გარდა, როგორც ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, მათგან არცთუ შორს დგას ზოგიერთი უცხოელი დიპლომატი, რომლებიც პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ჩვენც მივიღებთ ლგბტ აქტივისტების მიერ დაგეგმილ მსვლელობაში მონაწილეობასო.

**ამ შემთხვევაში ჩვენ უმრავლესობა ვართ და არ გვსურს, ასეთი მსვლელობები საქართველოში ჩატარდეს. თუმცა ჩვენ არ ვიჭრებით მათ ცხოვრებაში, მამათმავლებს სახლებში არავინ ვუვარდებათ და არ ვაყენებთ შეურაცხყოფას. შეკრებილიყვნენ რაიმე დაწესებულებაში, რუსთაველზე რომ არ მოეწყოთ მსვლელობა, არ შეიძლებოდა? ეს ყველაფერი უკვე იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია.**

**— მკვლელი ბოკერია ახსენეთ, რას გულისხმობდით?**

— ამის შესახებ არაერთი პირი, მათ შორის ყოფილი მსჯავრდებულებიც, საუბრობს, რომ გიგა ბოკერია ციხის ბუნტის დროს დატრიალებულ მოვლენებში, ასევე ციხეში პატიმრების წამებაშიც მონაწილეობდა. ამას ადასტურებს ყოფილი პოლიტპატიმარი სულხან მოლაშვილიც.

**— თქვენც განაცხადეთ, რომ ევროპელი ხალხიც წინააღმდეგია ჰომოსექსუალიზმის, მაშინ რატომ დადგა საერთოდ საკითხი ასე, რომ ან ევროპა და ჰომოსექსუალიზმი, ან თვითიზოლაციის გზა და ყველაფერ ევროპულზე უარის თქმა?**

— ალბათ, ეს იმის მანიშნებელია, რომ ბოლო ჟამის აპოკალიფსური პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც არ უნდა განვითარდეს პროცესები, რასაც არ უნდა გვახვევდეს თავს სხვანაირად მოაზროვნე საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ჩვენ, ქართველებს, გვაქვს უდიდესი წარსული, კულტურა, ზნეობრივი ნორმები და ვალდებულნი ვართ, ეს ყველაფერი დავიცვათ და ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ. **არც ამერიკაში და არც ევროპაში არ არიან ერთსულოვანნი ამ საკითხში. ჩვენ ყველანარად უნდა ვეცადოთ, რომ უზნეობისა და გარყვნილების ქადაგებას ხელი არ შევუწყოთ. ევროპისა და ამერიკისგან ყველაფერი არ უნდა გადმოვიღოთ. გარყვნილებას უარი უნდა ვუთხრათ. აქ პასუხი ცალსახაა.**

**— თუმცა, მამაო, ხომ ყველა ადამიანს აქვს საკუთარი სიტყვისა და გამოხატვის უფლება, მათ შორის არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებსაც, ესეც ხომ ერთ-ერთი ევროპული ფასეულობაა?..**

— არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ თავისი უფლებები, არავინ ართმევთ. პროპაგანდას ნუ ეწევიან.

**— ძალადობაში ბრალი დასდეს სასულიერო პირებსაც. ორ მათგანს, მამა ანთიმოზსა და მამა იოთამს, ორ წლამდე პატიმრობა ემუქრება. როდესაც მღვდელი კანონს არღვევს, ვინ უნდა დასაჯოს — წმინდა სინოდმა თუ კანონმა?**

— ასეთ შემთხვევაში სასულიერო პირი, რა თქმა უნდა, ყოველთვის აგებდა პასუხს და დღესაც ასე იქნება. თუ მღვდელმსახურმა საეკლესიო კანონები დაარღვია, სინოდმა უნდა განიხილოს საკითხი და შემდეგ შესაბამისი ზომები მიიღოს. მაგრამ ჩვენ ვნახეთ გავრცელებული ვიდეოკადრები. **ერთ-ერთ ვიდეოკადრში, სადაც ვითომ მოძღვარი იგინება, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ხმა არის დამონტაჟებული. შს მინისტრს გადასცეს ეს ფირი და, ალბათ, შეისწავლიან. ასევე ვიხილეთ ფოტოები, სადაც სასულიერო პირს სკამი უჭირავს, ნუთუ ეს დანაშაულია? ზოგიერთს შეიძლება ფეხი სტკიოდა და ხელჯოხით იყო აქციაზე გამოსული, ამის გამო უნდა დავაპატიმროთ? ეს ხომ აბსურდია.**

**— რას იტყვით გავრცელებულ ვიდეოკადრებზე, სადაც სასულიერო პირი ავტობუსთან საკმაოდ აგრესიულად იქცევა?**

— მე ვნახე ეს კადრები, სასულიერო პირი მისულია ავტობუსთან და ფანჯარასთან მძღოლს ესაუბრება. ზურგშექცევით ჩანს და იქ დარტმას და აგრესიას მე ვერ ვხედავ.

რა ვიცი, **რესტორნებსა თუ პარლამენტში პარლამენტარები ერთმანეთს ურტყამენ, ჩანგლებით დარბიან და სისხლის მდინარე მოდის ხოლმე და, თუ ვინმეს საქციელია განსახილველი, ალბათ, უპირველესად, მათი უნდა განვიხილოთ და არა ბუნდოვანი კადრები. თუ რაკი სასულიერო პირია, იმიტომ უნდა ატყდეს ამხელა აჟიოტაჟი?!**

ძალადობა სწორედ ლგბტ საზოგადოების მხრიდან იყო, ვინც ასი ათასი შეკრებილი ქართველის წინააღმდეგ წამოვიდა ამ პროვოკაციაზე და ყურად არ იღეს ხალხისა და ეკლესიის შეგონება, არ გაემართათ მსვლელობა. **ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ განსაკუთრებით ცუდად აქტიურობდნენ ჟურნალისტები. ვხედავდი აქციაზე როგორ დამდევდა რამდენიმე პირი, რათა რაიმე ისეთი შემმლოდა, რასაც შემდეგ გადაიღებდნენ.** რატომ არ აჩვენეს ის ვიდეოკადრები, სადაც სასულიერო პირები ხალხს ვამშვიდებთ და არა ძალადობისკენ მოვუწოდებთ? არც ერთი არ გაუშვეს. საქმეც ესაა, რომ მათ ობიექტურობის ჩვენება კი არ აინტერესებთ, არამედ სამღვდელოების დისკრედიტაცია. ჩასაფრებულები იყვნენ, მღვდელს რაიმე შეცდომა დაეშვა.

## «პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე რესპუბლიკელები ეკლესიის წინააღმდეგნი იყვნენ»

**ასევე ძალიან ტენდენციურობითა და ანტიეკლესიური გამოსვლებით გამოირჩევიან ვითომ მწერლები. მათ შორის, ზოგიერთი ისეთი მჯღაბნელი, როგორიც ლაშა ბუღაძეა, რომელმაც თავის დროზე თამარ მეფეს მიაყენა შეურაცხყოფა თავის ნაჩხაპნ ნაწარმოებში. არ შეიძლება ადამიანს ვინმეს მიმართ ასეთი აგრესია ჰქონდეს და მითუმეტეს ეკლესიის მიმართ, მაგრამ რაკი ეკლესიას, ყველა გამოკითხვით, ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, ცდილობენ ეკლესიის ავტორიტეტის დამცრობას და დაცემას, მაგრამ არაფერი გამოსდით.**

რადგან აქციაზე ჩვენ — სასულიერო პირები, მორწმუნე ადამიანები გამოვჩნდით, დაგვაბრალეს თითქოს თეოკრატია გვინდა, რაც სიცრუეა, ვინაიდან თვითონ ეკლესია თავისი არსით პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩარევას. სჯულის კანონით ისჯება სასულიერო პირი, რომელიც საერო თანამდებობაზე დაიწყებს მუშაობას და ქვეყნის მართვა-გამგეობაში ჩაერევა. ეს ძალიან მკაცრადაა კონკორდატში გაწერილი. ეს ყველაფერი, უბრალოდ, სჭირდებათ იმისთვის, რომ ხალხს მოაჩვენონ, თითქოს საქართველოში თალიბანიზაცია მიმდინარეობს. გვაბრალებენ, თითქოს სასულიერო პირები მართავენ ქვეყანას. არა — გარყვნილებას, რომ ვქადაგებთ, ეს თეოკრატიაა?!

**— რამდენიმე სასულიერო პირმაც ხომ დაგმო მღვდლების ქმედება?**

— 12 მოციქულში მაცხოვარს ერთ-ერთი იუდა ჰყავდა. ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი.

**— მამაო, თქვენც იმყოფებოდით აქციაზე. რა საფრთხე დაინახა ეკლესიამ? ბევრი ამტკიცებს, რომ ვერანაირი პროპაგანდა ადამიანს ორიენტაციას ვერ შეუცვლის.**

— ვერ დაგეთანხმებით. თუ ადამიანი ვერ ან არ ბედავს ასეთი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პროპაგანდის შედეგად მას გზა გაეხსნება და ასეთი ადამიანები გამრავლდებიან, რაც ერისთვის, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი თვალსაზრისითაც, ტრაგედია იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ერის გენოციდია. თუ ლესბოსელები და მამათმავლები ოჯახებს შექმნიან, ერი ხომ ვეღარ გამრავლდება?!

შარშანდელი კადრები გავრცელდა, როგორ კოცნიდა 51-ე სკოლის წინ ორი უცხოელი მამაკაცი ერთმანეთს, თან ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები, რომელზეც ეწერა „შენც გაფერადდი!“ — ეს ხომ პირდაპირი მოწოდებაა.

**— როგორ შეაფასებთ განათლების მინისტრის მოადგილის, დავით ზურაბიშვილის, აზრს, რომელიც ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა, რომ ქართული ეკლესია და ეროვნული მოძრაობა სახადია, რომელიც უნდა მოვიხადოთ?**

— ალბათ, ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მისნაირი პიროვნებები იყვნენ და დღესაც არიან ხელისუფლებაში. ქართულმა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ასეთი ადამიანების მოსვლა თანამდებობაზე, რადგან ეს ქვეყანას ტრაგედიამდე მიიყვანს.

**— თუმცა, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკური პარტია დღეს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს. საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკელების 35 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა: „თქვენზე გაიზარდნენ თაობები და ისწავლეს პოლიტიკა. ისწავლეს ცნება სახელმწიფოსი, თუ გნებავთ. გასაგებია, ყველაფერი ძველდება და პოპულარობას კარგავს, თუმცა თქვენ არასდროს არ დაგიკარგავთ პოპულარობა ისეთ დონეზე, რომ ყურადღება მისაქცევი იყოს იმ პოლიტიკურ სეგმენტში რომელიც საქართველოში არსებობდა“...**

— მათი საქმიანობის პოლიტიკური შეფასებისგან მე თავს შევიკავებ, პოლიტიკაში არ ჩავერევი, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის, თუმცა მე მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიური თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა ამ პარტიის შესახებ, რომ თავიდანვე, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენითანავე რესპუბლიკელები ეკლესიის წინააღმდეგნი იყვნენ.

**— გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ, შესაძლოა, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ინცესტიც დააკანონონ. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?**

— ეს ყველაფერი ულმერთო ადამიანებისგან მომდინარეობს, რათა თავიანთი ცოდვები გაამართლონ. რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია, თუ ამ ტემპით განვითარდა მოვლენები. ერთსქესიან ადამიანთა ქორწინება რამდენიმე ქვეყანაში უკვე დაკანონდა. საქართველოშიც ანალოგიური პროცესები წარიმართება, თუ გასაქანი მიეცა სოდომ-გომორული ცოდვის ქადაგებას. პედოფილიის გამართლებაც დაიწყება. სხვათა შორის, მსოფლიოში უკვე ამაზეც მიმდინარეობს საუბარი, რომ პედოფილია აღარ განიხილონ, როგორც ცოდვა. მალე პროცესები საქართველოშიც გადმოინაცვლებს და ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დაღუპვისკენ სვლა.

ვფიქრობ, გარყვნილების ქადაგება კანონით უნდა აიკრძალოს და კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი. თუ ადამიანს აქვს რაიმე პრობლემა, ეს მისი პირადულია, არ შეიძლება ეს საჯაროდ იქადაგოს. მკვლელებმა და ნარკომანებმა რომ მოაწყონ საჯარო მსვლელობა, ეს ხომ მიუღებელი იქნება? თუ მათ სჯის კანონი, მამათმავლებს რატომ არ სჯის?

**— თუმცა საზოგადოება ჰომოსექსუალიზმს დანაშაულად არ განიხილავს. მკვლელობა, ქურდობა სხვა ადამიანის უფლებების ხელყოფას უკავშირდება, ჰომოსექსუალიზმი კი თავად ადამიანის პრობლემაა, როგორც თქვენ აღნიშნეთ.**

— ბიბლიაში წერია, რომ ჰომოსექსუალიზმზე მძიმე ცოდვა არ არსებობს. ეს არის სოდომ-გომორული ცოდვა, რის გამოც ქალაქები და ქვეყნები დასაჯა ღმერთმა.

მაგალითად, ნორვეგიაში უკვე პატარა ბავშვებს ჩაატარებინეს ჰომოსექსუალების ალლუმი. ეს ქვეყნებს გადაშენებისა და გადაგვარებისკენ წაიყვანს. განსაკუთრებით გაქრობა ემუქრება ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

„ნებისმიერი ცოდვა კლავს ადამიანის სულს და ანგრევს მის ცხოვრებას. ეს ცოდვა (მამათმავლობა) კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა, რადგან ადამიანის ფსიქიკას ცვლის, შეუძლებელს ხდის ნორმალური ოჯახის შექმნას, რყვნის ახალგაზრდა თაობას. სხვათა შორის, შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ უშუალოდ ყმაწვილებზე, ზოგჯერ კი ბავშვებზეც, არის მიამრთული ამ ცოდვის პროპაგანდა. ეს ცოდვა ადამიანს საუკუნო ნეტარებას ართმევს...“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა ვსევოლოდი (ჩაპლინი):

# ცოდვას ცოდვა უნდა ვუწოდოთ და შევეწინააღმდეგოთ ამ ცოდვის გავრცელებას

**თითქმის XX საუკუნემდე, ქრისტიანული სახელმწიფოების კანონმდებლობით, ჰომოსექსუალიზმისთვის დასჯის მკაცრი ზომები იყო გათვალისწინებული. ინგლისში მეფე ედუარდ I-მა სოდომიტების კოცონზე დაწვა ბრძანა, XV-XVI საუკუნეების გერმანიაში მამათმავლებს ასევე კოცონზე წვავდნენ ან მხეცებს უგდებდნენ საჯიჯგნად. „იციან ღვთის სამართალი, რომ ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან, მაგრამ არამცთუ თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ“ *(რომ. 1:32)*.**
**რაოდენ აქტუალურია დღეს 2000 წლის წინ თქმული ეს სიტყვები!!! რამდენია ახლა ასეთი, რომლებიც არა მხოლოდ თანაუგრძობენ, არამედ გააფთრებით იცავენ მამათმავლებს. ჭეშმარიტი და ცრუ სულიერი ფასეულობების შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ მოსკოვის საპატრიარქოს საზოგადოებისა და ეკლესიის ურთიერთობების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარეს, დეკანოზ ვსევოლოდ ჩაპლინს ესაუბრება.**

**— 17 მაისის მოვლენებმა ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი „ლაკმუსის ქაღალდის“ როლი შეასრულეს. საქართველომ „ცისფერ რევოლუციას“ მტკიცე უარი განუცხადა. და ახლა მართლმადიდებლებს, რომლებიც საქართველოში უმრავლესობას წარმოადგენენ, ადანაშაულებენ, რომ ამ საქციელით მათ სექსუალური უმცირესობების უფლებები დაარღვიეს. ხოლო იმის შესახებ, რომ ამავე დროს მართლმადიდებლების უფლებები ილახება, ხმასაც არ იღებენ. რა მოვუხერხოთ სექსუმცირესობების დამპყრობლურ პოლიტიკას?**

— ამ სიტუაციას გააჩნია როგორც იურიდიული ასპექტები, ასევე ზნეობრივი. ერთის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია, ისეთი არაფერი გაკეთდეს, რაც კანონის ზღვარს გადასცდება. მეორე მხრივ კი, ხალხს საკუთარ ზნეობრივ პოზიციაზე გააჩნია უფლება. მათ სრული უფლება აქვთ, ჰომოსექსუალიზმს ცოდვა უწოდონ, თქვან მისი პროპაგანდის უზნეობის შესახებ, განსაკუთრებით არასრულწლოვანებს შორის. თუ კანონებისა და ეთიკური ნორმების ფარგლებში იმოქმედებენ, მაშინ საკუთარი აზრის, საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა ადამიანებს შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, ასე მოიქცნენ. **ჩვენ უნდა დავიცვათ საკუთარი თავისუფლება, ვთქვათ ის, რაც საჭიროდ მიგვაჩნია: ცოდვას ცოდვა ვუწოდოთ, შევეწინააღმდეგოთ ამ ცოდვის გავრცელებას, ვილაპარაკოთ ასეთი პროპაგანდის მანკიერებაზე.** მიჭირს, დაწვრილებით ვისაუბრო ამ სიტუაციის შესახებ, რადგან ჩემთვის უცნობია მომხდარი ფაქტის დეტალები. არ ვიცი, დაარღვიეს თუ არა მღვდელმსახურებმა და საერო პირებმა კანონები, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველთვის კანონის ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ და ამასთანავე უნდა მოვნახოთ მშვიდობიანი და კანონიერი მეთოდები, ვთქვათ ის, რაც სწორად მიგვაჩნია. და თუ ჩვენ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ, თუ ჩვენ ვიყენებთ მის ფარგლებში მოქცეულ შესაძლებლობებს, უნდა გავიმეოროთ ის, რასაც ქრისტე გვასწავლიდა სახარებაში.

**— სახარებას თუ დავეყრდნობით, ქრისტემ ხომ გამოყარა ვაჭრები ტაძრიდან იმის გამო, რომ სიწმინდე იბილწებოდა. დღეს კი, 20 საუკუნის შემდეგ, სიწმინდე სხვაგვარად იბილწება...**

— დიახ, ქრისტე გაბედულად ამხელდა ცოდვას, ეწინააღმდეგებოდა მას, თქვენ ამის ნათელი მაგალითი გაიხსენეთ. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ყოველთვის კანონის ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ.

**— მაგრამ ჩვენს დარწმუნებას ცდილობენ იმაში, რომ შავი თეთრია და პირიქით. ეს ეხება როგორც ჰომოსექსუალიზმს, ასევე ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციას და ბევრ სხვა რამეს, ანუ ცდილობენ, სამყარო თავდაყირა დააყენონ. რატომ ხდება ასე – მამათმავლად ყოფნა სასირცხვილო არაა, მხილება კი სირცხვილია? როგორ ვებრძოლოთ ფასეულობების გაყალბებას?**

— ისტორიაში ასე მრავალჯერ მომხდარა. პრინციპში, ქრისტიანობამ ამ რთულ დისკუსიაში დაამარცხა წარმართული სამყარო, რომელსაც ჩვევად ჰქონდა ცოდვის ნორმად გამოცხადება და ყოველთვის მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტება ბევრია ამ ქვეყანაზე. **დღეს ეს წარმართობა, მიუხედავად იმისა, რომ ასე პირდაპირ არავინ უწოდებს მას, ისტორიული რევანშის აღებას ცდილობს; ცდილობს, უთხრას კაცობრიობას, მათ შორის პოლიტიკისა და სამართლის დონეზე, რომ ცოდვასა და სათნოებას შორის, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, კარგსა და ცუდს შორის „განსხვავება არ არსებობს“.** ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, არ დავეთანხმოთ ამას, მუდამ განვაცხადოთ ყველა დონეზე, თუ რა მიგვაჩნია თეთრად და რა — შავად, რა — ჭეშმარიტებად და რა — სიცრუედ.

**— შევეხები მართლმადიდებლობის კიდევ ერთ „თავის ტკივილს“ — სექტებს. მტერი უფრო და უფრო მოხერხებულად მოქმედებს — სექტანტური მიმდინარეობები (ძველიც და ახლებიც) სხვადასხვაგვარად ინიღბებიან. ასე რომ, უცებ ვერც გაერკვევი, თუ ვისთან გაქვს საქმე. როგორ ავარიდოთ თავი „ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს“?**

— არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ რაღაც პარაეკლესიური დაჯგუფებების შექმნა, ზოგჯერ კი საერთოდ განხეთქილებისა და სექტების წარმოქმნა ან, უბრალოდ, სექტაში გადასვლა. ასეთი სიტუაციიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია – ეკლესიური სწავლების ფარგლებში უნდა ვამხილოთ ცრუეკლესიური მიმდინარეობები. ეკლესიის ისტორიაში ასე ყოველთვის ხდებოდა, ამიტომ, პრინციპში, აქ ახალი არაფერია. ჩვენ უნდა გავიხსენოთ, როგორ მოქმედებდნენ ასეთ შემთხვევებში წმიდა მამები, რა გადაწყვეტილებებს იღებდნენ ძველი საეკლესიო კრებები და ვეცადოთ, ასევე მოვიქცეთ.

**— ულმერთობის მრავალი წლის შემდეგ ეკლესიამ ჩვეული თავისუფლება დაიბრუნა, აღადგინა შელახული ავტორიტეტი, ხალხიც უბრუნდება ნელ-ნელა რწმენას. მაგრამ... წარმოიქმნა თავისებური მოდა რელიგიურობაზე, მოდა წმიდა ადგილების მონახულებაზე, ასე ვთქვათ, გარკვეული გარეგნული მოჩვენებითობა. როგორ მოვიშოროთ ეს ჭირი?**

— ამ მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია — განათლება. ეს განათლება უნდა ხორციელდებოდეს საეკლესიო ქადაგების, სამოძღვრო ღვაწლის, წიგნებისა და მასმედიის საშუალებით. სინამდვილეში, ასეთი შრომის ნაყოფი სახეზეა — **„ნახევრადმორწმუნე“ ადამიანების რიცხვი, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, რეალურად მცირდება არა მხოლოდ რუსეთში, არამედ, ვფიქრობ, საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც.**

**— სასკოლო რელიგიურ განათლებაზე უნდა მეკითხა. თავის დროზე საქართველოში შეეცადნენ, საერთოდ გაეუქმებინათ რელიგიის გაკვეთილები, შემდეგ კი ძალიან შეკვეცეს პროგრამა. რამდენად საჭიროა სასულიერო განათლება სკოლაში და ვინ უნდა ასწავლიდეს ამ საგანს ბავშვებს?**

— რა თქმა უნდა, საჭიროა! **ნებისმიერი არაეკლესიური ადამიანიც კი იტყვის, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა. რაც ნიშნავს იმას, რომ მის ერს სრული უფლება გააჩნია იმაზე, რომ მისი სულიერი ტრადიცია საგანმანათლებლო სისტემაში იყოს წარმოდგენილი.** პედაგოგების შერჩევა ყველგან თავისებურად წყდება — სადღაც სასულიერო პირები ასწავლიან რელიგიას, სადღაც — საერო მასწავლებლები. ნებისმიერ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ მათ გარკვეული პედაგოგიური კვალიფიკაცია უნდა გააჩნდეთ, და, რა თქმა უნდა, იცოდნენ ის საგანი, რომელსაც ბავშვებს ასწავლიან. უცნაური იქნებოდა, ალბათ, რომ ამ სფეროში გაუნათლებელ ადამიანს მოეკიდა ხელი მასწავლებლობისთვის.

**— მსოფლიო პატრიარქი მერვე მსოფლიო კრების ჩატარების ინიციატივით გამოდის, რომლის საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ წმ. მამები გვაუწყებდნენ მართლმადიდებლებს. მომავალი კრების ზოგიერთი დებულება მართლაც რომ აბრკოლებს მორწმუნეებს (კალენდრის რეფორმა და ა. შ.). როგორია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია ამ საკითხში?**

— ყოვლადმართლმადიდებლური კრებისადმი მომზადება უკვე რამდენიმე ათწლეული მიმდინარეობს. სხვათა შორის, მას ტრადიციულად მსოფლიოს უკვე აღარც უწოდებენ და ვფიქრობ, საამისოდ ყოვლადმართლმადიდებლური კონსესუსიც არსებობს. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სულიწმიდა, რომელიც მართავს ჩვენს ეკლესიას, ამ კრებაზეც დაივანებს, და რომ სულიწმიდის მორჩილი იერარქია თუ მიიღებს მასში მონაწილეობას, ასევე ეკლესიის მსახურნი და მრევლიც წმიდა მართლმადიდებლობის ერთგულების საქმეს არ გადაუხვევენ. **ძალიან ბევრი საკითხი არის, რომლებიც ყოვლადმართლმადიდებლურ დონეზე არ არის გადაწყვეტილი. მათი გადაუწყვეტლობა კი უფრო და უფრო მეტ სირთულეს წარმოქმნის როგორც ეკლესიათაშორის ურთიერთობებში, ასევე მრავალი ადგილობრივი ეკლესიის ცხოვრებაში.**

**— და მაინც, ისევ ჰომოსექსუალიზმის ცოდვაზე ჩაგეკითხებით...**

— ნებისმიერი ცოდვა კლავს ადამიანის სულს და ანგრევს მის ცხოვრებას. ეს ცოდვა კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა, რადგან ადამიანის ფსიქიკას ცვლის, შეუძლებელს ხდის ნორმალური ოჯახის შექმნას, რყვნის ახალგაზრდა თაობას. სხვათა შორის, შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ უშუალოდ ყმაწვილებზე, ზოგჯერ კი ბავშვებზეც, არის მიამრთული ამ ცოდვის პროპაგანდა. ეს ცოდვა ადამიანს საუკუნო ნეტარებას ართმევს — ამის შესახებ საკმაოდ მკაფიოდ არის ნათქვამი სამოციქულო ეპისტოლეში.

ესაუბრა
**ასმათ ჯაღმაიძე**

«ჩვენ უნდა დავიცვათ საკუთარი თავისუფლება, ვთქვათ ის, რაც საჭიროდ მიგვაჩნია: ცოდვას ცოდვა ვუწოდოთ, შევეწინააღმდეგოთ ამ ცოდვის გავრცელებას, ვილაპარაკოთ ასეთი პროპაგანდის მანკიერებაზე»

მოკლედ

## პრეზიდენტი გამოდის ინიციატივით — ეროვნული გმირისა და მინისტრების ხელფასი გათანაბრდეს



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ ეროვნული გმირის წოდების მქონე პირის ხელფასი მინისტრების ხელფასს გაუთანაბრდეს.** როგორც პრეზიდენტმა 27 მაისს, სამხედრო პირების დაჯილდოებისას განაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით მისი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უახლოეს დღეებში შევა.

**„ჩვენ გვაქვს ეროვნული გმირის წოდება. მინდა შემოვიტანო საკანონმდებლო ინიციატივა, რომ ეროვნული გმირის წოდების მქონე ადამიანს, სიცოცხლესა თუ სიცოცხლის შემდეგ, ჰქონდეს მინისტრის დონის ხელფასი. ამაზე მეტი ვის უნდა მივცეთ ხელფასი?! საქართველოში ყველაზე მეტი ხელფასი ეროვნულ გმირებს უნდა ჰქონდეთ“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, სჯობდა, ივანიშვილს თვითონ დაეყენებინა საკუთარი თავი კანდიდატად ან ვინმე ისეთი მოეყვანა, ვისაც განდგომილი რეგიონები უფრო თავისუფლად დაუჯდებოდა მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ვთქვათ, იგივე ალექსანდრე ჭაჭია, რომელზეც დასაწყისში ვსაუბრობდი, ძალიან კარგი კანდიდატი იქნებოდა. მას დიდ პატივს სცემენ აფხაზებიც და რუსეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეებიც."**

# ვასილ ჭიჭინაძე: ივანიშვილი ვაშინგტონის დაკრულზე ცეკვას თავს თუ არ დაანებებს, არჩევნებს მოიგებენ კი არა, ბარიერს ვერ გადალახავენ

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, უკვე შვიდ თვეზე მეტი გავიდა ხელისუფლების შეცვლიდან და ივანიშვილის ოპონენტები ისევ შეუსრულებელ დაპირებებზე, გაყინულ ეკონომიკაზე, შემცირებულ ინვესტიციებსა და უმუშევართა რიცხვის კატასტროფულ ზრდაზე საუბრობენ. გასაგებია, რომ ასეთ მცირე დროში რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ პერსპექტივას მაინც თუ ხედავთ მომავლისთვის? რა მდგომარეობა გვაქვს და რას უნდა ველოდოთ?**

— წინასაარჩევნო პერიოდში ივანიშვილს არაერთი ამბიციური დაპირება ჰქონდა. მათ შორის გავიხსენებ ერთს: ისეთ დემოკრატიას ავაშენებთ, რომ დასავლეთში შეშურდებათო. მესმის, რომ, ერთის მხრივ, ამის შესრულება ასეთ მცირე დროში ძალიან ძნელია, მაგრამ პერსპექტივა ახსენეთ და რაღაც საწყისი წინაპირობა უნდა აქედანვე ჩანდეს, რომ შემდგომ ამ ყველაფერს განვითარება მიეცეს. ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანს და ხელშესახებს ვერ ვხედავ, ამიტომ სერიოზულ წარმატებებზე გამიჭირდება საუბარი, თუმცა მთავარი პრობლემა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს არსებობდა, მოგვარდა — მოსახლეობაში შიშის განცდა და წნეხი აღარ არის.

რაც შეეხება მეორე მთავარ დაპირებას, ეს იყო სოფლის მეურნეობის დახმარება და განვითარება. რასაც დღესდღეობით ვხედავ, რაღაც-რაღაცები ნამდვილად კეთდება; მისასალმებელია, რომ გლეხებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევენ, მაგრამ აქ მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია: გასაღების ბაზარი. უიმისოდ რაც არ უნდა სუბსიდიები გამოიყოს ამ მიმართულებისთვის და რაც უნდა პრიორიტეტად გამოაცხადო სოფლის მეურნეობა, წინ ვერ წახვალ, აქედან გამომდინარე, **ახლა ჩემთვის მთავარია, სად მოახდენს ხელისუფლება პროდუქციის რეალიზებას. მე ვთვლი, რომ ჩვენთვის უალტერნატივოა რუსეთის ბაზარი, ამიტომ ეს ორი საკითხი ერთ ჭრილში უნდა განიხილებოდეს; ანუ რას ვგულისხმობ: პრიორიტეტია სოფლის მეურნეობა? — პრიორიტეტი უნდა იყოს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაც და ამისთვის კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.**

**— ამ საკითხს აუცილებლად შევეხებით, მაგრამ მანამდე 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ: როგორ ფიქრობთ, რა მოხდა რეალურად? უამრავი შეფასება კეთდება.**

— ეს შეფასებები როგორია, იცით? მექოთნე რომ ქოთანს ყურს ხან აქეთ გამოაბამს, ხან იქით. მთავარი კი სულ სხვა რამაა, მთავარია, რა მიიღო საზოგადოებამ და ქვეყანამ. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ პირველი სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ამ ე. წ. ლგბტ საზოგადოების მხარდამჭერებს აქციის ჩატარების ნება დართო. არადა, მას ჰქონდა სრული საფუძველი იმისთვის, რომ საპირისპირო გადაწყვეტილება მიეღო. საფუძველში რას ვგულისხმობ: შენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, საუბარია სულ ცოტა 90-95%-ზე, მიიჩნევს, რომ ეს არის პროპაგანდა და არ უნდა ჩატარდეს. ასე ფიქრობს სამღვდელოებაც. გარდა ამისა, არანაირი აუცილებლობა მსგავსი ღონისძიების ჩატარებისა, არ არსებობს, არავინ აქ არავის ჩაგრავს და ქუჩაში არ დასდევს. კი, ბატონო, ვიღაც იტყვის, რომ იქ ევროკავშირს უნდა გავუწიოთ ანგარიში, იქ ნატოა და დემოკრატიული ფასეულობების საკითხი დგას, მაგრამ ერთი რამ გამაგებინეთ:

**ნატო და ევროკავშირი უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის თუ საზოგადოების აზრი? არჩევნების დროს სულ სხვა ხმაზე ჭიკჭიკებენ ხოლმე, ანდა არ შეიძლებოდა, ის აქცია სადმე სხვაგან ჩაეტარებინათ, ვთქვათ, გარეუბანში? არა, ჯიუტად გამოვიდნენ რუსთაველზე, ჰოდა, გაივლო წითელი ხაზი — აქეთ იდგა 90 პროცენტი საზოგადოების, იქით — 10%, აი, იმ 10%-ში იყო ეს შენი დღევანდელი ხელისუფლება.**

**— თქვენი აზრით, 17 მაისს განვითარებულმა მოვლენებმა ხალხი ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განაწყო?**

— მეტსაც გეტყვით, კიდევ ერთი-ორი მსგავსი მოქმედება ხელისუფლების მხრიდან, რაც 17 მაისს ვნახეთ და „ქართულ ოცნებას" იმის ნახევარი ნდობა აღარ ექნება საზოგადოებაში, რაც დღეს აქვს. მე არ ვიცი, ისინი ხვდებიან ამას თუ არა, მაგრამ, თუ ოდნავ მაინც აინტერესებს ხალხის აზრი და სწავლობენ, რას ფიქრობს მოსახლეობა, მაშინ ამის დანახვა ძალიან ადვილია.



**— თქვენ ევროკავშირი და ნატო ახსენეთ, არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილის და მთლიანად მმართველი გუნდის პოზიცია ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების მესვეურთა მხრიდან წამოსული წნეხით იყოს განპირობებული?**

— ამასთან დაკავშირებით ჩემი მკაფიო პოზიცია გამაჩნია და ნამდვილად არ მერიდება ამაზე ხმამაღლა საუბარი; **ცხადია, ჩვენ ყველა წინააღმდეგი ვართ ძალადობის, მაგრამ, თუ ევროკავშირში შესვლის აუცილებელი პირობა ის არის, რომ ქართველმა კაცებმა ტანგა ტრუსიკებით იარონ, კაცი კაცთან დაწვეს და ქალი — ქალთან, მაშინ ეგეთი ევროკავშირი მე არ მინდა.**

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ 17 მაისს განვითარებული მოვლენები იყო „ნაციონალური მოძრაობის" მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რომ ამით ხელისუფლების დისკრედიტება მოეხდინა. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?**

— რად უნდა ამას ბევრი ფიქრი, ცხადია, პროვოკაცია იყო. სხვა რა გზა დარჩა დღეს „ნაციონალურ მოძრაობას"?! მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ხელისუფლების უფრო გამკვირვებია, რომ იძახიან, 2008-ში სააკაშვილი პროვოკაციას წამოეგოო, შენ რატომ წამოეგე ამ პროვოკაციას?! ბოკერია და ჩერგოლეიშვილი რომ გაჯობებს ჭკუით, რა უნდა ილაპარაკო საერთოდ.

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, რაზეც დასაწყისში საუბრობდით, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში გამოაცხადა ეს ერთ-ერთ პრიორიტეტად, მაგრამ მთავრობის შეცვლიდან შვიდი თვის თავზე არა თუ შედეგი, პერსპექტივაც არ ჩანს იმისა, რომ ახლო მომავალში ორი ქვეყნის ურთიერთობა უკეთესობისკენ შეიცვალოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურად მოქმედებს დღეს მმართველი გუნდი ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

— ჩემი აზრით, ამ მთავრობის ყველაზე დიდი ნაკლი არის არაკოორდინირებული მუშაობა იმ ოპოზიციასთან, რომელიც დღეს არაა პარლამენტში, მაგრამ რუსეთთან აქვს კარგი ურთიერთობები. თუ გახსოვთ, ღვინის ექსპორტზე კუკავამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი. მერე ეს კუკავა ჩამოაშორეს ამ პროცესს და თვითონ დაიწყეს მოლაპარაკება. რა გაკეთდა? ვერაფერს მიაღწიეს. ასეთი მიდგომაა ზუსტად დამღუპველი და ხელისშემშლელი, მაგრამ, რასაც ვაკვირდები, ახალი ხელისუფლებაც იმავეს აკეთებს, რასაც წინამორბედი შვებოდა...

**— გასაგებია, მაგრამ რუსულ გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან ჩვენს ოპოზიციურ სპექტრში თითქმის არავის აქვს კავშირები.**

— **არიან ქართველები, რომლებსაც ძალიან დიდი საქმეების კეთება შეუძლიათ. იმავე ალექსანდრე ჭაჭიაზე რომ ვილაპარაკოთ, რატომ არ იყენებენ ამ კაცს, ვერ გამიგია. რა უბედურებაა ეს, რა დაპირისპირებაა?!** რატომ არ შეიძლება ამ ხალხის გამოყენება? რა გვჭირს ამ ქართველებს, ვერ გამიგია!

**— თქვენი აზრით, თვითონ ხელისუფლებას არ აქვს რუსეთთან დიალოგისთვის საკმარისი რესურსი?**

— ხელისუფლებას არა თუ რესურსი არ ჰყოფნის, კოალიციაში ერთი-ორი ისეთი სუბიექტია, რომლის გახსენებაზეც კრემლში შეიძლება გამოაყაროთ. ამიტომ სჭირდებათ მათ სხვა ძალების ჩართვა. ამასთან, **უნდა დამთავრდეს ის ზღვარგადასული პროპაგანდა, რომელიც სააკაშვილის დროს დაიწყო — ყველაფერი ცუდი რუსეთის ბრალია. საერთოდ, ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ დამოუკიდებლობიდან დღემდე ყველა ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა რუსეთისგან მტრის ხატის შექმნას.**

ეს ყველანაირად მომგებიანია, — დაკარგავ ტერიტორიას? — რუსეთს დააბრალებ, აგიჯანყდება ხალხი? — რუსეთის აგენტად გამოაცხადებ, ანუ უნივერსალური პოლიტიკური ბერკეტია, მაგრამ ამ დროს ქვეყნის ინტერესები რომ ილახება და სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრიობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, არავის ადარდებს.

**— რაც შეეხება ახალი ხელისუფლების პოლიტიკას, ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის შეძლებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლასაც და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებასაც. თქვენი აზრით, შეიძლება პოლიტიკური გამოუცდელობით ავხსნათ ასეთი განცხადება თუ რეალურია ეს ყველაფერი?**

— ეს არის ბლეფი. მე არ ვიცი, ბიძინას საიდან და რატომ აქვს ასეთი რწმენა, მაგრამ რუსეთი რომ თავის საზღვრებთან ნატოს ჯარების განლაგებას დაუშვებს, ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, არსებობს შიდა წინააღმდეგობები, ანუ რას ვგულისხმობ, — **ჩვენი საზოგადოება არასოდეს წავა იმაზე, რასაც ამ ორგანიზაციების — ევროკავშირისა და ნატოს წევრობა მოითხოვს. აგერ ხომ ხედავთ, უკვე პირდაპირ გვეუბნებიან, თუ გინდათ, მიგიღოთ, მაშინ ჩაატარეთ ჰომოსექსუალების აღლუმიო. მომავალში დარწმუნებული ვარ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც მოგვთხოვენ და უარესსაც. გამოვიდა ივანიშვილი და განაცხადა, ჯერ ჩვენი საზოგადოება არაა ამისთვის მზადო. რას ნიშნავს ჯერ? ესე იგი შეიძლება ერთ-ორ წელიწადში ვიყოთ ამაზე თანახმა?! მე არ მინდა ასეთი ქვეყანა, არ მჭირდება ისეთი საქართველო, კაცი კაცთან რომ დაწვება და ქალი — ქალთან...**

**— ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატზეც გკითხავთ, რადგან ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან ურთიერთობის მოგვარება გამოაცხადა, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს ფუნქციაც უშუალოდ მომავალი პრეზიდენტის პრეროგატივა უნდა იყოს? როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაფერისია ამისთვის მარგველაშვილი?**

— არ ვიცნობ პირადად კოალიციის კანდიდატს და არც მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მსმენია რამე ისეთი მნიშვნელოვანი, რითაც შეიძლება შეფასება გაკეთდეს, მაგრამ მთავარი სხვა რამეა; მთავარია, ამ კანდიდატურის წამოყენებით რა სიგნალს აძლევს ხელისუფლება, კერძოდ ბიძინა ივანიშვილი გარესამყაროს, განსაკუთრებით რუსეთს. ამაზე უფრო კონკრეტული საუბარი შესაძლებელი მას შემდეგ იქნება, როცა რუსული მხარისგანაც მოვისმენთ შეფასებებს, თუმცა კრემლი ჯერჯერობით აბსოლუტურად ინერტულია საქართველოსთან მიმართებაში და, ჩემი აზრით, ეს მათი სწორი დიპლომატიის კიდევ ერთი გამოვლინებაა. სწორი იმიტომ, რომ სვლა ჩვენია და ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი რომელიმე მიმართულებით, ან იქით, ან — აქეთ. რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსეთს, ცხადია, აქ ბევრად მეტი სიფრთხილე და ნაწილობრივ კონკრეტიკაცაა საჭირო.

**ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, სჯობდა, ივანიშვილს თვითონ დაეყენებინა საკუთარი თავი კანდიდატად ან ვინმე ისეთი მოეყვანა, ვისაც განდგომილი რეგიონები უფრო თავისუფლად დაუჯდებოდა მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ვთქვათ, იგივე ალექსანდრე ჭაჭია, რომელზეც დასაწყისში ვსაუბრობდი, ძალიან კარგი კანდიდატი იქნებოდა. მას დიდ პატივს სცემენ აფხაზებიც და რუსეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეებიც.**

**— პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი უკვე დასახელებულია. თქვენი აზრით, ვინ იქნება მარგველაშვილის რეალური კონკურენტი?**

— ზუსტად ესაა მთავარი. იმის თქმა მინდა, რომ რომელიმე პარტია, ცხადია, „ნაცმოძრაობას" არ ვგულისხმობ, ღირსეულ კანდიდატს დააყენებს, მარგველაშვილს არ ექნება არანაირი უპირატესობა. გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ემოციური ფონი და ის ეიფორია, რომელიც იყო 1 ოქტომბერს, უკვე აღარ არის. ახლა საზოგადოება ცივი გონებით აკეთებს არჩევანს; ასე რომ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

**— ბევრ რამეს, ალბათ, ის განცხადებებიც შეცვლის, რომელიც 17 მაისის მოვლენების შემდეგ გააკეთა უმრავლესობამ.**

— მეტსაც გეტყვით, **თუ ივანიშვილი ცოტა აზრზე არ მოვიდა და ვაშინგტონის დაკრულზე ცეკვას თავი არ დაანება, არჩევნებს მოიგებენ კი არა, შეიძლება, ბარიერი ვერ გადალახონ.** მე ვნახე ამასწინათ დედაენის ბაღში რა ტრანსპარანტები ეჭირათ ადამიანებს, ეს იყო ყვითელი ბარათი ხელისუფლებისთვის. **თუ მოვლენ გონს, ჯერ მათ, რა თქმა უნდა, ყველაფერი წინ აქვთ, თუ არა და, ხალხი რომ ერთხელ ხელს დაგიქნევს, მერე მაგას უსუფაშვილ-ხიდაშელის ორატორობა და ბერძენიშვილების „სიბრძნე" ვერ უშველის. ამის ნათელი მაგალითი სააკაშვილის რეჟიმია...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა ღმერთის წინააღმდეგ წასვლაა, ხოლო ვინც ღმერთს აღუდგება, მისი ბრძოლა და ძალისხმევა ყოველთვის განწირულია დამარცხებისთვის. „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი პრობლემა და ამოცანა ახლა ის არის, რომ როგორმე შეეგუოს პოლიტიკურ აღსასრულს. ეს არის ხალხის განაჩენი და საზოგადოება აზრს ასე იოლად, მათ რომ ჰგონიათ, არ შეიცვლის.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ნანა კაკაბაძე:

# კოაბიტაცია კრიმინალებთან და კაცის მკვლელებთან დანაშაულია

**მიმდინარე სამართლებრივ პროცესსა და იმ შეფასებებზე, რომლებიც ამ ყველაფერს როგორც შიდა, ისე საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე მოჰყვა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**



**«დღევანდელ პარლამენტში, სამწუხაროდ, ხალხის ხმა უფრო დახშულია, ვიდრე დასავლეთიდან მობერილი კოაბიტაციის სიო...»**

**— ქალბატონო ნანა, ვანო მერაბიშვილის დაკავებამ საზოგადოების უდიდეს ნაწილში იმხელა ოვაცია გამოიწვია, რომ სასამართლო პროცესის დღეს თითქმის მთელი ქუთაისი კმაყოფილების ნიშნად გარეთ გამოეფინა. როგორ ფიქრობთ, ყოფილი პრემიერის დაპატიმრება რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ იმ სამართლებრივი პროცესის დაგვირგვინებად, რომელსაც კოალიცია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში გვპირდებოდა და რომელიც ხელისუფლების შეცვლისთანავე დაიწყო?**

— დაგვირგვინების რა მოგახსენოთ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის დასაწყისი ნამდვილად არის და იმედი მაქვს, რომ ეს გაგრძელდება. აქ საუბარია არა მხოლოდ დაკავებებზე, ვინაიდან მთელი ამ ცხრა წლის მანძილზე ადამიანის უფლებები სხვადასხვა სახით ირღვეოდა. თქვენ იცით, რომ იმავე **მერაბიშვილმა ხალხს ქონება ჩამოართვა, იპოთეკით ბინები დააკარგვინა, ბიზნესი წაართვა, უამრავი ადამიანი უკანონოდ დააპატიმრა, ქვეყნიდან გააქცია და ა. შ. თითოეულმა ამ მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ მათი უფლებების აღდგენა დაიწყო. ესაა ყველაზე დიდი მოლოდინი, რაც საზოგადოებას ჰქონდა, და მინდა, მჯეროდეს, რომ ხელისუფლება ხალხს ამ იმედს არ გაუცრუებს.** რაც შეეხება იმას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს ყველაფერი, ვფიქრობ, მთავარი როლი აქ უკვე პარლამენტს აკისრია. სწორედ მან უნდა დაიწყოს შეფასება, რა ხდებოდა ცხრა წლის განმავლობაში და მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. უწინარესად, უნდა დაიგმოს ის ანტიადამიანური და ანტიდემოკრატიული მეთოდები, რომლებითაც სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი მართავდა ქვეყანას.

**— რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ქონების ხელყოფა იქნებოდა თუ საშუალო და წვრილი ბიზნესის რეკეტი, ეს არის ის დანაშაულები, რომელთა მსგავსიც, ალბათ, ასობით და ათასობითაა მომხდარი, მაგრამ პროკურატურა დღეს ძირითადად ცნობილ ფაქტებს იძიებს. არჩილ კბილაშვილმაც განაცხადა თავის დროზე, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს ანიჭებს უპირატესობას. როგორ ფიქრობთ, მიმდინარე სამართლებრივი პროცესის ფარგლებში რამდენად მოხერხდება თითოეული უფლებაშელახული მოქალაქის დაცვა და რეაბილიტაცია?**

— თუ იქნება პოლიტიკური ნება, რა თქმა უნდა, ადამიანები ამას იგრძნობენ. შეიძლება აბსოლუტურად ყველა ზიანის და ზარალის ანაზღაურება ვერ მოხერხდეს, იმიტომ, რომ აქ მილიარდებზეა საუბარი, მაგრამ სამართლიანობის განცდა გაჩნდება. ეს იყო „ქართული ოცნების“ დაპირებაც წინასაარჩევნოდ და ეს იყო ის, რამაც გაამარჯვებინა ბიძინა ივანიშვილს 1 ოქტომბრის არჩევნებში. ასე რომ, ამ პროცესს წინ არაფერი უდგას. გახმაურებული საქმეების უპირატესობას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ეს ბუნებრივია. რაც ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას, პირველ რიგში, ის უნდა იქნეს გამოძიებული, დანარჩენი საქმეების გამოძიებაც შემდეგ უფრო იოლად და თავისუფლად მოხერხდება.

**— უკვე მერამდენედ განაცხადა მთავარმა პროკურორმა, რომ შეიძლება სააკაშვილიც დაიბარონ დაკითხვაზე. როგორ ფიქრობთ, ხომ არ მიდის ეს პროცესი იქით, რომ ადრე თუ გვიან პრეზიდენტი საბრალდებო სკამზე ალმოჩნდება?**

— **სააკაშვილი იყო პასუხისმგებელი ყველა იმ მოვლენაზე, რომლებიც მოხდა ბოლო 9 წლის განმავლობაში, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზეც. ასე რომ, ბუნებრივია, მას მოსთხოვენ პასუხს.** გახსოვთ, ალბათ, მან საჯაროდ განაცხადა, აფრასიძეების ოჯახის განადგურების ბრძანება მე გავეციო. ამაზე მეტი სამხილი რა გინდა? ვინ იყო სააკაშვილი, რატომ ჰქონდა პრეზიდენტს ასეთი ბრძანების გაცემის უფლება?! ეს ხომ, ფაქტობრივად, ჩვენებებია?! ამისთვის პასუხი არ უნდა აგოს?!

**— წინა ხელისუფლების დროს თქვენ, უფლებადამცველები, მუდმივად იმაზე ჩიოდით, რომ არც ერთი უწყება, მათ შორის ძალოვანებიც, გამჭვირვალედ არ მუშაობდა. დღეს რამდენად გამჭვირვალეა პროკურატურა? ამასთან დაკავშირებით კითხვები ხშირად დაისმის...**

— ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველაფერი საათივითაა აწყობილი, პროკურატურაც, ალბათ, უფრო საჯარო უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერი შედარებითია. სააკაშვილისა და მერაბიშვილის დროს, მაგალითად, აბსოლუტური გაუმჭვირვალობა იყო. გახსოვთ თქვენ, **იმ შუშის შენობებში, შიგნით სასაკლაო რომ ჰქონდათ მოწყობილი, ადამიანებს ისე კლავდნენ, ვერაფერს ვგებულობდით. მერე გამოდიოდა ხოლმე ინფორმაცია, ორი-სამი დღის ან ერთი კვირის შემდეგ.** ახლა პროგრესი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს.

**— 19 მაისს სპორტის სასახლეში ჩატარებულ ყრილობაზეც გკითხავთ: „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა ეს ღონისძიება ძალიან მწვავედ შეაფასეს, ნანა კაკაბაძის ლაშქარმა პროკურატურასა და სასამართლოზე ზეწოლა მოახდინაო. როგორ აღიქვით ეს განცხადებები?**

— სასაცილოა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ეს უზადრუკი განცხადებები. **თუ ქართველი ხალხი თავის სათქმელს ამბობს და პასუხს სთხოვს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩაიდინეს, გინდა, ლაშქარი დაარქვი ამას და გინდა — მხედრობა, ეს არის საზოგადოება;** ნანა კაკაბაძე ხომ არაა მარტო?! იქ, სპორტის სასახლეში 11 ათასზე მეტმა კაცმა გაიარა რეგისტრაცია, როგორც დაზარალებულმა, და რამდენმა ვერ გაიარა, რამდენს კიდევ ვერ მივაწოდეთ სარეგისტრაციო ფურცელი?! ეს ადამიანები არიან მსხვერპლნი, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა დაუტოვა დღევანდელ ხელისუფლებას და ვინ უნდა გასცეს მათ პასუხი?! ლაშქრის და ურჩხულის ძახილით უნდათ ამ გაჭირვებული ხალხის გასტუმრება?! ჭიაბერაშვილს მარტო ამ სიტყვებისთვის უნდა მოეთხოვოს პასუხი. რაც დათესეს, იმას იმკიან ესენი...

**— მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რა იყო 19 მაისის ყრილობის მიზანი და რას ელოდებით ამ აქციის შედეგად?**

— მთავარი მიზანი იყო ის, რომ **საზოგადოებამ მოსთხოვა პარლამენტს, შეაფასოს სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმი. უამისოდ სამართლიანობა ვერ აღსრულდება, ვინაიდან ჩვენ ჯერ უნდა ვიცოდეთ, რასთან გვქონდა საქმე და რა ზიანი მიაყენეს მათ, როგორც კონკრეტულ მოქალაქეებს, ისე მთლიანად ქვეყანას.**

— ეს გასაგებია, მაგრამ რატომ სჭირდება დღეს პარლამენტს მსგავსი მოთხოვნით მიმართვა? რატომ თვითონვე არ აკეთებენ ამას?

— იმიტომ, რომ **დღევანდელ პარლამენტში, სამწუხაროდ, ხალხის ხმა უფრო დახშულია, ვიდრე სადღაციდან მობერილი სიო და ამ კოაბიტაციას რომ ჩასძახიან ხელისუფლებას, ეს უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათთვის ვიდრე საზოგადოების აზრი. ზუსტად ამისთვის დაგვჭირდა შეკრება სპორტის სასახლეში, რომ გვეთქვა, ჩვენ ვართ აქ და ჩვენი დაკვეთა უნდა შეასრულოს ჩვენმა დაქირავებულმა ხელისუფლებამ!** საერთოდ, რას ნიშნავს ტერმინი კოაბიტაცია? კოაბიტაცია კრიმინალებთან, ეს კრიმინალს ნიშნავს. ახლა რა გამოდის, რა მიგვიღია 1 ოქტომბერს: ერთი კრიმინალი შეგვიცვლია მეორით? აი, ეს განცდა რომ არ გაუჩნდეს მოსახლეობას, ამიტომაა საჭირო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. თუ არა და, გინდა, მიშა ყოფილა ხელისუფლებაში, გინდა ბიძინა, თავისთავად ეს არაფერს შეცვლის.

**— ეს კოაბიტაცია შეიძლება დიდად არც თვითონ ხელისუფლებას მოსდის თვალში, მაგრამ დემოკრატია ითხოვსო, გვეუბნებიან დასავლეთიდან.**

— ჰოდა, იმ დასავლეთსაც სჭირდება კონკრეტული პასუხი. მე არ ვიცი, ესენი რას ეუბნებიან. **რას უნდა შევეგუოთ, კაცის მკვლელებს? მძარცველებს? მოძალადეებს? თვითონ შეეგუებოდნენ?! ამის ნახევარი არ დაუშავებიათ ევროპელ ლიდერებს, პროცესებზე რომ იბარებდნენ და ზოგი ციხეშიც ჩასვეს. ჩვენთვის რა, კანონი არ არსებობს?!** მართლა ჩალით ხომ არაა ეს ქვეყანა გადახურული!

**— გასაგებია, რომ წინა ხელისუფლების რიგებში არიან ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაგრამ ვისაც კანონი არ დაურღვევია და, უბრალოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო, მათ მიმართ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ხელისუფლებამ?**

— ცხადია, აქ უდანაშაულო ადამიანების დასჯას არავინ ითხოვს, მაგრამ მე ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ხვალ ეს კოაბიტაციის რეჟიმში მყოფი ხალხი რომ ერთმანეთს შეხვდეს და ამან რამე ახალი დანაშაული გამოიწვიოს, ვინაა ამაზე პასუხისმგებელი?! ის, ვინც ასეთ რაღაცას ჩაიდენს? ვთქვათ, ვაზაგაშვილის მამა რომ გადაეყაროს თავისი შვილის მკვლელებს ან მკვლელობის დამკვეთებს და რამე ცუდი მოხდეს, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას?

**— ახალ დანაშაულს რაც შეეხება, ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესის დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აქციის მონაწილეებს ბასრი იარაღები აღმოაჩნდათ. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები კამერების წინ ე. წ. სპიცებს ატრიალებდნენ, ამით დაგვდევენო. როგორ ფიქრობთ, ესეც პროვოკაციის ნაწილი იყო თუ მართლა შეიძლებოდა, რომელიმე გამწარებულ მოქალაქეს იარაღი ჰქონოდა?**

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ იქ ხალხი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ ეს კურდღლები იქ ვერც შემოვიდნენ. ისინი იყვნენ სადღაც მეცხრე ქუჩაზე მიყუჟულები თავისთვის. ასე რომ, რა თქმა უნდა, ეს იყო მათი მორიგი ბინძური პროვოკაცია. ზოგადად გეთანხმებით, **გამწარებული მოქალაქე ბევრია და ვიღაცა შეიძლება ვიღაცას ქუჩაში დახვდეს, ვიღაცას სახლში მიუვარდეს. ზუსტად ამისთვისაა საჭირო სამართლიანობის აღდგენის პროცესიც, რომ ხალხი დაწყნარდეს და დაშოშმინდეს.**

**— რადგან პროვოკაციაზე ვსაუბრობთ, 17 მაისის მოვლენებზეც გკითხავთ: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ესეც პროვოკაცია იყო და, თუ მიგაჩნიათ, მაშინ რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი?**

— ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რაც შეეხება მიზანს, მათ რამდენიმე ამოცანა ჰქონდათ: ერთი ის, რომ მომხდარიყო ხალხსა და ხელისუფლებას შორის გარკვეული ბზარების გაჩენა, რაც, ცხადია, გამოიწვევდა „ქართული ოცნების“ დისკრედიტებას; ხოლო მეორე ამოცანა იყო დასავლეთის ყურადღების მიპყრობა. საქმე ისაა, რომ **1 ოქტომბრის შემდეგ ევროპაშიც და ამერიკაშიც იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ მიმართებაში რამე განსაკუთრებული პირადი მიზნები არ ჰქონდათ, ამ პარტიის მიმართ ყველანაირი ინტერესი დაკარგეს.** შესაბამისად, სააკაშვილს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ შეეზღუდა სამოქმედო არეალი. 17 მაისის პროვოკაციით მათ ამ ინტერესის გამძაფრება სცადეს, მაგრამ, ვფიქრობ, შედეგი ვერანაირი ვერ მიიღეს და ვერც მიიღებენ, ვინაიდან **სააკაშვილის რეჟიმი დასრულდა. რაც უნდა გააკეთონ ახლა ამ ადამიანებმა, რა სიბინძურეებზეც უნდა წავიდნენ, ვერაფერი მოაბრუნებთ და სწორედ ამის გაცნობიერება უჭირთ ყველაზე მეტად.**

**— სამღვდელოების საწინააღმდეგო კამპანიაც აქტიურად მიდის.**

— ეს სააკაშვილის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო თავიდანვე და ახლა, უბრალოდ, არ მალავენ ამას. გასაგებია რატომაც — იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ამ გზით წარმოუდგენიათ დასავლეთის, კერძოდ ამერიკის, გარკვეული გავლენიანი პოლიტიკური ძალების უპირობო მხარდაჭერის მოპოვება. კი, ბატონო, შეიძლება მოიპოვონ კიდეც ეს მხარდაჭერა, მაგრამ ერთი რამაა მნიშვნელოვანი: **ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა ღმერთის წინააღმდეგ წასვლაა, ხოლო ვინც ღმერთს აღუდგება, მისი ბრძოლა და ძალისხმევა ყოველთვის განწირულია დამარცხებისთვის. „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი პრობლემა და ამოცანა ახლა ის არის, რომ როგორმე შეეგუოს პოლიტიკურ აღსასრულს. ეს არის ხალხის განაჩენი და საზოგადოება აზრს ასე იოლად, მათ რომ ჰგონიათ, არ შეიცვლის.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ანუ, რა, პატივცემულო?.. მოგვამზადებთ, გვამეცადინებთ და ხვალ-ზეგ მზად ვიქნებით და დაგვიკანონებთ ერთსქესიან ქორწინებებს?

# ბატონო ბიძინა, ისე ნუ იზამთ, რომ «არა — პედერასტიას» და «არა — «ქართულ ოცნებას» ერთმანეთის სინონიმი გახდეს!..

**განსხვავებით შარშანდელი 17 მაისისგან, როდესაც ქართველმა პედერასტებმა პირველად გაბედეს საჯაროდ თავიანთი უკანალების ქნევა, ამა წლის 17 მაისის იმავე მცდელობას ქართველი „ქათმებისას“ საზოგადოებაში ლამის ტექტონიკური ძვრები მოჰყვა და ამ „სხვაობაში“, პირველ რიგში, არა კონკრეტულად გეიაქციებს ვგულისხმობ, არამედ წლევანდელი პოსტაქციის პერიოდს — საზოგადოებაში წარმოქმნილი ანტიპედერასტული ცუნამი არა თუ სუსტდება, არამედ, რაც დრო გადის, საზოგადოების აღშფოთება სულ უფრო მატულობს!**

რატომ? მოკლედ თუ ვიტყვით, იმიტომ, რომ შინ თუ გარეთ **ქართველ ქათამთა ქომაგმა** (ვაა, უნებურად რა ზუსტი აბრევიატურა გამომივიდა სამი ქან-ით — ქქქ, რომელსაც კურტუმოს ქანაობის მოყვარულთა ლობისტებთან დაკავშირებით ქვემოთაც გამოვიყენებ) ლიბერასტებმა, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირი იერიში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე და მის საჭეთმპყრობელ კათოლიკოს-პატრიარქზე მიიტანეს!

ერთი სიტყვით, 17 მაისამდე და მის შემდგომ საქართველო ორი სხვადასხვა ქვეყანაა!

ქქქ-ს ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, რომელმაც პედერასტების „დარბევის“ გამო, სასულიერო პირების სისხლისსამართლებრივი დასჯა და უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, უკაცრავად და, „მწერალი“ ლაშა ბუღაძე გახლდათ. ეს ის ლაშა ბუღაძეა, რომელმაც „თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ ყოველი ქართველისთვის სათაყვანებელი წმინდა მეფე თამარის შეურაცხმყოფელი ოპუსით შემოაბიჯა. ხოლო მამამისმა, გია ბუღაძემ, „ვარდების რევოლუციის“ წინაშე დამსახურების გამო, ჯერ მრავალათასიანი კონტრაქტი „გაირტყა“ ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის ფასადის მოსათხუპნად და შემდეგ სამხატვრო აკადემიის თბილ სავარძელში მოკალათდა, სადაც მომავალ „შემოქმედებს“ ერთმანეთის ფურთხებით ასწავლიდა თანამედროვე მხატვრობას!

ახლა მამა რა შუაშიაო, მისაყვედურებს მავანი. შუაში კი არა, თავშია და, ბანალურ „დედა ნახე, მამა ნახეს“ თავი რომც დავანებოთ, დათა თუთაშხიასა და ჯინჯოლიასი არ იყოს, მამაზე უკეთესი ვითომ რატომ უნდა გაიზარდოსო შვილი და აკი არც გაზრდილა — შვილმაც მამამისივით ნაცების „ფავორში“ გაატარა 9 წელიწადი და რეალურად საპროტესტო სიტყვა არ დასცდენია იმ „ცოდვის ტირილზე“, რომელიც მანქურთმა „ნაცებმა“ მოგვიწყვეს ქართველებს!

ბუღაძეს ხმა მიაშველა დასავლეთიდან ადრე მისი უწმინდესობის პრესმდივანმა და ახლა გახლისტებულმა ბასილ კობახიძემ, რომელიც თურმე ბელგიაში „გადაშენებულა“ — პატრიარქი დაკავებული თანამდებობიდან(!!!) უნდა გადადგეს და პასუხისგებაში მიეცესო!

ამ ტუტუცს პატრიარქობა თანამდებობა ჰგონია და მისი უწმინდესობის საკათალიკოსო ტახტზე მირონცხებული მეუფება — უბრალო მოკვდავის სამსახურში სიარული...

საქართველოში არ არსებობს არც ერთი ეროვნული ტელევიზია!!! დიახ, არც ერთი, თუ არ ჩავთვლით საპატრიარქოს „ერთსულოვნებას“ და, თუ არ ჩავთვლით, რომ შიგადაშიგ ლიბერასტი წამყვანებიც გამოერევათ, მედიაკავშირ „ობიექტივს“.

სწორედ ლიბერასტული ტელევიზიების დამსახურებაც არის ის, თუ რა და როგორ მოხდა 17 მაისს და, რაც ახლა ხდება — პედერასტობის, ერთსქესიანი ქორწინებების საწინააღმდეგოდ. მათ ე. წ. თოქ-შოუებში შეუიარაღებელი თვალითაც შეამჩნევ აშკარა დისბალანსს — სადაც 5-6 და მეტი ქქქ-ს ორდენის წევრია, იქ თითო-ოროლად თუ გააჭაჭანებენ კაცური პოზიციების დამცველებს!..

### რა მოხდა ლონდონში და რა ხდება სტოკჰოლმში?!

**რა და ის, რაც ნეოლიბერალიზმით ზედმეტმა აცუნდრუკებამ იცის — ნეოლიბერალიზმი, მხოლოდ ლგბტ-ს პროპაგანდა-კულტივირებას არ ნიშნავს. პედერასტიის შემოტევა მხოლოდ პირველი ეტაპია, რომელსაც ლოგიკურად მოსდევს უკანონო მიგრანტების მოზღვავება.**

ჰოდა, ის პირველი ეტაპი ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ კაი ხნის წინ გაიარეს — ბრიტანეთში ელტონ ჯონის გათხოვება და მის ქორწილში ინგლისის დედოფლის მისვლა ვილას უკვირს? ახლა სერ ელტონი იმას ჩალიჩობს, რომ ტიტული „სერ“, ანუ რაინდობა მის ნაშვილებ ბიჭზე მემკვიდრეობით გადავიდეს, რომელიც, ალბათ, „მშობლებივით“ პედერასტი იქნება. ხოლო ანგლიკანურ ეკლესიაში სერიოზულად განიხილება ემანსიპაციის, ანუ დედაკაცებისთვის მღვდლად კურთხევის და უფრო მეტიც, ელტონ ჯონის მსგავსი გომიკებისთვის ჯვრისწერის უფლების საკითხები!

იმავეს თქმა სკანდინავიასა და შვედეთზეც შეიძლება, რომ არაფერი ვთქვათ ნორვეგიაზე, რომელიც არა მხოლოდ მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონითაა ცნობილი, არამედ იმითაც, რომ იქ ერთსქესიან ქორწინებებზე იშვიათი, ჰეტერო-წყვილების ქორწინება იქნება (თუ უკვე არ არის) სულ მალე!

**ახლა კი, ამ ქვეყნებს (და არა მარტო) ის პერიოდი უდგათ, როდესაც პედერასტობის თანმდევი რეციდივები აქტიურდება — აბორიგენ ერებს საკუთარ ქვეყნებში აღარ დაედგომებათ — ამას წინათ, რომ იტყვიან, დღისით მზისითო, ლონდონის ცენტრში ვიღაც გადამთიელებმა „ალაჰ აკბარ“ ძახილით ინგლისელი სამხედრო მხოლოდ იმისთვის აკუწეს ნაჯახით, რომ მას ბრიტანეთის არმიის ფორმა ეცვა!**

**შვედეთშიც თითქმის იგივე ხდება — უკანონო მიგრანტებმა ცეცხლს მისცეს მთელი სტოკჰოლმი და ეს ვანდალიზმი, მეორე კვირაა, ვერ აღუკვეთავთ!**

აშშ, ჩვენი მთავარი „სტრატეგიული მოკავშირე“, ლიბერასტული განვითარების რომელ ეტაპზეა, თავად ვერ გაურკვევიათ. სამაგიეროდ გარკვეულია, რომ აშშ, 11 სექტემბრის შემდეგაც, მიუხედავად ზემძლავრი სპეცსამსახურებისა, არაა დაცული ლონდონის მსგავსი ტერაქტებისგან, რისი დასტურიც ჩიკაგოს მარათონზე მომხდარი ტერაქტიც არის!

ამასთან პირდაპირ კავშირში არაა, მაგრამ ისე, ცნობისთვის — ამერიკის ბოისკაუტებმა, რომელიც 1910 წელს დაარსებული ახალგაზრდული მოძრაობაა, რომლის მიზანიც 11-17 წლის ყმაწვილების ჯანსაღი, პატრიოტული აღზრდა იყო, ამას წინათ გააუქმა 1990 წელს მიღებული „დისკრიმინაციული“ კანონი და მომავალი წლის 1 იანვრიდან ვეღარავინ გაბედავს ჰომოსექსუალი ახალგაზრდების სკაუტებიდან გარიცხვას, ანუ პედერასტობა ბავშვებშიც კი წაახალისეს იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომლებშიც, დღეის მონაცემებით, 2.6 მილიონი ყმაწვილია გაერთიანებული — როგორ ჰგავს ეს ყველაფერი სააკაშვილის პატრიოტთა ბანაკებს და მოწონდებას ბუჩქებში შმაშურისკენ!

**თუმცა რა არის გასაკვირი — ბარაკ ობამას მთავარი სლოგანი მეორე ვადით გაპრეზიდენტებისას ხომ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების დაპირება იყო, რის შემდეგაც მადამ ჰილარი კლინტონმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ლგბტ-ს უფლებების დაცვა გამოაცხადა, ანუ მსოფლიოს პედერასტებს საკუთარი ხელმწიფე-დედოფალი ჰყავთ მფარველად და ამიტომაც შემოგვიტიეს აგრე გააფთრებით!**

საფრანგეთი? მისმა ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების გამო, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში თავი მოიკლა და არც სხვაფრივ არიან დარტანიანის სამშობლოში დალხენილები — საფრანგეთი ლამის წალეკა უკანონო თუ კანონიერმა მიგრაციამ და ფრანგებს საკუთარ სამშობლოში აღარ დაედგომებათ!

ამიტომაც მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში ულტრანაციონალმა კანდიდატმა უპრეცენდენტოდ მაღალი პროცენტი და, იმ ქალბატონს რომ მხარი სარკოზისთვის დაეჭირა, ვინძლო ორლანდი ვერ გაპრეზიდენტებულიყო და საფრანგეთი გაპედერასტებას გადარჩენილიყო!

იმავე ოპერიდან არის ნორვეგიაში მომხდარი ტრაგედიაც, როდესაც ერთმა „შეშლილმა“ 80 კაცი მიახვრიტა! დიახ, ბრჭყალებში, რადგანაც სულაც არ მგონია ბრეივიკი გიჟი. მისი გამართლება შეუძლებელია, მაგრამ ახსნა მისი საქციელის მოტივისა ადვილია — დაინახა ერთ მშვენიერ დღეს, რომ ვაჟკაცი ვიკინგების ქვეყანა პედერასტებისა და ისლამისტი მიგრანტების ასპარეზად ქცეულა და „გაგიჟდა“...

ამ ყოველივედან, ცხადია, რომ ბოლოს და ბოლოს, მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რუსთაველზე ერთი მუჭა პედერასტები აივლიან თუ ჩაივლიან, არამედ იმაში, რომ პედერასტიას, ერთსქესიან ქორწინებებს, ისეთი ლიბერალური „ფასეულობები“ მოჰყვება „დავესკად“, რაც ნებისმიერ კულტუროსან ერს გადაგვარება-გადაჯიშებას უქადის და საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრიობას!

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თუ არჩამოთვლილ კულტუროსან ქვეყნებს და ერებს ერთი პრობლემა აქვთ — ლიბერასტული უმცირესობების „ხოშზე“ იმართება მათი ქვეყნები და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია მათი ისეთი ძალით აფეთქება, რომ დედა შვილს, მითუმეტეს ერთსქესიანი მშობლები შვილს, არ აიყვანენ ხელში — ანტიქრისტეს ბოგინი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და გამოიღვიძებს ჯეკ ლონდონის, ო'ჰენრის, მარკ ტვენის ვაჟკაცი ამერიკა; დარტანიანის, სტენდალის, ჰიუგოს რომანტიული საფრანგეთი; თომას მანის, შტეფან ცვაიგის, ვაგნერის მკაცრი გერმანია; ბაირონის, შექსპირის, რობინ ჰუდის, რიჩარდ ლომგულის მამაცი ბრიტანეთი და მსოფლიო კაცობრიობაც გადარჩება!

თუ ყველანი გამოიღვიძებენ, ჩვენი, ქართველების, პედერასტული იავნანათი მიძინება ვის უნდა?!

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ქართველი პატრიოტის სათქმელს ვიტყვი: — **ბატონო ბიძინა, ისე ნუ იზამთ, რომ „არა — პედერასტიას“ და „არა — „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთის სინონიმი გახდეს!..**

და არამხოლოდ ეს, რადგანაც ჩვენ, ქართველებს, ორივე ჭირმა — პედერასტობამ და უცხო თესლთა უკანონო მიგრაციამ — ერთად შემოგვიტია!

ჰოდა, რა ვქნათ ახლა, პატივცემულო, რომელი ერთი მოვიგერიოთ? თუ ორივეს დანებდით უკვე და თქვენც ამას ხომ არ გვირჩევთ, პრემიერო?

### ერთსქესიანთა ქორწინებისთვის გვამზადებთ?

რა აზრის ხართ საქართველოში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების თაობაზე? პირდაპირ დასმულ კითხვაზე თქვენს ბოლო პრესკონფერენციაზე, აი როგორ უპასუხეთ, პატივცემულო: — **საქართველო ჯერ არ არის მზად ამისთვისო!..**

**ანუ, რა, პატივცემულო?.. მოგვამზადებთ, გვამეცადინებთ და ხვალ-ზეგ მზად ვიქნებით და დაგვიკანონებთ ერთსქესიან ქორწინებებს?**

თქვენი პასუხით შოკირებულმა, როდესაც ჩემს საახლობლოში დავიჩივლე — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა-მეთქი, აბა, რა ექნაო, პრემიერია, სხვანაირად, რას იტყოდა ევროპაო?!

პატივცემულო, მესმის, რომ პრემიერი ჩემსავით უბირი ჟურნალისტის ლექ- ▶



**საქართველო ჯერ არ არის მზად ამისთვისო!.. ანუ, რა, პატივცემულო?.. მოგვამზადებთ, გვამეცადინებთ და ხვალ-ზეგ მზად ვიქნებით და დაგვიკანონებთ ერთსქესიან ქორწინებებს?**

ახალი მესაიდუმლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მართლა გგონიათ, რომ „ხვალ“ საქართველო მზად იქნება პედერასტიის დასავლური სტანდარტებით მიღებისთვის ან ის „ახალი ხილი“ დამწიფდება და ბოლოს მაინც შევჭამთ ქართველნი? ან რა, პატივცემულო, იმ „სამარცხვინო მღვდლების“ დაპატიმრებას დაგანებებთ ერი და ბერი? ეს თუ ასეა, მაშინ ის სამშობლო არ გცნობიათ პატივცემულო, თქვენივე თქმით, რომლის გადასარჩენადაც ხართ მოსული პოლიტიკაში!..

◀ სიკით ვერ ისაუბრებს, მაგრამ... აი, სწორედ ეს ჯადოსნური სიტყვა „მაგრამ“, რომ გეხმარათ, არც ევროპაში დასწვავდით მწვადს და არც აქ დაგვზაფრავდით ქართველებს. მაგალითად, აი, ასე რომ გეთქვათ — ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, პედერასტობა მიუღებელია, მაგრამ, როგორც პრემიერი, მათ უფლებებს დავიცავ!

სხვათა შორის, ეს ჯადოსნური „მაგრამ“, თქვენი კოალიციის ლიდერებმაც, მანანა კობახიძემაც და დავით საგანელიძემაც იხმარეს. ერთადერთი, ვინც ამ „მაგრამს“ კატეგორიულად გაემიჯნენ, ეს თქვენი საყვარელი რესპუბლიკელები არიან და რაოდენ სამწუხაროა, პატივცემულო, რომ თქვენც რესპების ნავში (იქნებ პირიქით?) აღმოჩნდით!

17 მაისს ვერშემდგარი გეიპარადი და სამაგიეროდ დედაენის (რატომ მაინც და მაინც დედაენის ძეგლთან, თქვე ბინძურებო?) ძეგლთან ქქქ-ს შემდგარი აქცია, ჩვენი ტრენინგის პირველი მცდელობა ხომ არ იყო, პატივცემულო, რათა იმისთვის მოგვამზადონ, რისთვისაც, თქვენი აზრით, „საქართველო ჯერ მზად არ არის“?

**პატივცემულო! არანაკლებ შოკის მომგვრელი იყო თქვენი განცხადება, რომელიც ე. წ. დიპკორპუსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეთ. სადაც ახლა უკვე „ახალი ხილი“ უწოდეთ პედერასტობას და „ეს ნორმალურია“, ბრძანეთ, საზოგადოების დიდი უმრავლესობის უარყოფით რეაქციაზე პედერასტების მიმართ, ხოლო იმ აქციაში მონაწილე და თქვენ მიერ პასუხისგებაში მიცემულ მღვდლებს — „სამარცხვინოები“!**

(სხვათა შორის, პატივცემულო, შარშან, 17 მაისსაც სცადეს პედერასტებმა რუსთაველზე კურტუმოების ქანავი და იმ კურტუმოში ამოვარტყით ჭიტლაყი. მაშინაც ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტები „სამარცხვინო მღვდლები“ იყვნენ, მაგრამ მათი ხელისხლება თვით სააკაშვილის გესტაპო-პოლიციამაც კი არ იკადრა!)

**მართლა გგონიათ, რომ „ხვალ“ საქართველო მზად იქნება პედერასტიის დასავლური სტანდარტებით მიღებისთვის ან ის „ახალი ხილი“ დამწიფდება და ბოლოს მაინც შევჭამთ ქართველნი? ან რაა, პატივცემულო, იმ „სამარცხვინო მღვდლების“ დაპატიმრებას დაგანებებთ ერი და ბერი?**

**ეს თუ ასეა, მაშინ ის სამშობლო არ გცნობიათ პატივცემულო, თქვენივე თქმით, რომლის გადასარჩენადაც ხართ მოსული პოლიტიკაში!..**

ან ის „სამარცხვინო“ მეუფე იაკობი, რომლის დაჭერასაც ვერ ბედავთ, მართლა გგონიათ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა-უნეტარესობის, მცხეთა თბილისისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორეს კურთხევის გარეშე ქადაგებდა?

ქადაგებამ, რომელმაც გველის კაჭრობა შეჰყარა თქვენი პარლამენტის „მეფე-დედოფალ“ ხიდაშელ-უსუფაშვილს და მათ სულიერ ძმებს „ნაცებში“ გიგა ბოკერიას თამადობით! რომლებმაც ერთობლივად დაგეგმეს ის გულისამრევი აქცია „არა — თეოკრატიას!“.

სინამდვილეში კი დედა ენის ბაღში შეკრება, რომელიც საგულდაგულოდ გააჯეჯილეს პოლიციამ და ასევე საგულდაგულოდ „მიტისკეს“ მეორე, კაცების მხარე, გასული საუკუნის 20-იან წლებში შექმნილი ე.წ. ულმერთოთა კავშირის შეკრებას ჰგავდა, ბოლშევიკური კავშირის, რომელიც ეკლესიებს ანგრევდა და წმინდანების ნაწილებს შეურაცხყოფდა. თუმცა ბუნების კანონებს ამ ულმერთოთა კავშირის წევრებიც აღიარებდნენ — მამათმავალ პედერასტებს ბოლშევიკები არ სწყალობდნენ!

მართალია, ჯერ ეკლესიების ნგრევას ვერ ბედავენ, მაგრამ ვარლამ არავიძის არ იყოს, „გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთო“, და, თუ ვაცალეთ, არც მაგას „დაგვამადლიან“ გრანტიჭამია არასამთავრობოები...

პატივცემულო! წერილზე მუშაობისას ისეთი მასალა „წამომეწია“, რომ ელდა მეცა და აგერ ერთად ვნახოთ, რას წერს უცხოური პრესა:

**„ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვების აყვანის ლეგალიზაციის შემდეგ, ევროკავშირი ინცესტის (სისხლის აღრევა) ლეგალიზაციის საკითხს განიხილავს. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება.**

ევროპელი პოლიტიკოსები ინცესტზე, როგორც „გენდერულ ნორმაზე“ საუბრობენ. ზოგიერთების შეფასებით, ჰომოფობიასთან ერთად საჭიროა ინცესტოფობიის მნიშვნელობის დამკვიდრებაც.

„ახალი გენდერული საზოგადოება“ ინცესტის ლეგალიზებას თავდაპირველად შვედეთში, დანიასა და შვეიცარიაში გეგმავს. ევროპელ პოლიტიკოსთა აზრით, „გენდერულ ნორმად“ უნდა იყოს მიღებული სექსუალური კავშირი დედ-მამასა და შვილს შორის, დასა და ძმას შორის და ასევე ყველა სისხლით ნათესავს შორის. ამასთანავე, ყველა ინცესტოფობი უნდა დაისაჯოს.

2012 წლის დეკემბერში აშშ-ის კონგრესმა ასეთი სექსუალური ორიენტაციის სტატუსის მქონე პირებს, ისეთებს როგორიცაა: ზოოფილია, ინცესტი, პედოფილია, ნეკროფილია, ფედერალური და იურიდიული დაცულობის პირობა მისცა.

ამაზე რას იტყვით, პატივცემულო? ამისთვისაც უნდა მოგვამზადოთ, ეს „ახალი ხილიც“ უნდა დავაძველოთ და მივირთვათ? ახლა არ მითხრათ პატივცემულო, რომ ეგ ჩვენ არ გვეხებაო! ისე შეგვეხება, როგორც დაგიბარებია, თუ „ნატო, ნატოს“ უაზრო ძახილს გააგრძელებთ სააკოვივით, ნატო და ევროპა ნამდვილად არა, მაგრამ ეს ლიბერალური „მადლი“ ნაღდად მოგვეცხება!

სოფლად გაზრდილი კაცი ბრძანდები, პატივცემულო, და არ გესწავლება, გლეხი საკუთარ საქონელ-პირუტყვშიც კი ცდილობს ინცესტის არდაშვებას.

ამას თუ ჰქვია დემოკრატია, მაშინ მართლაც თეოკრატია მირჩევნია, პატივცემულო!

## „ხლისტი“ მთავრობაში

ბოლოს კი, ბატონო ბიძინა, თქვენი მთავრობის განათლების „ზამმინისტრას“, თავისუფლების ინსტიტუტში აღზრდილი ცნობილი ხლისტის, დავით ზურაბიშვილის ნაწარმოებსაც შევეხები, რომელიც ამ ჩოლოხამ სოციალური ქსელით გაავრცელა:



## სულ მალე დაიწყება საერთო სახალხო მოძრაობა, რესპუბლიკური პარტიის, როგორც მართლაც სახადის, გადასაშავებლად ქართული პოლიტიკიდან, რადგანაც ჩვენ 1 ოქტომბერს ხმა თქვენ მოგეცით, ბატონო ბიძინა, და არა რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ თავზე დაგვასვით ქართველ ხალხს

„პირველად იყო ზვიადი, უფრო ზუსტად, ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, რომელმაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში ვულკანივით ამოხეთქა და ისეთი ამაზრზენი სახით წარსდგა ჩვენ წინაშე, კინაღამ სრულ ნიჰილიზმში გადაისროლა მთელი მოაზროვნე საზოგადოება. აქ არაფერი იყო ახალი. ათწლეულების მანძილზე იკვებებოდა ქართული ნაციონალიზმი იმ მითით, რომ არაქართველები შეგნებულად ცდილობენ, ფეხი მოიკიდონ ჩვენს მიწა-წყალზე, ნელ-ნელა შეგვავიწროვონ და განგვდევნონ. ეს მიეწერებოდა არამარტო კრემლის ფარულ ზრახვებს, არამედ თვით არაქართულ ეთნოსებსაც, რომლებიც დემოგრაფიული ანექსიისთვის გამზადებულ ზომბებად იყვნენ წარმოდგენილები. მარტო ლიტერატურული ნაწარმოებები იმდენია შექმნილი ამ თემაზე, რომ მთელი ანთოლოგიაც კი შეიძლება შეადგინო, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ დაწყებული და მუხრან მაჭავარიანის ლესქებით დამთავრებული („გუგულის კვერცხი ესოდენ უხვად ჯერ არ ყოფილა ჩვენში“ და ა. შ.)“.

ხედავთ, პატივცემულო! ეს ხლისტი, ეთნოცენტრიკ ნაციონალისტებად მოიხსენიებს არა მხოლოდ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელზეც თქვენ თქვით, — „ზვიად გამსახურდიას ღვაწლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია“, არამედ საფლავიდან მოთხარა ქართული მწერლობის მშვენება, დიდი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც სწორედ „ჯაყოს ხიზნების“ გამო დახვრიტეს ბოლშევიკებმა და დიდი მუხრანი...

„ეს ინფექციური დაავადება კარგა ხანი გვჭირდა, ოღონდ შედარებით მიყუჩებულ მდგომარეობაში. დამოუკიდებლობის მათრობელა ჰაერმა მხოლოდ მისი აქტივიზება მოახდინა. აქტივიზირებული მითი კი ძალიან მახინჯი გამოდგა...“

„რაოდენ უარყოფითადაც უნდა შევაფასოთ 1991-92 საშობაო გადატრიალება (და, ცხადია, უარყოფითად უნდა შევაფასოთ), შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ ეს კოშმარი, ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან ერთად დამთავრდა. არანაირი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დივიდენდების მომტანი ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მას შემდეგ აღარ არის. ერთხანს პირადობის მოწმობაში ეროვნულობის აღნიშვნისა და მიწაზე კერძო საკუთრების არაქართველებისთვის დაკანონება რჩებოდა უკანასკნელ ბასტიონად, მაგრამ ეს ორი ბასტიონიც ისე დაეცა, სერიოზული რყევები არ გამოუწვევია. დღეს მარგინალური ჯგუფები თუ ოპერირებენ იმ სქემებით, ოდესღაც ეროვნულობისა და ქართველობის აუცილებელ ატრიბუტად რომ ითვლებოდა... მოკლედ, ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მძიმე დანაკარგებით, მაგრამ მაინც, მოვიხადეთ, თუმცა საბჭოთა პერიოდში შეყრილი ინფექციური დაავადებების ნუსხა ამით არ ამოწურულა“.

ჰოდა, აქვე, პატივცემულო, ეს ზნედაცემული დაცემული ბასტიონების ჩამონათვალს აკეთებს: ქურდული მენტალიტეტი, ნომენკლატურული ინტელიგენცია და სააკაშვილის რეჟიმი. რის შემდეგაც მოთქვამს ბოლო, VI ბასტიონზე, რომელსაც სააკაშვილმაც კი ვერაფერი დააკლოო...

„უკიდურესად გაძლიერდა ეკლესია, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც სააკაშვილის გუნდმა ვერაფერი დააკლო, და დღეს ეკლესიის მორალური ავტორიტეტი ისე მაღლაა, როგორც არასოდეს. ბუნებრივია, მოვლენათა ამდაგვარმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას, და ეს იქნება კიდევ ერთი ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი, თუმცა ავადმყოფობის სიმძიმეც და გამოჯანმრთელების სტადიაც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები“.

## „ჭკუით ქართველებო“, საქართველოში რესპუბლიკელების დიქტატურა მყარდება!

ათასობით მამა-ბაბუების სახელით მოვითხოვ, რომ ჩვენი შვილების, შვილიშვილების განათლების მინისტრის მოადგილეს დაუყოვნებლივ დაატოვებინოთ თანამდებობა, ხოლო სხვა, ზემოთ მის მიერ წამოყრანტალებული ანტიქართული, განსაკუთრებით კი, ანტიმართლმადიდებლური გამოხდომების გამო, კომენტარი გააკეთეთ, რადგან ორში ერთია — ან დავით ზურაბიშვილი კოალიციასთან, ანუ თქვენთან შეთანხმებულ პოზიციებს გამოხატავს, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯაროდ უნდა დაგმოთ და გაემიჯნოთ თქვენს „ზამმინისტრს“!

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი საზოგადოება მიიჩნევს, რომ, არა მხოლოდ თქვენს ოდიოზ მინისტრის მოადგილესთან, არამედ მთელ რესპუბლიკურ პარტიასთან, ერთსისხლ და ერთხორც ხართ. აქ კი ვერც თქვენი, „სამების აღმშენებლის“ ავტორიტეტი დაგიცავთ, რადგან ქართველი კაცი ვერავის აპატიებს ჩვენი დედაეკლესიის ვერც შეურაცხყოფას და ვერც შეურაცხმყოფელის მფარველობას!

ისიც საკითხავია, რატომ ითვლებით მხოლოდ თქვენ სამების აღმშენებლად?! ამ საქმეში ხომ სხვა ბიზნესმენებიც მონაწილეობდნენ და, რაც მთავარია, ქართველი ერი, რომელიც უკანასკნელ ლარს სწირავდა მშენებლობას. სახარების მიხედვით, სწორედ იმის შენაწირია უფრო წონიანი, ვინც უკანასკნელს გაიღებს და არა ის, ვინც მხოლოდ ნაწილს სწირავს საკუთარი მილიარდებიდან — ამიტომაც უწოდა მისმა უწმინდესობამ სამების ტაძარს ქართველი ერის ავტოპორტრეტი. და ახლა რა გინდათ, პატივცემულო, ეს პორტრეტი პედერასტების როკვით წავბილწოთ?

**ჩემის მხრით კი გპირდებით, პატივცემულო, რომ სულ მალე დაიწყება საერთო სახალხო მოძრაობა, რესპუბლიკური პარტიის, როგორც მართლაც სახადის, გადასაშავებლად ქართული პოლიტიკიდან, რადგანაც ჩვენ 1 ოქტომბერს ხმა თქვენ მოგეცით და არა რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ თავზე დაგვასვით ქართველ ხალხს, რომელიც, აგერ უკვე 33 წელიწადია, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, ისე ხრავს და ჭამს ქართულ ეროვნულ სხეულს და მართლმადიდებლურ სულიერებას და მოგიწევთ მკაფიო არჩევანის გაკეთება, პატივცემულო!**

დიახ, არ ვაჭარბებ. თუ ასე გაგრძელდა, რესპუბლიკელების ნეოლიბერალური იდეოლოგიური დიქტატურა გარდუვალია და, როგორც ერთმა დიდმა (სხვათა შორის დასავლეთევროპელმა) ადამიანმა ბრძანა დიდი ხნის წინ, ლიბერალზე მძვინვარე მხეცი არ არსებობს!

**ჰოდა, იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ „ნაციონალური ცოცხი“ „რესპუბლიკურ-ლიბერალური ოყნით“ შეგვიცვალონ...**

**დავით მხეიძე**

**P.S. მოსკოვშიც სცადეს ამ უქმეებზე პედერასტების პარადის ჩატარება, მაგრამ პოლიციამ აქციის მონაწილენი დააკავა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, რუსეთის დუმის შარშანდელი დადგენილებით, რუსეთში 2112 წლამდე(!!!), ანუ 100 წლით აკრძალულია პედერასტობის პროპაგანდა!**

**სამაგიეროდ „გამოხატვის თავისუფლებით“ ისარგებლეს ვოლგისპირა ტოლიატში და სამამულო ომის მემორიალთან პრეზერვატივები დაალაგეს, შიდსით გარდაცვლილი პედერასტების მოსაგონებლად!**

**გეიპარადი ჩატარდა მოლდოვაშიც და ჰოი, საკვირველებავ! მიშას „უბიწო მამიდა“ შტეფან ფულე არ დავლანდე „შორტიკებით“ დემონსტრანტების თავში?**

**იგივე სცადეს ევროპისკენ მიმავალ კიევშიც, მაგრამ შეხლა-შემოხლის გამო ვერაფერი შეძლეს უკრაინელმა პედერასტებმა! სამაგიეროდ იქაური „ჩვენები“, ანუ „უკრაინელი მუჟიკები“ სიმწრით ხუმრობენ — „ვ ევროპუ, ჩერეზ პოპუ“...**

**ყველაზე ნიშანდობლივი რამ კი კანის კინოფესტივალზე მოხდა, სადაც ოქროს პალმის რტო ლესბოსურ „სიყვარულზე“ გადაღებულმა „შედევრმა“ მოიპოვა!**

**ჰოდა, იქნებ ახლა მაინც დაფიქრდეს ის ახალი, ქქქ-ს დამცველი და ეკლესიასთან მებრძოლი — საით მიდის ჩვენი „მეგობარი“ ევროპა-ამერიკა და სათ მიჰყავთ საქართველო.**

უცხო თვალით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჰოლანდიის საელჩო აბსოლუტურად ფლეგმატური, ბრმა იყო და არაფერი გაუკეთებია ადამიანის უფლებების შესახებ ჩივილებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ერთი ჰოლანდიელი კი (მარსელ ბრანდსი) 2010 წელს საქართველოდან გაადეპორტეს, როდესაც მან ციხეებში წამების შესახებ დაწერა. ის ჰოლანდიის საელჩომ გაადეპორტა სანდრას ხალხის დახმარებით. სირცხვილია. სხვა ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებიც ნეგატიურ როლს ასრულებდნენ და იმდენად სუსტები იყვნენ, რომ ამან წაახალისა სააკაშვილი, „ვაგზლის თამაშიც“ კი ეთამაშა.“**

# უილიამ ვანდერვაიდი: საქართველო ნატოს წევრი არასოდეს გახდება, სააკაშვილი პოლიტიკაში არასოდეს დაბრუნდება

**სპორტის სასახლეში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ყრილობა 2013 წლის 19 მაისს გამართა. ყრილობის ლოზუნგი „რეჟიმი უნდა გასამართლდეს, სამართლიანობა უნდა აღდგეს!“ იყო. სხვა გამომსვლელებთან ერთად, სიტყვით ჰოლანდიის მოქალაქე, ასოციაციის „ხალხი ხალხისთვის“ თავმჯდომარე უილიამ ვანდერვაიდი გამოვიდა. ჰოლანდიელი უფლებადამცველის სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ „სააკაშვილის მიერ დაარსებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის შედეგად 9970 ადამიანმა დაკარგა კერძო საკუთრება, 2-დან 5 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე წაგართვეს თქვენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსან წევრთა უმეტესობა ნარკოტიკულ საშუალებებზე იყო დამოკიდებული“. ასევე ბატონმა ვანდერვაიდმა ბრალი დასდო რიგი ქვეყნების საელჩოებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანადგომასა და ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევის უგულებელყოფაში. რატომ ამბობს ჰოლანდიელი უფლებადამცველი უილიამ ვანდერვაიდი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი „მიკი მაუსია“ და რას ფიქრობს ახალი ხელისუფლების შესახებ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუდან შეიტყობთ.**



**— საქართველოში როდის და რა მიზნით ჩამოხვედით?**

— 2009 წელს, ეკოლოგიური მიწათმოქმედების შესახებ გამართულ შეხვედრაზე და 2010 წელს, რათა მენახა, როგორ ჩამეტარებინა სოფლის მეურნეობისა და რძის პროდუქტების წარმოების წინასაპროექტო კვლევა ალაზნის ველზე, კახეთში. 1983 წლიდან მანქანით ვმოგზაურობდი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, 1992-1996 წლებში ვცხოვრობდი უკრაინაში და საკმაოდ დიდხანს სლოვაკეთშიც. ძირითადად ჩართული ვიყავი ყველისა და ბიოსასუქების პროდუქციის წარმოებაში. 2008 წლიდან ირანში აქტიურად ვქადაგებდი ქრისტიანობას. ასოციაციების „ახალი მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“ და „ხალხი ხალხისთვის“ (ადამიანის უფლებები) დამფუძნებელი და თავმჯდომარე გახლავართ.

**— რატომ ფიქრობთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს? რა სახის მტკიცებულებები გაგაჩნიათ რეჟიმის წინააღმდეგ?**

— **სააკაშვილის რეჟიმი არ იყო დემოკრატიული ხელისუფლება, ეს იყო ფანტაზიისა და დაბალი დონის ქცევის „ჰიბრიდი“. ხალხის მიმართ მოპყრობა და ციხეებში წამება ჩვენთვის უკვე 2010 წლიდან გახდა ცნობილი. სააკაშვილმა და მისმა მეუღლემ — სანდრამ თავიანთი კულტი შექმნეს და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად „ელიტური კორუფცია“ დაამკვიდრეს, ასევე ბოროტად გამოიყენეს აშშ და ევროკავშირი.** რატომ არ გადადგა სააკაშვილი მას შემდეგ, რაც გამჟღავნდა მისი და მისი გუნდის სიცრუე, რომ „დემოკრატები“ არიან და ევროკავშირში შევლენ. ის ყოველთვის სხვებს ადანაშაულებს და ბოდიშს არასდროს იხდის თავისი ცუდი ქცევის გამო. ჩემი აზრით, ის „მიკი მაუსია“. მისი მეუღლე სანდრა რულოვსი კინოს იღებს იმის შესახებ, თუ რა ხდება აქ (ინეკე სმიტი გადაიღებს ფილმს). **ნიდერლანდებში ხალხმა არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა ხდება აქ სინამდვილეში. ისინი იფიქრებენ, რომ სააკაშვილი გმირია, სანდრა კი — „პრინცესა“, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია.** სირცხვილია ნიდერლანდელი ხალხის მოტყუებაც. ჩვენ მხოლოდ სიმართლე გვინდა. ამიტომაც გამოვხატავ ჩემს აზრს, რომელიც ფაქტებზეა აგებული.

**— ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, დაკავების შესახებ რას გვეტყვით?**

— **მერაბიშვილის დაკავება ძალიან დაგვიანდა და იმ კრიმინალიდან გამომდინარე, რომელიც მან ჩაიდინა...** დაუჯერებელია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ მუშაობს და ლეგალურია და ახალ არჩევნებშიც შეუძლია მონაწილეობის მიღება. **პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვარ, მაგრამ, როდესაც მათ სახეებს ვხედავ, ცუდად ვხდები და ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი სიცოცხლე ასეთ ხალხზე არ არის დამოკიდებული. მას სხვები მიჰყვებიან და „ბოლო“ პრეზიდენტი უნდა იყოს, რათა წიგნი დაიხუროს.** ძალიან ვწუხვარ, რომ ჰოლანდიის საელჩო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მთელი ამ დროის მანძილზე მხარს უჭერდა და ჩვენი სამუშაოს დისკრედიტაციას ეწეოდა.

**— ახალი ხელისუფლების შესახებ რას ფიქრობთ?**

— ახალი ხელისუფლება დროულად მოვიდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი მეგობარი და ჩვენი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ქებურია გლდანის მე-8 საპყრობილეში, სადაც იგი აწამეს, მოკლული იქნებოდა. იქაც ვაპროტესტებდით და ჩვენმა საელჩომ (ნიდერლანდების) არაფერი გააკეთა ჩვენს დასახმარებლად.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური მსახიობი არაა, იგი ხედავს იმასაც, რომ მისი კოალიციის წევრებს „ნაკლი“ გააჩნიათ, მაგრამ აქ ბევრი ხელსაწყო კარგად არ მუშაობს და სოფლის მეურნეობაში კვლავ „უბედურება“ ტრიალებს. მსურს დავეხმარო, თუმცა ეს ყველაფერი სხვა გზით უნდა მოხდეს, ჯერ უნდა დავინახოთ დამოკიდებულება და არ მოვწიოთ სიგარეტი და არ გავანადგუროთ ბუნება ქიმიით. **არ არსებობს ნამდვილად ჯანსაღი ნიადაგი საქართველოში და არც არავის აწუხებს ეს – ეს ჩემი დასკვნაა, როგორც სოფლის მეურნეობისა და რძის პროდუქტების სპეციალისტის.** რაც არ უნდა იყოს, ეს „იმედისმომცემი ქვეყანაა“.

**— ჰოლანდიისა და სხვა საელჩოების გამო ბოდიში რატომ მოიხადეთ?**

— **ჰოლანდიის საელჩო აბსოლუტურად ფლეგმატური, ბრმა იყო და არაფერი გაუკეთებია ადამიანის უფლებების შესახებ ჩივილებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.** ერთი ჰოლანდიელი კი (მარსელ ბრანდსი) 2010 წელს საქართველოდან გაადეპორტეს, როდესაც მან ციხეებში წამების შესახებ დაწერა. ის ჰოლანდიის საელჩომ გაადეპორტა სანდრას ხალხის დახმარებით. სირცხვილია. სხვა **ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებიც ნეგატიურ როლს ასრულებდნენ და იმდენად სუსტები იყვნენ, რომ ამან წაახალისა სააკაშვილი, „ვაგზლის თამაშიც“ კი ეთამაშა.** ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია რეჟიმთან ერთად მუშაობს, რათა საერთო ფული ჰქონდეთ და, სხვათა შორის, ნანა კაკაბაძის ასოციაციას არასოდეს აულია გრანტი. იგი თამამი იყო და ყოველთვის ავლენდა გამბედაობას. მხოლოდ ევა პასტრანას, ევროკავშირის ადამიანის უფლებებზე მომუშავე ესპანელს, სურდა დახმარება და უჩიოდა სააკაშვილს, მაგრამ იგი მარტო იყო და არავინ არაფერი გააკეთა.

670 ადამიანი მოკლეს ციხეში... სტრუქტურული წამება, გაუპატიურებაც კი და 9970 ადამიანია საკუთრებაწართმეული. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალური პარტიაა და უნდა ამოიშალოს რეგისტრაციიდან საქართველოში და ევროპის სახალხო პარტიიდან. ეს ხალხი, სააკაშვილის ჩათვლით, ქართულ სასამართლოში უნდა გასამართლდეს. სააკაშვილმა დაიწყო ომი და მოკლა უდანაშაულო ხალხი და ბრალი დასდო რუსეთს.** ხალხის სიყვარული ნიშნავს, აამაღლო მათი ცხოვრების ხარისხი და დონე. იყო კარგი მოქალაქე, ნიშნავს, — ნაკლები პრობლემა შეუქმნა ხელისუფლებას, რომელსაც სურს, მოემსახუროს ხალხს და არა ხალხი ემსახუროს მას.

**— რა სახის რეკომენდაციას მისცემდით ახალ ხელისუფლებას?**

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეფორმა უნდა ჩაატარონ, ამისთვის ჩემს მოსაზრებებს გავუზიარებ სახელისუფლო მრჩეველს. **უნდა აიკრძალოს მავნე ქიმიური პრეპარატები და ბუნებისადმი დამოკიდებულების დაბალი დონე, ცხოველებიც კი უნდა დავიცვათ. ინვესტორები, რომლებიც შემოვლენ, აუცილებლად უნდა გაუფრთხილდნენ ქვეყანას და არ უნდა იყვნენ მხოლოდ ფულის კეთებაზე ორიენტირებულები.** ვიმედოვნებ, ერთხელ მაინც შევხვდები ბიძინა ივანიშვილს და მივუტან კარგ ამბავს მის დასახმარებლად.

მაგალითად, „გეების დემონსტრაცია“ 17 მაისს იყო ძალიან ცუდი მაგალითი, თუ ვინ უჭერდა მხარს გეების ცხოვრების სტილს... მაგრამ ასევე ცუდი მაგალითი იყო ეკლესიის მხრიდან, რომელიც ჩართული იქნა ძალადობაში. **ბრალს ვდებ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრსაც, რომელიც მთავრობის წევრია. 17 მაისის დემონსტრაცია უნდა ანულირებულიყო და არ უნდა მისცემოდათ მისი ჩატარების საშუალება.** მე რომ საქართველოს ელჩი ვყოფილიყავი, ჰოლანდიელ მინისტრს ვეტყოდი, რომ პატივი ეცა ბიბლიური პრინციპებისთვის და საქართველის შიდა, მორალურ საკითხებში არ ჩარეულიყო.

**— თქვენი მოლოდინი საქართველოსა და მისი პოლიტიკური კურსის შესახებ.**

— სააკაშვილის დრო საბოლოოდ დასრულდა, იგი არ დაბრუნდება პოლიტიკაში და იმედი მაქვს, ერთხელაც, ქრისტიანულად ცხოვრებას დაიწყებს. რაც უნდა იყოს, იგი ჩართულია კრიმინალში და მძიმე კორუფციაში. დიახ, იგი პროფესიონალი მატყუარაა და იყენებდა დიდ პიარმანქანას. **საქართველო ნატოს წევრი არასოდეს გახდება. ეს არაა გამოსავალი. თუ მშვიდობაზე ვლაპარაკობთ, ტანკები საჭირო არაა.** ახალგაზრდები უნდა იყვნენ მოტივირებულები, რათა დასაქმდნენ ჯანსაღი საქმით და არ იფიქრონ ომში წასვლაზე. ეს არის ჩემი სურვილი და რჩევა.

**«სააკაშვილმა და მისმა მეუღლემ — სანდრამ თავიანთი კულტი შექმნეს და «ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან» ერთად «ელიტური კორუფცია» დაამკვიდრეს, ასევე ბოროტად გამოიყენეს აშშ და ევროკავშირი»**

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

„საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტეა, როდესაც აკრედიტებული ქვეყნების ელჩები გიბარებენ და თითს გიქნევენ. რატომღაც ეს დიპლომატები არასდროს შეკრებილან სააკაშვილის ბანდიტური ქმედებების წინააღმდეგ 9 წლის განმავლობაში და დღეს გაახსენდათ კონსტიტუცია და კანონები. ეს კონსტიტუცია და კანონები ნორმალურობას უნდა იცავდეს და არა ასეთ აღვირახსნილობას. რატომღაც ჩვენი ევროპელი დიპლომატები დაბეჯითებით იცავენ იმას, რის წინააღმდეგაც გამოდის მილიონზე მეტი ფრანგი და სხვა ქვეყნების აღშფოთებული საზოგადოება“.

საზოგადოებრივი აზრი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აუცილებელია, კანონმდებლობით აიკრძალოს სოდომიისა და გარყვნილების პროპაგანდა

**17 მაისს, ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, თბილისში განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოს თითქმის ყველა გავლენიანი გამოცემა გამოეხმაურა. მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება ლგბტ-ების მიმართ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურია.**
**ნეგატიურ მუხტს აღვივებს ხელისუფლების მიერ სოდომისტების მიკერძოებულად წახალისება, რაც უკიდურესად არასახარბიელოდ მოქმედებს „ქართული ოცნების“ რეიტინგზე.**
**„საქართველო და მსოფლიომ“ საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს დაუსვა შეკითხვა — მათი აზრით, საჭიროა თუ არა კანონი, რომელიც აკრძალავს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას და სოდომიის, გარყვნილების პროპაგანდას?**
**ჩვენს რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ — დაუჭერენ თუ არა მხარს „ქართული ოცნების“ კანდიდატს, თუკი ხელისუფლება გააგრძელებს მართმადიდებელ ქრისტიანთა ხარჯზე სოდომისტების პარპაშის წახალისებას?**



**სანდრო ბრეგაძე, მოძრაობა „ეროვნულების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— ჩემი აზრით, გარყვნილების პროპაგანდა ისედაც აკრძალული უნდა იყოს, მაგრამ, თუ ამას საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება, ალბათ, ლოგიკურია, რომ ეს ცვლილებები სასწრაფოდ შევიდეს კანონში.

რაც შეეხება მეორე კითხვას, არ ვარ ჩამოყალიბებული, თუ რომელ კანდიდატს დავუჭერ მხარს.

**— თუ დაუჭერთ მხარს ისეთ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელიც წინააღმდეგი არ იქნება, ვთქვათ, ერთსქესიანთა ქორწინებების ან აღლუმების ჩატარების?**

— მე მხარს დავუჭერ ისეთ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იდგება.



**ნიკოლოზ მჟავანაძე, ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციის „უფლებადამცველთა გაერთიანება“ თავმჯდომარე:**

— კანონმდებლობა ისეთი უნდა იყოს, რომ არ ხდებოდეს გარყვნილების პროპაგანდა, რაც დღეს საქართველოში ხდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში აქტიურად მსჯელობენ ინცესტის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. შვედეთისა და დანიის პარლამენტში იმაზე ფიქრობენ, რომ ინცესტი განიხილებოდეს, როგორც ახალი გენდერული კავშირი. აი, აქამდე მივიდა ევროპა! დროა, ავირჩიოთ, — საით მივდივართ. თუ დღეს იმის უფლებას მივცემთ სექსუალურ უმცირესობებს, რომ თავისუფლად ატარონ აქციები და აღლუმები (რა თქმა უნდა, სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ამათ სურთ), შემდეგში დაიწყება საუბარი ერთსქესიანთა ქორწინებებზე, ინცესტზე და სხვა გარყვნილებებზე, რომელთა დაკანონებაზე ევროპაში უკვე აქტიურად იბრძვიან. **აუცილებელია ჩვენს კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და აიკრძალოს გარყვნილების პროპაგანდა, რისკენაც პატრიარქიც მოუწოდებს ხელისუფლებას.**

მიხეილ სააკაშვილის პერიოდშიც კი არ მომხდარა, რომელიმე სასულიერო პირისთვის ბრალი წაეყენებინოთ, თუ არ ჩავთვლით ეკლესიისგან განკვეთილ მამა ბასილ მკალავიშვილის დაკავებას. აქედან გამომდინარე, ესაა სირცხვილი. დასავლეთი რასაც გვეტყვის, ყველა შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ?!

**„ქართული ოცნება“ თუკი ასეთ პოლიტიკას გააგრძელებს, დაკარგავს რეიტინგს საზოგადოებაში და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ამიტომ ვფიქრობ, რომ შემდეგ არჩევნებზე მათ სრული ფიასკო ემუქრებათ. ის, რომ მათ ავტორიტეტი უკვე შეერყათ, ნაძალადევის მაჟორიტაროზის არჩევნებმაც გვიჩვენა. ისინი მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, სანამ ასეთ პოლიტიკას გააგრძელებენ.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— დიდი ფილოსოფია არ სჭირდება იმას, რომ ამ კანონის მიღება აუცილებელია. სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში გარყვნილების პროპაგანდა ძალიან გაძლიერდა. ამის წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. რაც შეეხება რელიგიას, ეს ისეთი რამ არის, რაც სათუთ მოპყრობას საჭიროებს. **სახელმწიფოსა და რელიგიას შორის არსებობს შეთანხმება — კონკორდატი და, თუ ჩვენ დავიცავთ ამ პრინციპებს, რომლებიც ამ შეთანხმებითაა განსაზღვრული, სპეციალურად ახალი კანონის მიღება საჭირო აღარ იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ნაკლებად აქცევენ ყურადღებას სხვისი რწმენის პატივისცემის საკითხებს.**

ცხადია, საზოგადოების დიდი ნაწილი რელიგიას მიიჩნევს ისეთად, რომელიც საჭიროებს ფაქიზ მოპყრობას, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აკრიტიკებენ ან ლანძღავენ და ა.შ., რაც გამოწვეულია გარკვეული თავისუფლების ტალღით, რომელიც დასავლეთიდან მოდის.

ამით გალაღებულმა ქართველი საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ეკლესიის აუგად მოხსენიება დაიწყო. ინტერნეტში ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას პატრიარქს. მსგავს რამეს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, ისევე, როგორც სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა წერტილი დაესვას იმ აღვირახსნილობას, რომელიც დღესდღეობით საქართველოში მიმდინარეობს.

**თვითონ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის ან ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამები, რომ საქართველო ყველა უმცირესობის უფლებებს დაიცავს, ასეთი თამაში იმისთვის, რომ ხელისუფლება შეინარჩუნო, მისაღები არაა.** შეხედეთ, საფრანგეთში რა ხდება. მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა და მოითხოვა პრეზიდენტ ოლანდის გადადგომა, რომელმაც მიიღო კანონი ერთსქესიანთა ქორწინებასა და ბავშვის აყვანის უფლების შესახებ. ასე რომ, ნუ ვიქნებით რომის პაპზე უწმინდესნი.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტეა, როდესაც აკრედიტებული ქვეყნის ელჩები გიბარებენ და თითს გიქნევენ. რატომღაც ეს დიპლომატები არასდროს შეკრებილან სააკაშვილის ბანდიტური ქმედებების წინააღმდეგ 9 წლის განმავლობაში და დღეს გაახსენდათ კონსტიტუცია და კანონები. ეს კონსტიტუცია და კანონები ნორმალურობას უნდა იცავდეს და არა ასეთ აღვირახსნილობას. რატომღაც ჩვენი ევროპელი დიპლომატები დაბეჯითებით იცავენ იმას, რის წინააღმდეგაც გამოდის მილიონზე მეტი ფრანგი და სხვა ქვეყნების აღშფოთებული საზოგადოება.

რაც შეეხება პრეზიდენტის კანდიდატურის მხარის დაჭერას, არც ვაპირებდი მისთვის მხარი დამეჭირა. და საერთოდ, ჩემი აზრით, არ ღირს ამ არჩევნებში მონაწილეობა. **თუკი „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშივილი ასეთი გამონათქამების გაკეთებას გააგრძელებს, ცუდად დაამთავრებენ. რატომღაც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ასეთი პოზიცია მისაღები იქნება ქართული საზოგადოებისთვის.** პირიქით, ამით შეიძლება მან ის ამომრჩეველიც დაკარგოს, რომელიც ჰყავდა.



**გოგა ხაინდრავა, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი:**

— კანონი, რომელიც აკრძალავს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას და სოდომიის, გარყვნილების პროპაგანდას, აუცილებლად მისაღებია, რათა ამ პროპაგანდით ჩვენი ახალგაზრდობა არ გაიხრწნას. დღეს ყველაფერი დაშვებულია. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა მართლმადიდებლობა საქართველოში და რომელზეც დგას დღეს სახელმწიფო და იდგა 2000 წლის განმავლობაში, ვერ ეგუება გარყვნილების, სოდომისა და გომორის პროპაგანდასა და აფიშირებას.

მეორე კითხვა არაკორექტულად მიმაჩნია. არ ვთვლი, რომ ხელისუფლება ახალისებს ასეთ ფაქტებს. არა მგონია. ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია.

**— ყოველ შემთხვევაში, მხარს უჭერს. რომელიმე კანდიდატი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში თუ ჩაწერს, რომ ლოიალური იქნება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ და ერთგვარად წაახალისებს კიდეც მათ ქმედებებს, ამ შემთხვევაში რამდენად მისაღები იქნება თქვენთვის ეს კანდიდატურა?**

— ჩემი აზრით, ამ თემაზე საუბარი ნაადრევია. ბუნებრივია, ყველა ამომრჩეველი თავის არჩევანს გააკეთებს, როცა გაერკვევა კანდიდატების საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამაში. დღეს ამაზე საუბარი, ჩემი აზრით, უაზრობაა. ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, **პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც სოდომიის პროპაგანდისტი იქნება, მხარდაჭერას ვერასდროს მიიღებს საქართველოში.**



**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის“ რედაქტორი:**

— გარყვნილების პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი რიგ ქვეყნებში უკვე მიიღეს. ახლა მიიღო რუსეთის რესპუბლიკის ქვედა პალატამაც. ინტერპრეტაცია ასეთი აქვს ამ კანონს: მოზარდი თაობის გამრყვნელი ქმედებების წინააღმდეგ მიმართული კანონი, რომელიც, აუცილებელია, ზუსტად ამ კონტექსტით მიიღონ საქართველოშიც.

**რაც შეეხება იმას, დავუჭერ თუ არა მხარს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს, პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ არ დავუჭერ!** ეს არაა ქართული სინამდვილე. ქართული საზოგადოებისთვის ცხვირში ამის ტენვა არ შეიძლება. ჩვენ არავის ვუვარდებით სახლში და ნურც ნურავინ შემოგვივარდება. ქუჩაში რომ გამოდიან და თავიანთ ორიენტაციას თავს რომ გვახვევენ, ჰკითხონ საკუთარ თავს: მათი მშობლები რომ მათნაირები ყოფილიყვნენ, მოევლინებოდნენ ქვეყანას?! კი ამბობენ, ავადმყოფები არ ვართო, მაგრამ მგონია, რომ გენეტიკური შეცდომის შედეგნი არიან. იყვნენ თავისთვის და ჩვენ ნუ მოგვახვევენ საკუთარ აზრს. **„ქართულ ოცნებას“ მათ მიმართ მხარდაჭერას ვერ მოვუწონებ. ჩემთვის მთავარი არაა, პენსია მომემატოს, რა თქმა უნდა, ესეც არსებითია, მაგრამ მთავარი მაინც მორალია და ზნეობა. რაც მივიღე მამა-პაპათაგან, ის უცვლელად უნდა გადავცე შვილებსა და შვილიშვილებს.**



**ირინა სარიშვილი, პარტია „იმედის“ ლიდერი:**

— ეს კანონი უკვე უნდა არსებობდეს, უბრალოდ, აქამდე გარყვნილების, ცოდვის პროპაგანდის ასე აშკარა მცდელობაც არ ყოფილა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები უცოდველები არიან, ლაპარაკია ამ ცოდვების პროპაგანდაზე. **ეს კანონი ისევეა საჭირო, როგორც მკვლელობის და ნებისმიერი სხვა დანაშაულის ცოდვის იდენტურობის აკრძალვა.** კანონი ჩვენთან კრძალავს ყველაფერს, რაც ხელყოფს ადამიანს ამა თუ იმ ფორმით, იქნება ეს ქურდობა, მკვლელობა, უბრალოდ, შეურაცხყოფა, ცილისწამება და ა. შ. ცოდვისა და გარყვნილების პროპაგანდაც არის ადამიანის უფლებების ხელყოფა.

**არც ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს, მათ შორის „ქართული ოცნებისაც“, არ დავუჭერ მხარს, თუკი ხელისუფლება გააგრძელებს მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხარჯზე სექსუალური უმცირესობების წახალისებას,** და მას ამ საკითხზე ჩემთვის მისაღები პოზიცია არ ექნება.



**ვიქტორ ცაავა, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე:**

— რა თქმა უნდა, უნდა მივიღოთ, აუცილებელია. დღეს, როცა გლობალიზაცია ასე მასიურად გვიტევს, ამ კანონის მიღებით ქართულ ფსიქოლოგიას, ქართულ ადამიანობას დავიცავთ, რომ არ დავიკარგოთ გლობალიზაციის მორევში.

**თუკი ხელისუფლება გააგრძელებს მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხარჯზე სოდომისტების პარპაშის წახალისებას, მხარს არ დავუჭერ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს.** ჩვენ წინა ხელისუფლება იმიტომ გადავაგდეთ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგმლი ჰქონდა, და ამ ხელისუფლებას, თუ იმავე გზას გააგრძელებს, მხარს კი არ დავუჭერთ, წინამორბედის ბედს დავუჩქარებთ.

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

ჰკა მაგათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აი, ჩემო ერო, ხელისუფლებაში სწორედ ის ხალხი მოვიდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სააკაშვილს ედგა გვერდით და ზურგს უმაგრებდა. არ ვიცი, როგორ ერგებით ყველა ხელისუფლებას და ანგრევთ ერის მონაპოვარს, მაგრამ 17 მაისმა აჩვენა, რომ საქართველო არ გადაშენდება, ჰყავს მას დამცველნი. თუ ხელისუფლება ვერ ახერხებს ამას, ჩვენ, ხალხი, გავაკეთებთ.“**



**მამა ბასილ მკალავიშვილი:**

# ვეკითხები ცოლ-ქმარს — ხიდაშელ-უსუფაშვილს და მათ მხარდამჭერებს:

# თქვენმა ვაჟმა სახლში რძლად მამაკაცი რომ მოგიყვანოთ, რა ჭკუაზე დადგებით?

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.**

**— მამაო, თქვენ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყავით 17 მაისის აქციისა, რომელიც გაიმართა გეების წინააღმდეგ. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ჩვენთან არს ღმერთი!

მე დაახლოებით 4 თვის წინ ინტერვიუში განვაცხადე, რომ მაისში ღვთისმგმობი რამ მოხდებოდა. გიგა ბოკერია, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი, რომელსაც ბოროტების მეტი არაფერი უკეთებია ერისთვის, ახლა თუ უზნეო ე. წ. საზოგადოების მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში, ვერ წარმოვიდგენდი. ამჟამად **ბოკერიასა და მისი ცოლის მიზანი იყო, საქართველოში დიდი პროვოცირება გამოეწვიათ. კერძოდ, ჩაეტარებინათ მამათმავლების, ლესბოსელებისა და სხვა ჯგუფების ზნედაცემულთა აღლუმი, შემდეგ კი წარედგინათ მოთხოვნა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით. „ნაცმოძრაობის“ ოფისში დაიგეგმა ყველაფერი. მათი დიდი სურვილით, „სისხლი უნდა დაიღვაროს, ძალიან გვაწყობს თუ მსხვერპლი იქნება“. ამით შეილახებოდა ახალი მთავრობის იმიჯი მსოფლიოს წინაშე.**

ისმის კითხვა: სანამ უნდა მფარველობდეს ბოკერია ანტიმართლმადიდებლურ ორგანიზაციებს? ციხის ბუნტის დროს 8 პატიმრის სიკვდილი მის კისერზეა. ამ შემთხვევაში, ჩვენდა საბედნიეროდ და მათდა სამწუხაროდ, პოლიციის პროფესიული ქმედებით ყოველივე უმსხვერპლოდ დამთავრდა, რამაც წონასწორობა დააკარგვინა ბოკერიას, რამეთუ მისი დირექტივებით არ წარიმართა პროცესი.

**— მამაო, დარწმუნებული ხართ, რომ მათ ბოკერია ხელმძღვანელობდა?**

— გარწმუნებთ, ფაქტებსაც მოგახსენებთ. ლგბტ-ს წევრები პოლიციამ განარიდა იქაურობას და ზემო ფონიჭალისკენ წაიყვანა. ჩვენი მრევლის წარმომადგენელი შეესწრო, ერთ-ერთი მათი აქტივისტი როგორ ეკითხებოდა ბოკერიას, — ბატონო გიგა, ახლა რა გავაკეთოთო. ეტყობა, ბოკერიამ ანიშნა, პუშკინის ქუჩით ადითო, რაც მათ გააკეთეს კიდეც. ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაფიქსირებულიყო მსოფლიოს დასანახად მათი მსვლელობა. ქართველი ერის ერთსულოვნებამ ეს არ დაუშვა. **ბოკერიას გეგმით, მათ რუსთაველის პროსპექტი უნდა გამოევლოთ და თავიანთ გარყვნილ წარმოდგენას დაასრულებდნენ მთავრობის სახლის წინ, იქ, სადაც 9 აპრილს ნიჩბებით დაჩეხილი ადამიანების სისხლი დაიღვარა. ღვთის განგებით, მათ ვერაფერი მოახერხეს. მსხვერპლიც არ იყო.** დღის ბოლოს, ბოკერიას ბრძანებით, ჩვენს მრევლში შემოგზავნეს სამი პიროვნება. სამთავეს ყველგან საყურეები ეკეთათ, ენაზეც კი. ისინი მრევლთან კონფლიქტში შედიოდნენ. იქ იდგნენ სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც მათ მიაგეს საკადრისი, ხოლო პოლიციამ ისინი მეტროში შეიყვანა და გააპარა. ეს კადრები ტელევიზიით იხილა საზოგადოებამ.

**კატეგორიულად მოვითხოვ, ამდენი არეულობისა და ბოროტების ჩამდენი ბოკერია ჩამოშორდეს საზოგადოებას. იგი უნდა დააპატიმრონ, რათა პასუხი აგოს მართლმსაჯულების წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბევრ უსიამოვნებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას.**

**— მამაო, გვახსოვს, რომ მარტო ებრძოდით თქვენს მრევლთან ერთად იეღოველთა და სხვა სექტებს. ამჯერად სხვა სამღვდელოებაც დაგიდგათ გვერდით, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროცესებში. რით ახსნით?**

— ჩემო კარგო, ჩვენი მრავალჭირნახული საქართველო ტანჯვა-ვაებით მოაბიჯებს დღემდე. დღეს მეტად შეჭირვებულნი ვართ. 9-წლიანმა რეჟიმმა სულ უკან დაგვწია. **ქვეყანა მაშინ არის ძლიერი, როცა მას მორწმუნე ხელისუფალი უძღვება, ასევე, როცა ერის სულიერი წინამძღოლი, ეკლესია, მოწოდების სიმაღლეზე დგას. დღეს კი ყოველი მხრიდან შემოტევაა და შეჭირვება, ამიტომ ერი და ბერი ერთად უნდა დადგეს და დაიცვას წინაპართა მონაპოვარი.** მადლობა უფალს, რომ ამჯერად საპატრიარქოს გარკვეული ნაწილი, რომელსაც აწუხებს სამშობლოს ბედი, გამოვიდა ერის ზნეობისა და მართლმადიდებლობის სადარაჯოზე. განსაკუთრებით მეუფე იაკობი, რომელიც ბოლო დროს გამოირჩევა აქტიურობით, ერის სასიხარულო ქადაგებებით, ღმერთმა მისცეს ძალა, მადლი, წყალობა. დღესდღეობით იგი ყველაზე აქტიური, ჭეშმარიტი ეპისკოპოსია. შევევედრები უფალს, რაიმე ცუდი არ მოუწყონ მას.

**— მამაო, მართალია, სასულიერო პირები გამოვიდნენ, მაგრამ, საპატრიარქოს განცხადებით, მათ დასჯით დაემუქრნენ.**



— აქ გასაკვირი არაფერია. ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია სასულიერო საქმეში, ყველამ უწყის, რომ ჭეშმარიტი წმიდა მამები, რომლებიც მხოლოდ სიმართლეს ემსახურებოდნენ, ყოველთვის ისჯებოდნენ, როგორც საერო ხელისუფლებიდან, ასევე სასულიერო იერარქიის წარმომადგენელთაგან. მათი ცხოვრების თანამგზავრი იყო დევნილობა, პატიმრობა, განკვეთა ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისთვის. მათ ისე ჰქონდათ გამჯდარი შინაგანად ღვთის მცნებების ერთგული მსახურება, წინააღმდეგობებს არ უშინდებოდნენ, ისევ აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მთავრობამ ხომ არ დაუქნია მათ თითი?**

— წინა ხელისუფლება აშკარად ერეოდა საეკლესიო საქმეებში. უფრო სწორად, ისინი მართავდნენ სინოდის კრებებს და მათი მითითებით იღებდა საპატრიარქო დადგენილებებს. მაგალითისთვის საკმარისია გარეჯის ვიზიტი და სამარცხვინო გადაწყვეტილებების მიღება.

გასაკვირი არ არის, ახლადარჩეულმა ხელისუფლებამ იგივე კურსი გააგრძელოს. **ეკლესიის როლი მოისუსტებს სარწმუნოების დაცვის საქმეში, ამიტომ გვჭირდება ჩვენ მსგავსი დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ვახტანგისა, ხოლო ეკლესიაში ამბროსი ხელაიას, კირიონის მსგავსი, სამწუხაროდ, ეს შემართება გვაკლია ჩვენ.** თუ ვინმე ხმას გაიღებს, მართლაც უქნევენ თითს. მათ ვურჩევდი: ღმერთს მინდობილი ადამიანი ყველაზე ძლიერია. ვინც შემართებით იბრძვის, მას ერი უნდა დაუდგეს გვერდით. ჩვენი სახელოვანი მეფეები ეკლესიას ემორჩილებოდნენ, ყოველი საერო საქმის ან საბრძოლო მდგომარეობისას პატრიარქისგან იღებდნენ ლოცვა-კურთხევას.

**— ლგბტ დაჯგუფებას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები უჭერენ მხარს. რით ახსნით ყოველივე ამას?**

— მე გული მტკივა ყოველივე ამაზე. სწორედ ეს ორგანიზაციაა, რომელიც ანგრევს ყოველგვარ ეროვნულს.

17 მაისს, ჩვენდა საბედნიეროდ, აქცია მშვიდობიანად, უმსხვერპლოდ დამთავრდა, რის გამოც ბევრი გალიზიანდა. იქედან მოყოლებული, ტელეეკრანებს არ მოშორებია საქართველოს ისტორიის უცოდინარები და სარწმუნოების მტრები, მეტს ვერაფერს დავარქმევ ამ ფაქტს. მეტად საინტერესოა, **მარტო ელიზბარ ჯაველიძის, რეზო ამაშუკელის და სხვათა, ღმერთმა დალოცოს, დასაცველია ჩვენი ქვეყნის ინტერესები? როგორ ამბობთ, 50-მდე დაუცველი პიროვნების წინააღმდეგ 30 ათასი გავეშებული ბრბო გამოდიოდა! სულ დაგიბნელდათ გონება? 50 გარყვნილი დასაცველია და 30 ათასი, უფრო სწორად 4 მილიონი მართლმადიდებელი ბრბოა ან ჩარეცხილები, როგორც სააკაშვილი „ბრძანებდა“? ამის შემდეგ როგორ აცხადებთ, რომ ქართველები ხართ?**

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფიქსირდება იეღოველები საქართველოში. სულ რაღაც 60-65 წლის ისტორია აქვთ. ისინი უსინდისოდ აცხადებენ, რომ საქართველოში ქრისტიანობა XX საუკუნეში შემოვიდაო, მათ შემოსვლას უკავშირებენ. 65 წლის წინ იყვნენ ერთეულები, დღეს კი ათასობით არიან, კალიებივით მოედნენ მთელ საქართველოს. მაშინ მე ხმამაღლა ვაცხადებდი, მიგვეხედა ამ სექტისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წალეკავდნენ საქართველოს, ბოლოს კი საპატრიარქოს კარზეც მიაკაკუნებდნენ. სავალალო ფაქტი სახეზეა. ჩვენ რომ იმათი მსვლელობა დავუშვათ ხვალ, ზეგ და ა.შ. უკვე იეღოველებივით გამრავლდებიან. აცნობიერებთ, 60-65 წლის შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ჩვენი მომავალი თაობა ამ სიბილწის მორევში აღმოჩნდება. თქვენ დღეს ეკრანებიდან მორალს გვიკითხავთ. ხვალ მაგ ეკრანებთან არ იქნებით, მაგრამ გარწმუნებთ, ღმერთთან მოგიწევთ წარდგომა. სწორედ თქვენნაირები აბრკოლებენ ერის წინსვლას. **ასე ძალიან თუ მოგწონთ ის 50 ზნედაცემული, ჩაუდექით წინ, ბოკერიასა და მისი ცოლის ხელმძღვანელობით, და ატარეთ თქვენი აგარაკების ეზოში. თქვენი ე. წ. ცივილიზებული ევროპული გამოსვლებით ნუ აღიზიანებთ ხალხს.**

ყველასთვის ცნობილია, რომ ე. წ. აღლუმის წინა დღეს მერიას ოფიციალურად მიემართა განცხადებით, გაუქმებულიყო მაგათი მსვლელობის ნებართვა. **თუ ჭეშმარიტი ხელისუფალი ხართ და განუხებთ სამშობლოს ბედი, გაგეთვალათ, რომ მათ ქმედებას რეაქცია მოჰყვებოდა საზოგადოების მხრიდან და გაგეუქმებინათ ნებართვა. მაგრამ ეს იმიტომ არ გააკეთეთ, რომ გრანტები არ დაგეკარგათ, ელიტარული საზოგადოებავ...**

**— მამაო, ეს ორგანიზაცია დიდი ხანია ჩამოყალიბდა საქართველოში?**

— ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, რომ ნინია კაკაბაძე რაღაც ორგანიზაციის ჩამოყალიბებას აპირებდა. როგორც ირკვევა, სწორედ ეს არის ის ლგბტ ორგანიზაცია, რომელიც საზღვარგარეთიდან ფინანსდება და იმართება. 17 მაისს ამ გარყვნილების დაცვის საერთაშორისო დღე იყო. ყველა ქვეყანაში უნდა ეჩვენებინათ მაგათი ბინძური მსვლელობა. საბედნიეროდ, ეს საქართველოდან ვერ იხილეს.

მეტად სამწუხაროა, რომ სოდომ-გომორის ცოდვით დაცემულთ შეუერთდნენ მართლმადიდებლობის მტერი ვაიქართველები.

**— მამაო, როგორც ვიცი პარლამენტშიც ჰყავთ მათ დამცველები...**

— როგორ არა. „ნაცმოძრაობის“ თითქმის ყველა წევრი და ისინიც, ვინც „ქართულ ოცნებაში“ მოღვაწეობენ, რომლებიც ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებენ მათ...

**— მამაო, იქნებ დააკონკრეტოთ?**

— ახლავე მოგახსენებთ. სიმართლე რაც უნდა მწარე იყოს, უნდა ითქვას.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ტელევიზიით გამომწვევად აცხადებდა, რომ ეს მსვლელობა მაინც ჩატარდებაო. სწორედ ამ მოწოდებამ გააღიზიანა მოსახლეობა და იმიტომ გამოვიდა იმდენი ხალხი. მისმა მეუღლემ, თინა ხიდაშელმა, ხალხს გავეშებული ბრბო უწოდა. **ვეკითხები ცოლ-ქმარს — ხიდაშელ-უსუფაშვილს და ყველა მათ მხარდამჭერს: თქვენმა ვაჟიშვილმა სახლში რძლად მამაკაცი რომ მოგიყვანოთ, გვაინტერესებს, რა ჭკუაზე დადგებით? ის, რაც პირადად თქვენთვის მიღებულია, სხვასაც ნუ მოახვევთ თავს.** თქვენი სავარძლები დროებითია. ხვალ მაქ სხვები იქნებიან. **17 მაისს ის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა 50 ზნედაცემულს კი არა, ფაქტობრივად, მსოფლიოს უზნეობას ებრძოდა.**

**— მამაო, როგორც ცნობილია, დაიწყეს მათი მხარდამჭერების ხელმოწერების შეგროვება, წარმოიდგინეთ, თითქმის 10 ათასამდე არიან...**

— მე მგონი, 10 ათასი და 3 მილიონი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. აი, ვინც ხელს აწერს, ყველა შავ სიაშია, საშინელი განკითხვისთვის. დღეს ყველგან — ქუჩაში თუ ტრანსპორტში — მათ მხარდამჭერებს აკრიტიკებენ. **ხალხიო, დაფიქ-**

**„დასავლეთმაც დიდი ფინანსები გამოყო საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის. წლების მანძილზე მას საქართველო სანიმუშო დემოკრატიის მქონე ქვეყნებს შორის ჰყავდა. ახლა კი გამოდის, რომ მითი სააკაშვილის სანიმუშო, კეთილსინდისიერ დემოკრატობაზე დასამარდა და დასავლეთს ხელში შერჩა ჩვეულებრივი კრიმინალური დაჯგუფება.“**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გულიკო ზუმბაძე:**

# ვანო მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარი კი არა, ჩვეულებრივი კრიმინალია!

**რებულხართ, ვის იცავთ? ერმა აგირჩიათ თქვენ და ნდობის მანდატი მოგანიჭათ. ამართლებთ მაგ ნდობას? რაღაც მეეჭვება. მოგვიტევონ პარლამენტის იმ წევრებმა, რომლებსაც მართლაც აწუხებთ ქვეყნის ბედი და, როგორც შეუძლიათ, იბრძვიან კიდეც.**

ახლა ვეცდები, მოკლედ შევეხო მართლაც უზნეო ბრბოს მხარდამჭერებს. ვითომ მწერლები: კოტე ყუბანეიშვილი, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი (მეზღაპრე), ამჟამად განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, ძმები ბერძენიშვილები, ჟურნალისტი ია ანთაძე, დავით პაიჭაძე, ეკა კვესიტაძე, ეკა ბერიძე, ელენე ხოშტარია, „რუსთავი 2“-ის, მე-9 არხის წარმომადგენლები საკმაო დროს უთმობენ მამათმავლებს, მათ მხარდამჭერებს, მიიწვევენ სტუდიაში და ცალსახად წარმოაჩენენ ყოველივეს. ქულებს იწერენ სოროსთან. **მოგმართავთ ჟურნალისტებო! წმიდა მამები გვასწავლიან: „გიყვარდეს მტერი შენი, ებრძოდე მტერს მამულისას, გძაგდეს მტერი უფლისა“.**

**პრეტენზიებს აცხადებთ, ეს ჩვენთვის ღმერთის მიერ მოცემული უფლებააო. რომელ უფლებაზეა ლაპარაკი ან რომელ კონსტიტუციაზე, რომელიც სააკაშვილმა ათასჯერ შეცვალა და თავისთავზე მოირგო?**

ღვთივბოძებული კანონები კი დიდი სჯულის კანონია მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დადგენილი, და წმიდა სახარება, რომელიც დოგმაა და არანაირ სიახლეს არ ექვემდებარება. უდიდესი მწვალებლები ექცეოდნენ მართლმადიდებელთა სასწაულებზე, თქვენ რა ხართ ასეთები, ასე გააფთრებით რომ ებრძვით უფალს!

ია ანთაძე აცხადებს, ქართველებმა ვერ ვისწავლეთ თანაცხოვრებაო. თითქმის მთელი მსოფლიო ჩვენთან დასახლდა თქვენივე ხელშეწყობით. **რატომ მაშინ არ ატეხეთ ასეთი აჟიოტაჟი, როცა მეჩეთების მშენებლობის საკითხი წყდებოდა? როცა გაიყიდა სრულიად საქართველო და ღვთივბოძებული წყალი და ჰაერიც აღარ დაგვრჩა?** იქნებ აქციის მეორე დღეს კანცელარიის წინ მომიტინგეები 15-20 კაცი რომ იდექით, ისინი წარმოადგენთ საქართველოს ან დავით ზურაბიშვილი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება და ქართული მართლმადიდებლობა ინფექციურ დაავადებად და სახადად გამოაცხადა? იქნებ გიგი თევზაძე, რომელსაც დიდი ილიას ინსტიტუტში მამათმავალი მასწავლებლები ჰყავს, რომლებიც სტუდენტებმა ცემეს, ინსტიტუტი გარყვნილების ბუდედ აქცია; **თქვენ აცხადებთ, საქართველო დასცილდა მართლმადიდებლობას და ცივილიზაციასო. მამათმავალი უნდა იყო, ცივილიზებულ ელიტაში რომ მოხვდე და ნატოში შეხვიდე? ან უზნეო დეისაძე? ჩვენ იმიტომა ვართ გაუნათლებლები, რომ მათ გარყვნილ მსვლელობას ტაშით არ შევხვდით?**

თქვენ, უმჯობესია, ზედმეტ ფილოსოფიას შეეშვათ, ხშირად წაიკითხოთ საქართველოს ისტორია და სჯულის კანონი. ამის შემდეგ ეგრე არ „იჭიკჭიკებთ“. ტელევიზიები საკუთარ ბიზნესად და ამორალიზმის ბუდეებად აქციეთ.

**აი, ჩემო ერო, ხელისუფლებაში სწორედ ის ხალხი მოვიდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სააკაშვილს ედგა გვერდით და ზურგს უმაგრებდა. არ ვიცი, როგორ ერგებით ყველა ხელისუფლებას და ანგრევთ ერის მონაპოვარს, მაგრამ 17 მაისმა აჩვენა, რომ საქართველო არ გადაშენდება, ჰყავს მას დამცველნი. თუ ხელისუფლება ვერ ახერხებს ამას, ჩვენ, ხალხი, გავაკეთებთ.**

**— მამაო, როგორც ვიცით, ისინი კვლავ აპირებენ აღლუმის ჩატარებას, სავარაუდოდ, ივლისში. თქვენ ისევ შეეწინააღმდეგებით?**

— როგორც მოგახსენეთ, მსვლელობა არ შედგა, რის გამოც მათ გრანტები დაკარგეს. ორგანიზატორები უსახსროდ დარჩნენ, ამიტომ ისინი კვლავ ეცდებიან, მოახდინონ ამ უზნეობის გამომზეურება. თუმცა მსვლელობა არ მოუწყვიათ, მაგრამ 24 მაისს, პოლიციის გაძლიერებული კორდონის თანხლებით, თავისი პოზიცია დააფიქსირეს. წაგვიბილწეს დედა ენის ძეგლი. ჩვენ, როგორც ყოველთვის, ვიქნებით იქ, სადაც საჭიროა, და წინ აღვუდგებით ყოველგვარ სიბილწესა და გარყვნილებას.

ე.წ. პატრიოტები ჩააგონებენ პოლიციას, რომ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ წყლის ჭავლი, ხელკეტები და დაეშალათ ქართველები.

**მე მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს: სჯობს, სამსახური მიატოვოთ, ვიდრე ხელი აღმართოთ მართლმადიდებელზე, რამეთუ თქვენი სული, გული, კაცობა ქართული გენიდან მოდის, ამიტომ მოიქეცით 17 მაისს ისე ღირსეულად.**

გთხოვთ, გაამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ეს ზნედაცემულნი სრულიად საქართველოს შეურაცხყოფენ. სხვას რას უნდა მივაწეროთ მათი პროპაგანდა, სამარცხვინო გამოსვლები. ამიტომ მთელი ერი უნდა დავდგეთ ერთად. ძალა ერთობაშია. ხმა ღმრთისა, ხმა ერისა.

**— მამაო, თქვენ იქ ჭინჭრებით მიხვედით. რას ნიშნავდა ეს?**

— ჭინჭარი იყო სიმბოლო მამათმავლების წინააღმდეგ მიმართული, როგორც დამსუსხავი და ამომძირკველი ყოველგვარი უზნეობისა. თუმცა ზოგიერთი აღნიშნავს, ჭინჭრით დასუსხვა გარკვეულწილად მკურნალიაო, ღმერთმა ქნას განიკურნონ.

**მივმართავთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს: ყოველგვარი ეს სიბილწე მიუღებელია ჩვენთვის. მას ჩვენი ერის საღი ნაწილი ვერ შეეგუება. გთხოვთ, თქვენი მეშვეობით წერტილი დაუსვათ ერის გადაგვარების ქმედებებს, სწორედ ამაზე ოცნებობს ამერიკა.**

იმ შემთხვევაში კი, თუ მთავრობა კვლავ დაუშვებს მათი სიბილწის წარმოჩენას, გარწმუნებთ, არ აგვცდება სოდომ-გომორის სასჯელი.

მოვუწოდებ ქართველ ხალხს, წინ აღვუდგეთ ყოველგვარ უმსგავსობას, რათა დავიცვათ „ენა, მამული, სარწმუნოება“.

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

ესაუბრა
**გიორგი მაისურაძე**

---





**უკვე შვიდი თვეა, რაც ქვეყანას ახალი ხელისუფლება ჩაუდგა სათავეში. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. დაიწყო თუ არა საქართველოს მთავრობამ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა და რა მიმართულებებით ვითარდება პროცესები საქართველოში, ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავჯდომარე გულიკო ზუმბაძე ესაუბრება.**

**— როგორ შეაფასებთ 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს?**

— უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ორივე მხარეს ჰქონდა საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებაც და საშუალებაც, მაგრამ, აქცია უფრო მშვიდ ვითარებაში რომ წარმართულიყო, გაცილებით მეტ სასიკეთო შედეგს მოგვცემდა. მეორე მხრივ, გავიხსენოთ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში გამართული არაერთი საპროტესტო გამოსვლა, როცა **ურიცხვი ადამიანი იდგა ქუჩაში და ხალხის მხრიდან არც ერთი ძალადობისა თუ ვანდალიზმის ფაქტი არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის მთავრობა უმოწყალოდ არბევდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს — სცემდა და აპატიმრებდა მათ. მაგრამ ხალხი ქუჩებში მაინც გამოდიოდა და თავის დამოკიდებულებას საჯაროდ გამოხატავდა. ამ ფონზე მეც ძალიან მაინტერესებს, რა მოხდა 2013 წლის 17 მაისს.** მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე ჯერ საზოგადოებას არ უმსჯელია და თავისი სიტყვა არ უთქვამს. ასევე ზედმეტი არ იქნება, თუ საკითხს ფსიქოლოგები შეისწავლიან და თავიანთ აზრს გაგვიზიარებენ. რა ხდება მაშინ, როცა ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასს — მის ოჯახსა და სარწმუნოებას, მისი ქვეყნის მომავალს შეეხება „მომხდური“? ქართველი კაცი ამას ვერასდროს ეგუებოდა. ამჯერად რასთან გვაქვს საქმე, ყველამ ერთად უნდა ვიმსჯელოთ.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვგმობ ყველანაირ ძალადობას და მსგავს შემთხვევებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ქვეყანაში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, **LGBT საზოგადოების ინტერესების დამცველი ორგანიზაციები, მიუხედავად ხალხის მასობრივი პროტესტისა, კვლავ ატარებენ პროვოკაციულ აქციებს. მაშ, სად არის აქ ძალადობა? ვინ ვისზე ძალადობს? პირდაპირ თუ ირიბად ხომ არ მიმდინარეობს ძალადობა სწორედ ქართველ ხალხზე და მის ცნობიერებაზე? ხომ არ არის ისე, რომ ვიღაცას ხელს აძლევს პროცესების ამგვარი განვითარება?** მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენი მასშტაბისა და დემოგრაფიის მქონე ქვეყანას, მგონი, არ აქვს ამგვარი აქციების გამართვის ფუფუნება.

**— რაში ხედავთ გამოსავალს?**

— რამდენადაც არ ვარ მთავრობის წევრი, გიპასუხებთ, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, ვთვლი, რომ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის კანონი უნდა გადაიხედოს და გამკაცრდეს. **არავის აქვს იმის უფლება, ადამიანის დევნა აწარმოოს გარეგნული ნიშნით, ჩაცმულობის ან თუნდაც სექსუალური ორიენტაციის გამო. ამ ქვეყანაში არსებობის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ, ამავე დროს, კანონით უნდა აიკრძალოს გარყვნილების საჯარო პროპაგანდაც და დემონსტრირებაც.**

**— ყოფილ პრემიერთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: უნდა დაეკავებინათ თუ არა ვანო მერაბიშვილი?**

— აუცილებლად უნდა დაეკავებინათ, მიუხედავად იმისა, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანია, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოლიტიკური ლიდერის რანგშია დაფიქსირებული და ასე შემდეგ. ეს გაკეთდა მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე დასავლეთის მხარდაჭერით მას გარკვეული ხელშეუხებლობის გარანტიები მიეღო. **ჩვენ ყველამ ვიცით, ვინც არიან ვანო მერაბიშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერები. მათი „საქმენი საგმირონი“ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ხალხმაც და ქვეყანამაც.** შევიწროება, დევნა, ბიზნესისა თუ სხვა კერძო საკუთრების წართმევა — ეს ვანო მერაბიშვილის სტილია. უგულავაც უნდა დააკავონ ან მინიმუმ მერობას მაინც უნდა ჩამოაშორონ. მაგრამ, რაკი ასე არ მოხერხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ჯერ კიდევ მიკერძოებულია. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, რომელთაც მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ, ერთად ჩადიოდნენ კრიმინალს.**

**— უცხოელი დიპლომატების მიერ თითქმის ყველა დონეზე საკმაოდ მკაცრი განცხადებები მოვისმინეთ, არა მხოლოდ მერაბიშვილის დაკავებასთან, არამედ 17 მაისს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მათი მხრიდან მოთხოვნაც კი იყო, დაესაჯათ 17 მაისის კონტრაქციაში მონაწილე ადამიანები; ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში კი მის გათავისუფლებას მოითხოვდნენ. რამდენად აქვთ მათ ამ განცხადებების ამგვარი ტონით გაკეთების უფლება და ხომ არ არის ეს საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვა? და აქვე გკითხავთ: თუ ჩვენი მთავრობა არ გაითვალისწინებს მათ მითითებებს, სამომავლოდ რამდენად შეიძლება დაზარალდეს საქართველო საერთაშორისო დონეზე?**

— მოგეხსენებათ, სააკაშვილი უამრავ ფულს ხარჯავდა იმაში, რომ საკუთარი თავი ყველაზე დიდი დემოკრატის სახელით გაეხადა პოპულარული დასავლეთის თვალში და მან ამ რეკლამის მეშვეობით დასავლეთის დიდი მხარდაჭერაც მოიპოვა. გარდა ამისა, **დასავლეთმაც დიდი ფინანსები გამოყო საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის. წლების მანძილზე მას საქართველო სანიმუშო დემოკრატიის მქონე ქვეყნებს შორის ჰყავდა. ახლა კი გამოდის, რომ მითი სააკაშვილის სანიმუშო, კეთილსინდისიერ დემოკრატობაზე დასამარდა.** წარმოიდგინეთ, რა დონის იქნება მათი იმედგაცრუება, თუმცა, როდესაც დასაბუთებული და კომპეტენტური გამოძიება წარიმართება და დაიდება კონკრეტენტული მტკიცებულებები, დასავლეთი ვერაფერს იტყვის „ნაცმოძრაობის“ დასაცავად.

**— „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ვანო მერაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარია. ამდენად, ისინი არ შეწყვეტენ უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლას და ყველაფერს გააკეთებენ სამართლიანობის აღსადგენად. თქვენი კომენტარი ამის თაობაზე?**

— 2013 წლის ოქტომბრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არაადეკვატურია და შესაბამის განცხადებებსაც აკეთებს. მათი ქმედება ჩემ მიერ აღიქმება, როგორც პანიკაში მყოფი ადამიანების გაუაზრებელი ქმედება. ალბათ, ესაა თვითგადარჩენის ინსტიქტი. მათი უაზრო და ნაწილობრივ სასაცილო ქმედებები სწორედ ამაზე მეტყველებს. რაც შეეხება მერაბიშვილის პატიმრობას, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მის წინააღმდეგ უკვე არსებობს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე, გამყარებული შესაბამისი დოკუმენტაციით. ამ ფონზე შეუძლებელია პირად ან პოლიტიკურ პატიმრობაზე საუბარი! მერაბიშვილი ჩეულებრივი კრიმინალია!

ესაუბრა
**ეკა კახიანი**

**«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ლიდერები, რომელთაც მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ, ერთად ჩადიოდნენ კრიმინალს, ამიტომ ერთად უნდა დაისაჯონ**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მორალი თანდათან კარგავს უმთავრეს ფუნქციას — ადამიანის გაკეთილშობილების და ღირსების შეძენას რომ აპირობებს. აი, სწორედ ესაა ლიბერალ-„კაცთმოყვარე“ ძირითადი ამოცანა და სწორედ ამიტომაც ყოველნაირად ცდილობენ ადამიანი გააცხოველონ. თუმცაღა ამას იქმიან სწორედაც დამალვის, შეფარვის მეთოდით და სურთ საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ეს მათი ქვეგუდანობა ხალხზე ზრუნვით და მომავალზე ფიქრით არის მხოლოდ ნასაზრდოები.**



*ელიზბარ ჯაველიძე*

# იწყება ევროპის სიკვდილი!





**ქართულ ზნე-ჩვეულებებთან და მართლმადიდებლობასთან ბრძოლამ უკვე გამოკვეთილი სახე მიიღო და ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულად მოაზროვნე მეცნიერთა და მოღვაწეთა ნააზრევის გაცნობა და გაცნობიერება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ფრაგმენტები აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის 2007 წელს გამოცემული წიგნიდან „ავაჰმე, ჩემო მამულო!..“**

დასასრული. დასაწყისი იხ. №18 (205)



მთავარი დარტყმის ობიექტი მაინც არის ოჯახი, რომელიც ოდითგანვე იყო ადამიანის ზნეობრივი სრულქმნისა და ტრადიციების შენარჩუნების ძირითადი წყარო. **უკვე 1954 წელს გამოცემულ ალისა ბეილის ნაშრომში „ახალი საუკუნის განათლება“ ხაზგასმულია, რომ ოჯახის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს და მისი არსი და დანიშნულება სხვაგვარად უნდა მოვიაზროთ...** უპირველეს ყოვლისა, მეუღლეთა ურთიერთღალატი გამოცხადებულია, როგორც „ბუნებრივი შედეგი თანამედროვე ქორწინებისა“. მეტიც, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში გათვითცნობიერებულმა ქალებმა არ უნდა გაკიცხონ თავიანთი მეუღლეები, თუკი მათ „მონოგამიის ბილიკს“ გადაუხვიეს და, პირიქით, უნდა წაახალისონ ისინი. ამასთანავე, მათ უნდა იცოდნენ, რომ **„დიდი ოჯახი თავისთავად საშიშია, რადგანაც ყოველი მომდევნო შვილი ოჯახის ცხოვრების დონეს დაბლა წევს“.** ფემინისტები უფრო შორს მიდიან. ისინი ქორწინებას მიიჩნევენ, როგორც ძალადობისა და ჩაგვრის შედეგს, როგორც მონათმფლობელობის ინსტიტუტს, რომელიც უნდა გაუქმდეს. ისინი ფიქრობენ, რომ ქორწინება მრუშობის ერთგვარი სახეობაა, ხოლო ოჯახი — დრომოჭმული საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ციხესა და კატორღას აგონებს მათ და ვიდრე ის იარსებებს, ქალი თავისუფლებას ვერ მოიპოვებს. ერთი სიტყვით, **ყოველმხრივ უტევენ ოჯახის ინსტიტუტს, რომლის სიკვდილთან ერთად იწყება ევროპის სიკვდილიც. ალბათ, ამის გამოა, რომ დღეს ინგლისში ყოველ მეხუთე ქალს არ სურს ბავშვის ყოლა, ხოლო შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი 1997 წელს სიამაყით გამოაცხადეს, როგორც „პირველი პოსტოჯახური ქალაქი“, რადგანაც მისი მოსახლეობის ორი მესამედი, „თავისუფალი სიყვარულის“ იდეით შეპყრობილი, არც როდის ყოფილა დაოჯახებული და არც აპირებდა ოჯახის შექმნას.** „თავისუფალი სიყვარულის“ იდეოლოგები კი უპირველესად მოითხოვენ, რომ სექსუალური განათლება დაინერგოს ბავშვებში, მათ არ უნდა შთავუნერგოთ ზნეობრივი უბიწოების აზრი, ისინი თავისუფლად უნდა მიეცნენ სექსს, რადგანაც ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ოღონდაც, საზოგადოებამ მათ უნდა დაუწესოს კონტროლი, რათა არ შობონ ბავშვები. ახალგაზრდებს უნდა გავაგებინოთ, **„სექსი არის სიყვარულის კულმინაცია, იგი აძლიერებს ინტუიციას, აჯანსაღებს ფიზიკურად და სულიერად ადამიანს... ასევე გავაგებინოთ, რომ სექსის ყველა სახეობა ბუნებრივია და გარყვნილებად არ აღიქმება, თუ ძალადობასთან არ გვაქვს საქმე. გარყვნილება ეს არის — მრავალშვილიანობა...“**

**ასე „ანათლებენ“ დღეს მარგარეტ ზანგერის მიმდევარი „სექსოლოგები“ ახალგაზრდობას.** თავის დროზე კი უკვე ხანდაზმული მარგარეტი საკუთარ თექვსმეტი წლის შვილიშვილს ასე აწონებდა თავს: **„რაც შეეხება სექსუალურ კავშირებს, უნდა გითხრა, რომ პირადად ჩემთვის დღეში სამი აქტი ზედგამოჭრილი იყო“.**

ახლა ჩვენ ვერ შევუდგებით იმის გარკვევას, თუ რომელ ქალბატონს დღიურად რამდენი აქტი აკმაყოფილებს, ეს სექსოპათოლოგიის მკურნალთათვის მიგვინდვია. მაგრამ ფაქტი ერთია, **ამდაგვარმა ე.წ. თავისუფალმა თვალსაზრისებმა წარყვნეს და ამორალობის აბლაბუდაში გაახვიეს თანამედროვე ახალგაზრდობა, რაც უმთავრესი მიზანი იყო და არის ლიბერალ-გლობალისტებისა...**

მორალი თანდათან კარგავს უმთავრეს ფუნქციას — ადამიანის გაკეთილშობილების და ღირსების შეძენას რომ აპირობებს. აი, სწორედ ესაა ლიბერალ-„კაცთმოყვარე“ ძირითადი ამოცანა და სწორედ ამიტომაც ყოველნაირად ცდილობენ ადამიანი გააცხოველონ. თუმცაღა ამას იქმიან სწორედაც დამალვის, შეფარვის მეთოდით და სურთ საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ეს მათი ქვეგუდანობა ხალხზე ზრუნვით და მომავალზე ფიქრით არის მხოლოდ ნასაზრდოები.

## ჰუმანიტარული მანიფესტები

**ამ მხრივ უფრო საყურადღებოა ის „ჰუმანიტარული მანიფესტები“, რომელსაც გლობალისტები გვთავაზობენ. ისინი განსხვავებულ დროსა და ვითარებაში შექმნეს: ერთი 1933 წელს დაიწერა დასავლეთელი ჰუმანისტების მიერ. სხვათა შორის, მის შემქმნელთა შორის იყო ჯონ დიუი, რომელმაც დაანგრია ამერიკის კლასიკური განათლების სისტემა და, საერთოდ, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომში მიმდინარე სასკოლო რეფორმებზე. მეორე 1973 წელს შეიქმნა ასევე დასავლეთელი „მეგობრების“ და „ცნობილი მოღვაწეების“ შემწეობით. მაგრამ ამ დოკუმენტს უკვე აკად. ა. სახაროვის ხელმოწერაც ამშვენებდა. მესამე კი დაიწერა რუსი გლობალისტების განსაკუთრებული აქტიურობით და მას ხელს აწერდა რუსეთის 32 ცნობილი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე.**

ამჯერად ჩვენ მოკლედ შევეხებით ბოლო „ჰუმანიტარულ მანიფესტს“, რადგანაც მასში, ბუნებრივია, ასახულია დღევანდელი „ჰუმანიზმის მქადაგებელთა“ მორალურ-პოლიტიკური თვალთახედვანი, უფრო სწორედ, სამომავლო მიზნები. ამას ხაზს ვუსვამთ ერთი გარემოების გამო: **მანიფესტის ავტორები თუ ხელისმომწერნი ამტკიცებენ, რომ ეს დოკუმენტები ასახავს იმ დროს არსებულ რეალურ მოთხოვნილებებს. მაგრამ სინამდვილეში ისინი წარმოადგენენ ერთგვარად შეფარულ სამოქმედო პროგრამას კულისებს მიღმა არსებული ხელისუფლებისა, რომელსაც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება და მსოფლიო იმპერიის შექმნა განუზრახავს.** ამავე დროს, ეს სამივე დოკუმენტი ერთი მეთოდით არის შექმნილი: ჯერ საუბარია საყოველთაო ჭეშმარიტებებზე, ყველასათვის რომ არის მისაღები, მერე კი შემოპარებულია ლიბერალ-გლობალისტებისთვის სასურველი, ვერაგული თვალსაზრისი, რომელსაც უკვე შემზადებული თუ ერთგვარად დაბნეული მკითხველი ბუნებრივად აღიქვამს. ასე, მაგალითად, დღეს რომ ბუნებას აბინძურებენ და სპობენ, ეს ჭეშმარიტებაა. ისიც ყველასათვის მისაღებია, რომ ამგვარი მიდგომა ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს და საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალს. მაგრამ **ამ მისაღებ ჭეშმარიტებას მოჰყვება დასკვნა, რომ კაცობრიობის მომავლის გადასარჩენად აუცილებელია მსოფლიოს დემოგრაფიული სურათი შეიცვალოს და მისი მოსახლეობა შემცირდეს. ასე და ამგვარად, მათ „კაცთმოყვარეობას“ მივყავართ ადამის მოდგმის და ღმერთის სიძულვილამდე.**

მაგრამ თავი დავანებოთ ახლა „მანიფესტის“ აგების პრინციპის განხილვას და მის დედააზრს დავუბრუნდეთ. პირობითად შეიძლება ის წარმოვაჩინოთ ორ — პოლიტიკურ და მორალურ პლანში, რომლებიც ურთიერთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთ მიზანს ემსახურებიან. კერძოდ, პოლიტიკურად რას გვთავაზობს **„მანიფესტი-2000”:**

უპირველეს ყოვლისა, ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი ოჯახი, მოყვასი, მეგობრები, მამული და ა.შ., რაც სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ის ამით ვერ შემოიფარგლება და ურთიერთობას ამყარებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებლებთან, რომელთაც ასევე პატივი უნდა მიაგოს. ესეც სავსებით ბუნებრივია, თუმცა ამგვარი დამოკიდებულება სულაც არ მოითხოვს სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრების მოშლას, არადა, მანიფესტში თეთრზე შავით წერია: **„მსოფლიოს დეფაქტო პოლიტიკური საზღვრები თვითნებურია, ჩვენ არ შეგვიძლია მას ანგარიში გავუწიოთ“.**

მეორე, თუ ჩვენ ვისწრაფვით მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ **„ახლა ჩვენ, როგორც არასდროს, უფრო მეტად გვესაჭიროება მსოფლიო ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო ხალხის ინტერესებს დაიცავენ და არა სახელმწიფოსი“.** ამას ლოგიკურად მოჰყვება მეორე თეზისი: **„თუ გვსურს ჩვენი გლობალური პრობლემები მოვაგვაროთ, ცალკეული სახელმწიფოები ვალდებულნი არიან თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცენ ტრანსნაციონალური ხელისუფლების გარკვეულ სისტემას. მსოფლიოს ესაჭიროება, რომ განსაზღვრულ მომენტში, მომავალში შეიქმნას მოსახლეობის მიერ არჩეული მსოფლიო პარლამენტი, რომელიც ხალხთა ინტერესს დაიცავს და არა მათ ხელისუფალთ... მსოფლიო საჭიროებს ეფექტურ პოლიციურ ძალებს, რათა აილაგმოს რეგიონული კონფლიქტები და მოხერხდეს მათი მშვიდობიანი მოწესრიგება“.**

ეს ხომ უკვე მსოფლიო იმპერიის საფუძვლების ჩაყრაა, საკუთარი პარლამენტითა და სამხედრო ძალებით. პირველი ეტაპი ევროპარლამენტის და ნატო- სახით უკვე განხორციელებულია. ახლა საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა, თანაც რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით. ამიტომაც **„უნდა ვერიდოთ ნაციონალური და კულტურული თავისებურებების უსაზღვრო ხაზგასმას, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ურთიერთგაუცხოება და, ამგვარად, მოგვევლინონ, როგორც დესტრუქციული ელემენტები“...**

გამოდის, რომ უნდა უკუვაგდოთ ერისა და ქვეყნის ერთგულება და პლანეტარულ სიყვარულს მივეცეთ მთლიანად. ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ, უპირველეს ყოვლისა, პლანეტას და შევქმნათ „საერთაშორისო დონის პლანეტარული ორგანიზაცია, რომელიც კონტროლს გაუწევს გარემოს დაცვას“... დიდი უფლებები უნდა მივანიჭოთ ამ სფეროში გაეროს და მისი პროგრამების განხორციელებას...

**მთავარი მაინც ის არის, რომ მანიფესტი აქტიურად ქადაგებს მოსახლეობის შემცირების იდეას, ის მხარს უჭერს 1994 წელს მიღებულ „კაიროს მოქმედების პროგრამას“, რომელიც სხვადასხვა მეთოდების (კონტრაცეფცია, სტერილიზაცია, აბორტი, სქესობრივი გარყვნილება და სხვა) გამოყენებით ცდილობს გამოიწვიოს დემოგრაფიული კატასტროფა, ანუ მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი შემცირება.** ამიტომაც პირდაპირ მოუწოდებენ განვითარებულ ქვეყნებს, რომ მათ წლიური შემოსავლის 7% გამოყონ ღარიბი ქვეყნების თანადგომისთვის, ხოლო ამ გამოყოფილი თანხიდან 20% უნდა მოხმარდეს სოციალურ განვითარებას, რომლის 20% უნდა გაიხარჯოს „მოსახლეობის პრობლემის“ გადასაჭრელად (ე.ი. მოსახლეობის შემცირების აგიტაცია და კონტრაცეფციის დამკვიდრება-განვითარებას უნდა მოხმარდეს).

ერთი სიტყვით, **„მანიფესტში“ წარმოჩენილი თვალსაზრისები სავსებით ესადაგება ახალი მსოფლიოს წესრიგის, უფრო სწორედ, გლობალური იმპერიის შექმნის გენერალურ გეგმას.** მაგრამ ერთი რამ უდავოა: **თუ ადრეულ პერიოდში მსოფლიოს არქიტექტორები ერთგვარად ერიდებოდნენ თავიანთი სამომავლო გეგმების სააშკარაოზე გამოტანას, დღეს უკვე მათ მანიფესტის ფორმას ანიჭებენ და მსოფლიო მოსახლეობას აუცილებელ სამოქმედო პროგრამად უსახავენ.** ▶

**ტოლერანტობამ, როგორც მორალურ-პოლიტიკურმა კატეგორიამ, დღეს, ლაგამაწყვეტილი გლობალიზაციისა და პლანეტარული იმპერიის შექმნის ჟამს, უფრო სხვა შინაარსი და დატვირთვა შეიძინა და იგი იქცა კიდევ ერთ „უჩინარ“ მექანიზმად, რომელსაც ახალი მსოფლიოს ახლებურად გამნაწილებელი ძალები თავიანთი აუგი მიზნებისთვის ჩვეული მეთოდით იყენებენ.**

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მსოფლიოს მორალიზაცია თუ ამორალიზაცია

ასეთივე კატეგორიული ტონით საუბრობენ ისინი ადამიანის ქცევის ნორმებსა და წესებზე. **შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ეთიკური ნორმების შესახებ მათი პლანეტარული კანონპროექტი — ეს გახლავთ ამორალობის ქადაგება, მეტიც, ამ ამორალობის მსოფლიოში ძალისძალად გავრცელება.**

უპირველესად, ისინი მოითხოვენ, ადამიანი გათავისუფლდეს მორალური წნეხისგან, რომელსაც ქმნიან საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ინსტიტუტები. უფრო მართებულად, **გლობალისტებს სურთ შექმნან ახალი მორალური სისტემა** (ამ თვალსაზრისითაც ისინი ნიცშეს მემკვიდრეებად გვევლინებიან), **ამისათვის კი საჭიროა იმ ტრადიციების და რელიგიურ ფასეულობათა გადაფასება, რასაც მშობლები ბავშვებს უნერგავენ ოჯახებში. ამიტომაც ურჩევენ მშობლებს, თავი შეიკავონ ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში აქტიური ჩარევისგან, „ურჩი“ მშობლები კი, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ ბავშვების ძველი ტრადიციებით აღზრდას, უნდა დაისაჯონ.** ყოველ შემთხვევაში, ამას გვაფიქრებინებს „პლანეტარული კანონპროექტი“, „მანიფესტის“ ავტორები რომ გვთავაზობენ.

**„ჰუმანისტები“ ცდილობენ ბავშვობის ასაკიდანვე შეუცვალონ ცნობიერება მოზარდებს და ამას, რა თქმა უნდა, მათზე ზრუნვითა და კაცობრიობის მომავალზე ფიქრით ამართლებენ.** აბა, როგორ უნდა დაცდეს საყვედური ადამიანს, როცა მათ ასეთ შთაგონებას ისმენს: **„ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდა ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა თვალთახედვას და ისინი დამოუკიდებელი აზროვნებისკენ უნდა წავაქეზოთ“.** ამასთანავე, **„ბავშვს უნდა შეეძლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრები”...** მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება შემდგომში გამრუდებულ ფორმებს იძენს; კერძოდ, ეს გახლავთ: ადრეული ასაკიდანვე სექსუალური განათლების მიღება, „სექსუალური ორიენტაციის“ თავისუფალი არჩევა, ჰომოსექსუალიზმის აღიარება და ა.შ.

**საერთოდ, „მანიფესტი-2000“ მოგვიწოდებს შემდეგს:**

**ა) უნდა ვაღიაროთ ჰომოსექსუალების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებები და ერთსქესიან „მიჯნურებს“ ისეთივე უფლებები მივანიჭოთ, როგორიც ჰეტეროსექსუალურ წყვილებს აქვთ.**

**ბ) სექსუალური ცხოვრების სხვადასხვა ხერხები და მეთოდები დასაშვებია.**

**გ) საზოგადოებამ ჩვეულებრივად უნდა აღიქვას პრომისკუიტები.**

**დ) დასაშვები უნდა იყოს შერეული (თეთრკანიანსა და შავკანიანს), ასევე ნათესავთა შორის ქორწინება.** ამასთანავე, არ არის მითითებული, როგორი ნათესაობის ფარგლებშია დასაშვები ეს ქორწინება. ასე რომ, ეს ნათესაური ქორწინება შეიძლება გავიგოთ, როგორც ბიძაშვილებს შორის დაშვებული, ასევე და-ძმას, მამა-შვილსა და დედა-შვილს შორის მისაღები. სამწუხაროდ, ასეთივე ყოვლად საძაგელი ფაქტები მრავლად მოიპოვება, გნებავთ, ამერიკასა და, გნებავთ, ევროპაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გერმანიაში თითქმის ყოველი მეათე ქალი ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო, თანაც ამას სჩადიოდნენ ახლობლები: მამები, ძმები, ბაბუები და ა.შ.

**ე) ისინი ნორმად მიიჩნევენ „თავისუფალ სიყვარულს“, ოღონდაც იმასაც აღნიშნავენ, რომ სქესის დროს უნდა გამორიცხული იყოს ძალადობა და იგი „დაფუძნებული უნდა იყოს ურთიერთთანხმობის პრინციპზე“.**

**ვ) „ჰუმანისტები“ მაინც ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ ოჯახის განვითარებას და მას მტკიცედ განსაზღვრულ ჩარჩოებში სვამენ, რომელსაც მკაცრად აკონტროლებს „გეგმიური ოჯახის“ ქსელი, თითქმის მთელი მსოფლიო რომ მოუცავს. ამ ორგანიზაციათა მთავარი მიზანია კონტრაცეფციის და სტერილიზაციის ქადაგება და ამ გზით მსოფლიო მოსახლეობის შემცირება.**

ერთი სიტყვით, **დღევანდელ „ლიბერალიზმის მამათა“ უმთავრესი ამოცანაა ოჯახის ინსტიტუტის ჯანსაღი საფუძვლების დანგრევა და საყოველთაო გარყვნილების დანერგვა, რაც იწვევს, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო დემოგრაფიული მდგომარეობის ძირეულ შეცვლას, ეს კი, მათი აზრით, კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა.** ასეთია ამ ე.წ. ჰუმანიზმის დედააზრი, რომელიც საბოლოოდ ადამიანთა ფიზიკურ განადგურებას ემსახურება.

გარდა ამისა, „პლანეტარული ეთიკის“ მთელ მსოფლიოში დამკვიდრების მათი მცდელობა ნაწილია იმ გეგმისა, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოს შექმნას და მსოფლიო მოქალაქის სტატუსის შემოღებას ისახავს მიზნად. **სწორედ ამ გეგმის მიხედვით გაუქმდა დაბადების მოწმობასა და პასპორტში ეროვნულობის გრაფა, რაც მთელი რიგ „ცივილიზებულ“ ქვეყნებში და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოშიც განხორციელდა.** ეს ყოვლად საშიში და ამორალური ღონისძიება ადამიანთა მოდგმის „სიყვარულისა და ზრუნვის“ საბურველით ხორციელდება — როცა ადამიანს თავს ახვევენ მსოფლიო, პლანეტარულ მოქალაქეობას. ვის დაჰკარგვია მისი ეროვნება, მისი ქართველობა?! მსოფლიოს მაღალ პედესტალზე აცოცებული ადამიანის კოსმიური მზერა ველარ ამჩნევს სადღაც კუნჭულში მიყუჟულ სამშობლოს!.. არც გაემტყუნება!.. ის ხომ კაცობრიობის ჭირ-ვარამზე ზრუნვით არის დაკავებული, აბა, როგორღა მოიცალოს იმის გასარკვევად, რა ტკივათ და რა აწუხებთ თავის თანამემამულეებს, მსოფლიო ორომტრიალში ჭიანჭველებივით რომ ფაციფუცობენ?!

ასე რომ, მსოფლიო მოქალაქეს არ ეგების ნაციონალურ ტრადიციებსა და უკვე დრომოჭმული მორალური ნორმების შესრულებაზე ფიქრი. უნდა შევქმნათ ახალი ტრანსნაციონალური სისტემა და მივაღწიოთ „პლანეტარულ-ეთიკურ კონსენსუსს“. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქვეყნად გაბატონდეს საყოველთაო ტოლერანტიზმი და ჰუმანიზმი...



მერე რა არის ამაში საძრახიო — იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი. ერთი შეხედვით, არაფერი! მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოვლენის არსს, ერთობ საშიშ ტენდენციებს და მზაკვრულ მიზნებს აღმოვაჩენთ.

## ესეც შენი ტოლერანტობა...

**უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ეთიკურ სფეროში განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ „ტოლერანტობის“ ცნებას, რომელიც ზოგადად ახსნილია, როგორც სხვისი აზრების, რწმენის მოთმენა და შემწყნარებლობა.** ბუნებრივია, ასეთი თვალთახედვა და ამ პრინციპით ცხოვრება როდია საძრახი. ჯერ კიდევ ვოლტერი თავის დეკლარაციაში აცხადებდა: **„მძაგს, რასაც ამბობ, მაგრამ საფლავის კარამდე დავიცავ შენ უფლებას, თქვა შენი სათქმელი“.** მოგვიანებით ეს პრინციპი მორალურ-სოციალურ ხასიათს იძენს და, ერთი მხრივ, იცავს ადამიანის დამოუკიდებლობას, მის ავტონომიას და, მეორე მხრივ კი, ადამიანთა შორის ურთიერთობას, ანუ საზოგადოებრივ ცხოვრებას აწესრიგებს. ლიბერალების აზრით, ეს თავისუფლება ყველა სფეროში უნდა გავრცელდეს — იქნება ეს რელიგია თუ ზნეობა, ამასთანავე, თუ ჩვენ ინდივიდის ავტონომიას ვცნობთ, მაშინ მას ვაძლევთ უფლებას, აღიაროს ის აღმსარებლობაც, რაც სწამს და აკეთოს ის, რაც მართებულად მიაჩნია. **ლიბერალთა გაგებით, ინდივიდის ავტონომია არის უპირველესი საფუძველი ზნეობრივი თვითგანვითარებისა. მაგრამ, ამავე დროს, შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) ასევე აუცილებელი პირობაა საზოგადოების მართებული განვითარებისთვის.** ჯ. მილის მოსაზრებით, მხოლოდ იდეათა თავისუფალი ბაზრის პირობებში, იქ, სადაც კარგი იდეები ცუდ იდეებს ენაცვლება, ნიადაგი ეცლება უმეცრებას და აღმოცენდება „ჭეშმარიტება“. სწორედ სხვათა აზრის შემწყნარებლობა, აზრთა სხვადასხვაობა, კამათი იწვევს აზრის პროგრესულ განვითარებას. იმავე ჯ. მილის რწმენით, ყველაზე დიდი სიბრიყვეა იმის მტკიცება, რომ „სიმართლე ყოველთვის უმრავლესობის მხარეს არის“. მეტიც, **მთელი კაცობრიობა ერთი აზრის რომ იყოს და მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდეს საპირისპირო თვალთახედვა, ამ უკანასკნელის აზრის უგულებელყოფა კაცობრიობის მიერ ისევე გაუმართლებელია, როგორც ინდივიდის მიერ მთელი საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლობა და უარყოფა.**

კეთილი და პატიოსანი!.. არაფერი გვაქვს სადავო, თუ ამ დადებითი მიმართულებით განვითარდება ინდივიდისა და საზოგადოების სრულყოფა. მაგრამ ეს „თუ“ ხომ ერთობ სათუოს ხდის ზემომოხმობილ ნათელ პერსპექტივას და ეჭვის ქვეშ აყენებს ლიბერალთა ოპტიმიზმს: ჯერ ერთი, **ინდივიდის ავტონომიის დაუსაზღვრელობა და სრული გაბატონება, სწორედაც რომ, დასაწყისია ამორალობის დამკვიდრებისა.** მეორეც, **„იდეათა თავისუფალი ბაზრის პირობებში“ კარგი აზრები ყოველთვის როდი იმარჯვებენ.** პირუკუ, დღევანდელ ბაზარს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ უმეტეს შემთხვევაში აუგი ზრახვანი, ადამიანთა მოდგმის საზიანო თვალთახედვანი ზეიმობენ გამარჯვებას და მესამეც, რაც მთავარია, **ტოლერანტობამ, როგორც მორალურ-პოლიტიკურმა კატეგორიამ, დღეს, ლაგამაწყვეტილი გლობალიზაციისა და პლანეტარული იმპერიის შექმნის ჟამს, უფრო სხვა შინაარსი და დატვირთვა შეიძინა და იგი იქცა კიდევ ერთ „უჩინარ“ მექანიზმად, რომელსაც ახალი მსოფლიოს ახლებურად გამნაწილებელი ძალები თავიანთი აუგი მიზნებისთვის ჩვეული მეთოდით იყენებენ.** ამასთანავე, ის იქცა პლანეტარული ეთიკური მოძღვრების აუცილებელ ნორმად და მან იმპერატიული ხასიათი შეიძინა. ეს გახლავთ პირობა, რომლის შესრულებასაც მოითხოვს მსოფლიო პოლიტიკური იდეოლოგია. უფრო მეტიც, ეს არის უალტერნატივო მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობა, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ხალხს თუ საზოგადოებას ცივილიზებულ სამყაროში შესასვლელი კარიბჭე ეხშობა!

მაინც რა აზრით და რა მიზნით მიმართავენ დღეს ამ კატეგორიას ნეოლიბერალები?!

უკეთ წარმოსადგენად უნდა გავიხსენოთ ამ ტერმინის **სამედიცინო-ბიოლოგიური მნიშვნელობაც.** ამ თვალთახედვით **ტოლერანტობა ნიშნავს ანტიგენების მომრავლების პირობებში იმუნოლოგიური პასუხის უქონლობას. უფრო გასაგებად, მედიცინის თვალსაზრისით, ყველაზე ტოლერანტულია ის ორგანიზმი, რომელიც მთლიანად დაფარულია მავნე, მომაკვდინებელი მეტასტაზებით, მაგრამ შემგუებლობის უნარით მაინც ინარჩუნებს სიცოცხლეს.** მოკლედ, ზოგადად, **„ტოლერანტობა არის ორგანიზმის უნარი გადაიტანოს გარემოს ამა თუ იმ ფაქტორთა არახელსაყრელი გავლენა“.**

ჩვენ თუ ამ გაგებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში განვაზოგადებთ, მაშინ **შესაძლებელია, რომ ჯანსაღ ორგანიზმად აღვიქვათ ტრადიციული საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო ანტიგენებად ის რეციდივები (მაგ., პედოფილია, ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსი, გარყვნილება და სხვ.), რომლებიც ამ საზოგადოების ნორმალური ნაწილისათვის მიუღებელი იყო. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს დღეს კონსერვატულად მონათლული შეხედულება, რომ საზოგადოებრივი სიმყარე ბევრწილად დამოკიდებულია იმაზე, იზიარებენ თუ არა ადამიანები ერთსა და იმავე ფასეულობებს და აქვთ თუ არა მათ საერთო კულტურა.** ამის თაობაზე გვესაუბრება პატრიკ დელვინი თავის ნაშრომში „მორალის იძულება“ (Принуждение к морали, 1968 წ.) სადაც ხაზგასმულია, რომ **საზოგადოებას აქვს უფლება, დაიცვას „საზოგადოებრივი მორალი“ კანონების მეშვეობით.** ასე რომ, დელვინის თვალთახედვით, ის, რაც მიიჩნეოდა „ქცევის არატრადიციულ წესად“ (ვთქვათ, ჰომოსექსუალიზმი თუ ნარკომანია), უნდა სამართლებრივად დაგმობილიყო და ამ გზით დაცულიყო „ტრადიციული მორალი“ და „საოჯახო ფასეულობანი“.

ამ პოზიციას, რომელსაც მტკიცედ იზიარებს ნაშრომის ავტორი, რა თქმა უნდა, მხარს არ უჭერენ ლიბერალები და სწორედ „ტოლერანტობის“ წინ წამოწევით საპირისპიროს ქადაგებენ. **ისინი გვარწმუნებენ, რომ სოდომიზმი საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი ნაყოფია და ის უნდა აღვიქვათ, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა და არა როგორც ნორმალური ქცევიდან გადახრა. იმავდროულად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღეს სავსებით შეცვლილია მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური გარემო და ჩვენც ვალდებული ვართ გავითავისოთ ტოლერანტობა და აღფრთოვანებით შევხვდეთ ადამის შთამომავლის მორალური სახის გარდაქმნას.**

ამასთანავენ, **ამ თვალსაზრისს არა ოდენ გვთავაზობენ, არა მხოლოდ გვირჩევენ, არამედ იძულებით თავს გვახვევენ და, თუკი მათ ნებას არ დავყვებით, ფიზიკური გადაშენებით და მოსპობითაც გვემუქრებიან.** ეს უკვე არის ანტიტოლერანტობა, როცა მსოფლიო მმართველ ძალას შენი აზრის გაგონებაც არ სურს. გამოდის, რომ, გვსურს თუ არ გვსურს, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ თვალთახედვას, უნდა შევეგუოთ ჩვენი ტრადიციების, მორალის, რწმენის, ცნობიერების ნგრევას, რაც, მათი გაგებით, „ტოლერანტობის“ უმაღლესი გამოხატულებაა; ჩვენ უნდა შევეგუოთ, ავიტანოთ და მოვიწონოთ კაცთა მოდგმის გარყვნილება, გადაგვარება, ადამიანის გაცხოველება, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამორჩენილ პროვინციელებად, მეტიც, მსოფლიო ცივილიზაციის მტრებად გამოგვაცხადებენ. ხოლო ის ფაქტი, რომ ისინი ჩვენ აზრს ანგარიშს არ უწევენ, არად აგდებენ ჩვენ ადათსა და რწმენას და ისე გვექცევიან, როგორც პირუტყვებს, თურმე მეტყველებს მათ ტოლერანტობაზე, რადგანაც პროგრესული იდეების მქადაგებელნი არიან. **ისინი კარგად ხვდებიან, რომ ცალ კარში თამაშობენ, მაგრამ დღეს პოლიტიკური თამაშის ასეთი წესია დამკვიდრებული, ასეთი გახლავთ დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის და მის წარმომადგენელთა მორალური სახე და ნება და მას, სამწუხაროდ, მორჩილად მიჰყვება ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი.** მეტიც, მათ არ სურთ სიმართლეს თვალებში შეხედონ და გააცნობიერონ, თუ საით მიექანება კაცობრიობა. **მეტად საგანგაშო კი ის არის, რომ, თუ საპირისპირო აზრი გამოვთქვი, ვთქვათ, ნატოში შესვლა დაგმე და არ მოიწონე, ერის და ქვეყნის მტრად გამოგაცხადებენ და ჩაქოლვას დაგიპირებენ. აი, მათეული გაგება ტოლერანტობისა. აი, დღევანდელი პოლიტიკის ერთი გამოხატული ნიშან-თვისება!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოხატვის თავისუფლება ყველაფრის გამოხატვის თავისუფლებას არ ნიშნავს. ვინაიდან ჰომოსექსუალების მოთხოვნები, პრეტენზიები, დიდი ხანია, ცნობილია, იმიტომაც აღსდგა ერი და ბერი მათ წინააღმდეგ. მნიშვნელობა არა აქვს, დღეს 50 კაცი თხოულობს, რასაც თხოულობს, თუ – 100, ყველამ ვიცით დასავლეთის მაგალითზე, რომ ხვალ ათასები გახდებიან, ზეგ – მილიონები და დაემშვიდობე მერე ოჯახს, ერს და ადამის მოდგმასაც საერთოდ!**

# უდიდესი საფრთხე, რაც კი აქამდე ადამის მოდგმას დამუქრებია

**ლგბტ — ეს ცოდვისშვილების აბრევიატურაა, ლესბოსელების, გეების (იგივე პედერასტების), ბისექსუალების (მოპედერასტო ტიპების) და ტრანსსექსუალების (სექსშეცვლილების) აღმნიშვნელი. ყველაზე მრავალრიცხოვან პირველ ორ ჯგუფს კრებით სახელს – ჰომოსექსუალებს უწოდებენ. ქართული ენისთვის აბრევიატურები უცხოა, ამიტომ ლგბტ-ს ნაცვლად ტექსტში ჰომოსექსუალებს, პედერასტებს ან მამათმავლებს გამოვიყენებ. ამ კატეგორიაში შემავალმა პირებმა, დაახლოებით 50-60-მა ან, შესაძლოა, 100 ადამიანმა და მათმა მხარდამჭერებმა გადაწყვიტეს, აქციით აღენიშნათ „ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე" 2013 წლის 17 მაისს თბილისის ცენტრალურ მოედანზე. ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რაც არ უნდა გაუკვირდეთ დასავლეთში, დაუპირისპირდა 50-60 თუ 100 ათასი(!) თბილისელი ასამდე სასულიერო პირის წინამძღოლობით!**



ერთი შეხედვით, ჰომოსექსუალებს სავსებით კანონიერი უფლება გააჩნდათ, შეკრებილიყვნენ იქ, სადაც სურდათ. იგივე განაცხადა სახალხო დამცველმა ნანუაშვილმაც: **„ყველა მოქალაქეს, მიუხედავად განსხვავებული პოზიციისა, აქვს თანაბარი უფლებები, მათ შორის ლგბტ თემის წარმომადგენლებს და მათი უფლებების შეზღუდვას საქართველოს კანონმდებლობა ვერ დაუშვებს"**, რომ არ შეიძლება ადამიანებს შეეზღუდოთ ე. წ. გამოხატვის თავისუფლება.

ამაზე არც არავინ დავობს. ზოგადად ასეა, მაგრამ **გამოხატვის თავისუფლება ყველაფრის გამოხატვის თავისუფლებას არ ნიშნავს. ვინაიდან ჰომოსექსუალების მოთხოვნები, პრეტენზიები, დიდი ხანია, ცნობილია, იმიტომაც აღსდგა ერი და ბერი მათ წინააღმდეგ. მნიშვნელობა არა აქვს, დღეს 50 კაცი თხოულობს, რასაც თხოულობს, თუ — 100, ყველამ ვიცით დასავლეთის მაგალითზე, რომ ხვალ ათასები გახდებიან, ზეგ — მილიონები და დაემშვიდობე მერე ოჯახს, ერს და ადამის მოდგმასაც საერთოდ!**

და მაინც, რა სურთ კონკრეტულად ჰომოსექსუალებს, რა შიშების (ფობიების) წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ მათ 17 მაისს? არავითარ შიშთან ბრძოლას არავინ აპირებს, აქციებითა და აღლუმებით ისინი პროპაგანდას უწევენ ჰომოსექსუალობას და იბრძვიან თავიანთი მოთხოვნების დასაკანონებლად – ერთსქესიანთა ქორწინების, ბავშვების შვილად აყვანის და იმ შეღავათების (დეკრეტული შვებულების ჩათვლით!) მოსაპოვებლად, რომლებიც ნორმალურ, ქალისა და მამაკაცისგან შექმნილ ოჯახებს აქვთ მინიჭებული სახელმწიფოსგან. **ამ მიზანს ჰომოსექსუალებმა უკვე დასავლეთის 14 სახელმწიფოში მიაღწიეს. ამიერიდან „დედა და მამა" სხვა სიტყვებით შეიცვლება — „მშობელი №1" და მშობელი №2", ოღონდ ვის მიენიჭება №1 მშობლის საპატიო ადგილი, აქტიურ პედერასტს თუ პასიურს, უცნობია!**

ამ პედერასტების მხარდამჭერი უფასო თუ კარგად დაფინანსებული ადვოკატები სიტყვას არ ძრავენ მამათმავლობაზე, როგორც საშიშ და სამარცხვინო, ქართველი ერის ტრადიციებისა და რწმენის შეურაცხმყოფელ მოვლენაზე, ყველა ლაპარაკობს, მხოლოდ 17 მაისს გამოჩენილ აგრესიაზე, ძალადობაზე, ჩაშლილ აქციაზე — რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო აქციის ჩატარება და, **მიუხედავად იმისა, რომ არცერთი(!) ლესბოსელი და პედერასტი არ დაშავებულა, მაინც მოითხოვენ პოლიციელების, სასულიერო პირების და სხვათა მკაცრ დასჯას. ეს „ჰომოდამცველები" პედერასტებზე უარესები არიან!**

ისინი მხოლოდ უცხოეთის გამოხმაურებაზე წუხან („ეს რა სირცხვილი ვჭამეთ, ხომ გაგვიტყდა სახელი ცივილიზებულ მსოფლიოში" და ა. შ.) და **17 მაისთან დაკავშირებით იმათ გამონათქვამებს იშველიებენ** (უცხოელი დიპლომატებიდან დაწყებული სახელმწიფო დეპარტამენტით დამთავრებული), **ვისაც ქართველი ხალხისთვის შენიშვნების მოცემის არავითარი მორალური უფლება არ აქვთ, ვისაც ხმა არ ამოუღია სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის დანაშაულობებზე, ვისთვისაც პედერასტების ერთი ადგილი და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ქართველი კაცის ღირსება, რწმენა და ტრადიციები!** უცხოეთზე მიჩერებული ეს პოლიტიკურად გაპედერასტებული ბედოვლათები საკუთარ ერს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ — 50 თუ 100 ათასამდე პროტესტანტს საზოგადოების ველურ ნაწილს უწოდებენ, მართლმადიდებელ ხალხს — მართლმადი-დებილებს.

ძალიან მიკვირს, ზოგიერთებს — პოეტებად და მწერლებად, პუბლიცისტებად და უფლებადამცველებად, პოლიტიკოსებად და ექსპერტებად წოდებულებს, ენა როგორ უტრიალდებათ პირში ქართველი ერის შეურაცხყოფისთვის, როცა მათ მშვენივრად მოეხსენებათ ქართველი ერის შემწყნარებლური ხასიათის შესახებ. ცოტა ვინმე თუ დაიკვეხნის მსოფლიოში იმ ტოლერანტული თვისებებით, რომლებიც ოდითგან ჩაგვინერგეს ჩვენმა გამჭრიახმა მეფეებმა. მხოლოდ უახლესი ორი მოვლენის გახსენება კმარა ამის დასადასტურებლად – 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რუსეთზე გამწარებულ ქართველ კაცს ხელი არ დაუკარებია საქართველოში მცხოვრები რუსიეროვნების ადამიანისთვის, ხოლო 2007-12 წლებში ლამის პერმანენტულად მიმდინარე მასშტაბურ აქციებზე (ათეულობით და ასეულობით ათასი ადამიანის მონაწილეობით!) კი ერთი მინა არ ჩაუმსხვრევია უკვე საკუთარ ხელისუფლებაზე გამწარებულ „ველურ" ქართველს! **შეგიძლია უმკაცრესად გააკრიტიკო შენი ერი და ამის არაერთი მაგალითი ვიცით ჯერ კიდევ IX საუკუნიდან, მაგრამ პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების(!) სერიოზული განხილვის გარეშე მოდგე და ლანძღო იგი, და მას ე.წ. გამოხატვის თავისუფლებაზე ჭკუისდამრიგებლური ტონით ქედმაღლურად ელაპარაკო** (ზოგიერთების საამებლად თუ თავის გამოსაჩენად), **ყოვლად გაუმართლებელია და უზნეო!**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, მანამდე ჰომოდამცველების იმ არგუმენტებზე შევჩერდები, რითაც ისინი მათი დაცვის ქვეშ მყოფი მამათმავლების გამართლებას ცდილობენ. ესთეტიკურ ბრალდებებზე ისინი გვპასუხობენ, რომ ესთეტიკური მხარე გემოვნების საქმეა, ვის მოსწონს და ვის — არა; რაც გარყვნილება გგონიათ, ის სექსის ნაირსახეობაა; ჰომოსექსუალობის ცოდვად მიჩნევაზე აცხადებენ, რომ ეს დრომოჭმული შეხედულებაა, ზოგიერთი ეკლესია აღარ თვლის მამათმავლობას ცოდვად და ჯვარსაც კი სწერსო, ამავე დროს აბსოლუტური უმრავლესობა ათეისტია და რელიგიური შეხედულებების გაზიარებას არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებსო; რაც შეეხება ამ მოვლენის ფსიქიკურ დაავადებად განხილვას, ეს ხომ რახანია უარყოფილია მეცნიერების მიერ და ამიტომ გიჩივლებთ კიდეც, თუ ავადმყოფებს დაუძახებთ ჰომოსექსუალებსო! აი, ასე მარტივად აბათილებენ ისინი, თავისი ჭკუით, ჩვენს არგუმენტებს.

**პედერასტების და მათი დამცველების გასაგონად და პოლიტიკურ მოვლენებში ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვისაც განვმარტავ, რომ ჰომოსექსუალობის ამოღება ფსიქიკურ დაავადებათა ნუსხიდან მოხდა არა მეცნიერულ საფუძველზე ან ხალხის მოთხოვნით (როდის ეკითხებოდნენ ხალხს რამეს სადმე?!), არამედ პოლიტიკური ნებით, პოლიტიკური ზეწოლით, რასაც თითქმის 20 წელი ეწინააღმდეგებოდა ევროპის სამედიცინო საზოგადოება.**

გადაწყვეტილებები და კანონები პოლიტიკური ნებით რომ იცვლება, ამის საუკეთესო მაგალითია გაეროს გენერალური ასამბლეის 1975 წლის რეზოლუცია – „სიონიზმი — რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა", რომელიც 1991 წელს თავადვე გააუქმა. ცხადია, არც სიონიზმი შეცვლილა 16 წელიწადში და არც — რასიზმის ცნება! ეს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული ძალების პოლიტიკური ნება იყო და სხვა არაფერი; ასევეა მეცნიერებაშიც, სამართალშიც (რისი მოწმენიც ყველანი ვართ დღეს, 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც!) და ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ბევრი იფაფხურა ხალხმა მშვიდობიანად საფრანგეთში, 800 ათასზე(!) მეტი ადამიანიც გამოვიდა პარიზის ქუჩებში იანვარში, მაგრამ, მიუხედავად ყოველდღიური მიტინგებისა, მიუხედავად იმისა, რომ ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგენი რვაჯერ(!) აღემატებოდნენ ჰომოქორწინების მომხრეებს, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაინც მოაწერა ერთსქესიანთა ქორწინების და ჰომოსექსუალური წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანის კანონს ხელი მაისში! ამის საპასუხოდ, **პროტესტის ნიშნად, ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატმა, 78 წლის დომინიკ ვენერმა თავი მოიკლა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში 21 მაისს, ორი საათით ადრე, ვიდრე ბასტილიის მოედანზე ერთსქესიანი ქორწინების მომხრეთა „გამარჯვების" აღსანიშნავი კონცერტი დაიწყებოდა. სამწუხაროდ, ჰომოსექსუალების მფარველ ხელისუფლებებს შიმშილობითა და თვითმკვლელობით ვერაფერს შეასმენ. და მე არ მინდა ასეთი დღე გაგვითენდეს საქართველოში!**

ბუნებაში აბსოლუტურად ყველა მოვლენას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ყველას, ჰომოსექსუალების გარდა. მას მხოლოდ უარყოფითი გააჩნია (რამე დადებითი რომ ჰქონდეს, ხომ თავს წაგვჭამდნენ აქამდე)! მაგრამ მხოლოდ ცოდვა, გარყვნილება და სიმახინჯე არაა ჰომოსექსუალობა, იგი უდიდესი საფრთხეა ადამის მოდგმისთვის! მთავარი საფრთხე, რომელიც ჰომოსექსუალებიდან მოდის, ეს არის დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე, რის წინაშეც, ჩვენ ისედაც ვდგავართ დღეს! დიდი ანგარიში არ სჭირდება იმას, რომ გაპედერასტების არნახულ მზარდ ტენდენციას, პედერასტებისა და ლესბოსელების მომრავლებას, გადაგვარება-გადაჯიშებასთან ერთად, საბოლოო ჯამში ჩვენი (და სხვა პატარა ერებისაც, ცხადია!) ფიზიკური გადაშენება მოყვება! ამიტომ სრული უფლება გვაქვს, დავასკვნათ და შესაბამისი კანონიც(!) მივიღოთ იმის თაობაზე, რომ ვინც თავისი ე. წ. „სქესობრივი ორიენტაციით" ადამის მოდგმის, კერძოდ კი საკუთარი ერის, გადაშენებას უწყობს ხელს და, თან მოწოდებებით („გაფერადდით" და ა.შ.) სხვების აყოლიებას ცდილობს, ის მკაცრად უნდა დაისაჯოს. უნდა დაისაჯოს არა თავისი გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრებისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ შეეცდება საჯაროდ ყურადღების მიპყრობას და თავისი იდეების სხვებისთვის თავს მოხვევას. **ვიმეორებ, უფლებების შეზღუდვა უნდა მოხდეს არა იმიტომ, რომ პედერასტები ვინმესთვის მოსაწონი არ არიან, არამედ იმისთვის, რომ ისინი თავიანთი მისწრაფებებით უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანთა მოდგმისთვის!**

ჰომოსექსუალების წახალისება (ერთსქესიანთა ქორწინების და ბავშვის შვილად აყვანის დაკანონებით), **როგორც ეს შეგნებულად(!) ხდება ამერიკა-ევროპაში, არც მეტი, არც ნაკლები, არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე! ეს წახალისება არის ადამიანის მიერ პირადი ნებით თვითგამრავლებაზე უარის თქმის ანუ, ფაქტობრივად, თვითმკვლელობის წახალისება.**

პრობლემის მორალური, რელიგიური და სამედიცინო ასპექტები უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მათზე დაყრდნობით რაიმე ამკრძალავი (შემზღუდველი) კანონის მიღება დღეს ნებისმიერ ხელისუფლებას გაუჭირდება. ერთადერთი და უდავო მიზეზი, რაც ყველა ნორმალურ ხელისუფლებას შესაბამისი კანონის შემოღების თავისუფლებას მისცემს, ეს არის ის უდიდესი დემოგრაფიული საფრთხე, რომელიც პროპორციულად თან სდევს ჰომოსექსუალობას, რაც იმთავითვე ჩადებულია მის არსში. ვერც ერთი მეგობარი თუ „სტრატეგიული პარტნიორი" ქვეყნის ხელისუფლება ვერ იტყვის, რომ ჩვენ, როგორც ერს, არაფერი გვემუქრება, ვერც იმას გვეტყვიან, რომ ამ მოტივით დამცავი მექანიზმების ამოქმედების უფლება არ გვაქვს, რომ ადამის მოდგმის გადარჩენის მიზნით მიღებული სათანადო კანონი ანტიჰუმანური იქნება.

**მამათმავლობა უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი მსოფლიოს ხალხებისთვის, მაგრამ ყველგან დიდ იშვიათობას წარმოადგენდა ყველა ეპოქაში, ასე შავი ჭირის პანდემიასავით იგი არასოდეს მოსდებია დედამიწას, გადაშენებით არასოდეს დამუქრებია ხალხებს. მისგან მომდინარე საფრთხე იმდენად ცხადია, რომ დანაშაულის ტოლფასია, გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ ჩვენს მესაფლავეებს. ადამიანის უფლებები უსაზღვრო არ არის, ყველას უფლებას იქ და მაშინ ედება ზღვარი, როცა ეს უფლებები ადამიანთა საზოგადოებას დაემუქრება. ჰომოსექსუალობა, რომელიც ადამის მოდგმას ორგვარად — გადაგვარებით და გადაშენებით ემუქრება, უნდა განეიტრალდეს ყველანაირი საშუალებით, პირველ რიგში კი — კანონის ძალით!**

**იაკობ ლეჟავა**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

**ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. მალე გამოჩნდებიან ინდივიდუალური კანდიდატები. პარტიებიც არ დააყოვნებენ თავიანთი კანდიდატურების წარმოჩენას. ბევრი გაუთვალისწინებელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად უპრიანი ხომ არ იქნებოდა, შეგვექმნა კომისია სახელმწიფოს მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობის მსურველთა შესარჩევი, სარეკომენდაციო მისიით?**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეც მომისმინეთ, ბატონებო!..

**მყავს შვილები, შვილიშვილები და ჩემთვის ნამდვილად არ არის სულერთი, როგორ ქვეყანაში იცხოვრებენ ისინი. მუხრან მაჭავარიანის ლექსის არ იყოს, რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, საქართველოს ბედ-იღბალზე ვიფიქრო, მაგრამ იქვე მითითებულია, ღალატიაო ამგვარი ფიქრი. ქვეყნის წარუმატებლობის გამო, სულიერი სიმშვიდე, კარგა ხანია, დარღვეული მაქვს და ჯანმრთელობასაც შეერყა საფუძველი. რით შველიან თავს ადამიანები ამ გაუსაძლის პერიოდში? პასუხი შემზარავია — საკუთარი მიწა-წყლიდან უცხოეთში მასობრივად გაქცევით. ეს პროცესი მომავალში ჩვენს ქვეყანას კარგს რომ არაფერს მოუტანს, ახლავე არის უცხადესი. მოვლენების განვითარების ამ არასახარბიელო ფონზე მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება:**

თუ ჩვენ გვინდა, შევინარჩუნოთ ეს ღვთის წილხვედრი ქვეყანა თავისი ხიბლით, უნიკალურობითა და მშვენიერებით, საქართველოს მოსახლეობამ სისხლ-ხორცეულად უნდა გაითავისოს ის, რომ მისი გადარჩენისა და წარმატების ერთადერთი გზა გამრავლებაა. **ერის რაოდენობრივი ზრდა ქვეყანაში აღიარებული უნდა იქნას ზეამოცანად და ყოველგვარი საქმიანობა მხოლოდ მისკენ უნდა იქნას მიმართული. ცხადია, ერის საგრძნობი რიცხობრივი ზრდა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მას დღესვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.** ამ ამოცანის შესრულებაზე ზრუნვა ქვეყანაში თავისთავად და ბუნებრივად გამოიწვევს ახალი სოფლების, ახალი დასახლებების, ახალი ქალაქების დაბადებას.

მიახლოებითი გამოთვლებით, ჩვენი მიწა-წყალი ოც მილიონამდე ადამიანს დაიტევს და გამოკვებავს. საქართველოს საკმარისად აქვს დაუსახლებელი (განსაკუთრებით საზღვრისპირა) ტერიტორია და, როდესაც მტერი ამას ამჩნევს, ცხადია, უტიფრად ცდილობს მის წართმევას და აკი წაგვართვა კიდეც. **მიხეილ ჯავახიშვილი იგონებს: ერთმა გერმანელმა მწერალმა შეხვედრის დროს მითხრა — თქვენი ერის პრობლემა სიმცირეშია, თქვენ რომ ოც მილიონამდე ერი იყოთ, სულ სხვა აწმყო და მომავალი გექნებოდათო. რა ზედმიწევნით ზუსტად განუსაზღვრავს მაშინ უცხოელს ჩვენი სატკივარი.** კომუნისტების დროს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონს აღემატებოდა, მოკლე დროში ეს მაჩვენებელი 4 მილიონამდე დავიდა, ამჟამად კი 3,5 მილიონია. დროდადრო ეს ციფრი საგრძნობლად იკლებს. ქართველი და უცხოელი ექსპერტების დასკვნებიც ერთობ შემაშფოთებელი და საგანგაშოა. ერი კი დუმილს ამჯობინებს. ამ ამღვრეულ ვითარებას შესანიშნავად და ვირტუოზულად იყენებენ უცხოელები. გახსნილ, უკონტროლო საზღვრებს ისინი თავისუფლად კვეთავენ, ქართულ ცას და მიწას ჭაშნიკს უსინჯავენ, წალკოტის ხილვისას შინაგან აღფრთოვანებას ვერ ფარავენ, აქ კომპაქტურად სახლდებიან სამუდამოდ საცხოვრებლად და ელვისებურად გასამრავლებლად.

**საქართველოს მოსახლეობა ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ საჯაროდ იცოდეს, რამდენი უცხოელი იმყოფება ჩვენს ქვეყანაში ეროვნებების მიხედვით.** რა არის ჩვენთან მათი ინტენსიურად შემოდინების მიზანი, არიან თუ არა ისინი აღრიცხულნი. საქართველოს რა ტერიტორიაა გაყიდული უცხოელებზე და რა სარგებლობა მოაქვს ამას ჩვენთვის. ეს ყველაფერი დროზე თუ არ გამომზეურდა და რაღაც ღონისძიებები არ იქნა მიღებული, ვაჟასი არ იყოს, **„ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვადასხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ საქართველო ეთნოგრაფიულ გამოფენას დაემსგავსება“.** 100 წელზე მეტი ხნის წინ გამოითქვა ეს აზრი და დღემდე არ კარგავს სიმძაფრეს. ჩვენ კი, გულზეხელდაკრეფილები შევყურებთ პროცესს, როგორ სრულდება ეს სავალალო წინასწარმეტყველება.

სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი, — სინანულით მიანიშნებდა მიხეილ ჯავახიშვილი. რა ზედმიწევნით ესადაგება ეს მოსაზრება დღევანდელობასაც. ირეალური სამყაროდან, ოც წელზე მეტია, ვერ გამოვსულვართ და რეალობის ალღო უკიდურესად გვაქვს დასნებოვნებული. ეროვნულ შეგნებასა და ზნეობაზე ხომ კბილები საერთოდ მოკვეთილი გვაქვს, ხოლო შრომის უნარი — დაქვეითებული. ამაზე უტყუარად ღაღადებენ ჩვენი მარკეტებისა და ბაზრების უცხოური ნაწარმით გადაჭედილი დახლები. ქვეყანაში ეროვნული ინდუსტრიის განვითარება დროული და ენერგიული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რომლებიც დიდ რეზონანსს გამოიწვევს და ყოველი მოქალაქის გულამდე მიაღწევს.

განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ ქვეყნის მართვა სრულიადაც არ ყოფილა იოლი საქმე. როგორც ძველად, ქვეყნის პირველპირობაზე ახლაც ბევრს აქვს ამბიცია. ნათქვამია: ერი ბრძენია და არჩევანსაც სწორს აკეთებსო. სწორი იყო ერის ბოლო არჩევანი პრეზიდენტობის კანდიდატებში? **ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. მალე გამოჩნდებიან ინდივიდუალური კანდიდატები. პარტიებიც არ დააყოვნებენ თავიანთი კანდიდატურების წარმოჩენას. ბევრი გაუთვალისწინებელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად უპრიანი ხომ არ იქნებოდა, შეგვექმნა კომისია სახელმწიფოს მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობის მსურველთა შესარჩევი, სარეკომენდაციო მისიით? კომისიაში უნდა შედიოდნენ: პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ფინანსისტი, დიპლომატი, მოსამართლე, მედიცინის სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, უცხო ენების სპეციალისტი, მოძღვარი, ექსტრასენსი...** ამ ადამიანების ჯგუფს უნდა მიეცეს საშუალება, გამოიკვლიონ თანამდებობის მაძიებლის ვინაობა და, ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მისცეს მას რეკომენდაცია არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი კომისიის ხელში უნდა გაიაროს მინისტრობის ყველა კანდიდატმაც. ამგვარი კომისია თუნდაც ცხრა-ათი წლის წინ რომ ყოფილიყო, ჩვენი სახელმწიფო არა ერთ ხიფათს ასცდებოდა და დღეს განვითარების გაცილებით ოპტიმალურ საფეხურზე იქნებოდა. განსაკუთრებით საგულისხმოა, ძველ, თუ გნებავთ, ახალ ხელისუფლებაშიც, ამდენი არაშესაფერისი კადრი არ გვეყოლებოდა. შეიძლება ვინმემ თქვას, ასეთი კომისია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს და რაღა ჩვენთან შევქმნათო. ჩვენ უძველესი კულტურის ქვეყანა ვართ და არაა აუცილებელი, ვინმეს წამბაძველობის, ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდეთ.

ქვეყნის პარლამენტშიც ბევრი პრინციპული საკითხია გადასაწყვეტი. იქ დღესაც საკმაოდაა წარმოდგენილი ისეთი ადამიანი, რამდენიმეჯერ რომ იქნა არჩეული და ვერაფრით ვერ ელევა პარლამენტარობას. **დროა, შემოვიღოთ კანონი, რომელიც საქართველოს მოქალაქეს უფლებას მისცემს, მხოლოდ ორჯერ იქნას არჩეული პარლამენტის წევრად. ხომ არ შეიძლება 22 წლის ასაკში გახდე პარლამენტის წევრი და დაბერდე პარლამენტარად?!** პარლამენტი სანოტარო კანტორა არ არის, უდრტვინველად ყველაფერს თავი დაუქნიო და კენჭისყრის ღილაკს თითი უპრინციპოდ დააჭირო. უპრიანი იქნება, ყოველი წლის ბოლოს ფასდებოდეს პარლამენტარის მოღვაწეობაც. **სამართლიანი იქნება, ჩვენი ქვეყნის არსებობის გარკვეულ ეტაპზე პარლამენტარებისა და სახელმწიფო მოხელეების ხელფასი არ აღემატებოდეს, ვთქვათ, გაათმაგებულ საარსებო მინიმუმს. თუ საარსებო მინიმუმი 150 ლარია, 1500 ლარი მათთვის საკმარისი უნდა იყოს.** აქ რიცხვი 10 პირობითად არის შემოტანილი და სხვადასხვა დასაბუთებული მოსაზრების გამო, შეიძლება იგი ან მეტი იყოს, ან ნაკლები. აქაც ვიღაც იტყვის, როგორ შეიძლება მოსამსახურეთა ხელფასის მიბმა საარსებო მინიმუმზეო. რა არის ამაში არასწორი და არადემოკრატიული? თუ ხალხის რჩეული ხარ, გახდი შენს საქმეში წარმატებული. მიიღე დახვეწილი კანონები, დანერგე ისინი პრაქტიკაში. გამოიყვანე შენი ქვეყანა სავალალო მდგომარეობიდან. შექმენი ქვეყანაში ისეთი პირობა, ხალხს გაეზარდოს პენსია, სოცუზრუნველყოფა და შენც ავტომატურად დამსახურებულად გაგეზრდება გასამრჯელო.

კოაბიტაცია... გაუთავებლივ იმეორებს მავანი ამ უცხოურ სიტყვას. ციცერონი ამბობდა: დაუსჯელობის ხიბლით გათავხედებული ადამიანი უფრო და უფრო მეტ ბოროტებას სჩადის. **გამსახურდია ყოველგვარი კანონის დაცვით მოვიდა ხელისუფლებაში. ძალადობის გზით მისმა გადაყენებამ ძირეულად მოარყია ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის ბუნებრივი განვითარების მუხრუჭად იქცა. სწორედ მაშინდელი ძალდობის დაუსჯელობამ ბევრ არამზადას უბიძგა ახალი ძალადობისკენ.** კოაბიტაციამ არ უნდა დააკნინოს სამართლიანობა. სამართალმაც უნდა იგემოს ხმიადი. სათქმელი კვლავ ბევრი მაქვს, მაგრამ ამ წერილს აქ დავამთავრებ.

**ელგუჯა კეკელიძე,**
მეცნიერი, პენსიონერი

# რა გვინდა იმ ევროსაბჭოში, რომლის წევრი ჯერაც არ ვართ და უკვე გვემუქრებიან: პედერასტები თუ არ გახდებით, ძვირად დაგიჯდებათო?!

**ადამიანი პირუტყვისგან იმით განსხვავდება, რომ მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსებაა, რომელსაც სირცხვილ-ნამუსის გრძნობა გააჩნია, რომელსაც ძალუძს პირუტყვული ინსტინქტების შეცნობა და დაძლევა, მრავალსაუკუნოვანი მორალურ-ზნეობრივი ტრადიციების დაცვა და შენახვა. ყოველივე ამგვარ თვისებებს მოკლებული ადამის ნაშიერი შიშველია არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მორალურადაც: იგი მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება ადამს და ადამიანს.**

საქართველო რომ უძველესი და უდიდესი კულტურის ქვეყანაა და ქართველი ხალხის აბსოლუტურად უდიდეს ნაწილს — 99,9 პროცენტს დღემდე შემონახული აქვს ადამიანური თვისებები, ნათლად დამტკიცდა 2013 წლის 17 მაისს, როდესაც 30-მდე ლგბტ-ს მიზანს — სახალხოდ გაეწიათ საკუთარი ორიენტაციის პროპაგანდა, წინ აღუდგა ასი ათასი მგზნებარე პატრიოტი ქართველი. ალკვეთეს მათი ეგრეთ წოდებული ,,მშვიდობიანი აქცია“.

**ასი ათასი ქართველი მოწამის ბრძოლას ჰგავდა 17 მაისს ასი ათასი თბილისელის ბრძოლა ქართველი ადამიანის ღირსებისთვის, იმ განსხვავებით, რომ ამ ბრძოლას ტელევიზიით შორიდან თვალს ადევნებდა და თანაუგრძნობდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 99,9 პროცენტი.**

ასი ათასი ქართველი მოწამის ბრძოლის ანალოგიად კიდევ უფრო აშკარად იქცა ეს ბრძოლა იმით, როგორი შეფასებაც მიიღო ქვეყნის მოსახლეობის 99,9 პროცენტის უფლების საწინააღმდეგოდ, ადამიანური მორალის მიმართ მწყრალად მყოფი 0,01 პროცენტის ნების აღუსრულებლობის ფაქტმა.

საკითხავია, რომელ ჭკუათმყოფელს შეიძლება ამოსდიოდეს პირიდან, ქართველთაგან და სხვათაგანაც, რომ შესაძლებელია დაირღვეს მოსახლეობის 99,9 პროცენტის ზნეობრივი ნება და უფლება, მაგრამ დაუშვებელია, დაირღვეს ნება ზნეობრიობისგან შორს მყოფი 0,01 პროცენტისაო. რა ჭკუის ადამიანი უნდა მოითხოვდეს 99,9 პროცენტი მორალურ-ზნეობრივი ტრადიციების დამცველი ხალხის გასამართლებას, ასეთისგან დაცლილი 0,01 პროცენტის გულგასახარად?

თავად ლესბოსელების, მამათმავლებისა და პედერასტებისგან ეს არ გამიკვირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ ევროსაბჭოს ხელმძღვანელობის მოთხოვნა ქვეყნის მოსახლეობის 99,9 პროცენტის დასჯის შესახებ ამ ფაქტთან დაკავშირებით და მუქარა, რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საქარველოს ძვირი დაუჯდება.

**როგორ ბედავენ ამგვარი ამორალურობის მხარდაჭერას და ქადაგებას უზნეო უმცირესობის წარმომადგენლები თუ დამცველები, ზნეობრივი მოსახლეობის 99,9 პროცენტის ნების საწინააღმდეგოდ.**

მესმის, დაისაჯონ ისინი, ვინც საპირისპირო აქციის მონაწილეთაგან უფლებას გადაამეტეს და ფიზიკურად შეეხნენ უზნეობის პროპაგანდისტებს, ქართველი ერის ფიზიკურად და მორალურად განადგურების ცდაში ხელის შეშლისას. მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია დაგმობა მოსახლეობის იმავე 99,9 პროცენტის პატრიოტული აქტისა.

**ნუთუ ეს არის დასავლეთისა და ევროკავშირის თავისუფლება და დემოკრატია?! არა მგონია, მთლად ასე იყოს. ეს, ალბათ, თანამედროვე მსოფლიოში აღზევებულთა ერთი ნაწილის დროებითი მანკია.**

არა გვაქვს უფლება, — გვიკვირდეს ეს?

თუ კი უზნეობის ამგვარ ზეობას გულისხმობს მათი დემოკრატია და თავისუფლება, განა ლესბოსელებივით უმცირესობას არ განეკუთვნებიან ნარკომანები, ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები?.. რატომ არ ეწევა ანალოგიური პროპაგანდა ამათ ქმედებებს? განა ნარკომანები და ქურდები არიან ეგრე ზნედაცემულნი, როგორც პედერასტები? განა ნარკომანია, ქურდობა, ყაჩაღობა არ არის უფრო სუფთა „ხელობა“, თუნდაც ჰიგიენური თვალსაზრისით?

სად ვიმყოფებით? **ნუთუ ასეთია თანამედროვე შეშლილი, შეშლილი მსოფლიო?!**

**17 მაისს მსოფლიომ მართლაც დაინახა, რომ საქართველო, მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, ჯერაც არ არის ამგვარი შეშლილი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი.**

დაფიქრდი, დაფიქრდი სანამ გვიან არ არის, სრულიად საქართველოს ხალხო! — ნუთუ მსოფლიოს ამგვარი შეშლილი ნაწილის შესაერთებლად მიისწრაფვი? დაფიქრდი და ნუ გადადგამ წინ ერთ ნაბიჯსაც კი ამ გზაზე. უმჯობესია მორალურ-ზნეობრივად შეურყვნელი სულაც გაქრე ამ ქვეყნიდან, ვიდრე გაქრე ამორალურად და პირუტყვად ქცეული.

უცხოური ტელესერიალებით გადატვირთული ტელეგადაცემების ნებით თუ უნებლიეთ მაყურებელს, არ მეგონა, თუ თბილისელებისა და ქართველობის აბსოლუტური უმრავლესობა ასე წარუყვნელნი იქნებოდა. **ყოჩაღ თბილისელებო! ყოჩაღ ქართველებო! აწი სიკვდილიც არ მედარდება...**

თუკი საკუთარი აზრის გამოხატვის რაიმე უფლება დარჩენილია ადამიანთა საუფლოში, ასეთია ჩემი აზრი და მისი გამოხატვისა არ მერიდება ამგვარი უფლების არარსებობის შემთხვევაშიც.

გასაგებია, ვისი და რა ძალების ზეწოლითაც არის შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში ქართველი ხალხის მორალურ-ზნეობრივი მენტალიტეტის საწინააღმდეგო და ყოვლად სამარცხვინო მუხლი ერთსქესიანი ქორწინებისა და პედერასტობისთვის მწვანე გზის მიცემის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ამოსაღებია იქიდან.

**ქართველებო! რაც უნდა გვტანჯონ, გვაწამონ, ბილწთ არ შავეკვრათ ზავითა!**

**მამანტი ძაძამია,**
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ,,აიას“ პრეზიდენტი,
8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
5 უნივერსიტეტის პროფესორი

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯორჯ ბუშ-უმცროსის მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ვიკანელებმა შეძლეს თავიანთი სიმბოლიკის ოფიციალურად აღიარება სამხედრო სასაფლაოებზე, საფლავებსა და მემორიალურ დაფებზე დასატანად. 2006 წლის ნოემბერში პენტაგრამა, როგორც ვიკანური რელიგიის სიმბოლო, შტატ დაკოტაში, ფერნლიში მდებარე ვეტერანთა სამხედრო მემორიალურ სასაფლაოზე გაჩნდა – 2005 წლის სექტემბერში ავღანეთში დაღუპული სერჟანტ პატრიკ სტიუარტის მოსაგონებლად“.



ამერიკის შეერთებულ შტატებში „ალქაჯთა რელიგია“ საკმაოდ პოპულარული გახდა. ნეო-წარმართული რელიგია ვიკა პოპულარული 1954 წლიდანაა.

# კუდიანები და ამერიკული ჯარი

„**ვიკა** დიდ ბრიტანეთში 1951 წელს დაიწყო, სადაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში (ზუსტად კი — 1735 წელს) მიღებული „ჯადოქრობის შესახებ აქტის“ გაუქმების შემდეგ, ვინმე ჯერალდ გარდნერმა საყოველთაოდ განაცხადა, რომ იგი უძველესი რელიგიის მიმდევარია, რომელიც სასწაულად გადარჩა ქრისტიანულ ქვეყანაში.

გარდნერის განცხადება იატაკქვეშ მოქმედ ალქაჯთა მოძრაობაში მისი გაწევრიანების შესახებ გამოგონილს ჰგავდა, ხოლო რეკონსტრუირებადი რწმენა ძალიან ჰგავდა იმას, რაზეც მარგარეტ მერეის პოპულარულ წიგნებში „ვედური კულტი დასავლეთ ევროპაში“ (1921 წელი) და „ალქაჯთა ღმერთი“ (1933 წელი) იყო საუბარი. იმ წლების ბრიტანეთში, რომელიც ნელნელა თავიდან იშორებდა კონსერვატიულ მემკვიდრეობას, ადგილი გამოინახა ალქაჯებისთვის, და კიდევ იმ წლებში თავიდან დაბადებული დრუიდული მოძრაობისთვისაც“, – წერს სტატიის ავტორი.

საქართველოს მითოლოგიაში მოიპოვება ამჯერად უკვე ამერიკული რეალობის ანალოგიური არსებების შესახებ ინფორმაცია. როგორც ცნობილია, ქართველებს გაქრისტიანებამდე სჯეროდათ, რომ არსებობდნენ ალები, ქაჯები, კუდიანები, ჭინკები, წყარიშდიდა ბატონები, ბაყბაყდევი, გველისფერი, დედაბერი, დევი, დობილნი და ა. შ.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ამ არსებებმა უკვე ზღაპრებში გადაინაცვლეს და რეალობას არასოდეს დაბრუნებიან; თუმცა ვლადიმიროვის მიერ სტატიაში მოყვანილი სტატისტიკა აშშ-ის შესახებ შოკისმომგვრელია:

**„კრეიგ ხოუკინსის სტატიაში „ჯადოქრობის თანამედროვე სამყარო“, რომელიც „ქრისტიან რესერჩ ჟურნალის“ ამა წლის ზამთარ-გაზაფხულის ნომერში გამოქვეყნდა, აღნიშნულია:**

**„სხვადასხვა მიზეზის გამო რთულია, თუ არა შეუძლებელი, დავასახელოთ „ალქაჯთა“ სრული რიცხვი ჩრდილოეთ ამერიკაში. მიახლოებითი შეფასება კონსერვატორთა მხრიდან არის 5-დან 10-ათასამდე. უფრო ლიბერალური შეფასებებით — 30-დან 50 ათასის და 70-დან 80 ათასის დიაპაზონში არიან ნეოწარმართები. რეალური ციფრი, როგორც ჩანს, კონსერვატორთა შეფასების ქვედა ზღვარს უახლოვდება“.**

„**მაგრამ,** — აღნიშნავდა მკვლევარი, — **ალქაჯური კულტი მდგრადი ტემპით იზრდება და, თუ რამენაირად მკვეთრად არ გარდავტეხავთ ამერიკის სულიერ კლიმატს და არაფერს გავაკეთებთ ოკულტიზმთან სწრაფვის წინააღმდეგ, მაშინ ალქაჯური სათემო სულ უფრო დიდი უმცირესობა გახდება. და ეს გამომაფხიზლებელი შესაძლებლობა არ აძლევს საშუალებას ეკლესიას, ამის იგნორირება მოახდინოს“.**

თუ სტატისტიკას მივმართავთ, მთავარ წყაროდ „ამერიკული რელიგიური იდენტიფიკაციის კვლევების“ მონაცემები გამოგვადგება, რომელიც ნიუ იორკის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ პერიოდულად ტარდება. მონაცემები მასობრივ, ათი და ხანდახან ასი ათასობით სატელეფონო ზარში გამოხატულ სატელეფონო გამოკითხვებს ეფუძნება. ამ გამოკითხვებიდან მიღებული პროპორციებისგან, შესაძლოა, აშშ-ის სრული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის მიღება.

**1990 წლის გამოკითხვამ მოგვცა საფუძველი, გვევარაუდა, რომ აშშ-ში იყო დაახლოებით 8 ათასი ვიკანელი. 2001 წლის კვლევამ მიგვიყვანა ციფრთან — 134 ათასთან, ხოლო 2008 წლის კვლევამ — 342 ათას ვიკანელთან. და ეს ყველაფერი, სხვა ნეოწარმართების გარეშე, რომელთა რიცხვიც 2001 წელს ასეთი იყო: 33 ათასი „დრუიდი“ და 134 ათასი, უბრალოდ, „წარმართი“. ამგვარად, კვლევის მიხედვით, 2001 წელს აშშ-ში სხვადასხვა წარმართული მიმდინარეობის დაახლოებით 300 ათასი მიმდევარი ცხოვრობდა.**

საკუთარმა გამოკითხვამ, რომელიც აშშ-ის ვიკანელებმა და წარმართებმა 1999 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე ჩაატარეს, ციფრი — 768 ათას 400 ადამიანი დაასახელა. ეს გამოკითხვა გვაძლევს საშუალებას, დავაზუსტოთ მოძრაობის სტრუქტურა. გამოკითხვაში მონაწილეთა 71% ქალი იყო, ხოლო 29% — მამაკაცი. 11%-ს შეადგენდა ხალხი ასაკით 17 წლამდე, 25%-ს — 17-25 წლამდე, 40%-ს — 26-39 წლამდე, 23%-ს — 40-59 წლამდე, 1%-ს — 60 წელს ზევით.

1990-იან წლებში, როგორც ვხედავთ, ალქაჯურმა სარწმუნოებამ შტატებში ნამდვილი აფრენა განიცადა. **„მისი მიმდევრები ირწმუნებიან, რომ ეს ყველაზე მზარდი რელიგიაა შეერთებულ შტატებში, თითქმის ნახევარმილიონიანი მრევლით“,** — წერდა 1999 წლის ნოემბერში, ანუ ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული სოციოლოგიური კვლევების გამოქვეყნებამდე ჟურნალ



Christianity Today-ში ლორენ უილკინსონი.

**„ბრიტანული კოლუმბიის მიყრუებულ სოფელში, სადაც მე ჩემს ცოლთან ერთად ვცხოვრობ წარმართული, და მათ შორის ვიკანური ბუნიაობის აღნიშვნას უფრო მეტი ადამიანი ესწრება, ვიდრე წირვას ადგილობრივი ეკლესიაში“,** — ნათქვამია სტატიაში.

ალქაჯების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ ანტიკური დროიდანაა ცნობილი, თუმცა პიკს დასავლეთ ევროპაში მე-15 საუკუნეში მიაღწია. კათოლიკურ ქვეყნებში საქმეები, რომლებიც ჯადოქრობას ეხებოდა, საეკლესიო სასამართლოს, ანუ ინკვიზიციის მიერ განიხილებოდა.

ინკვიზიციის დროიდან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ სოლიდარობით ცნობილი ამერიკა თურმე უკმაყოფილებას მაინც გამოთქვამს ახალი რელიგიის მიმდევრების მიმართ.

**„1999 წელს ასევე გაირკვა, რომ 1997 წლის აგვისტოდან აშშ-ის ყველაზე დიდ სამხედრო ბაზაზე, ფორტ-ხუდზე, ტეხასში ამ რელიგიის 300-მდე მიმდევრისთვის ვიკანური რიტუალები კვირაში ორჯერ ტარდება. სამხედრო კაპელანის როლში „ალქაჯი“ მერი პალმერი გამოდიოდა, რომელმაც მანამდე 5 წელი სამხედრო პოლიციაში, ხოლო აღნიშნულ წლებში კი ფორტ-ხუდის ჰოსპიტალში იმსახურა“.**

პირველი პუბლიკაცია წარმართულ რიტუალებსა და კაპელანის შესახებ პრესაში 1999 წლის 11 მაისს გაზეთ American Statement-ში გამოქვეყნდა, ხოლო უკვე 9 ივნისს 13 კონსერვატიული და ქრისტიანული ორგანიზაცია გამოვიდა განცხადებით:

**„მანამ, სანამ ჯარი უარს არ იტყვის ჯადოქრობის ყოველგვარი ოფიციალური მხარდაჭერისა და მოწონებაზე, არც ერთი ქრისტიანი არ უნდა მივიდეს ჯარში მიწვევით და მშობელმა-ქრისტიანებმა არ უნდა დაუშვან, რომ მათი შვილები შეუერთდნენ ჯარს. ჯარი, რომელიც აფინანსებს სატანისტურ რიტუალებს, არ არის ღირსი, წარმოადგინოს ამერიკის შეერთებული შტატები“,** – აღნიშნულია სტატიაში.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, **ალქაჯების საწინააღმდეგო განცხადებით ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტობის კანდიდატი ჯორჯ ბუშ-უმცროსი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკელებს პასუხი პირადად ჯადოქრებმა გასცეს და 2004 წლის აგვისტოში, რესპუბლიკელთა წინასაარჩევნო შეკრებისას, ნიუ იორკში „გამწმენდი რიტუალების“ სერია დაგეგმეს.** როგორც ყოველკვირეულ www.usnews.com-ს ერთერთმა ალქაჯმა ტრეისი ლეიდმა განუცხადა, 31 აგვისტოს ნიუ იორკში სპეციალური „მაგიური“ ცერემონია ჩატარდება, რომელიც ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

**„სამშაბათს ღამით ჩატარდება დახურული რიტუალი, რომელიც, ვიმედოვნებთ, გამოიყენებს შეკრებით გამომუშავებულ ენერგიას, რათა ჯადოქრობით მოვაშოროთ ბუში ვაშინგტონს“,** — განაცხადა ლეირდმა.

ამ ყველაფრის შემდეგ, როდესაც ჯორჯ ბუშ-უმცროსი მეორედ გახდა პრეზიდენტი, ვიკანელებმა უკვე თავიანთი სიმბოლიკის აღიარებასაც მიაღწიეს.

**„ჯორჯ ბუშ-უმცროსის მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს, ვიკანელებმა შეძლეს თავიანთი სიმბოლიკის ოფიციალურად აღიარება, სამხედრო სასაფლაოებზე, საფლავებსა და მემორიალურ დაფებზე დასატანად. 2006 წლის ნოემბერში პენტაგრამა, როგორც ვიკანური რელიგიის სიმბოლო, შტატ დაკოტაში, ფერნლიში მდებარე ვეტერანთა სამხედრო მემორიალურ სასაფლაოზე გაჩნდა – 2005 წლის სექტემბერში ავღანეთში დაღუპული სერჟანტ პატრიკ სტიუარტის მოსაგონებლად“.**

მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ ალქაჯებთან ბრძოლაში არც აშშ ჩამორჩა ევროპას. მაგალითად, 1692 წელს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სალემში გამართული სასამართლოს შემდეგ 19 ადამიანი ჩამოახრჩეს, 1 ქვებით ჩაქოლეს და 175-200 ადამიანი ციხეში მოხვდა.

ინგლისური კანონების თანახმად, 1641 წელს ჯადოქრობა სისხლის სამართლის დანაშაული იყო. **თუ სტრატეგიული პარტნიორი ჩვენი სისხლის სამართლის წარმოების ისტორიას გადახედავს, ნახავს, რომ საბჭოთა ქვეყნებში ჰომოსექსუალიზმიც კრიმინალი იყო და სიკვდილითაც კი ისჯებოდა. როგორც ჩანს, ქვეყნებს ძველი პრობლემები უბრუნდებათ: აშშ-ს — ალქაჯების, ხოლო საქართველოს — ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა.**

**„1974 წლის ოქტომბერში სელენა ფოქსი ქმნის საკუთარ ორგანიზაციას „ვიკას წრე“. ყველა რიტუალი ამის შემდეგ ტარდება ნაქირავები ფერმის, „მზიანი პრერიის“ ტერიტორიაზე შტატ ვისკონსინში.**

**1978 წელს „ვიკის წრის ეკლესია“ შტატის ხელისუფლებამ, ხოლო 1980 წელს კი ფედერალურმა ხელისუფლებამ, ოფიციალურად ცნო რელიგიურ ორგანიზაციად. 1985 წელს კონგრესის მოსმენისას, სელენა ფოქსის გამოსვლის შემდეგ ვიკას ეკლესია გათავისუფლდა გადასახადებისგან, ისევე, როგორც აშშ-ის სხვა რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფომ ცნო.**

**ვიკას წრის რიტუალების ადგილი 1983 წლიდან ორგანიზაციის მიერ ნაყიდ ტერიტორიაზეა, რომელიც 200 აკრს ითვლის და ვისკონსინში მთა ხორივზეა განლაგებული, მას 1988 წლიდან ოფიციალურად ბუნებრივი ტყე-პარკის სტატუსი აქვს“,** – წერს ვლადიმეროვი სტატიაში.

ანუ თავიდან აშშ-მა ვიკანელები რელიგიურ ჯგუფად სცნო, ყველა უფლება მისცა, მაგრამ ახლა უკვე აღარ მოსწონს მისი თავხედობა. ვიკანელებს კი უკვე აღარ აინტერესებთ ხელისუფლების აზრი – ისინი, უბრალოდ, მრავლდებიან (როგორც ჩანს, წარსულში მათ საწინააღმდეგოდ მომართული მრავალრიცხვოვანი ქმედებებისთვის სამაგიეროს იხდიან). ახლა კი სტრატეგიული პარტნიორი ჩვენ „გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ“.

**„ყველა ხმამაღალმა პროტესტმა, მათ შორის რამდენიმე დღის მანძილზე გაჟღერებულმა მუქარებმა ქრისტიანული ორგანიზაციების მხრიდან იმის შესახებ, რომ „მოეწყობა მარში ბაზასთან, რათა ხელი შეეშალოს რიტუალებს, რომლებმაც იძულებული გახადეს ჯარი, გაეძლიერებინათ ბაზის დაცვა“, არანაირი მოქმედება არ გამოიწვია: წელიწადზე ოდნავ მეტის შემდეგ, 2000 წლის 27 ოქტომბერს უცნობებმა დაამტვრიეს ვიკანელთა საკურთხეველი ფორტ-ხუდეში, მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდა“,** — ნათქვამია სტატიაში.

ალბათ, ხელისუფლებამ საკურთხევლის დამტვრევა იქაც დაგმო, მაგრამ ფაქტია, რომ ამით სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. **ამერიკელები კვლავ განიცდიან თანამემამულეთა შორის „ალქაჯების“ გამრავლებას. სიმართლე რომ ითქვას, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ხშირად თავად ეწევა ამ ყველაფრის პოპულარიზაციას:** ისეთი ფილმები, როგორებიცაა „ისტვიკელი ალქაჯები“, „ალქაჯი ბლერიდან“, „დიდი ინკვიზიტორი“, „ალქაჯებზე მონადირენი“, „საბრინა — პატარა ალქაჯი“, „მე ცოლად ალქაჯი მოვიყვანე“ (1942 წლის ფილმი!) ინტერესს ახალგაზრდობაში უკვე იწვევს. როგორც ჩანს, ამჯერად დიდ ქვეყანას, რომლის ერთ-ერთი სიმბოლოც პენტაგონია, მაგიურ ძალებთან ბრძოლა მოუწევს.

terra-america.ru-ს მიხედვით

„სააკაშვილმა უკრაინაში მილიარდ-ნახევარი დოლარი გადარიცხა და ჯართი საქართველოში ჩამოიტანა. გარიგების დასრულების შემდეგ, უკრაინის პარლამენტმა აღნიშნული საქმის გამოძიება დაიწყო და აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში მხოლოდ 200 მილიონი დოლარი იყო შესული. დანარჩენი თანხა თავად სააკაშვილმა მიითვისა, რადგან ჭურვების შეძენის პროექტი მისი მოფიქრებული იყო. ამის შემდეგ მან უკრაინაშივე ბანკი დააარსა და მმართველად უკრაინის ელჩი გრიგოლ ქათამაძე დანიშნა. ბანკს „საქართველოს ბანკი“ დაარქვა.“

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილმა უკრაინაში მილიარდ-ნახევრის ვადაგასული ტყვიაწამალი შეიძინა

**2008 წლის აგვისტოს ომის თემა, ალბათ, ამოუწურავია, რადგან რამდენ ადამიანსაც არ უნდა შეხვდე, ვისაც ინფორმაციაზე ოდნავ მაინც მიუწვდებოდა ხელი, ყველა სენსაციურ და გამაოგნებელ ამბებს ყვება. საქართველოს ყოფილი ხელისუფალნი რომ კრიმინალები და დამნაშავეები იყვნენ, ეს გასაკვირი და ახალი ამბავი არავისთვის არ არის, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის ღალატი?! ისმენ ხელისუფლების ღალატს, ფაქტებით დადასტურებულს, და იძულებული ხარ, ამ ადამიანების ბოგინი აიტანო შენ გვერდით, შენს ქვეყანაში, უსმინო მათ თავის მართლებას და იმსჯელო იმაზე, უნდა გასამართლდეს თუ არა რეჟიმი, უნდა დააპატიმრონ თუ არა მერაბიშვილი ან სააკაშვილი. ვისაც ხელეწიფება წინა ხელისუფლებაში მყოფი კრიმინალების საბრალდებო სკამზე დასმა, ალბათ, ამ საკითხს დროულად უნდა მიხედოს. უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ალექსანდრე ქურთაული „ნაციონალური“ ხელისუფლების, კერძოდ კი, ქვეყნის პრეზიდენტის კრიმინალურ საქმიანობაზე საუბრობს.**



**— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ამბობთ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ფლობთ, დროა, ყველამ გაიგოს.**

— დიახ, ყველამ უნდა იცოდეს, 2006-2007 წლებში სააკაშვილმა ფული საიდან იშოვა.

უკრაინის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ 1940-იან წლებში გამოშვებული ჭურვები გაენადგურებინა და ამისთვის სახელმწიფომ გარკვეული თანხა გამოყო. ჭურვების განადგურებისა და დემონტაჟის გადაწყვეტილება იმ მოტივით მიიღეს, რომ ვადაგასული ჭურვები ძალიან საშიშია, რადგან შესაძლებელია, თავისით აფეთქდეს. ამის გამო, უკრაინაში მოსახლეობის ევაკუირებაც კი დაიწყო ტერიტორიიდან, სადაც აღნიშნული ჭურვების დიდი რაოდენობა ჰქონდათ შენახული.

უკრაინაში პროცესი დაიწყო და ამ დროს გამოჩნდა საქართველო, რომელმაც განაცხადა, რომ ვადაგასულ ჭურვებს შეიძენდა. უკრაინას ეს ხელს აძლევდა, რადგან ჭურვების გასანადგურებლად გამოყოფილ თანხას დაზოგავდა. **სააკაშვილმა უკრაინაში მილიარდ-ნახევარი დოლარი გადარიცხა და ჯართი საქართველოში ჩამოიტანა. გარიგების დასრულების შემდეგ, უკრაინის პარლამენტმა აღნიშნული საქმის ძიება დაიწყო და აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში მხოლოდ 200 მილიონი დოლარი იყო შესული. დანარჩენი თანხა თავად სააკაშვილმა მიითვისა, რადგან ჭურვების შეძენის პროექტი მისი მოფიქრებული იყო. ამის შემდეგ მან უკრაინაშივე ბანკი დააარსა და მმართველად უკრაინის ელჩი გრიგოლ ქათამაძე დანიშნა. ბანკს „საქართველოს ბანკი“ დაარქვა.**

აღნიშნული ჭურვები ამჟამად გორის რაიონში, სოფელ უფლისციხეში, „საფოსტო ყუთის“ შენობაშია განთავსებული. მიზეზი, რისთვისაც ეს ამბავი სააშკარაოზე გამოვიტანე, სწორედ ეს იყო. ჭურვები მოსახლეობისთვის ძალიან საშიშია. ის შეიძლება ერთ დღეს აფეთქდეს და ყველაფერი გაანადგუროს, მართალია, რადიაციას არ იწვევს, მაგრამ რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე არაფერს დატოვებს. **აგვისტოს ომის დროს ქართველები რომ გამოიქცნენ და ყველაფერი გზადაგზა დაყარეს, რუსები, რაც კარგი იყო, კრეფდნენ და მიჰქონდათ, მაგრამ ჭურვების დანახვაზე გადაირივნენ, ძალიან შეეშინდათ, რომ არ აფეთქებულიყო.** თავად ქართველებსაც არ გამოუყენებიათ. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ომი ფულის საშოვნად კარგი წყაროა. სწორედ ასეთი ფაქტები და კიდევ უამრავი რამ, რასაც უკრაინაში ქართულ საინფორმაციო საშუალებებში ვკითხულობ, მაფიქრებინებს, რომ ომი საქართველოს მთავრობას და კერძოდ, პრეზიდენტს ხელს აძლევდა.

**— ბატონო ალექსანდრე, თქვენ „ნაციონალების“ ხელისუფლებამ დაგაპატიმრათ, ანუ მათი „ბიზნეს-პატიმარი“ იყავით, რა იყო მიზეზი, მაშინ ბიზნესმენებს იმიტომ აპატიმრებდნენ, რომ ვიღაცის ინტერესებს კვეთდა?**

— დიახ, მე კუბლაშვილისა და ადეიშვილის ინტერესების სფეროს შევეხე. საბუთების გაყალბების მუხლით გამასამართლეს. უკრაინაში არსებული ჩემი საკუთარი ფირმიდან საქართველოში არსებულ კომპანიას „გლობალმეტალს“ თანხას ვურიცხავდი და ფერო-სილიკო-მარგანეცის ნარჩენებს ვყიდულობდი. მერე აღნიშნულ ნარჩენებზე ძალიან დიდი ტენდერი გამოცხადდა და მე ეკონომიკის სამინისტრომ შემომთავაზა, ტენდერში მონაწილეობა მიმეღო, სამაგიეროდ, იმერეთის რამდენიმე რაიონში გზა და გარეგანათება უნდა გამეკეთებინა, ისე, რომ არ გამოვჩენილიყავი და მთავრობა პიარს გაიკეთებდა. მე ეს ხელს მაძლევდა, პირობებიც სახარბიელო შევთავაზე, მაგრამ **აღმოჩნდა, რომ კუბლაშვილი იყო იმავე ტენდერით დაინტერესებული და თავიდან მომიშორეს. „გლობალმეტალს“, რომლის დირექტორიც კახა ჯანაშია იყო და კოდუა მფარველობდა, საბუთები წესრიგში არ ჰქონდა, ჩემი დაპატიმრების მიზეზად ეს დაასახელეს, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ საბუთებთან ხელი არ მიმიწვდებოდა.** გამომძიებელი, ვინმე ჩოხელი, თავად მეუბნებოდა, რომ მუხლი, რომლითაც უნდა გასამართლდე, არ შეგესაბამება, მაგრამ რამეს მოვიფიქრებო. ახლა ის გამომძიებელი ახალმა ხელისუფლებამ გორში ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნა. აუცილებლად ვნახავ და ვკითხავ, — ვინ გასცა ჩემი დაპატიმრების ბრძანება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# ზუგდიდელებმა საქართველოს პარლამენტს ლგბტ-ს პროპაგანდის აკრძალვის მოთხოვნის წერილი გაუგზავნეს

**17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენათა გამო საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივითა და ძალისხმევით შეიკრიბნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის თითქმის ყველა სფეროსა და სტრუქტურის წარმომადგენლები, რათა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება გეიაღლუმებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასთან დაკავშირებით. საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილის — მურმან ნაჭყებიას პათოსს, რომ ზუგდიდი ემიჯნება ლგბტ-ს, ამასთან, მიუღებელია მათი უზნეო ქმედებები, მაგრამ ყოველგვარი სისაძაგლე ძალადობის გარეშე რომ უნდა იქნას თავიდან აცილებული, შეკრების ყველა მონაწილე დაეთანხმა.**



**მურმან ნაჭყებია:**

— ჭორის დონეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის შემდეგ ზუგდიდშიც იგეგმებოდა გეიაღლუმის ჩატარება. ეს არ უნდა დავუშვათ არანაირად. ჰქონდეთ მათ თავიანთი ადგილი, არ ჩავერევით მათ პირად ცხოვრებაში, მაგრამ არ უნდა ჩაატარონ გეიაღლუმები ცენტრალურ ქუჩებსა და პროსპექტებზე. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს დეფორმირებულ აზროვნებაზე.

**რევაზ ცაავა, საზოგადოება „ზუგდიდელის“ წარმომადგენელი:**

— ვთხოვთ მთავრობას, გამოიკვლიოს, თუ ვინ დაგეგმა ყოველივე და, თუ ეს ამერიკამ დაგეგმა და ასე უნდა ამერიკას, არც ამერიკა მინდა, არც ნატო და არც ევროკავშირი. ღმერთმა ნუ ქნას, ის, რაც თბილისში მოხდა, მოხდეს ზუგდიდში. ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ქადაგებენ ასეთ აღვირახსნილობას, უნდა მოიკვეთონ სამსახურებიდან.

**კოტე ჭილაია, ზუგდიდის მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი:**

— ჩვენ ტრადიციების ერი ვართ და ვალდებულნი ვართ, მოვუაროთ ამ ტრადიციებს. მთავარია, სწორად აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობა, ოჯახებმა უნდა გააკონტროლონ თავიანთი შვილების ქმედებები. და ამის შემდეგ ლგბტ-ს საქართველოში დასაყრდენი არ ექნება.

**ზამირა ღადუა, „სახალხო კრების“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

— მე, როგორც დედა და როგორც პედაგოგი, ვემიჯნები ამ პროცესს. ძალადობის მომხრე არა ვარ, მაგრამ, რომ არ ყოფილიყო ძალადობა, ხომ გაიმართებოდა გეიაღლუმი? ვთვლი, რომ უნდა გადაიხედოს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციები, რომლებმაც ასეთი საქმიანობა შემოსავლის წყარო გაიხადეს. მოვთხოვოთ მთავრობას, პარლამენტს, აკრძალოს ლგბტ-ს ლეგალიზება.

**როლანდ მაქაცარია, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

— ეს როგორ გაიფიქრეს, რომ ზუგდიდში ჰომოსექსუალებმა აღლუმი გამართონ. ვაფრთხილებ მათ, — თუ ასეთი რამის მცდელობა იქნება, მარტო ჩვენ, სპორტსმენებს და სპორტის ვეტერანებს, ისინი ცოცხლები ვერ გადაგვირჩებიან, ამიტომაც აუცილებელია, ჩვენმა ხელისუფლებამ აღკვეთოს ამ სისაძაგლის პროპაგანდა.

**ბონდო ჯიქია, ყოფილი გუბერნატორი:**

— ეს ავადმყოფობა მოდის შორიდან და ჩვენთანაც გაიდგა ფესვები, ამიტომაც შევადგინოთ დოკუმენტი და მივმართოთ პარლამენტს ლგბტ-ს აკრძალვის შესახებ, თუმცა ეს კანონი ადვილი მისაღები არ არის“.

**ვახტანგ კუკავა, ექიმი:**

— ვინც დასნეულებულია ამ სენით, ჩვენ მათ ვერ შევაცვლევინებთ ორიენტაციას. ჩვენ ამ ცოდვილებს, ავადმყოფებს კი არა, მოვლენას უნდა ვებრძოლოთ. ყოველივე, რაც თბილისში მოხდა, იყო დაგეგმილი პროვოკაცია და ხალხიც ამ პროვოკაციას წამოეგო.

**მამა მალხაზ ჭანტურია, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი:**

— ჰომოსექსუალიზმი უმძიმესი ცოდვაა. მანამდე ეს იყო ავადმყოფობა. დღეს რატომღაც მათ ეუბნებიან, თქვენ ავადმყოფები კი არ ხართ, არამედ საზოგადოების სრულყოფილი წევრებიო. არადა, ეს ტრაგედიაა, როცა ჰომოსექსუალიზმს ავადმყოფობად არ მიიჩნევენ. ეკლესიაშიც მოდიან ასეთი ადამიანები და იკურნებიან კიდეც. ეკლესიას აქვს ამის ძალა. რატომღაც აბორტები ნაკლებად აწუხებთ, ვიდრე ამათი უფლებების შელახვა. შევაწუხოთ ჩვენი მთავრობა და მოვთხოვოთ მათი ლეგალიზების აკრძალვა კანონისძალით.

**შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. მასში აღნიშნულია, რომ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს კანონი, რომელიც აკრძალავს ლგბტ-ს პროპაგანდას. „სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ თავიანთი შეკრების ადგილი, აკეთონ იქ, რაც უნდათ. არ ჩავერევით მათ პირად ცხოვრებაში, მაგრამ მანიფესტაციებს და აღლუმებს ჩვენი ქვეყნის ქალაქების ქუჩებსა და უბნებში ნუ მოაწყობენ, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო რელიგიის უგულებელყოფა, ამასთანავე, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის გრძნობებზე დამამცირებელი თამაში, რაც არც ერთ შემთხვევაში არ მოიტანს დადებით შედეგს ქვეყნის ცხოვრებაში“,** — ნათქვამის რეზოლუციაში.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირის ყველაზე დიდი მტერი „შიდა მტერია“, რომელიც „ტოლერანტულობისა“ და „მულტიკულტურიზმის“ უკან იმალება. ნატო ამგვარ მტრებს არ ებრძვის. ნატო საგარეო მტერთან მიუშვი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ალიანსში შემავალ ევროკავშირის ქვეყნებს თავს არავინ ესხმის.**

# ნატოს ყველა წევრი თავისი გზით წავა

**მაისის დასაწყისში ევროპარლამენტის კომიტეტში საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ მოსმენებზე ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა ევროპას მიანიშნა, რომ ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებაზე საუბრები მხოლოდ ჰაერში გასროლილი ფრაზები იქნება, თუ თავად ევროკავშირი თავდაცვაზე ხარჯებს არ გაზრდის. თუმცა, როგორც მრავალრიცხოვანი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები მოწმობს, ევროკავშირის ყველაზე დიდი მტერი „შიდა მტერია“, რომელიც „ტოლერანტულობისა“ და „მულტიკულტურიზმის“ უკან იმალება. ნატო ამგვარ მტრებს არ ებრძვის. ნატო საგარეო მტერთან მიუშვი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ალიანსში შემავალ ევროკავშირის ქვეყნებს თავს არავინ ესხმის. ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რასმუსენი ამბობდეს იმას, რაც თეთრ სახლში უბრძანეს.**



როგორც 6 მაისს რასმუსენმა განაცხადა, იმისათვის, რომ „საერთაშორისო მოთამაშე იყოს და არა გულშემატკივარი“, ევროკავშირმა უნდა გააფართოოს საბიუჯეტო ასიგნირება თავდაცვაში. **„ჩვენთვის აუცილებელია, უკეთესად და უფრო სრულად დავუჭიროთ მხარი ჩვენს მოკავშირეებს აშშ-ში“,** — განაცხადა რასმუსენმა და გასცა კიდეც საიდუმლო, რომელიც ისედაც ყველამ კარგად იცოდა.

ამის შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა ევროპელებს მოუწოდა, „არ ჩაიციკლონ საბიუჯეტო პრობლემებზე“. ამ შემთხვევაშიც ნათელია, თუ საიდან უბერავს ნიავი. საჭიროა ამერიკელების მხარდაჭერა: მათაც კრიზისი აქვთ, რატომ უნდა გადაიხადოს მხოლოდ ვაშინგტონმა დასავლეთის საერთო გეგმებისთვის?

გარდა ამ ყველაფრისა, რასმუსენმა განაცხადა: **„ჩვენ ვალდებულნი ვართ, უზრუნველვყოთ ჩვენი მოქალაქეები და გადასახადების გადამხდელები ყველაზე საიმედო უსაფრთხოებით, როგორის ყიდვაც ფულით შეიძლება“.**

სამართლიანია, თუ გჯერა, რომ ვიღაც „ბოლშევიკები“ წუთი წუთზე შეცვივდებიან ევროპაში და დაიწყებენ, ვთქვათ, ბალტიისპირეთით, რომელსაც სულ სამი ტანკი ჰყავს.

რასმუსენმა ლამის სიტყვა სიტყვით გაახმოვანა ვაშინგტონის პრეტენზიები ევროპელი მოკავშირეებისადმი, პრეტენზიები, რომლითაც ვაშინგტონი ევროკავშირის მხრიდან თავდაცვაზე ხარჯების გაზრდის მიღწევას ფიქრობს.

**იმიტომ ხომ არ გადაეკიდა ვაშინგტონი ევროპას, რომ მას თავადაც უკვე უფრო მოკრძალებული სამხედრო შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ადრე ჰქონდა? აშშ-ის სამხედრო ხარჯები 6%-ით შემცირდა და მიმდინარე ფინანსურ წელს 682 მილიარდი დოლარი შეადგინა.** ლიბიაში ომისთვის აშშ საბრძოლო მასალებსა და საზენიტო რაკეტებს არ იშურებდა, მოკავშირეების დასახმარებლად კი უპილოტო საფრენ აპარატებს, გამანადგურებლებს აგზავნიდა. ახლა მალიში მათი დახმარება მხოლოდ უპილოტო საფრენი აპარატებით, სატრანსპორტო თვითმფრინავებითა და ბენზინგასამართი თვითმფრინავებით შემოიფარგლება.

ექსპერტები ეჭვობენ, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი უახლოეს ორ წელიწადში თუნდაც ერთ ამგვარ ოპერაციაში მონაწილეობას გაუძლებენ. დღეს ორივე მხარე ცდილობს, როგორმე შეინარჩუნოს ბირთვული შეკავების ძალები და საერთოდ შეიარაღებული ძალები. **დიდ ბრიტანეთში ყველაფერი იმდენად ცუდადაა, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები ლონდონს მოუწოდებენ, უარი თქვას ბირთვული შეკავების საშუალებებზე, რადგან მათი მომსახურება ძალზე ძვირადღირებული სიამოვნებაა.**

**საერთოდ, რისთვისაა საჭირო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი? რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეს დღეს უმრავლესობა გამოგონილად აფასებს. იქნებ აშშ თავისთვის იყოს და დასავლეთ ევროპა — თავისთვის?**

როგორც ამერიკის მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ ანონიმურობის გარანტიით უთხრა მედიას, **ვაშინგტონი მიისწრაფვის პარტნიორობისკენ ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში,** რადგან ევროპის მიერ თავდაცვაზე ხარჯების შემცირების გადაწყვეტილება სულ უფრო მეტად აღნიშნავს იმას, რომ მას არ შეუძლია საკუთარ თავზე იზრუნოს, ანუ არ შეუძლია ღირებული პარტნიორი იყოს. მაშ, რაში სჭირდება ამერიკას არაღირებული პარტნიორები?

**„თუ ნატო გარეთ არ იმოქმედებს, მას არაფერი ექნება საკეთებელი,** — ამბობს ვაშინგტონში მდებარე საერთაშორისო სამსახურის სკოლის დეკანი ჯეიმს გოლდგეიერი. — **ის უკვე ვეღარ შეძლებს რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეზე აპელირებას, იმიტომ, რომ ეს არარეალური საფრთხეა“.**

როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, გარდა სამი ქვეყნისა — დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთისა — ნატოში არავინ ასრულებს ვალდებულებას, სამხედრო ბიუჯეტი საერთო შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე შეინარჩუნოს. ევროკავშირში თავდაცვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 1,6 პროცენტს შეადგენს. ეს ახლოსაც კი ვერ მივა აშშ-ში არსებულ ანალოგიურ 5%-იან მაჩვენებელთან. **2011 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა საერთო ჯამში თავდაცვაზე დაახლოებით 180 მილიარდი ევრო დახარჯეს. ხუთი წლის წინ კი იგივე ქვეყნები იმავე მიზნებისთვის 200 მილიარდ ევროს ხარჯავდნენ.**

დღეს ევროპის ყველა ქვეყანაში გაჩაღებულია „შემცირება“. ლონდონი აპირებს, რომ 2015 წლისთვის სამხედრო ხარჯები 8 პროცენტით შეამციროს მიმდინარე ხარჯებთან შედარებით. პარიზი ამდენ ხანსაც არ აპირებს დაცდას და უკვე მიმდინარე წელს სამხედრო ბიუჯეტს 3 პროცენტით შეკვეცს.

კრიზისში ჩაძირულმა ესპანეთმა 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე უკვე სამჯერ შეამცირა თავისი სამხედრო ბიუჯეტი, უკანასკნელ ოთხ წელიწადში ამ ბიუჯეტს ზუსტად ერთი მეოთხედი მოაკლდა, ხარჯების შემდგომი შემცირებისთვის კი იქ მზადაა გეგმა, რომელიც შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას ითვალისწინებს.

2010 წელს იტალიამ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ერთი მეათედით შეუმცირა, მიმდინარე წელს კი სამხედრო ხარჯები დამატებით კიდევ დაექვემდებარება შემცირებას.

2015 წლის დასასრულამდე ნიდერლანდები სამხედრო ბიუჯეტს 13 პროცენტით შემცირებას უპირებს და ამ პროცენტების ათვლა ამჟამად არსებული ბიუჯეტიდან მოხდება.

რაც შეეხება ევროკავშირის ლოკომოტივს — გერმანიას — მხოლოდ მიმდინარე წელს მან სამხედრო ხარჯები 10 მილიარდი დოლარით უკვე შეამცირა.

ბატონი რასმუსენი ადრეც მოუწოდებდა ევროკავშირის წევრებს, ნატოს ბიუჯეტში საკუთარი შენატანი გაეზარდათ, მაგრამ ამ მოწოდებას არავინ ასრულებდა. ახლა კი, გამწვავებული ფინანსური კრიზისის ფონზე, გენერალური მდივნის მოწოდებები, ცხადია, მხოლოდ მოწოდებებად დარჩება.

**ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები არანაირად არ შეეხება ევროკავშირს, ამიტომაც სამხედრო ბიუჯეტები მცირდება. არავის ულირს არმიის დაფინანსების გაზრდა. გერმანიაში არმია უკვე განიარაღების პროცესშია.**

6 მაისის გამოსვლამდე ბატონმა რასმუსენმა ევროპა თებერვალში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ მიუნხენის კონფერენციაზე შეაშინა. იქ მან მიანიშნა, რომ **„ევროპის სერიოზული შენატანი ნატოს შესაძლებლობებში გაამყარებს აშშ-ის ვალდებულებებს ნატოში“.** მაგრამ გენერალურ მდივანს მაშინ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა საფრთხე ელის ევროპას.

მართლაც, ძალზე სახალისო სიტუაცია იქნებოდა, რასმუსენს გერმანელებისთვის ეთქვა, რომ რუსები ან ბელარუსები შეჭრისთვის ემზადებიან. **ერთ დროს ნატოსთვის ძალზე მომგებიანი იყო ცივი ომი. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლი ბატონი ობამას სახით უარყოფს წარსული დროის დაუნდობელ რიტორიკას, მაგრამ სამხედრო ბიუჯეტების ამთვისებელთაგან მრავალი ახლაც ნატრობს ბიპოლარულ მსოფლიოს.**

თუ გავიხსენებთ ისტორიას, თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავის დროზე იქმნებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო აგრესიის აღკვეთის მიზნით. მაგრამ სად არის ახლა საბჭოთა კავშირი? ბელოვეჟის შეთანხმების შავბნელი დღეებიდან დიდი დრო გავიდა. საბჭოთა კავშირი არ არსებობს, ნატო კი კვლავაც მზადაა, რომ ევრობიუჯეტებიდან გულუხვი პროცენტები აითვისოს.

**ჯერ კიდევ 2011 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეიტსის პირით განაცხადა იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ნატოდან გასულიყო კიდეც. ეს იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ მოკავშირეების მხრიდან სამხედრო ძალების შემცირება კვლავაც გაგრძელდებოდა.**

**დღეს თეთრი სახლი ორიენტირებულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე.** აშშ-ს ყველაზე მეტად ჩინეთი ადარდებს, რადგან ეს უკანასკნელი თავის ბიუჯეტზე საერთო შიდა პროდუქტის 7,8 პროცენტს ხარჯავს.

ამიტომ თეთრი სახლი ევროპის დაფინანსების იმავე მოცულობას არ გაიმეტებს, რასაც ადრე იმეტებდა. **2015 წლამდე ვაშინგტონი ევროპიდან იქ განლაგებული სამხედრო დაჯგუფებების ნახევრის გაყვანას აპირებს.**

თავდაცვის პოლიტიკის ახალი ორიენტაცია აშშ-სა და ევროკავშირს შორის მოკავშირულ დამოკიდებულებას შეამცირებს, ამ პროცესს კი კიდევ უფრო უწყობს ხელს ევროპაში არსებული კრიზისი. ევროკავშირის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ▶

## ევროკავშირი ინცესტის ლეგალიზაციის საკითხს განიხილავს

**ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვების აყვანის ლეგალიზაციის შემდეგ, ევროკავშირი ინცესტის (სისხლის აღრევა) ლეგალიზაციის საკითხს განიხილავს. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება.**

ევროპელი პოლიტიკოსები ინცესტზე, როგორც „გენდერულ ნორმაზე“ საუბრობენ. ზოგიერთების შეფასებით, „ჰომოფობიასთან“ ერთად საჭიროა „ინცესტოფობიის“ მნიშვნელობის დამკვიდრებაც.

„ახალი გენდერული საზოგადოება“ ინცესტის ლეგალიზებას თავდაპირველად შვედეთში, დანიასა და შვეიცარიაში გეგმავს.

ევროპელ პოლიტიკოსთა აზრით, „გენდერულ ნორმად“ უნდა იყოს მიღებული სექსუალური კავშირი დედ-მამასა და შვილს შორის, დასა და ძმას შორის და ასევე ყველა სისხლით ნათესავს შორის. ამასთანავე, ყველა „ინცესტოფობი“ უნდა დაისაჯოს.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის მთავრობის ინიციატივამ ჯერ კიდევ 2010 წელს გამოიწვია სკანდალი, როდესაც ინცესტის ლეგალიზაციის საკითხი დააყენა. მაშინ შვეიცარიის სახალხო და ეროვნულ-ევანგელისტური პარტია აღნიშნულმა ინიციატივამ აღაშფოთა.

**2012 წლის დეკემბერში აშშ-ის კონგრესმა „ასეთი სექსუალური ორიენტაციის“ სტატუსის მქონე პირებს, ისეთებს, როგორიცაა: ზოოფილია, ინცესტი, პედოფილია, ნეკროფილია, ფედერალური და იურიდიული დაცულობის პირობა მისცა.**




**მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ობივატელს ისლამოფობია სჭირს, ამ შიშის ფონზე მეჩეთების მშენებლობაა გაჩაღებული. საფრანგეთში უკვე 2300 მეჩეთია, აშშ-ში კი მხოლოდ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე 1200 მეჩეთი აშენდა. თუ ყველაფერი ასევე გაგრძელდება, ქრისტიანებს ევროპაში უმცირესობაში მოუწევთ ყოფნა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფინანსურ მონაწილეობას კიდევ იმიტომაც ამცირებს, რომ იწყებს ნატოსგან დამოუკიდებელ საკუთარ სამხედრო აღჭურვას.

რაც შეეხება აშშ-ს, ის უკმაყოფილოა სამხედრო სფეროში ევროკავშირის მზარდი გავლენით. 2011 წლის ოქტომბერში ნატოს შიგნით არსებულ დამოკიდებულებებზე აშშ-ის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ **აშშ-შიც და ევროპაშიც გაჩნდა თავდაცვის სფეროში პარტნიორობის კრიტიკული წერტილის გაგება.**

საერთო ჯამში უახლესი დროის ტენდენციები შეიძლება ასე დახასიათდეს: **ევროპელი სახელმწიფო მოღვაწეები ფეხს ითრევენ პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გამოჩენილი ვაშინგტონის აგრესიული ამბიციების ფინანსურ მხარდაჭერაზე.**

ამრიგად, ნატოს გენერალური მდივანი ერთი მეორის მიყოლებით გამოდის ნატოს სადიდებელი მოხსენებებით და, როგორც წესი, ყველა გამოსვლას ასრულებს მუდმივი თეზისებით იმის შესახებ, რომ აუცილებელია აშშ-ის მხარდაჭერა და ევრომოქალაქეების უზრუნველყოფა საუკეთესო თავდაცვით, როგორის შეძენაც ფულით შეიძლება.

მაგრამ ევროპამ დაკარგა საგარეო მტრის ის ხატი, რომელსაც თავის დროზე საბჭოთა კავშირი ასახიერებდა. მაშინ ევროპას ყოველდღე ეჩვენებოდა, რომ საბჭოთა კომუნისტები წუთი-წუთზე დაიხვევდნენ პარტიანკებს, მხარზე „კალაშნიკოვს“ გადაიკიდებდნენ და მტვრად გათელავდნენ ნატოს მშვიდობის მოყვარულ წევრებს. **ახლანდელი ევროპის გადასახადების გადამხდელებმა, რომლებსაც საკუთარი ხელისუფლება ხანდახან, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდებში, უსმენს კიდეც, მშვენივრად იციან, რომ ახლა ევროპისთვის მთავარი მტერი საბჭოთა კავშირი ან რუსეთი კი არა, ფინანსური კრიზისი, უმუშევრობა და სოციალური არასტაბილურობაა. მათ სულაც არ ადარდებთ ბატონი რასმუსენის სამხედრო-საბიუჯეტო ინტერესები და არც თავად რასმუსენის ვაშინგტონელი ბოსების ვნებათაღელვა.** სხვათა შორის, ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყეს ნატოს სამომავლო პროგრამების გადახაზვა. ამიტომაც გამორიცხული არაა, რომ ლიბიის ოპერაცია გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უკანასკნელი მსხვილი სამხედრო ლაშქრობა მისი არსებობის ისტორიაში.

topwar.ru

# ისლამი მოდის, ევროპა უკან იხევს

**ახლახან ჩატარდა ორი მასშტაბური სოციოლოგიური კვლევა: „Religionsmonitor 2013“, რომელიც ბერტელსმანის ფონდმა ჩაატარა და რომლის ფარგლებშიც 13 ქვეყნის 14 ათასი მოქალაქე გამოიკითხა და „მსოფლიოს მუსლიმანები: ერთობა და განსხვავება“, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს 39 ქვეყანაში 38 ათასი ადამიანი „Pew Research Center“-მა 80-მდე ენაზე გამოკითხა. პირველი გამოკითხვის შედეგებიდან ნათლად ჩანს დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობის შიში ისლამის წინაშე, მეორის შედეგებმა კი აჩვენა, რომ მუსლიმანთა მნიშვნელოვან ნაწილს სურს, რომ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ, შარიათი ოფიციალურად დაკანონდეს.**




**ყოველი მეორე გერმანელი ისლამში საფრთხეს ხედავს და თვლის, რომ ეს რელიგია გერმანიისთვის უცხოა.** კვლევის შედეგების თანახმად, გერმანიის მოსახლეობის 51% ისლამში საფრთხეს ხედავს. ამასთან, **მათ აზრს იზიარებს ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანების 18 პროცენტიც.** გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ისლამისადმი უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი, ვიდრე მის დასავლურ ნაწილში.

**აზრი, რომ ისლამი საკუთარ თავში საფრთხის მატარებელია, გერმანელებთან ერთად გაიზიარა გამოკითხული ისრაელელების 76 პროცენტმა, ესპანელების 60 პროცენტმა, შვეიცარიელთა ზუსტად ნახევარმა და ამერიკელთა 42 პროცენტმა. სოციოლოგებმა აღნიშნეს, რომ დღეს ისლამისადმი უარყოფითი განწყობა და მისი მიუღებლობა დასავლური სამყაროს ფენომენია.** ისლამური მსოფლმხედველობისა და დასავლური ღირებულებების შეუსაბამობაზე განაცხადა გამოკითხვისას შვეიცარიის მისახლეობის 50%-მა.

**ინდოელების 30% და კორეელების 16% ისლამთან მეზობლობის წინააღმდეგია.** ევროპაში ისლამის მიუღებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ესპანეთსა და შვეიცარიაში, ყველაზე დაბალი კი — ბრიტანეთში, თუმცა ეს უკანასკნელი მაჩვენებელიც არც თუ დაბალია და გამოკითხულთა 45%-ს უტოლდება.

გამოკითხული თურქების 32% და ისრაელელების 27% კი საფრთხეს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელებაში ხედავს.

**ზემოხსენებულ კვლევაში გააანალიზეს რელიგიურობის ხარისხიც. როგორც აღმოჩნდა, მაღალი რელიგიურობის ცენტრები ახლა ევროპაში არაა. თურქების 82%, ბრაზილიელების 74%, ინდოელების 70% და ამერიკელების 67% თავს საშუალოდ, საკმაოდ ან ძალზე რელიგიურ ადამიანად მიიჩნევს. ნაკლებად რელიგიურობისკენ მიდრეკილნი არიან შვედები (28%) და ისრაელელები (31%).**

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ისლამის მიმდევართა უმეტესობა ღრმად მორწმუნე ადამიანია, რომლებიც მიისწრაფვის იმისკენ, რომ ისლამის სწავლებებმა ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ პირადად მისი, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრება და გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე. თითქმის ყველა მუსლიმანი ირწმუნება, რომ ისლამი არის ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია, რომელსაც ადამიანი სამოთხეში მუდმივი ცხოვრებისკენ მიჰყავს. **მუსლიმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი სასურველად მიიჩნევს, რომ მათ საცხოვრებელ ქვეყნებში შარიათი ოფიციალურად დაკანონდეს.**

თუმცა შარიათის კანონების მომხრეთა პროცენტი მნიშვნელოვნად მერყეობს. აზერბაიჯანში მას მხარი დაუჭირა რესპონდენტთა მხოლოდ 8 პროცენტმა, მაგრამ ავღანეთში გამოკითხულთა 99 პროცენტი მისი გულმხურვალე მომხრეა. **ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში შარიათს ასევე უმრავლესობა უჭერს მხარს: ნიგერიაში — 71, ინდონეზიაში — 72, ეგვიპტეში — 74, პაკისტანში — 84, პალესტინის ავტონომიაში კი 89 პროცენტი.**

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის მიმდევრებს სხვადასხვაგვარი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს შარიათი ცხოვრებაში. უმეტესობა მკაცრი სასჯელების — ქურდებისთვის ხელების მოკვეთის ან სხვა რწმენაზე გადამსვლელთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია.

## მუსლიმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი სასურველად მიიჩნევს, რომ მათ საცხოვრებელ ქვეყნებში შარიათი ოფიციალურად დაკანონდეს

ქვეყნების უმეტესობაში ქალები, ისევე, როგორც მამაკაცები, მიიჩნევენ, რომ ქალი ვალდებულია, უსიტყვოდ დაემორჩილოს ქმარს. ამის თაობაზე განაცხადა ერაყელთა 92 პროცენტმა, ტუნისელთა 93 პროცენტმა, ავღანელთა 94 პროცენტმა და მალაიზიელთა 96 პროცენტმა.

**მთელ მსოფლიოში მუსლიმანთა უმეტესობა აცხადებს, რომ თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით განხორციელებული ტერაქტების წინააღმდეგია.** ამასთან, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ძალადობას გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს. ამ აზრს იზიარებს ბანგლადეშელი მუსლიმანების 26, ეგვიპტელების — 29, ავღანელების — 39 და პალესტინელების 40 პროცენტი. ქვეყნების ლამის აბსოლუტურ უმრავლესობაში მუსლიმანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს დემოკრატიას. მაგალითად, კოსოვოსა და ალბანეთში მას, შესაბამისად, 76 და 69 პროცენტი უჭერს მხარს.

**გამოკითხულ მუსლიმანთა შორის სექსუალურ თავისუფლებას მცირე ნაწილმა დაუჭირა მხარი. სექსი ქორწინების გარეშე საშუალოდ რესპონდენტთა 10 პროცენტმა გაამართლა. საერთოდ, მუსლიმანურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ნულისკენ მიისწრაფვის, ტაჯიკეთში კი ნულის ტოლია.**




თუ კვლავ ევროპას დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალური ისლამიზაციისადმი შიში განპირობებულია არა მხოლოდ ტერორიზმის საფრთხითა და ისლამური მსოფლმხედველობის ყბადაღებული შეუთავსებლობით დასავლურ ღირებულებებთან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ობივატელს ისლამოფობია სჭირს, ამ შიშის ფონზე მეჩეთების მშენებლობაა გაჩაღებული. **საფრანგეთში უკვე 2300 მეჩეთია, აშშ-ში კი მხოლოდ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე 1200 მეჩეთი აშენდა. თუ ყველაფერი ასევე გაგრძელდება, ქრისტიანებს ევროპაში უმცირესობაში მოუწევთ ყოფნა.**

2013 წელი რეკორდულია მეჩეთების მშენებლობების მხრივ. ირლანდიაში დღეს ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმანური ტაძარი იგება და მისი ღირებულება 64 მილიონ ევროს შეადგენს. მეგამეჩეთს მალე ბელგიის ლიეჟშიც ააშენებენ და ამ მეჩეთს საკუთარი ბიბლიოთეკა, კაფე და მაღაზიებიც კი ექნება. 40 მილიონი ევროს ღირებულების გიგანტური ნაგებობა დღე-დღეზე შეემატება მიუნხენს. ლუქსემბურგში, შვეიცარიასა და ესპანეთში მინარეთები ნაწვიმარზე სოკოებივით მრავლდებიან.

და ბოლოს, პლანეტის სასწაული: **საბერძნეთის გაკოტრებული ხელისუფლება მილიონ ევროს დახარჯავს ათენში პირველი ოფიციალური მეჩეთის მშენებლობაზე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. როგორც ზოგიერთი წყარო ირწმუნება, საბერძნეთის ხელისუფლება ქალაქის ყველა რაიონში აპირებს ერთი ან ორი მეჩეთის აგებას. შესაბამისად, საბერძნეთის დედაქალაქში ერთბაშად მუსლიმანთა დაახლოებით 15 სამლოცველო გაჩნდება.**

ამ ყველაფრის შემდეგ ევროპელებს ყველაზე მეტად იმის ეშინიათ, რასაც რამდენიმე წლის წინ თავად ქადაგებდნენ: მულტიკულტურიზმისა და ტოლერანტობისა.

topwar.ru

# საქართველოში მცხოვრები თურქები თურქეთისგან დახმარებას ითხოვენ

**საქართველოში მცხოვრებ თურქთა კონფედერაციის პრეზიდენტი დაშგინ გიულმამედოვი პარტია „მამულის“ თავმჯდომარე იბრაჰიმ ჩელების შეხვდა.**

ოპოზიციური პარტიის ლიდერთან ოფიციალურ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს თურქთა კონფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელმარ გასანოვი, „მამულის“ გენერალური მდივანი ზეკი ოზდემირი და პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ნაფიზ ონჯული.

შეხვედრაზე ქართული-თურქული ურთიერთობები, საქართველოს თურქთა ძირითადი პოლიტიკური და ჰუმანიტარული პრობლემები და ბორჩალოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია იქნა განხილული.

დაშგინ გიულმამედოვმა აღნიშნა, რომ ოფიციალურმა ანკარამ და თურქეთის ოპოზიციურმა პარტიებმა საქართველოში მცხოვრებ თურქებზე უნდა იფიქრონ, ვინაიდან ისინი მწვავე პრობლემების წინაშე დგანან.

თავის მხრივ, „მამულის“ ლიდერმა ჩელებიმ აღნიშა, რომ თურქულ-ქართული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები წარმატებით ვითარდება და თურქეთი საქართველოს ეროვნულ სუვერენიტეტს მხარს უჭერს. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ თურქთა პრობლემებზე საუბრისას, ჩელებიმ აღნიშა, რომ მისი პარტია მზადაა, გამოავლინოს პოლიტიკური ნება, საქართველოში მცხოვრებ თურქთა ძირითადი პრობლემების მოგვარებისთვის. შეხვედრის ბოლოს დაშგინ გიულმამედოვი და იბრაჰიმ ჩელები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბეხტერევი ნამდვილი ექიმი იყო, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცი ჰქონდა დადებული და რომელიც სტუდენტებს ასწავლიდა ამ ფიცის წმინდად დაცვას. ამიტომ, მას პარანოიით სტალინის დაავადება მართლაც რომ დაედგინა, იგი ამას ხმამაღლა არასოდეს იტყოდა“**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-18 (204-205)

## იყო თუ არა სტალინი პარანოიკი?

იყოო, გაჰკიოდნენ ანტისტალინური კამპანიის სულისჩამდგმელები.

ამჟამად ცოტა დაამუხრუჭეს, მაგრამ მაინც თავისაზე დგანან, კერძოდ, თითქოს ეს დიაგნოზი „კრემლის დიქტატორს“ აკადემიკოსმა ბეხტერევმა დაუსვა, რის გამოც დაუყოვნებლივ მოწამლეს.

გთავაზობთ ერთ დამახასიათებელ პუბლიკაციას:

**„1971 წლის შემოდგომაზე მ. ი. ბუიანოვი ესაუბრა ვლადიმირ ნიკოლოზის ძე მიასიშჩევს, რომელიც 1939 წელს ბეხტერევის დაფუძნებული ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი გახდა და ამ სამეცნიერო დაწესებულებას თითქმის 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.**

**„1972 წლის დეკემბერში, — მოგვითხრობს მიასიშჩევი, — ბეხტერევი მოსკოვს გაემგზავრა ფსიქიატრებისა და ნევროპათოლოგების ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად, იგი პედოლოგების ყრილობასაც უნდა დასწრებოდა... ლენინგრადიდან გამგზავრების წინ მან კრემლის სამკურნალო-სანიტარული (Лечсанупр) სამმართველოდან მიიღო დეპეშა თხოვნით, როგორც კი ჩავიდოდა დედაქალაქში სასწრაფოდ დაერეკა ამ დაწესებულებაში. ბეხტერევმა დარეკა და კრემლში წავიდა.**

**ყრილობაზე ბეხტერევი დიდი დაგვიანებით მოვიდა, დელეგატთაგან რომელიღაცამ ჰკითხა, რატომ დაბრკოლდა? ამაზე ბეხტერევმა — რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით — გაღიზიანებით უპასუხა:**

**— ერთი ხელგამხმარი პარანოიკი გავსინჯე“.**

**„ან იქ მყოფთაგან ვინმემ მოახსენა, სადაც ჯერ არს, — შენიშნავს ამის თაობაზე მ. ი. ბუიანოვი, — ან ბეხტერევის ბედი წინასწარ გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმნიდან მალევე მოულოდნელად გარდაიცვალა. ფიზიკურად იგი ძალიან მაგარი იყო, არაფერს უჩიოდა. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ყველა გააოგნა, ბევრმა რაღაც ცუდი იეჭვა“** (ოლეგ მოროზი, უკანასკნელი დიაგნოზი, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1988 წლის 28 სექტემბერი, №39, გვ. 12).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც სტატიის ავტორი ოლეგ მოროზი, არც ფსიქიატრი მიხაილ ბუიანოვი, ვისაც იგი იმოწმებს, არ არიან მოვლენის მოწმეები. ჩვენ წინაშეა არა თვითმხილველთა მიერ გადმოცემული ფაქტი, არამედ მხოლოდ ჭორის გაშუალებული გადმოცემის მცდელობა. იგივე ითქმის სხვა პუბლიკაციების შესახებაც, რომლებიც „სტალინის პარანოიას“ ეხება.

აი, მაგალითად, აკადემიკოსის შვილიშვილის — ნატალია პეტრეს ასულ ბეხტერევას ინტერვიუ ყოველკვირეულს „არგუმენტები და ფაქტები“, რომელიც 1995 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. ცნობისათვის: როცა აკადემიკოსი კრემლში მიიწვიეს, ეს ქალბატონი მხოლოდ სამი წლისა იყო.

**„— მართალია თუ არა, რომ როცა ვლადიმირ მიხეილის ძე ბეხტერევი სტალინისგან გამოვიდა და თქვა, რომ იგი პარანოიკია, თქვენი ბაბუა მოწამლეს?**

**— ეს იყო ტენდენცია სტალინის გიჟად გამოცხადების, მათ შორის, ვითომდა ბაბუაჩემის გამონათქვამის გამოყენებით, მაგრამ არავითარი გამონათქვამი არ ყოფილა, თორემ ჩვენ გვეცოდინებოდა. ბაბუა მართლაც მოწამლეს, მაგრამ სხვის გამო. ვიღაცას ეს ვერსია დასჭირდა. ჩემზე იმოქმედეს და მეც უნდა დამედასტურებინა, რომ ასე იყო. მეუბნებოდნენ, რომ დაბეჭდავდნენ, როგორი მამაცი ადამიანი იყო ბეხტერევი და როგორ დაიღუპა ექიმის მოვალეობის გაბედულად შესრულების გამო. ექიმის რომელი მოვალეობა? იგი შესანიშნავი ექიმი იყო, განა შეეძლო ნებისმიერი ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ეთქვა, რომ იგი პარანოიკია? მას ამის გაკეთება არ შეეძლო“.**

მკითხველმა, უთუოდ, მიაქცია ყურადღება ბეხტერევის შვილიშვილის ნათქვამ წინადადებას: **„ბაბუა მართლაც მოწამლეს, მაგრამ სხვის გამო“.** რა არის ამ წინადადებაში დაშიფრული?

პოეტმა და მწერალმა იგორ გუბერმანმა ამერიკულ რუსულენოვან ჟურნალს „ვესტნიკს“ მისცა ინტერვიუ, რომელშიც ნათქვამია:

**„როცა ვწერდი წიგნს ბეხტერევის შესახებ, წერილი მივწერე მის ქალიშვილს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ფრთხილად ვკითხე მოწამვლის ვერსიის შესახებ. მოხუცმა ქალმა მხნედ მიპასუხა: „რასაკვირველია, რასაკვირველია, ეს ყველამ იცოდა: იგი მოწამლა ახალგაზრდა ცოლმა“.**

აქ სულ სხვა საფუძველი გამოდის წინა პლანზე ოჯახური ურთიერთობის პრობლემა.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მით უფრო, რომ ბეხტერევას მხარს უჭერენ სხვა ავტორები, რომლებსაც სტალინისადმი სიმპათიას ვერ დააბრალებ. გუბერმანის ინტერვიუდან:

**ხელგამხმარი პარანოიკი... პაციენტზე ამის თქმა დამწყებ ფსიქიატრსაც არ შეუძლია. ბეხტერევი კი უდიდესი სპეციალისტი იყო, რომელსაც აღიარებდნენ მთელ მსოფლიოში**


ვლადიმერ ბეხტერევი

„მე ვიცი ეს ვერსია — მოჩმახული სისულელეა. ეს ვერსია, როგორც ჩანს, 1956 წელს იმ ექიმების მოტანილია, რომლებიც ბანაკებიდან დაბრუნდნენ... ბეხტერევმა როგორც ნევროლოგმა ნამდვილად გამოიკვლია სტალინი... იმავე საღამოს იგი მოიწამლა და მოკვდა. მაგრამ სტალინს მაშინ არ ჰყავდა საკმარისი გუნდი იმისთვის, რომ ასეთი საიდუმლო მკვლელობა განეხორციელებინა. **და, რაც მთავარია, — ბეხტერევი ნამდვილი ექიმი იყო, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცი ჰქონდა დადებული და რომელიც სტუდენტებს ასწავლიდა ამ ფიცის წმინდად დაცვას. ამიტომ, მას პარანოიით სტალინის დაავადება მართლაც რომ დაედგინა, იგი ამას ხმამაღლა არასოდეს იტყოდა“.**

აი, რას ამბობს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, პროფესორი ა. ა. პორტნოვი:

**„რაც შეეხება ლეგენდარულ ფრაზას, ბეხტერევი, დარწმუნებული ვარ, მას არ იტყოდა. იმიტომ არა, რომ შეკითხვების შეეშინდებოდა. ვლადიმერ მიხეილის ძე ნამდვილად მამაცი ადამიანი იყო და არასასიამოვნო ამბებს პირში ახლიდა ყველას, ვისაც გინდა შეხებოდა, — ამის თაობაზე სამართლიანად წერენ ვერსიის ავტორები.**

**მაგრამ ისინი რატომღაც აჩუმათებენ, რომ ამასთან ერთად იგი იყო უმაღლესი კულტურის ადამიანი, რომელიც თავს ნებას არ აძლევდა შეურაცხყოფა მიეყენებინა ადამიანებისთვის, მით უფრო — ზურგს უკან.**

**ხელგამხმარი პარანოიკი... პაციენტზე ამის თქმა დამწყებ ფსიქიატრსაც არ შეუძლია. ბეხტერევი კი უდიდესი სპეციალისტი იყო, რომელსაც აღიარებდნენ მთელ მსოფლიოში. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ტაქტით, დელიკატურობით, დახვეწილობით ადამიანებთან ურთიერთობაში, კოლეგებს მოუწოდებდა, დაეცვათ საექიმო საიდუმლოება, დაეცვათ ავადმყოფების თავმოყვარეობა.**

**ბეხტერევს სტალინისთვის დიაგნოზი რომც დაესვა, არასოდეს დაიწყებდა ამაზე ლაპარაკს კულუარებში, თანაც შეურაცხმყოფელი გამოთქმებით.** დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერს ამას მიაწერენ ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ... მის ზნეობრივ პოზიციას“ („ვერსია არგუმენტების გარეშე“, გაზეთი „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“, 1989 წლის 28 აპრილი, №98, გვ. 4).

მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. ცნობილი მეცნიერი ყოველთვის როდი გამოირჩეოდა მაღალი მორალური პრინციპებით, რასაც ადასტურებს წიგნში მოხმობილი ვრცელი ამონარიდი მწერალ ვ. ვ. ვერესაევის წიგნიდან „ნამდვილი მოთხრობები“, რომლის ციტირებით ჩვენს მკითხველს არ გადავღლით *(დაინტერესებულთ შეუძლიათ იხილონ В. В. Вересаев, Невыдуманные рассказы, М. 1999, გვ. 69-71).*

იგორ პიხალოვი ასეთ დასკვნას გვთავაზობს.

ბეხტერევის მიმართ პანეგირიკებს თავს თუ ავარიდებთ და რეალურად განვიხილავთ მეცნიერის მორალურ სახეს, შეიძლება ვთქვათ, რომ ბეხტერევის მორალური თვისებებიდან გამომდინარე, მას მართლაც შეეძლო დაუსწრებლად ეწოდებინა სტალინისთვის „ხელგამხმარი პარანოიკი“. მაგრამ, თუ ასეთ გამონათქვამს მართლაც ჰქონდა ადგილი (რაც არაფრით არაა დამტკიცებული), ეს იყო არა დიაგნოზი, არამედ მხოლოდ შეურაცხყოფა. **მართლაც, როგორ შეეძლო სულით ავადმყოფს, ოცდაათი წლის განმავლობაში ეხელმძღვანელა უდიდესი სახელმწიფოსთვის, ამასთან, ისე გულმოდგინედ დაემალა თავისი ავადმყოფობა, რომ იგი არ შეუმჩნევია არც უახლოეს გარემოცვას, არც უცხოეთის ლიდერებს, ჩერჩილისა და რუზველტის ჩათვლით, რომლებიც მასთან ურთიერთობდნენ?**

თუმცა ანტისტალინისტების პოზიციაში საღი აზრისა და ლოგიკის ძებნას აზრი არა აქვს.

გაგრძელება იქნება

რუბრიკას უძღვება
არმაზ სანებლიძე

**ეს ვერსია — მოჩმახული სისულელეა. ეს ვერსია, როგორც ჩანს, 1956 წელს იმ ექიმების მოტანილია, რომლებიც ბანაკებიდან დაბრუნდნენ... ბეხტერევმა, როგორც ნევროლოგმა, ნამდვილად გამოიკვლია სტალინი... იმავე საღამოს იგი მოიწამლა და მოკვდა**

ბრძოლა გრძელდება და „ნაციონალებსაც“ პირადად ბიძინა ივანიშვილი ჰყავთ მიზანში ამოღებული, მაგრამ, სანამ „ქართული ოცნების“ და ქართველი ხალხის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ხალხი არ მიატოვებს მას, რათა ქართული ოცნება სინამდვილედ იქცეს.

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# კოაბიტაცია «ქართული ოცნების» რეიტინგით იკვებება

## სასოებით შეჰყურებს ქართველი ხალხი «ქართული ოცნების» ყოველ ნაბიჯს და შიშის ჭია არ ასვენებს, ვაითუ...

**შევარდნაძის მუხთლობით და სატანის სამსახურით შეწუხებულმა ხალხმა მიშას პოლიტიკური გაფართხალება ქვეყნისადმი თავდადებად მიიღო და მხარი დაუჭირა, რამეთუ მისი ყოველი გამოსვლა შევარდნაძის ღალატით გაჯერებული რეჟიმის და თვითონ შევარდნაძის განქიქებას ეძღვნებოდა.**

**დაიკავა მიშამ ნანატრი პოსტი და დაივიწყა ხალხი, რომელმაც ხელი შეუწყო მის წამოსკუპებას პრეზიდენტის ქანდარაზე, რომლისთვის ახლა ხალხი ფარად გადაიქცა და ექცეოდა კიდეც ისე, როგორც თავქარიან ქარაფშუტას შეეფერებოდა.**

იხტუნა და ინებივრა ნაცარქაქია ჭრიჭინობელა მიშიკომ და იმ დროს დაუდგა შემოდგომა, გაგანია ივლისი რომ ეგონა. დაფრთხნენ ცოდვით დამძიმებული მისი მინისტრები, გადაიხვეწნენ საზღვარგარეთ გადამალული ნაძარცვი ქონების საკვნეტად. ნაცარქაქია მათი ფიურერიც შეიკეტა თავის რეზიდენციაში და ძალით მორეკილი ბრბოს წინაშე ცრუპენტელა ტრაბახით თავის მოწონების ტოროლები სულ გაუფრთხნენ.

**ზეიმობდა ხალხი. ციხეებიდან უსამართლოდ დაპატიმრებულთა და ნაწამებთა განთავისუფლება დაიწყო. „ნაციონალთა“ მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ფაშისტების წამების მეთოდები გაახუნა.** სიცრუესა და ღალატზე ნაგებ ყალბ კეთილდღეობას ისე ჩამოეძენძა ნიღაბი, რომ საზღვარგარეთელ დემოკრატიის მამებს მისი დანახვა არ გაუჭირდებოდათ, თუმცა **ძალიან კარგად იცოდნენ, რა უსამართლობის საფქვავი იფქვებოდა „ნაციონალთა“ ხუთჯვრიან ხელსაფქვავზე, რომელიც არაფრით ჩამორჩებოდა ფაშისტთა სვასტიკიან კაცთმოძულების წისქვილებს. იცოდნენ და ისე ანებივრებდნენ ამ ადამის მოდგმის ჭირს, როგორც ადრე ფაშისტურ უბედურებას, რამეთუ ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირს მიუქსევდნენ.**

საპირისპირო კი მოხდა, მათგანვე გამოკვებილ-გაზულუქებულმა ფაშისტებმა პირველად მათვე დაუწყეს კბენა.

ახლა კი საქართველო პატარა აკვარიუმად აქციეს, სადაც ხუთჯვრიანი კობრებისა და ასპიტების დაბინავებას შეუდგნენ მათთვის არასასურველი ქვეყნების დასაგესლად და ამგვარ შხამებზე იმუნიტეტის შესამოწმებლად. დაატაკეს კიდეც თავიანთი აკვარიუმის ფიურერი — ხუთჯვრიანი მიშა რუსეთს, თან გააქეზეს, ნუ გეშინია, ეგ ჩვენი შიშით ვერაფერს გავნებსო. ავნო კი არა, მიწა ალოკინა და ჰალსტუხი აღეჭინა უცხოეთის ლაქია ნაცარქექიას, საქართველოს პრეზიდენტად წამომჯდარ ქართველთა უბედურებას.

**ამ აკვარიუმის ნაცისტებმა როგორი საშინელი ზიანი მიაყენეს საქართველოს, რა ჩამოთვლის; განა შეიძლება ამ დანაშაულთა ჩამდენების დაუსჯელობა?!** უფროს თაობას, რაკიღა ვეღარ მოუწამლავდნენ ტვინს თავიანთი მუხთლობით, სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. **ახალგაზრდების შეგნების დამახინჯებით ცდილობდნენ ქართველი ერის მომავლის სატანის სამსახურში ჩაყენებას.**

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისტორიის სანაგვის ნაცისტური თესლით გამოყვანილი ჩითილი საქართველოში ჩაასათბურეს, რათა ფაშისტური კაცთსიძულვილის ნოსტალგია დაეპურებინათ. ამ ავანტიურას კოდური სახელიც მოუძებნეს: „ვარდების რევოლუცია“ და დემოკრატიის ნიღბით შემოსეს. **გაიწირა პატარა ქართველი ერი მოძალადეთა ექსპერიმენტების ჩასატარებლად.**

მთელი მსოფლიო ზეიმობს ფაშიზმის განადგურების თარიღს და ხალხები ამაყობენ კაცობრიობის ამ საზარელი ჭირის მოსპობაში თავიანთი წვლილით, რომლისთვის პატარა საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო; გაუხუნარია სამშობლოს და კაცობრიობის გადასარჩენად თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნა, კახეთში ზედაშე არ შეისმება, მათი უწმინდესი სახელის შესახებ არ ამცნონ უფალს. რომელი პირსისხლიანი ვანდალი იკადრებდა ამგვარი მამულიშვილების ობელისკის დანგრევას?!

სიღნაღის რაიონიდან ოთხიათას ცხრაასი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ხალხმა ცხარე ცრემლებით რომ დაიტირა და ამ ღირსეული შვილების ხსოვნის უკვდავსაყოფად ბრწყინვალე ობელისკი ააგო სიღნაღში, რომელიც ნაცისტურ სანაგვეზე გამოჩეკილმა ვანდალებმა დაანგრიეს, აღარაფერს ვამბობ ქუთაისში აფეთქებულ მემორიალზე და იმ ცოდვიან პარლამენტის შენობაზე, საიდანაც ასე ენერგიულად უშლიან ხელს ნაცისტი ვაიდეპუტატები ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. **კახელთა შეუპოვრობის სიმბოლო — ამირანის უზარმაზარი მახვილალმართული ძეგლი, საინგილოდანაც რომ ჩანდა, დაამხეს და იქვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კეთილმოწყობილი ფილიალის შენობა ვიღაცას მიაყიდეს თუ მიაჩუქეს, რომელმაც ნაცისტთა სამარცხვინო ნაფეხურებად შეატოვა მნახველს მისი ნანგრევები.** ამას რაღა გამოძიება უნდა?! სახეზეა დემაგოგიურ ტრაბახში აზელილი ბოროტება, ღვარძლი, ერის სიწმინდეების შეურაცხყოფა, უზნეობა და გარყვნილება.

დამნაშავეთა დასჯის მცდელობით სასტიკად აღშფოთდნენ ამ ნაცისტთა ევროატლანტიკური მფარველები და პოლიტიკურ დევნად მონათლეს, თან თითის ქნევით შეეცადნენ, შეეხსენებინათ, რომ დასჯის უფრო მკაცრი მეთოდიც აქვთ, ნატოდ მონათლული მათი ნაგაზის სახით.

**სად იყვნენ მაშინ, ამ აკვარიუმის ნაცისტებმა ქართველი ხალხის მამაცი შვილების უწმინდესი ობელისკები ბინძური ფეხებით რომ გათელეს?! განა მთელი ევროპის ქვეყნებს სათუთად არ აქვთ შენახული ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ობელისკები?** ამ საშინელი სამხედრო მანქანის ოთხმოცი პროცენტი საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაამსხვრიეს ბრწყინვალე მხედართმთავრის — სტალინის წინამძღოლობით, იმ საბჭოთა კავშირისა, ჰიტლერი ორ კვირაში რომ უპირებდა მოსპობას და რომელიც, დეგენერატი ხრუშჩოვიდან მოყოლებული, თავტყირპიან, ბედოვლათ გორბაჩოვს თავისი უტვინობით უომრად ჩამოეფშვნა.

**ეს საცოდავი ნაცისტური აკვარიუმის ჭიები გორში სტალინის ძეგლს დაეტაკნენ და გაახარეს ევროატლანტიკური წამქეზებლები, ნახეთ, ჩვენ არაფრად ვაგდებთ ქართველი ვაჟკაცებისა და დიდი ბელადის ღვაწლს, ფაშიზმი კი თქვენ გადატეხეთ ხერხემალშიო.** სწორედ ამ სამარცხვინო ქაქანს ემსახურებოდა ტელეარხი „საქართველო“, ამერიკელებით რომ გვაოცებდა და ერთხელაც არ გახსენებია ქართველი მამულიშვილების გმირული ბრძოლის შესახებ; ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი გაქრა, როგორც კოშმარული სიზმარი.

ევროატლანტიკურმა მფარველებმა კი დამფრთხალი ნაცისტების გადასარჩენად კოაბიტაციით გაგვაოცეს, რომელიც ასე იშიფრება: უნდა ჩაისვა გველი უბეში, მისგან დაგესვლის მუდმივი მოლოდინით; ამრიგად, კვლავ მიძვრება გველი ქართველთა უბეში.

გამოფხიზლდნენ, გათბნენ გათოშილ ბეღურასავით და გაიტლიკეს ენა. თავყრილობაც მოაწყვეს მათგანვე იავარქმნილი პარლამენტის შენობის წინ, სადაც ასფალტს ჯერაც არ შეშრობია „ნაციონალთა“ საზარელი ძალადობის მსხვერპლ მომიტინგეთა სისხლი. სიცრუისა და ტრაბახის კორიანტელში, შერცხვენილი და თავსლაფდასხმული „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ ეროვნულ მოძრაობად გადაკეთების შესახებ ამცნეს მათ შეთხელებულ მსმენელთ. **როგორი შთამბეჭდავი მსგავსებაა გერმანელ ნაცისტებთან, ორმოცდახუთი წლის აპრილში ჰიტლერი რაიხსკანცელარიის ბუნკერში ბოლო დღეებს რომ ითვლიდა, ჰიმლერმა გამოაცხადა ახალი „ნაციონალური ერთობის“ პარტიის შექმნა.**

მიშა, მართალია, ბუნკერში არ იჯდა, მაგრამ ყოფნა-არყოფნად ქცეულმა შეკრებილთ ერთხელ კიდევ შეაწია თავისი სიცრუის გედის სიმღერა.

**ეტყობა, კოაბიტაციამ „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წევრს სენტიმენტალიზმის გრძნობები აუშალა და „ნაციონალთა“ შენარჩუნების სურვილით გაგვაოცა, ზოგმა კი ნატოში შეძრომის სურვილით ლამის „ნაციონალებს“ გაასწრო. ავღანეთშიც თურმე სამშობლოს ვიცავთ, რადგან ევროატლანტიკურ ხუშტურებს ვემსახურებით.** შე კაი დედმამისშვილო, თუ ასე გაოცებდა ნატო და ავღანეთში ქართველი ვაჟკაცების სისხლისღვრა, რომ იყავი ნაციონალებთან, გეშლიგინა გინდა ავღანეთში და გინდა დუბაიში, რას ერჩოდი ქართველთა ოცნებას, რომლის მიზანი ავღანეთის ოკუპაცია კი არა, საქართველოს გაერთიანებაა. კოაბიტაციის შემომგდებებიც დამშვიდდნენ. რა მნიშვნელობა აქვს ავღანეთის სასაკლაოზე ქართველების ყოფნას მიშა შეასხამს ხოტბას თუ ახლანდელი პრემიერ-მინისტრიო. მოკლედ, დამშვიდნენ ევროატლანტიკური ბლოკის ბოსები ანეკდოტში მოხსენიებულ მოლასავით: ორი მოჭიდავე დანაძლევდა — ვინც წაიქცევა, მოლამ გააუპატიუროსო. ჭიდაობის დროს მაყურებლებმა მოლას ჰკითხეს, ვის მხარეზე ხარო. ჩემთვის სულ ერთია, ერთ-ერთი უნდა გავაუპატიუროო, უპასუხა მოლამ. **ამერიკელები ავღანეთის ავანტიურიდან კუდის ამოსაძუებლად მზად რომ არიან, სულაც არ ენაღვლებათ, ქართველ ვაჟკაცებს ვინ გაუგზავნით ავღანეთის სასაკლაოზე.**

**ავღანეთის ავანტიურაში ქართველების სისხლისღვრა ნაციონალების დანაშაულია, შენ რატომ წვები სხვის კუბოში?!**

„ქართული ოცნება“ მთელი საქართველოს ოცნებაა, რომელსაც სამ ფრონტზე ებრძვიან ყოველმხრივ გაკოტრებული და ნიღაბჩამოხეული ნაცისტები თავიანთი ნაცარქექია ფიურერით. ამ ორხელისუფლებიანობაში ყოველმხრივ ცდილობენ ქვეყნისთვის და ხალხის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯების შეფერხებას; უცხოეთში ცრუ დასმენებითა და ღალატით ზოგიერთის საქართველოს საწინააღმდეგოდ გაბოროტებას; „ქართულ ოცნებაში“ ნაციონალთა მეხუთე კოლონის შეღწევით მისთვის სახელის გატეხვას. **ამიტომაა საჭირო ამ მოღალატეთა ბრბოს აკრძალვა და ახალი არჩევნების დანიშვნა, სადაც „ნაციონალებს“ გაყალბების საშუალება აღარ ექნებათ და არც აღარავინ შეიწუხებს თავს მათთვის ხმის მიცემით. ბოლოს და ბოლოს ქართველმა ხალხმა თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, ინტრიგების, ფეხის დადების და ღალატის გარეშე შეუდგეს ნორმალური ცხოვრების მშენებლობას.** ხუთჯვრიანი დროშა კი ჯერ კიდევ დაპარპაშობს საქართველოში, როგორც ადრე ნაცისტთა სვასტიკიანი დროშები აბნელებდა გერმანელთა ცას.

ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით ჯვაროსნებმა მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელი — ბიზანტია დააქციეს, ქრისტეს საფლავის გამოხსნისთვის ბრძოლას რომ იზრალებდნენ და მათი შთამომავლები დღესაც ვერ მალავენ ღვარძლს მართლმადიდებლობის მიმართ. **ქართველთა უბედურება — ნაცისტები კი ამ დროშას ქართულად ასაღებენ და მუსლიმანურ სამყაროს თვალწინ ისე უფრიალებენ, როგორც ხარს წითელ ნაჭერს და რა გასაკვირია ავღანეთში თვითმკვლელი ტერორისტის ქართულ ბაზაში შევარდნა, როცა ქართველი ხალხი ყველა მუსლიმანისადმი ასე სასიკეთოდ არის განწყობილი.** სულმნათი გურამ შარაძე, ქართველი ხალხის ინტერესებისთვის რომ იბრძოდა, ერთ-ერთი ხუთჯვრიანი დროშის გაუქმებაც იყო, რასაც შეეწირა მამულისთვის თავდადებულის სიცოცხლე, მისი მკვლელობის გამოძიებას და სიმართლის საჯაროდ გამოტანას ასე მოთმინებით ელოდება ქართველი ხალხი, რომლის ოცნება საქართველოს ერთიანობის აღდგენა, ყველა ლტოლვილის თავის სახლკარში დაბრუნება, მოძმე აფხაზებთან და ოსებთან შეხმატკბილებული ცხოვრებაა, რასაც ესოდენ უშლის ხელს „ნაციონალთა“ ღალატი, ღვარძლი და ბოროტება. ჯვაროსნული დროშით ამხედრებულები უღრენენ მართლმადიდებლურ რუსეთს ისე, როგორც ჯვაროსნები ბიზანტიას და თავის ბოლმას ასკდებიან, რამეთუ ღრენა წკავწკავად და თავში ქვის ხლად ექცათ.

**საქართველოს გაერთიანება და მოძმე ხალხებთან შეხმატკბილებული ცხოვრების გზა კი რუსეთზე გადის, ქართველი და რუსი ხალხების ძმობას ვერავითარი ბოროტი ძალის მიერ მოწყობილი ავანტიურის სამსალა ვერ გაახუნებს და საქართველოს ერთიანობის აღდგენას ვერ შეაფერხებს.**

ნაციონალ ჭირს ბიძინა ივანიშვილმა ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა, რომ წელში ვეღარასოდეს გაიმართება და ასე მიწაზე ხოხიალით უღრენენ, რამეთუ იციან, რომ, თუ არა ბიძინა ივანიშვილი, მთელი საქართველოს დაშლასა და ქართველი ხალხის საყასბოში შერეკვაში ხელს აღარაფერი უშლიდათ.

ბრძოლა გრძელდება და „ნაციონალებსაც“ პირადად ბიძინა ივანიშვილი ჰყავთ მიზანში ამოღებული, მაგრამ, სანამ „ქართული ოცნების“ და ქართველი ხალხის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ხალხი არ მიატოვებს მას, რათა ქართული ოცნება სინამდვილედ იქცეს.

**გივი სომხიშვილი**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გერმანიაში სიძულვილის ცხელი ხაზი გაიხსნა

**გერმანიაში პირველი „სიძულვილის ცხელი ხაზი" გაიხსნა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია 1,5 ევროდ დარეკოს, იყვიროს და იჩხუბოს.** სატელეფონო ხაზის გახსნის იდეა ერთ-ერთი სარეკლამო სააგენტოს თანამშრომლებს ეკუთვნით. სატელეფონო ხაზის დამფუძნებლების აზრით, ადამიანებს ხანდახან უბრალოდ „ორთქლის გამოშვება" სჭირდებათ. „სიძულვილის ცხელი ხაზის" ოპერატორები აღნიშნავენ, რომ დღე-ღამის განმავლობაში ზარებს ყველაზე ხშირად 16-დან 18 საათამდე იღებენ. ოპერატორები დარწმუნებულნი არიან, რომ ხაზი სასარგებლოა: ადამიანს შეუძლია განიტვირთოს და საზოგადოებასთან ურთიერთობა მშვიდად გააგრძელოს.

## ინდოელების უსაფრთხოებას მუყაოს «პოლიციელები» დაიცავენ



**ინდოეთში ყოველთვის საცობებია. ავტომობილებით გადაჭედილ გზებზე მძღოლები სახიფათო მანევრებს ხშირად მიმართავენ და შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევებიც მრავლად ხდება.**

იმისათვის, რომ ავტომაგისტრალებზე კონტროლი დაწესდეს, 6 000 სამართალდამცავია საჭირო, ინდოეთის ქალაქ ბენგალურუს კი მხოლოდ 3 000 პოლიციელი ჰყავს, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრობლემა მარტივად გადაწყვიტა: მუყაოსგან ათასობით პოლიციელის ბილბორდი გააკეთეს და გზის გასწვრივ განათავსეს.

მუყაოს „პოლიციელები" ისე დგანან, რომ შორი მანძილიდან მომავალი მძღოლი ვერ გაარჩევს, ნამდვილია თუ არა. როგორც ჩანს, ამ ხერხმა ინდოელ მძღოლებზე გაჭრა, რადგან საგზაო წესების დარღვევამ მნიშვნელოვნად იკლო.

## მკვლელი ექიმი

**ბრაზილიის ქალაქ კურიბიტაში საავადმყოფო Hospital Evangelico-ს ექიმი ვირჯინია სოარეს დე სოუზა დააპატიმრეს. ექიმი უკიდურესად მძიმე პაციენტებს სასიკვდილოდ იმეტებდა — წამლის დიდ დოზას უკეთებდა, რომ პალატის საწოლები გათავისუფლებულიყო და ახალი პაციენტების მიღება შეძლებოდა.**

დაკავებულ ექიმს უკიდურესად მძიმე პაციენტების მეთვალყურეობა ევალებოდა. ადგილობრივმა პოლიციამ დამნაშავე დააკავა და 20 პაციენტის მკვლელობაში დასდო ბრალი, თუმცა, როგორც ირკვევა, მის სინდისზე გაცილებით მეტი ადამიანის სიცოცხლეა. ბრაზილიის ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ 300 პაციენტის სიკვდილის მიზეზია გამოსაძიებელი.

დამნაშავე რეანიმაციაში მყოფ პაციენტებს წამლების ფატალურ დოზას აძლევდა ან ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფ ადამიანებს ჟანგბადს მნიშვნელოვნად უმცირებდა. ვირჯინიასთან ერთად კიდევ 3 ექიმი და 1 ექთანია დაკავებული — ისინი თანამზრახველები იყვნენ.





## ბუდე ადამიანებისთვის

**კალიფორნიაში მცხოვრები ხელოვანი ჯეისონ ფენი ბუდეებს ადამიანებისთვის ქმნის, რათა ჩვენც გავაცნობიეროთ, როგორ ცხოვრობენ ფრინველები.**

ჯეისონი ადგილობრივი ტყიდან მოტანილი ტოტებისგან აგებს ბუდის ფორმის „დასასვენებელ კომპლექსს", სადაც ნებისმიერ მსურველს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სუფთა ჰაერზე ჩრდილში მშვიდად დასვენება შეეძლება. რასაკვირველია, მცირე ზომის ბუდეში დიდი კომფორტი არ დაგხვდებათ. ბუდეში მხოლოდ ლეიბია ჩაფენილი.

უმჯობესია, მზიან ამინდში გადაწყვიტოთ ფრინველად „ქცევა", რადგან წვიმის დროს დასველებისგან ვერაფერი დაგიცავთ. ბუდე ერთდროულად მხოლოდ 8 ადამიანს იტევს.

„ბინაში" ხის კიბის დახმარებით მოგიწევთ ასვლა. ჯეისონი ყველა ტოტს გულისყურით ამოწმებს და ბუდის ასაშენებლად ადამიანების წონისთვის გამძლე, ძლიერ ტოტებს არჩევს.

როგორც წესი, ხელოვანი ბუდეს ისეთ ადგილებში აშენებს, სადაც ცეცხლის გაჩენის ნაკლები შანსია.

## ყველაზე ძვირადღირებული ყველი მსოფლიოში

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ყველს ზასავიკას ვირის ფერმაში, სერბეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაკრძალში, ამზადებენ. ყველი, სახელწოდებით პულე, დამზადებულია ვირის რძისგან და ერთი კილოგრამი 1200 დოლარი ღირს.**

ფერმაში მომუშავეთა თქმით, იმისათვის, რომ დამზადდეს 1 კილოგრამი ყველი, ვირის 25 ლიტრი სუფთა რძეა საჭირო.

ნაკრძალში ასევე ამზადებენ ვირის რძეს, რომელიც მოთავსებულია ბოთლებში. ითვლება, რომ ვირის რძე იყო კლეოპატრას სილამაზის ერთ-ერთი საიდუმლო.





## მინი ანტილოპა

**მინიატურული ანტილოპა ცხოველების მომვლელმა ჩესტერმა შეიფარა. ანტილოპას დედამ მასზე ზრუნვა შეწყვიტა. როგორც ჩანს, პატარა დიკ-დიკს უკვე ძალიან შეუყვარდა თავისი ახალი მშობელი.**

დიკ-დიკი ანტილოპების ერთ-ერთი ჯიშია, რომლის წარმომადგენლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ აფრიკის უდაბნოებში, ნამიბიიდან სომალამდე ბინადრობენ. მისი სიმაღლე 30-40 სანტიმეტრია, სიგრძე — 50-70 სანტიმეტრი, წონა კი 6 კილოგრამზე ნაკლებია.

## ტუნგუსკას ცეცხლის ბურთი

**ტუნგუსკას პლატო არის იზოლირებული ტერიტორია ცენტრალურ სიბერიაში.**

**1908 წლის 30 ივნისს, დილით, მოსახლეობამ მისტიური აფეთქების ხმა გაიგონა.**

ცეცხლმა დაფარა ცა და იგრძნობოდა მიწის ბიძგებიც. შემდეგ ღამეებში ცაზე უცნაური და კაშკაშა სინათლე ჩანდა, ისეთი, რომ ადამიანებს შეეძლოთ, ღამე გაზეთები წაეკითხათ. ამავე დროს ევროპაშიც კი აღნიშნავდნენ, რომ ცაზე უცნაურ ნათებებს ხედავდნენ.

ტუნგუსკას პლატო არის ძალიან ძნელად მისაღწევი ადგილი, ამიტომ არავინ მივიდა შესამოწმებლად. ადამიანებმა ეს ყველაფერი მიაწერეს მიწისძვრას და მალევე დაივიწყეს. 19 წლის შემდეგ რუსი მეცნიერი ლეონიდ კულიკი წავიდა ტუნგუსკას პლატოს შესამოწმებლად. Iს, დიდი სიძნელეების მიუხედავად, ფეხით ავიდა პლატოზე. რაც მან დაინახა, ეს საოცრება იყო.

იქამდე, სადამდეც მას შეეძლო ხედვა, ხეები შავი იყო. ბევრი მათგანი მიწასთან იყო გასწორებული. აფეთქებამ დაწვა დაახლოებით 80 მილიონი ხე ამ ტერიტორიაზე. ამის ნახვის შემდეგ კულიკმა გადაწყვიტა, რომ ეს აფეთქება, შესაძლოა, მეტეორს გამოეწვია.

წლების განმავლობაში მეტეორის თეორია იყო ყველაზე გავრცელებული ახსნა ტუნგუსკის აფეთქების შესახებ.



თუმცა ამ მოსაზრებას ჰქონდა პრობლემებიც, რადგან ვერავინ იპოვა ჩაღრმავებული ადგილი, სადაც მეტეორი დაეცა. ასევე ვერავინ იპოვა მეტეორის ნაწილები. ყველაზე საოცარი კი იყო ის, რომ ტუნგუსკას ცენტრში ზოგიერთი ხე არ იყო დამწვარი.

ამის შემდეგ ბევრი ვერსია გაჩნდა. ზოგი ფიქრობდა, რომ ეს იყო დიდი ბომბი. სხვები ამბობდნენ, რომ ეს აფეთქებული კოსმოსური ხომალდია. ერთ-ერთი უახლესი თეორია არის ის, რომ მეტეორი აფეთქდა მიწასთან შეჯახებამდე. ეს ხსნის დაცემის ადგილის არარსებობას, მაგრამ ვერ ხსნის მეტეორის ნაწილების არარსებობას.

უახლესი თეორია ამტკიცებს სრულიად განსხვავებულ აზრს: შესაძლოა, ეს არ იყო კოსმოსური ხომალდი ან მეტეორი, აფეთქება დედამიწის ცენტრიდან ამოსულმა გაზმა გამოიწვია. მეცნიერები განაგრძობენ პლატოზე მოგზაურობას და სამხილების ძებნას, მაგრამ მათთვის ტუნგუსკას აფეთქება რჩება ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ მისტიკად.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბრიტანეთში 7-კილოიანი ბავშვი დაიბადა

**ბრიტანეთში, გლოსტერშირის საგრაფოში 7-კილოიანი ბავშვი დაიბადა. პატარა გოლიათის — ჯორჯის მშობლები 21 წლის ჯედი პაკერი და 21 წლის რაიან კინგი არიან.** ჯედიმ ჯორჯი 16-საათიანი ბუნებრივი მშობიარობის შემდეგ გააჩინა. ახალშობილი ჯორჯი ჩვეულებრივი წონის ბავშვზე ორჯერ დიდი იყო. ჯედი შვილს 6 თვის ბავშვის სამოსს აცმევს.

**„სამშობიარო ბლოკში ჩემს მშობიარობას 20 ექიმი ესწრებოდა. მისი ზომით ყველანი გაოცებულნი დავრჩით. ჯორჯი ოჯახის ყველა წევრისთვის ნამდვილი სასწაულია“,** — ამბობს ჯორჯის დედა.

# პროფესიით «ქალთევზა»

**კალიფორნიაში მცხოვრები 32 წლის ლინდენ უოლბერტი ქალთევზასავით ცხოვრობს და წყალქვეშ ჟანგბადის გარეშე გაჩერება 5 წუთის განმავლობაში შეუძლია.**



ლინდენი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს, თან დააქვს ქალთევზას კოსტუმი და ტურისტებისთვის შოუებს აწყობს. გამხდარი, ქერათმიანი „ქალთევზა“ ყველას ხიბლავს. ქალბატონი მოდელია და წყალი შეაყვარეს მშობლებმა, რომლებიც პროფესიონალი მოცურავეები არიან.

**„ფაქტობრივად, წყალში გავიზარდე. მშობლები პროფესიონალი მოცურავეები არიან და კონკურსებში ხშირად მონაწილეობდნენ. წყალი მაგნიტივით მიზიდავს. თინეიჯერობაშიც კი ყოველთვის ველოდი ზაფხულის არდადეგებს, ზღვაში ნებივრობა რომ შემძლებოდა. ცურვას ადვილად ისწავლით, მაგრამ ჩაყვინთვისას კონცენტრაცია არ უნდა დაკარგოთ, ეს უმთავრესია“,** — ამბობს „ქალთევზა“.

ამ პროფესიით მას შემდეგ მოიხიბლა, რაც ქალთევზაზე გადაღებული ჰოლივუდის ფილმები ნახა. მოგვიანებით სპეციალურ ეფექტებზე მომუშავე ხელოვანს ალან ჰოლტის შეხვდა. ალანი ჰოლივუდში მოღვაწეობს და ახალგაზრდა ქალბატონს დახმარებაზე უარი არ უთხრა. სპეციალურად მისთვის შეიქმნა კოსტუმი, რომლის დახმარებითაც ლინდენი ქალთევზად „იქცევა“. ვარჯიში 7 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და საერთო ჯამში ლინდენმა 10 000 გირვანქა სტერლინგი დახარჯა.




## სარეკლამო იროკეზი

**რთულია, ხალხში ვერ შეამჩნიო ადამიანი თავზე იროკეზით. სწორედ ამიტომ 31 წლის ამერიკელმა გაზმი ჯოზეფმა ამით ფულის შოვნა გადაწყვიტა. ის ეპატაჟურ ვარცხნილობას სხვადასხვა კომპანიის რეკლამებისთვის იყენებს.**

ამერიკელს, უკვე დიდი ხანია, ასეთი ვარცხნილობა აქვს, თუმცა მისი ბილბორდად გამოყენება მხოლოდ ახლა მოიფიქრა. ერთხელ მას ერთ-ერთი წვეულების შესახებ ადამიანებისთვის ინფორმაციის მიწოდება სთხოვეს. გაზმის ორიგინალური იდეა გაუჩნდა — მან წვეულების შესახებ იროკეზზე საღებავით რამდენიმე სიტყვა დაწერა. მას შემდეგ ამერიკელის იროკეზი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახლა გაზმის საკუთარი საიტიც აქვს, სადაც აქტიურად ათავსებს მისი ბილბორდი-იროკეზის ფოტოებს, რათა მომავალმა დამკვეთებმა უცნაური რეკლამის შესაძლებლობები უკეთ შეაფასონ.

იმისათვის, რომ იროკეზზე განთავსებულმა რეკლამამ უკეთ იმუშაოს, გაზმის წვეულებებსა და თავშეყრის ადგილებზე ხშირად გამოჩენა ევალება. მისი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამკვეთია კომპანია google.




# ყველაზე ბინძური ფული



**პროფესორმა იან ტომპსონმა, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში ასწავლის, კვლევა ჩაატარა და ფულის სხვადასხვა ერთეულზე ბაქტერიების რაოდენობა გამოთვალა. კვლევის ფარგლებში პროფესორმა პლანეტის თითქმის ყველა ფულის ერთეული გამოიკვლია.**

აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში ყველაზე ბინძური ფული ჩინური იუანია. ევროპაში ყველაზე ბინძური ფული კი დანიური კუპიურები და მონეტები — კრონი და ერეა. მათზე უფრო მეტი ბაქტერიაა, ვიდრე ევროპის ნებისმიერი სხვა ქვეყნის ფულის ერთეულზე.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დანიურ კრონზე 42 000 მიკროორგანიზმია. უცხოური მედიის ცნობით, ცოტა ხნის წინ დანიური ბანკნოტები დაიფარა სპეციალური საფარით, რომელიც მის ჰიგიენურ დაცვას უზრუნველყოფს.

ამ რეიტინგში, ევროპის მასშტაბით, სიბინძურის მხრივ, მეორე ადგილზე შვედეთი გავიდა. ევროზე ხსენებული მაჩვენებელი 11 000 ბაქტერიას აღწევს, ხოლო ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე 18 200 ბაქტერიაა.

## ძაღლი, რომელიც ყველაზე მაღალ ხმაზე ყეფს

ავსტრალიაში მცხოვრები 6 წლის ძაღლი, სახელად ჩარლი, ყველაზე მაღალ ხმაზე ყეფს და გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც ამ ტიტულით შევიდა. ჩარლი ძალიან იშვიათად ყეფს, მაგრამ, თუკი ყეფს, გარშემო მყოფებს ისეთი შეგრძნება ეუფლებათ, თითქოს როკ-მუსიკის ხმაურიან კონცერტზე არიან. ჩარლის ყეფა ბურღით თხრასა და ვერტმფრენის ხმაურზე უფრო მაღალია. ჩარლის ყეფის დეციბელი (ელექტროსიგნალის ხმის საზომი ერთეული) 113.1-ია.



# ხოვლეგორას საიდუმლო

**ხოვლეგორაზე მეცნიერებმა მიაკვლიეს უძველესი ნასახლარის ნაშთს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII-VI ათასწლეულებით თარიღდება. წინასწარი ინფორმაციით, აქ დიდებულთა სახლები და რეზიდენციები უნდა ყოფილიყო. გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა დამცავი ნაგებობა — ქვის გალავანი, რომელიც, სავარაუდოდ, მთლიანად აკრავდა ნამოსახლარს. გაითხარა სამეურნეო დანიშნულების ორი ორმო, რომელიც, არქეოლოგთა ვერსიით, მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა.**




იკვეთება საცხოვრებელი ოთახის ან საკულტო დანიშნულების ნაგებობა, რომელშიც სანაცრე ადგილია გამოყოფილი. შეფენილ გორაკზე დაგებული ყოფილა ქვაფენილი, სადაც გათხრის შედეგად აღმოჩნდა იატაკის ოთხი ფენა, რაც ხოვლეგორაზე ხანგრძლივი ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს.

**„ჩვენ შევისწავლეთ ხოვლეგორას ბორცვის ზედა ნაწილი, სადაც უნდა ყოფილიყო ტაძრები და სასახლეები, და, მართლაც, ერთი ნაწილი კვლავ გამოვლინდა. ეს არის საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლი“,** — ამბობს ვახტანგ ლიჩელი (ერთობლივი ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი).

არქეოლოგთა შეფასებით, აქ ახლადაღმოჩენილი სატაძრო-საკულტო, აგრეთვე, საცხოვრებელი ნაგებობები ნამდვილი ხუროთმოძღვრების ძეგლებია.

**ხოვლეში გათხრები 50 წლის წინ დაიწყო და უნიკალური აღმოჩენები სწორედ მაშინ გაკეთდა. მეცნიერთა აზრით, აქ ცივილიზაციის განვითარების უწყვეტი ჯაჭვია მოცემული, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის უამრავი ნივთი იპოვეს. მათ შორის საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა, რომელიც სხვადასხვა კულტურულ პერიოდს განეკუთვნება.**

აქ მუშაობა ერთობლივმა ქართულ-ავსტრიულმა ჯგუფმა აპრილის დასაწყისში განაახლა. სპეციალისტები უკვე გამოკვლეულთან ერთად ამ დრომდე ხელშეუვლებ ადგილებსაც სწავლობენ.

ექსპედიციას თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი ვოლტერ კუნტნერი ხელმძღვანელობენ. ექსპედიციის მონაწილეთა გადაწყვეტილებით, ხოვლეგორას ნამოსახლარი ამჯერად დაკონსერვდება. გათხრები აქ გაისად განახლდება.

# ანჯელინა ჯოლი ონკოლგების მსხვერპლი გახდა?



**ამერიკულ პორტალ NaturalNews-ს მტკიცებით, ჰოლივუდის მსახიობს არ უნდა გაეკეთებინა ოპერაცია მკერდის კიბოს გამო, რომელიც არასდროს ჰქონია.**

აპრილის ბოლოს ანჯელინა ჯოლიმ მკერდის მოკვეთის ოპერაციის გაკეთება მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ექიმებმა მას კიბოთი დაავადების რისკის მაღალი პროცენტი დაუდგინეს. ჯოლიც ამტკიცებდა, რომ ის „დეფექტური" BRCA1გენის მატარებელი იყო, რომელიც მკვეთრად ზრდის კიბოს განვითარების რისკს. ამიტომ მსახიობი პროფილაქტიკურ ოპერაციას დათანხმდა. თუმცა ამერიკული პორტალის Natural News რედაქტორი მაიქ ადამსი დარწმუნებულია, რომ ექიმებმა მოატყუეს მსახიობი: **„ეს უგუნურობაა, რამეთუ მედიცინის მთავარი პრინციპია — არ მიაყენო პაციენტს მნიშვნელოვანი ქირურგიული რისკი და ხარჯი, რათა ჯანსაღი ორგანოები არ იქნას მოკვეთილი! მართლაც სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ანჯელინა ჯოლი მწარედ მოატყუეს. მას არ ჰქონია მკერდის კიბოთი დაავადების 87%-იანი რისკი. და მოატყუეს ყველა ის ქალიც, რომლებმაც მსახიობის მიმართვა წაიკითხეს"**, — დარწმუნებულია ადამსი. მისი თქმით, თვით იდეა, რომ კიბოს განვითარება დამოკიდებულია რისკის მაღალ პროცენტულობაზე, მტკნარი სიცრუეა. „სინამდვილეში კიბოს მიკროსიმსივნე ყველას აქვს, მაგალითად, მეც.

**კიბო ის დაავადება არაა, რომლითაც უცებ შეიძლება დასნეულდე. ეს კონტროლირებადი სენია, რომელიც კვების რაციონის, ცხოვრების წესის, ქიმიკატებზე და რადიაციაზე უარის თქმის მეშვეობით უნდა მართო და დათრგუნო. ამიტომ, როდესაც ექიმი გეუბნებათ, რომ თქვენ კიბოს განვითარების „რისკი" გაქვთ, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ მას უბრალოდ არ აკონტროლებთ. ანჯელინა ჯოლის მარტივად შეეძლო დიეტა დაეცვა და ცხოვრების წესი შეეცვალა. კიბოს უჯრედების მთრგუნავი omega-3 ცხიმოვანი მჟავების შემცველი ხილი და ბოსტნეული სავსებით ხელმისაწვდომია რიგით ადამიანებისთვისაც. მაგრამ ექიმები არ ურჩევენ ქალებს ასეთი პროდუქტის მიღებას, რადგან კიბოს ინდუსტრიისთვის ეს წამგებიანი ნაბიჯია. ამგვარად, განცხადებები კიბოს რისკის შესახებ თაღლითობაა და სხვა არაფერი. თქვენ ირჩევთ ცხოვრების ისეთ წესს, რომელსაც ან კიბოსკენ მიჰყავხართ ან ეწინააღმდეგებით მას. კიბოს განვითრება-არგანვითარების მიზეზი მის პროფილაქტიკაშია"**, — დასძენს მაიქ ადამსი. რედაქტორი დარწმუნებულია, რომ სამედიცინო ინდუსტრია შეგნებულად აშინებს ქალებს, არწმუნებს რა მათ, რომ ეს სენი კონტროლს არ ექვემდებარება. მათ არ სჭირდებათ ამ სფეროში განათლებული ქალები, რადგან ასეთ შემთხვევაში კიბოს მკურნალობის ინდუსტრია კლიენტებს და, შესაბამისად, ფულსაც დაკარგავს. შედეგად კი უამრავი დაშინებული ქალი ქირურქის მსხვერპლი ხდება და დარწმუნებულები არიან, რომ ამგვარად საკუთარი სიცოცხლე გადაარჩინეს. **„და რა მოხდება, თუ ანჯელინა ჯოლის ექიმები ეტყვიან, რომ მას თვის ტვინის კიბოს განვითარების რისკი აქვს, ის რა, თავსაც მოიკვეთს?"** — ასეთ კითხვას უსვამს საზოგადოებას მაიქ ადამსი.

# «ჰესების პროექტის მოწინააღმდეგე მოსახლეობას გარკვეული ჯგუფი მართავს»



**ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მოწინააღმდეგე მოსახლეობას, ეჭვი გვაქვს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი მართავს. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ „ბიზნესრეზონანსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

მისი თქმით, ამ საკითხზე შესაბამისი უწყებები მუშაობენ და უახლოეს მომავალში ცნობილი გახდება, სიმართლეა თუ არა. ამასთან, კალაძე „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესს გამორიცხავს და ამბობს, რომ ის არაფერ შუაშია და ქვეყანაში ახალი ჰიდროსადგურების აშენება „ნაციონალური მოძრაობის" სტრატეგია იყო. მინისტრის მტკიცებით, პროექტის განხორციელებისას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

**„30 წელია, ეს ადამინები ელიან, თუ რა და როგორ იქნება — განხორციელდება თუ არა პროექტი. ამის შიშით, უბრალოდ, ღობე ვერ აუშენებიათ, რადგან ხვალ, შესაძლოა სახელმწიფომ უთხრას, რომ მათ გადასახლება მოუწევთ. მთავარია, გავიაზროთ, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტი ქვეყნისთვის. უნდა დაიდოს ეკონომიკური დასკვნა, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრომ არსებული ვითარება უნდა შეაფასოს. ადგილობრივთა გადასახლების გეგმა კი აუცილებლად მსოფლიო ბანკის სტანდარტებით უნდა განხორციელდეს. ხელების გადაგრეხვით არავის დაველაპარაკებით. თითოეული მოსახლის აზრი გათვალისწინებული იქნება"**, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

კახი კალაძე მიიჩნევს, რომ მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების მიუხედავად, ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი უნდა იყოს. მისი თქმით, საქართველოს ყველა რესურსი აქვს, რომ ენერგოექსპორტიორი ქვეყანა გახდეს.

# ქუთაისის პარლამენტს კალიები, პეპლები და კოღოები შეესივნენ



**როგორც „ივერონის" კორესპონდენტი იტყობინება, საკანონმდებლო ორგანოს შენობა, რომელიც 360 მილიონი დოლარი დაჯდა, რამდენიმე დღის წინ ქიმიური ხსნარებით დაამუშავეს, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ შენობა ჭაობის გარშემო არის გაშენებული, შენობაში კალიები, კოღოები, პეპლები და სხვადასხვა ტიპის მწერები დაფრინავენ.** ამას გარდა, უწყებაში პრობლემას მაღალი ტემპერატურაც წარმოადგენს. კერძოდ, შენობაში განსაკუთრებით პლენარული სხდომის წინ ფოიეში ცხელა, სადაც ფანჯრების გაღების მიუხედავად, ჰაერი საერთოდ არ მოძრაობს.

## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (ვ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591

# ღირსეული მამულიშვილი



**საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ვეტერანი, ბატონი მიხეილ ხარძეიშვილი 98 წლის ასაკში გამოაკლდა. ადამიანი, როგორც წესი, ფასდება არამხოლოდ ამქვეყნად გატარებული წლების რაოდენობით, არამედ ღირსეული სიცოცხლით. ღირსებაში კი მთავარი ადგილი უკავია სამშობლოს ერთგულებას, სიყვარულს, ოჯახსა და შთამომავლობის აღზრდას.**

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილმა ამაგდარმა ვეტერანმა, სამამულო ომის პირველი ხარისხის (ორგზის), ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენების კავალერმა, განათლების დარგის დამსახურებულმა მუშაკმა, ვანის რაიონის საპატიო მოქალაქემ, ვანის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ, **ბატონმა მიხეილ ხარძეიშვილმა თავისი 75-წლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში ნათელი კვალი დატოვა ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში, რაც მომავალი თაობისთვის სამაგალითოდ და სანიმუშოდ დარჩება.**

მიხეილ ვასილის ძე ხარძეიშვილი დაიბადა 1915 წლის 12 მაისს. ხარძეიშვილების ოჯახიდან ოთხმა დედმამიშვილმა დიდ სამამულო ომში პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, ხოლო მათგან ორი ძმა — მინგო და გენადი ფრონტზე დაიღუპნენ. თვითონ მიხეილი ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. გამოჯანმრთელების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ქიმიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, რის შემდეგ მის ბიოგრაფიას ემატება არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა; **იგი რაიონში თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში, მუშაობდა სკოლის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგედ, რაიონული გაზეთის რედაქტორად, რაიონის მოსამართლედ და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.**

**განათლების განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში, მისი უშუალო ინიციატივით, საკავშირო მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში „საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა და მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა" ვანის რაიონმა პირველი ადგილი დაიკავა არამარტო საქართველოს, არამედ კავშირის მასშტაბით, ხოლო თვითონ ბატონი მიხეილი, როგორც რაიონის განათლების განყოფილების გამგე, დაჯილდოვდა საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო მედლითა და ფულადი პრემიით.**

ბატონი მიხეილ ხარძეიშვილი სამოქალაქო სამსახურიდან დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიურად ჩაება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა მოძრაობაში. იგი აირჩიეს ვანის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარედ, სადაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე პატიოსნად, უანგაროდ და პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას; მონაწილეობდა ვეტერანების მიმართ ახალი კანონპროექტების შედგენაში.

ბატონი მიხეილის მიერ დაწერილია **„ქართველ ვეტერანთა ღირსების ჰიმნი"**, სახელწოდებით **„ომგადახდილის ოცნება"**, რაზეც შექმნილია კლიპი მხედრული მარშისთვის.

მის კალამს ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძისადმი და ომში დაღუპული ძმის — გენადისადმი მიძღვნილი ლექსები.

**ბატონ მიხეილ ხარძეიშვილის გარდაცვალებამ ღრმა მწუხარება გამოიწვია ყველა ვეტერანში და მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.**

**საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი.**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009